

მერაბ მეგრელიძე
ნიკოლოზ მეგრელიძე

ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან

ბათუმი 2026

წიგნში შესულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ინიციატივით ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე სხვადასხვა დროს წარდგენილი მოხსენებები.

რედაქტორი: როინ მალაყმაძე

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი

რეცენზენტები: ოლეგ ჯიბაშვილი

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
უფროსი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

სულხან მამულაძე

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
მეცნიერ თანამშრომელი, ისტორიის აკადემიური
დოქტორი

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ღონაძე

ყდის დიზაინი: თემურ ნაყოფია

ISBN 978-9941-8-8337-8

© სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი



სამართლისა და პოლიტიკის
კვლევის ინსტიტუტი
Institute for Law & Policy Research

შესავლის მაგიერ

ქალაქები ყველა ეპოქაში წარმოადგენდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს, რითაც უდიდესი როლი შეასრულეს საერთო ისტორიული პროცესის განვითარებაში. ამიტომ ქალაქთა ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანი და საპატიო საქმეა.

საქართველოში ქალაქების ისტორიისადმი ინტერესი XIX საუკუნის II ნახევარში გაჩნდა, აქტიური მეცნიერული კვლევა კი XX საუკუნის შუახანებიდან დაიწყო. ავტორთა ჯგუფის მიერ შეიქმნა თბილისის ისტორიის სამტომეული. გამოიცა მონოგრაფიები საქართველოს სხვა ქალაქების, მათ შორის, ბათუმის შესახებაც (ვ. სიჭინავა - 1958 წ., აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე - 1996 წ., რ. უზუნაძე - 1997 წ.). ამ ნაშრომებს უდავოდ გააჩნიათ სათანადო მეცნიერული ღირებულება, მაგრამ მათში ბათუმის ისტორიის მხოლოდ ცალკეული მონაკვეთებია გაშუქებული და მთლიანობაში ვერ ასახავენ საქალაქო ცხოვრების განვითარების ერთიან სურათს.

ბათუმს საქართველოს ქალაქებს შორის საპატიო ადგილი უკავია. ამიტომ მისი წარსულის და დღევანდელი საფუძვლიანი შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიხატოს მისი მთლიანი ისტორიის შექმნით, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ დაწერილა. პრაქტიკულად, ასევე შეუსწავლელია ბათუმის ქალაქური ფოლკლორი და ეთნოგრაფია, ხელოსნობა, რეწვა, არქიტექტურა, საფორტიფიკაციო ნაგებობები, ქალაქის უბნები და სხვა საკითხები. სწორედ მათი კომპლექსური შესწავლა მოგვცემს საშუალებას ბათუმის შესახებ შეიქმნას სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიც სრულიად იქნება გადმოცემული ქალაქის წარსული და უახლესი ისტორია.

მალხაზ სიორიძე

INSTEAD OF AN INTRODUCTION

Throughout all historical periods, cities have been the principal centers of political, economic, and cultural life, thereby playing a significant role in the development of the broader historical process. Consequently, the study of urban history constitutes both a significant scholarly undertaking and a matter of considerable esteem.

Interest in the history of cities in Georgia emerged in the second half of the nineteenth century, while systematic scholarly research began in the mid-twentieth century. A collective of authors produced a three-volume history of Tbilisi. In addition, monographs have been published on other Georgian cities, including Batumi (V.Sichinava, 1958; Ab.Surguladze and M.Sioridze, 1996; R. Uzunadze, 1997). These works undoubtedly possess considerable scholarly value; however, they address only particular aspects of Batumi's past and, taken as a whole, do not convey a comprehensive picture of the development of urban life.

Batumi holds an honorable place among Georgia's cities. Therefore, a thorough study of its past and present deserves special attention. This should, first and foremost, be reflected in the creation of a comprehensive history of the city, which, unfortunately, has not yet been written. Likewise, Batumi's urban folklore and ethnography, crafts and trades, architecture, fortifications, neighborhoods, and other related subjects remain virtually unstudied. It is precisely their complex investigation that will enable the production of a complete scholarly study of Batumi, one that will fully encompass both its past and its more recent history.

Malkhaz Sioridze

ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა (XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში)

1888 წლის პირველ ოქტომბერს ბათუმმა იწეიმა თვითმმართველობის დაფუძნება. თვითმმართველობამ თავისი არსებობის პირველივე დღიდან მოსახლეობისათვის დააწესა ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობისთვის საჭირო მოსაკრებელი. შემოსული თანხების დიდი ნაწილი ხმარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 5, ფ. 5-7].

1889 წლის 12 ივნისის ბათუმის თვითმმართველობის სხდომის ოქმიდან ვგებულობთ, რომ ქალთა სასწავლებლის შენობად შეარჩიეს ზღვისპირა პარკთან მდებარე გენერალ-მაიორ, თავადი ერისთავის სახლი, საკარმიდამო ნაკვეთით [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 52, ფ. 101].

1889 წლის 12 აგვისტოს თვითმმართველობის სხდომაზე განიხილეს საიდუმლო მრჩევლის იანოვსკის წერილი, რომელიც ითხოვდა ბათუმში ტექნიკური სახელოსნო სასწავლებლის გახსნას (სამკლასიანი). თავდაპირველად სახელოსნოში ასწავლიდნენ სადურგლო და საზეინკლო ხელობას [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 61, ფ. 16].

1889 წლის 24 ივლისს თვითმმართველობამ გამოჰყო მიწა ბერძნული და სომხური სკოლების ასამუშებლად [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 58, ფ. 19].

1895 წლის 26-27 ივნისს, ბათუმის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიის შენობისათვის ზღვის სანაპიროსთან გამოჰყო ერთ-ერთი საუკეთესო ნაკვეთი მიწისა 2623,95 კვ.საჟ. მოცულობით. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა დ.მ. სედელნიკოვმა. ამავე პერიოდში დადგა იქვე ვევრდით არსებული ციხის გადატანის საკითხი [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 228, ფ. 23]. 1897 წლის 29 სექტემბერს ბათუმის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიასთან გახსნა ჰანსიონი [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 277, ფ. 17].

ბათუმი თავისი დაარსების დღიდანვე ინტერნაციონალური ქალაქი იყო. აქედან გამომდინარე, ბათუმის თვითმმართველობა დიდ

მზრუნველობას იჩენდა სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებისთვის შესაბამისი სასწავლო დაწესებულებებით უზრუნველსაყოფად. ბათუმში თითქმის ყველა ეროვნებას გააჩნდა საკუთარი სკოლები. 1909 წლის 16 დეკემბერს თვითმმართველობამ საზოგადოებისათვის „პოლონური სახლი“ კომაროვისა და გიორგიევსკის ქუჩების კუთხეში სკოლისა და ბიბლიოთეკის ასაშენებლად გამოჰყო 137,32 კვ.საჟ. მიწის ნაკვეთი. ბათუმის რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ სურვილი გამოთქვა გაეხსნა სკოლა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ბავშვი მიიღებდა განათლებას, კერძოდ, ქართველები, პოლონელები, ფრანგები, ჩეხები. ამ იდეით თვითმმართველობის წინაშე გამოვიდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი. ამ დროს ბათუმში ცხოვრობდა 20 პოლონელი, ასევე იყვნენ ლიტველები [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 488, ფ. 39].

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რუსეთის განაპირა მხარიდან საქართველოში სასწავლად ჩამოსულ ახალგაზრდებს. 1910 წლის 24 მაისს ბათუმის თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის გახსნას. თვითმმართველობის სხდომის დღიურში ვკითხულობთ: „Наши дети, не выдерживающиеся в большинстве случаев сурового климата Российских университетских городов, будут учиться высшим наукам у нас, здесь в Грузии, мы ничего не должны щадить для того, чтобы дело это осуществилось и как можно скорее“ [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 491, ფ. 10].

ამ მიზნით, ერთდროულად დანიშნეს 5.000 მან. დახმარება, ხოლო უნივერსიტეტის გახსნის დღიდან ყოველწლიურად დაინიშნა დახმარება 5.000 მან. ოდენობით. 1902 წლის 25 აპრილს ბათუმის რუსეთთან შეერთების 25 წლისთავთან დაკავშირებით დაისვა საკითხი თეატრისა და სახალხო ბიბლიოთეკის მშენებლობის შესახებ [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 386, ფ. 101].

ბათუმის თვითმმართველობამ თეატრის მშენებლობა სასურველ და აუცილებელ საქმედ მიიჩნია, რომელიც მოემსახურებოდა სამ მიზანს: 1. იქნებოდა საუკეთესო საშუალება მასებში ჰუმანიტარულ-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის 2. ქალაქს მოუტანდა კარგ მემოსავალს 3. თეატრის შენობა გაალამაზებდა ქალაქს. თეატრის შენობის პროექტზე გამოაცხადეს კონკურსი. თავ-

დაპირველად თეატრი გათვალისწინებული იყო 100 მაყურებელზე. თეატრის ადგილსამყოფელად აირჩიეს ნურიეგელის მიდამოები. უფრო ადრე, 1889 წლის 17 აპრილს, თავადი სტეფანე ოსიპის-ძე სტეფანოვი თვითმმართველობას სთხოვს ზღვისპირა პარკში მიწის გამოყოფას საზაფხულო თეატრის მოსაწყობად [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს.44, ფ. 14].

ზემოთ აღნიშნულ იუბილესთან დაკავშირებით თვითმმართველობამ ასევე გადაწყვიტა მოეწყო ერთი უფასო დაწყებითი სკოლა: „Под знаменем осуществленной Росииской империи, в смысле развития гражданственности“ [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 386, ფ. 20]. თვითმმართველობის წევრი ჯაყელი წინადადებით გამოვიდა იუბილესთან დაკავშირებით გამოეშვათ კრებული, სადაც მოცემული იქნებოდა ბათუმის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა.

1908 წლის 19 მარტს, თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა მოქალაქე გ. გომანის იდეას და ქალაქის ა. პუშკინის სახელობის დაწყებით სკოლაში გახსნა მუზეუმი ზოოლოგიის, ბოტანიკის, მინერალოგიის განყოფილებებით, ზოოლოგიური ბაღითა და აკვარიუმით [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 476, ფ. 24].

1907 წლის 10 სექტემბერს ბათუმსა და მის შემოგარენში საფუძველი ჩაეყარა კლიმატურ სადგურს. ამასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვალთან გაიგზავნა დეპუტაცია ი. ანდრონიკაშვილის, ტ. ტრიანტაფილიდესის, გ. კვიცინსკისა და ს. დუნინის შემადგენლობით [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 439, ფ. 10].

1907 წლის 10 აგვისტოს ბათუმის თვითმმართველობამ შავი ზღვის სანაპიროზე მოაწყო კავკასიის მხარის საზღვაო-სამედიცინო-სამეთვალყურეო სადგური [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 438, ფ. 2].

1910 წლის 24 მაისს, ბათუმში მცხოვრები ი.ა. ბაიადჟანი თვითმმართველობისაგან ითხოვს მიწის ფართს ზღვისპირა პარკში ზღვის აბაზანების მოსაწყობად [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 491, ფ. 19].

1908 წლის 19 მარტს, მოქალაქეებმა ვეიდემანმა და ზგურიცისმა ზღვისპირა პარკში მოაწყვეს თეატრი „ილუზიონი“ [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 471, ფ. 25]. ბათუმში მცხოვრებმა შტენბერგმა თვითმმართველობას წარუდგინა კინემატოგრაფიის სახლის პროექტი.

1908 წლის 19 მარტს ბათუმელი ნ. რუსეიშვილი ზღვისპირა პარკში ხსნის ატრაქციონებს.

1910 წელს, მოქალაქე ივანე მორუსი ზღვისპირა პარკში საფუძველს უყრის კულტურულ კერას, ამავე დროს აღექსანდრე სტეფანისძე ტკაჩოვმა იქვე ააშენა კინემატოგრაფიის სახლი და მუსიკალური დარბაზი, ხოლო ზღვასთან ახლოს გამოიყო ადგილი „სკეიტინგ რინკის“ მოსაწყობად (ინგ. skating rink - მოასფალტებული მოედანი ან ხის იატაკი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად) [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 991, ფ. 20].

თვითმმართველობამ ბევრი რამ გააკეთა ქალაქის დაგეგმარებისა და კეთილმოწყობისათვის. ასე მაგალითად, 1898 წლის 20 აპრილს თვითმმართველობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ლ. ასათიანი, ნიკოლაძე, სევერინი, საბაშვილი, ვოლსკი და სხვები, განიხილეს ქალაქის დაგეგმარების საკითხი. სხდომაზე წარმოდგენილი იყო ქალაქის ყოველი ქუჩის, ეზოსა თუ მოედნის მათემატიკური სიზუსტით, პროპორციების დაცვით შესრულებული ფოტოგრაფიული აღწერილობა [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 224, ფ. 7].

1889 წლის 10 ივლისს თვითმმართველობამ ნება დართო ვიქტორ პოლიშევსკის მოეწყო ცენტრალური სატელეფონო ხაზი [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 56, ფ. 2].

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითმმართველობის წევრი ფიცს დებდა ღვთის წინაშე, რომ მის მოვალეობას შეასრულებდა კეთილსინდისიერად და პასუხისმგებელი იქნებოდა ღვთის წინაშე.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმის თვითმმართველობამ XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში დიდი მუშაობა გასწია ქალაქის კულტურული განვითარებისთვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აჭარის ა/რ ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმეები №№ 5; 44; 52; 56; 58; 61; 224; 228; 386; 438; 439; 476; 488; 491.

მ. სიორიძე, ბათუმის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა 1888-1920 წლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 5, ბათ., 2003.

ბათუმის საბირჟო საზოგადოების საქმიანობა (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დასაწყისი)

ბათუმი საქართველოს დაუბრუნდა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების ეპოქაში. ამიტომ მისთვის უცხო არ არის ბურჟუაზიული ეპოქის საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციები. ამ მხრივ საყურადღებოა ბათუმის საბირჟო საზოგადოება. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ არის.

ვიდრე საკვლევ საკითხზე გადავიდეთ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, მოკლედ მიმოვიხილოთ ბირჟების წარმოშობის და საქმიანობის ზოგადი ისტორია.

პირველი ბირჟები ძირითადად სასაქონლო იყო და დაკავებულნი იყვნენ სხვადასხვა სახის საქონლის ყიდვა-გაყიდვით. ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, მათი ფუნქციებიც გაიზარდა.

ბირჟები სხვადასხვა სახისანი იყვნენ და იძლეოდნენ სწრაფ ინფორმაციას საქონლის ფასებთან დაკავშირებით, რითაც ვაჭრებს ხელს უწყობდნენ დროულად ეწარმოებინათ სავაჭრო ოპერაციები. დროთა განმავლობაში ბირჟა სავაჭრო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. მას გარკვეული კავშირები ჰქონდა სამრეწველო ორგანიზაციებთან.

ცნება „ბირჟა“ წარმოიშვა ახალლათინური სიტყვიდან „*bursa*“, რაც ნიშნავს ტყავის ქისას. ბირჟა პირველად ჩნდება საგვარეულო სახლთან იტალიაში. XIII-XVI საუკუნეების .ევროპულ ქვეყნებში იგი აღნიშნავდა შენობას, სადაც იკრიბებოდნენ ვაჭრები და ამ საქმესთან დაკავშირებული პირები (მაკლერი-შუამავალი), რომლებიც აწარმოებდნენ სავაჭრო გარიგებას ან მოლაპარაკებას. სავაჭრო სახლის გერბზე გამოსახული იყო სამი ქისა. XVI საუკუნიდან ნიდერლანდებში ჩნდება თანამედროვე ტიპის ბირჟები, რომლის მსგავსი ძველ რომშიც იყო ეგრეთ წოდებული **Gollegia mecratorum** [Ерокрауз, 1891:879-882]. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ვაჭრები ბირჟიდან სწრაფად დებულობდნენ საჭირო ინფორმაციას მსოფლიო მასშტაბით საქონლის ტვირთბრუნვასთან დაკავშირებით.

საბირჟო ორგანიზაციის ერთ-ერთ კატეგორიას შეადგენდნენ საბირჟო საზოგადოების წევრები, რომელნიც ხელისუფლების მიერ კანონიერად იყვნენ აღიარებულნი და რომელთაც უფლება ჰქონდათ აერჩიათ მათი წრიდან ადმინისტრაციული და აღმასრულებელი ორგანოები.

მეორე კატეგორიას შეადგენდა საბირჟო ბიურო და კომიტეტი, რომელსაც ირჩევდნენ საბირჟო სავაჭრო პირები და მაკლერები და ამტკიცებდა ხელისუფლება. საბირჟო კომიტეტი შედგებოდა თავმჯდომარისა და სამი წევრისაგან. საბირჟო კომიტეტს აღმასრულებელი და გამანაწილებელი ფუნქციები გააჩნდა და იგი ანგარიშვალდებული იყო საბირჟო საზოგადოების წინაშე. საბირჟო კომიტეტები სავაჭრო და მანუფაქტურის დეპარტამენტის უწყებაში შედიოდა. იგი ძირითადად შემოსული ჯარიმების და მოგების თანხის საფუძველზე არსებობდა.

ბირჟის გარიგების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს გემების ფრახტირება. რუსეთში საბირჟო საზოგადოებები იქმნება ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს. 1830-1840 წლებში რუსეთი ხსნის ბირჟებს სავაჭრო ცენტრებში, კერძოდ, 1834 წელი - კრემენჩუგი, 1864 წ. - კიევი, 1866 წ. - რიგა, 1872 წ. - ვარშავა, 1886 წ. - ბაქო. 1848 წელს რუსეთი სავაჭრო ბირჟას ქმნის ოდესაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბათუმში რუსული მმართველობის დამყარებას თან მოჰყვა საბირჟო საქმიანობის დამკვიდრება. რუსეთში ბირჟები არსებობდა სპეციალური წესდების საფუძველზე, რომელიც საბირჟო საზოგადოებას ავტონომიას ანიჭებდა. რუსული ბირჟის მმართველ ორგანოს წარმოადგენდა საბირჟო კრება და საბირჟო კომიტეტი. ამ პერიოდში საბირჟო კომიტეტი არსებობდა ბათუმშიც [Гранат, 1891: 578].

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბათუმში საზღვაო ვაჭრობისა და სამიმოსვლო მოძრაობის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა რუსეთის სანაოსნო საზოგადოებამ. ინგლისის ელჩი ბათუმში ვ. პალგრევი 1872 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ოცი წლის წინათ ქალაქი ბათუმი იყო პატარა დაბა, ხოლო შავ ზღვაზე

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების დაარსების წყალობით მან მოიპოვა სავაჭრო მნიშვნელობა.

1867-1868 წელს რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემების მიმოსვლა ბათუმში შემდეგ სურათს იძლევა:

საიდან შემოვიდა	წასვლის მიმართულება	გემების რიცხვი
კონსტანტინეპოლიდან	კონსტანტინეპოლში	52
ოდესიდან ქერჩის გავლით	ოდესაში ქერჩის გავლით	26
ფოთიდან (პატარა გემი)	ფოთში	104
სულ		182

გადაზიდვის მთავარი საგანი იყო ხე-ტყე და მარცვალი. 1878 წლის ოქტომბრიდან 1879 წლის პირველ იანვრამდე საზღვარგარეთისა და რუსეთის ნავსადგურებიდან ბათუმში შემოიტანეს 226.582 რუბლის საქონელი, ხოლო საზღვარგარეთისა და რუსეთის ნავსადგურებში ბათუმიდან გაიტანეს 91.428 რუბლის საქონელი.

1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოება აერთიანებდა 74 წევრს. იგი გაერთიანებული იყო სამხრეთ-რუსეთის ვაჭართა და მრეწველთა კავშირში, რომლის რეზიდენციას წარმოადგენდა ქალაქი ოდესა.

ბათუმის საბირჟო საზოგადოება ადგენდა სტატისტიკურ მონაცემებს ბათუმის პორტში არსებული ტვირთბრუნვის შესახებ. ამ პერიოდში საბირჟო საზოგადოების თავმჯდომარე იყო მიხეილ ნაკაშიძე, მდივანი კი ივანე მესხი.

ბათუმის საბირჟო საზოგადოება დიდ მზრუნველობას იჩენდა ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის განვითარებისთვის, რის შესახებაც აღნიშნულია საბირჟო საზოგადოების საქმიანობის ანგარიშში, კერძოდ მასში ჩამოთვლილი იყო უახლოეს პერიოდში ჩასატარებელი ღონისძიებები: პორტში ნავმისადგომი ხაზის გადიდება, სანაპიროს კეთილმოწყობა, საბუქსირე ორთქმავლის შექმნა და სხვა [აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 2, ფ. 10].

1907 წლის 7 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობა რუსეთ-ბელგიის მეტალურგიულ საზოგადოებას აცნობებდა, რომ რუსეთის მეტალურგიული ქარხნები საჭიროებენ ჭიათურის მარგანეცს. ფოთიდან ყოველწლიურად უცხოეთში გადიოდა 4-5 მლნ ფუთი მარგანეცი. შემდეგ წლებში იგი 8 მლნ-დე გაიზარდა. ამ პერიოდში ბათუმის საბირჟო საზოგადოებამ გაამართივა ბათუმის პორტიდან ქართული მარგანეცის რუსეთის საწარმოებისთვის გაგზავნის ოპერაციები. კერძოდ, გაათანაბრეს ფოთისა და ბათუმის პორტიდან რუსეთში ქართული მარგანეცის გაგზავნის ტარიფები. ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ ბათუმის პორტს შექმნოდა ყველა პირობა მარგანეცით ვაჭრობისთვის [აცსა, ფ. ი-6, ან. 1, ს. 593, ფ. 18].

ტარიფების გათანაბრებით რუსეთის საწარმოებს უბრუნდებოდათ ფრანხტის ნაწილი (ფრანხტა - გერმ. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური). ვაგონზე განსხვავება იძლეოდა სამ მანეთს, ეს კი რუსეთის საწარმოებს დიდ მოგებას აძლევდა.

ბათუმის საბირჟო საზოგადოებას ტვირთგადაზიდვაში კონკურენციას უწევდა ნოვოროსიისკის საზოგადოება, რომელიც წმინდა კომერციული ინტერესების თვალსაზრისით რუსეთის საწარმოების ავტორიტეტს ზრდიდა, რითაც ქართული მარგანეცის ფასი ეცემოდა.

1907 წლის 22 დეკემბერს ნოვოროსიისკის საბირჟო საწარმო საზოგადოება ბათუმის ქალაქის თავს წერდა: „უკანასკნელ ხანებში ნიკოპოლსკის რაიონი იძლევა კავკასიურის მსგავსი ხარისხის მარგანეცს, მაგრამ შეუდარებლად იაფს მასთან შედარებით; ამიტომ ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ სამხრეთ-რუსული ქარხნები დაუბრუნდებიან კავკასიური მარგანეცის მადნის შექმნას“ [აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 2, ფ. 20]. 1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოების მონაცემებით, ბათუმის პორტიდან უცხოეთში გაუტანიათ მრავალფეროვანი პროდუქცია: ნავთი, წასაცხები ზეთები, მარგანეცი, სიმინდი, აბრეშუმის პარკი, ქსოვილები, ხალიჩები, მატყლი, კაკლის ხე, ძირტკბილა, ბრინჯი, ხიზილალა და სხვა საქონელი, რომელთა ღირებულებამ სულ შეადგინა 43 668 426 რუბლი [აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 2, ფ. 38].

იმავ 1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოებამ აღწერა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ბათუმის პორტში შემოტა-

ნილი საქონლის ძირითადი სახეები: რკინა და საერთოდ ლითონის ნაწარმი, გოგირდი, საღებავები, ყავა, მარმარილო, ცემენტი, სადურგლო და სხვა სახის ნაწარმი [იქვე, ფ.43].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო მასალა ნათლად წარმოაჩენს ბათუმის საბირჟო საზოგადოების საქმიანობას ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის განვითარებისთვის.

მითითებული წყაროები და ლიტერატურა:

აცსა - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე 2.

აცსა, ფ. ი-6, ან. 1, ს. 593.

Брокгауз Ф.А., Энциклопедия, т. III, Петербург, 1891.

Гранать А.И., Энциклопедия, т. V, Москва, 1891.

ბათუმის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (XIX საუკუნის დასასრული – XX ს-ის დასაწყისი)

ჩვენი სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ ქალაქ ბათუმის ისტორიული იერსახე, თვალი გავადევნოთ ამ პერიოდში არსებულ კულტურულ ცხოვრებას, დავსვათ კითხვები, თუ რატომ იცვლიდა სხვადასხვა მიზეზის გამო, დროთა განმავლობაში, ქალაქი თავის პირვანდელ სახეს და მისი წარსული ყოფა-ცხოვრებიდან რა დაგვრჩა დღეს. კულტურულ ნაგებობათა მშენებლობა ძირითადად წარმოებდა ქველმოქმედი ადამიანების მიერ შემოწირული თანხებისა და საკუთარი მიწების საფუძველზე. ასეთები იყვნენ: ზია ბეგ აბაშიძე, სტეფანე ზუბალაშვილი, ნ. საბაევი, ივანე სანტრუსოვი და სხვები. ამ უკანასკნელმა 1908 წლის 13 მარტის ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე განაცხადა: «Все устроенное мною имущество оставляю в собственности города Батуми» (აცსა, ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 615, გვ. 9).

1907 წელს მოქალაქეებმა ვიდემმანმა და სგურიცისმა საკუთარი პროექტის საფუძველზე ქალაქის ზღვისპირა პარკში ააგეს კინოთეატრი „ილუზიონი“. თავდაპირველად კინოთეატრი განკუთვნილი იყო ბავშვებისთვის, ხოლო 1908 წელს იგი გაფართოვდა და მისაწვდომი გახდა მთლიანად ქალაქის მოსახლეობისთვის (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 476, გვ. 25).

1909 წელს ბათუმში ნურის ტბაზე დაიგეგმა წყლის კარუსელის მოწყობა (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 615, გვ.49).

ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე იხილებოდა ქალაქის ყოველი ქუჩის, ეზოსა თუ გზის დაგეგმარების საკითხი. 1898 წლის 20 აპრილს ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ლუკა ასათიანი, ნიკოლაძე, სევერინი, საბაშვილი, ვოლსკი და სხვები, განიხილეს ქალაქის დაგეგმარების საკითხი. ასევე მოეწყო ყოველი ქუჩის, ეზოსა თუ გზის მონაკვეთის ფოტოგრაფიული აღწერა, ქალაქის გეგმაში შეტანილი იყო ყოველი ქუჩის სიგრძე-სიგანე, გზაჯვარედინები და მათზე ქუჩების მათემატიკური სიზუსტით პროპორციული განლაგების საკითხი. ზღვიდან მონაბერი საჰაერო სივრცის შენარჩუნების მიზნით, იკრძალებოდა ზღვასთან ახლოს

საცხოვრისის მშენებლობა. არქიტექტორები ზღვის ფონზე უპირატესობას ანიჭებდნენ ორი და სამი სართულიანი საცხოვრისების მშენებლობას (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 294, გვ. 54).

1902 წლის 16 სექტემბერს, ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე დაისვა საკითხი ვერანდით ზღვის მხარეს აეგოთ სამკითხველო დარბაზი და ღია ესტრადა სიმფონიური ორკესტრისთვის. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამკითხველო დარბაზები გააჩნდა ქალაქში არსებულ ყველა სასტუმროს (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 393, გვ. 6-7).

1897 წელს, ქალაქის თვითმმართველობის მიერ ვაჟთა გიმნაზიის მშენებლობისთვის ზღვის გარემო იქნა შერჩეული.

1898 წლის 16 მარტს, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ს. სტოიანოვი თვითმმართველობას გიმნაზიასთან ფუნდამენტური ბიბლიოთეკის შექმნის ნებართვას სთხოვდა (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 292, გვ. 8).

1900 წლის 28 თებერვალს ნურიეს ტბის მიდამოებში დაგეგმილი იყო უფასო სახალხო ბიბლიოთეკის მშენებლობის საკითხი (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 339; გვ.8).

ბათუმში ჭაობის ამოშრობას ემსახურებოდა სპეციალურად გახსნილი სამმართველო (სმეკალოვის და სობორის ქუჩების კვეთა). სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ პეტერბურგიდან მოწვეული სპეციალისტები, გენერალ-ლეიტენანტი ი.პ. ჟილინსკი, ინჟინერი მ.ფ. რიტელი, სამუშაოთა მწარმოებელი, ტოპოგრაფი პ. იონკინი.

ქალაქის მოსახლეობას ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო ცივი სასმელებით ემსახურებოდა სხვადასხვა ფირმა. ერთ-ერთი ასეთი იყო ფირმა „ალაზანი“, რომელიც ეკუთვნოდა მოქალაქე კ.ს. ანდრონიკაშვილს. იგი განთავსებული იყო მიხაილოვის ქუჩაზე (დღეს ზ.გამსახურდიას ქუჩა). საინტერესოა აღნიშნული ფირმის მიერ შემუშავებული წესდება, რომელიც თითოეულ მოქალაქეს უფლებას აძლევდა, ვინც კი ეჭვს შეიტანდა მათი ფირმის მიერ წარმოებული ღვინის ნატურალურ თვისებებში, მოეწყოთ ადგილობრივ ლაბორატორიებში მათი ქიმიური შემოწმება და თუ წამოღებული ანალიზის საფუძველზე ღვინო აღმოჩნდებოდა ფალსიფიცირებული, მაშინ ფირმა უკლებლივ აანაზღაურებდა ყველა დანახარჯს ექსპერტი-

ზასთან დაკავშირებით და ასევე მოქალაქეს გადასცემდა 500 მანეთს. ფირმა „ალაზნის“ მთავარი რეზიდენცია მდებარეობდა თბილისში, სოლოლაკის უბანში #12, ხოლო განყოფილება - ბათუმში, ოლღას ქუჩაზე #28. აღნიშნულ ფირმას გააჩნდა საწყობები ბაქოში, ვლადიკავკაზში, ეკატერინოლარში, როსტოვში, ასტრახანში, პეტერბურგში, ასევე წარმომადგენლები სევასტოპოლში და იალტაში (Державин, 1902:93-94).

ბათუმში ანალოგიური ფირმა გააჩნდა მოქალაქე ვ.ნ. კლიუვეს. ფირმას საკუთარი ბაღები ჰქონდა გაშენებული ანაპასთან ახლოს (ყუბანის ოლქი). ძირითადად, ღვინო ფრანგული ვენახის იყო და მრავალი წლის განმავლობაში ღვინის სარდაფში ინახებოდა და ერთ წელზე ადრე გაყიდვაში არ გაიცემოდა. მათ მიერ ჩამოსხმულ ღვინოს, ჯილდოები ჰქონდა მიღებული სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ გამოფენებზე. ბათუმში აღნიშნული ფირმა არსებობდა მიხაილოვის და სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩების გადაკვეთაში (დღეს ზ. გამსახურდიასა და ახ.მელაშვილის ქუჩები). ბათუმში, კახური წარმოების ღვინით ვაჭრობდა მოქალაქე კ.ლ. მაკაევი. ფირმას გააჩნდა საკუთარი ბაღები და იგი განთავსებული იყო დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე (დღევანდელი კ. გამსახურდიას ქუჩა). ასევე ღვინის სარდაფები გააჩნდა მოქალაქე ი.ტ. სალაძეს და ბრ. ფორერს. ისინი სვირის ღვინოთი ვაჭრობდნენ და არაერთი ოქროს მედალი ჰქონდათ მიღებული გამოფენებზე.

ქალაქის მოსახლეობას ლუდით ემსახურებოდა კომპანია „ენცი“ სადაც ძირითადად ოდესის ლუდსახარშ ქარხანაში წარმოებული პროდუქციით ვაჭრობდნენ. კომპანიის რეზიდენცია იყო თბილისის ქუჩაზე და ბათუმში მისი მთავარი წარმომადგენელი იყო გრიგოლ დანელია.

აღნიშნულ პერიოდში ბათუმში არსებობდა საველოსიპედო ტრეკი და ბათუმის ველოსიპედისტების საზოგადოება. სხვადასხვა წარმოების ველოსიპედების საწყობები გააჩნდა მოქალაქეებს: მ. იუზეფოვიჩის, ენფილდს, გუმბერს, ლეიტნერს, ფანდლევს. ეს უკანასკნელი ვაჭრობდა პირველი კლასის ველოსიპედით „Dux“ (მარინის პროსპექტი).

მოქალაქე დ.ს. პეტრუსოვი ვაჭრობდა ველოსიპედებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, საკერავი მანქანებით და იარაღებითაც კი. მისი სავაჭრო სახლი განთავსებული იყო ბათუმში, თბილისის ქუჩაზე, რკინის თეატრის წინ (დღეს ბარათაშვილის ქუჩა). ბათუმში ქუთაისის ქუჩაზე საკუთარი საფირმო მაღაზიები გააჩნდა ს.ს. ანასტასიადის, გ.მ. ოგოროდნიკოვს, ა.რ. ოთხმეზურს, ა.ი. პარასკევოპულოს, ბრ.პ. სიმეონიდს. ისინი ძირითადად ვაჭრობდნენ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმით.

ბათუმში ჩამოსული უცხოელი ტურისტებისთვის ქალაქის ცენტრში არსებობდა ულამაზესი სასტუმროები. ერთ-ერთი ასეთი იყო „bel-viu“ სანაპიროს ქუჩაზე, ასევე სასტუმროები: „გერმანია“ (კათოლიკის ქუჩა), „Imperial“ - Hotel de 1-e ordre installe au centre de la ville cuisine fransaise et, in-digene, Bains, tellephon №7 Bibliotheque, interprete, chambre de 1 a 8 roubles (დონდუკოვ-კორსაკოვის და სკობელევის კვეთა).

ბათუმში ამ პერიოდში არსებობდა ულამაზესი სასტუმრო „პეტერბურგი“, რუსულ-ფრანგული სამზარეულოთი, სასტუმროს ნომრები ღირდა 1-დან 5 მანეთამდე (დონდუკოვ-კორსაკოვის და სკობელევის კვეთა, დღევანდელი კ.გამსახურდიას ქუჩაზე).

ასევე აღსანიშნავია სასტუმროები: „კომერციული“ აკოფოვის (დღეს დემეტრე თავდადებულის, ყოფილი კომაროვის ქუჩა), „ლონდონი“ - პირველი კლასის რესტორნით (მიხაილოვის და ოკლობჟიოს ქუჩების კვეთა), „ნეაპოლი“ (სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩა) პირველი კლასის სასტუმრო „ორიენტალი“, სპეციალურად აგებული მუნიციპალიტეტის და სავაჭრო სახლებთან ახლოს, სანაპიროს ქუჩაზე, ზღვის აბაზანებით, სასტუმროს მფლობელი იყო ე.ს. ბერძენიშვილი.

ევროპული სამზარეულო გააჩნდა სასტუმრო „ფრანცისა“, მფლობელი რ.კახიანი (მიხაილოვის ქუჩა) და ბოლოს სასტუმრო „იალტა“ - სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩაზე. მიხაილოვის ქუჩაზე, დღევანდელ თავისუფლების მოედანთან, თავადი გურიელის სახლში გახსნილი იყო მ.ი. ნიკოლაძის წიგნის მაღაზია ბიბლიოთეკით. აქ იყიდებოდა წიგნები, გაზეთები, ჟურნალები რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. წიგნის მაღაზია ქალაქის მოსახლეობას ამარაგებდა სასკოლო

სახელმძღვანელოებით. ასევე წიგნის მაღაზიები გააჩნდათ მოქალაქეებს ბ. თავართქილაძეს (ლორის მელიქოვის ქუჩა), ს.მ. ჭელიძეს (შერემეტიევის ქუჩა). მიხაილოვის ქუჩაზე არსებობდა წიგნის მაღაზია „იუნიონ“.

ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული ფაქტები XIX-XX სს მიჯნაზე ნათლად წარმოაჩენს ბათუმს, როგორც ევროპული სახის ქალაქს, რომლის ისტორიული ნაწილი მოითხოვს დაცვა-შენახვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აცსა: ფონდი ი-6, ანაწ. 1, საქმე 615; ფონდი ი-7, ანაწ. 1, საქმე 476, ს.292, ს.294, ს.339, ს.393.

Державин, 1902 : Державин Н. История Батумского края. Батуми.

საკონსულოები ბათუმში 1901-1903 წლებში

ბათუმში საკონსულოების მოღვაწეობის საკითხი შესწავლილი იქნა აწ განსვენებულ პროფესორ მალხაზ სიორიძის მიერ. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლები, სხვადასხვა გარემოებათა გამო არაიშვიათად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს.

ამის მიუხედავად შესაძლებელია მათი მისამართების დადგენა. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში საკონსულოების ადგილსამყოფელის და კონსულთა ვინაობის დადგენა და მათი მოღვაწეობის შესწავლა მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას. XX საუკუნის დასაწყისში ვაჟთა გიმნაზიაში მოღვაწე ნიკოლოზ დერჟავინი წიგნში „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“ აფიქსირებს 14 სახელმწიფო საკონსულოს.

ავსტრია-უნგრეთის საკონსულო განთავსებული იყო მარინეს (დღევანდელი მემედ აბაშიძის) და თბილისის (ბარათაშვილის) ქუჩების კუთხეში, კერძო მფლობელის ვუჩინოს სახლში, კონსული ჯონ სტივენსი. ბატონი მალხაზი დიდი ბრიტანეთის ვიცე კონსულად წარმოგვიდგენს სტივენს, მაგრამ არ მიუთითებს სახელს, ეს იყო პატრიკ სტივენსი, რომლის რეზიდენცია მდებარეობდა ბაზრის (დღევანდელი ზურაბ გორგილაძის) და ვოზნესენსკის (დღევანდელი მელიქიშვილის) ქუჩების კუთხეში, კერძო მფლობელ ჯაიანის სახლში.

ბელგიის საკონსულო მდებარეობდა მარინეს (მემედ აბაშიძის) პროსპექტზე, კონსული ო. დეიბელი. გერმანიის საკონსულო განთავსებული იყო ოდღას ქუჩაზე ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული ფრიდრიხ ბურგარდტი. საბერძნეთის საკონსულო მდებარეობდა ტაძრის ქუჩაზე, ბერძენი მოქალაქის ანგელიდის კერძო სახლში, კონსული იყო არისტიდ ჰავლიდისი.

დანის საკონსულო მდებარეობდა ტაძრის ქუჩაზე, კონსული გ.ხ ვარნეკე. იტალიის საკონსულო რეზიდენცია განთავსებული იყო საზღვაოს (დღევანდელი 26 მაისის სახელობის) ქუჩაზე, კონსული ერნესტ სპანიოლი. ბატონ მალხაზს იტალიის კონსულად დასახელებული ჰყავს ლორენსო ვალერი. ეს უკანასკნელი დასაზუსტებელია.

ირანის საკონსულო მდებარეობდა ოღლას ქუჩაზე, ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული მირზა ალა ხანი.

1906 წლის 24 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე ირანის კონსული ბათუმში მცხოვრები კოლონისტების სახელით მოითხოვდა 400-500 კვ. საჟ. მიწის გამოყოფას. მათ სურდათ შიიტური სწავლებისთვის მეჩეთის აშენება. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მიწის გამოყოფას შერემეტიევის (დღევანდელი ლუკა ასათიანის) ქუჩაზე, რომელიც ეკუთვნოდა თავად მაჭუტაძეს. ისინი უარს აცხადებდნენ ანგისაში მათთვის გამოყოფილ მიწაზე. თვითმმართველობის სხდომაზე გამოსულმა შაშიკ ოღლიმ ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა. მას განუმარტეს, რომ დიდ პატივს სცემდნენ მორწმუნე ხალხის მოთხოვნებს, მაგრამ ქალაქის ცენტრში სხვა მშენებლობები იყო დაგეგმილი (აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 413, ფურც. 8).

ჩრდილოეთ ამერიკის საკონსულო განთავსებული იყო მარინეს (მემედ აბაშიძის) პროსპექტზე, ფოსტასთან ახლოს, კონსული ჯონ ჩემბერსი.

ბატონი მალხაზი ასახელებს სახელდობრ ამერიკის საკონსულოს და კონსულ ჰარი ბრიგსს. ეს უკანასკნელიც დასაზუსტებელია.

ამ პერიოდში ბათუმში არსებობდა ამერიკელ ებრაელთა ორგანიზაცია „ჯოინეტ“, რომელიც საქველმოქმედო საქმით იყო დაკავებული, მას თავისი ხარჯით მწვანე კონცხზე გახსნილი ჰქონდა უპატრონო ბავშვთა სახლი, სულ იყო 39 ბავშვი.

ნიდერლანდის საკონსულო განთავსებული იყო დონდუკოვ-კორსაკოვის (დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიას) ქუჩაზე. საკონსულოს უფლებები ვრცელდებოდა მთლიანად ამიერკავკასიაზე. კონსული იყო ჰენრიხ ბლეი. თურქეთის საკონსულო მდებარეობდა სმეკალოვის (დღევანდელი რუსთაველის) ქუჩაზე, კონსული იყო აბდულ ქერიმ საბით ბეი.

ამ პერიოდში ბათუმში არსებობდა ორი მეჩეთი, აჰმედ ფაშას, სანაპიროს და ქუთაისის ქუჩაზე და აზიზიეს მეჩეთი (თავისუფლების მოედანი) საფრანგეთის საკონსულო განთავსებული იყო დონდუკოვ-კორსაკოვის (დღევანდელი კ. გამსახურდიას) ქუჩაზე, ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული იყო დელაკრუა.

შვედეთ-ნორვეგიის საკონსულო მდებარეობდა ბულვარის (დღევანდელი ნინოშვილის) ქუჩაზე, პალაშკოვსკის კერძო სახლში, კონსული იყო ა. ჰააგერი. 1883 წელს ბათუმში ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააშენეს საექსპორტო ქურჭლის პირველი ქარხანა. მათი დაწყებული საქმე 1886 წელს გააგრძელა როტმილდმა (ბერძენიშვილი, 1958: 505).

იაპონიის საკონსულო რეზიდენცია მდებარეობდა სმეკალოვის (დღევანდელი რუსთაველის) ქუჩაზე, შავი და კასპიის ზღვების მენავთობეთა სახლში, კონსული იყო ა.ი ვანშეიდტი (დერჟავინი, 1902: 57).

ბატონ მალხაზს ნ. დერჟავინისგან განსხვავებით მითითებული აქვს 15 საკონსულო, ესპანეთის შტატ გარეშე კონსულად ასახელებს სპადოროს, რომლის ადგილსამყოფელი დასადგენია (სიორიძე 2009: 67). საკონსულოებმა და მათთან დაკავშირებულმა სახვადასხვა სახის

სააგენტოებმა თუ საქველმოქმედო საზოგადოებებმა დიდი როლი ითამაშეს ქალაქ ბათუმის განვითარების საქმეში. ასეთები იყო: „ბლერდ აჟენი“ – ინგლისის საზღვაო სააგენტო, შუტცის და ციმერმანის – გერმანიის საზღვაო სააგენტო, მათი რეზიდენციები სანაპიროს ქუჩაზე იყო განთავსებული. ასევე ფრანგულ-გერმანული საზღვაოსანაოსნო საზოგადოებები „მესაჟერ-მარტინი“ და „დ.ლ ზილბერმეისტერი“, რომელთა მოღვაწეობამ ბათუმში განაპირობა მათი ქვეყნების საკონსულოების გახსნა.

ბათუმში არსებული საკონსულოები თვითმმართველობასთან ერთად ზრუნავდნენ უცხო ენოვანი სკოლების გახსნაზე. 1909 წლის 16 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის და საზოგადოება „პოლონური სახლის“ მიერ კომაროვის და გეორგიევსკის ქუჩების კუთხეში (დღევანდელი დ. თავდადებულის და ზუბალაშვილის) დაფუძნებული იქნა სკოლა და ბიბლიოთეკა.

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის და მისი წინამძღვრის დონ გაბრიელ ასლანიშვილის ინიციატივით პოლონელი, ჩეხი, ფრანგი ბავშვებისთვის გაიხსნა სკოლა. ამ პერიოდში ბათუმში ცხოვრობდა 20 პოლონელი, ასევე იყვნენ ლიტველები (აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 488, ფურც. 39). XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმში ლიტვის საკონსულო დაარსდა, კონსული ლეონ ზიკა (სიორიძე, 2009: 68).

1918 წელს ბათუმში ფუნქციონირებდა გერმანიის წარმომადგენლობა (პასკევიჩის ქუჩა N14) 1921 წელს ბათუმში გერმანიის კონსული იყო კარლოს თეოპოლდის ძე კორნეოზონი. 1941 წელს ბათუმში გერმანიის კონსული იყო ბროიტიგამი. საკონსულო მდებარეობდა კიროვის ქუჩა N2 (დღევანდელი 26 მაისის ქუჩა) მის ექსპლოატაციაში იყო ორსართულიანი სახლი, ერთსართულიანი ფლიგელი, ავტოფარეხი და სამრეცხაო.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული საკონსულოების დვანღს ქალაქის ეკონომიკის და კულტურის განვითარების საქმეში.



დანის საკონსულო ბათუმში
სობოროს შესახვევი N5, ახლანდელი ნოდარ დუმბაძის ქუჩა



1884-1919 წწ. ავსტრიის საკონსულო ბათუმში
მემედ აბაშიძის პროსპექტი



ბელგიის საკონსულო ბათუმში. ვაჟა ფშაველას ქუჩა N10



1921 წელი. შვედუთის საკონსულო ბათუმში
გენერალ მაზნიაშვილის, ყოფილი გიორგი ერისთავის ქუჩა N10-12



იაპონიის საკონსულო ბათუმში. რუსთაველის ქუჩა



1921 წელი. ესტონეთის საკონსულო ბათუმში
კ. გამსახურდიას ქუჩა N26, ყოფილი დონდუკოვ-კორსაკოვის

აჭარის სახელმწიფო არქივის ფოტო დოკუმენტები

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე (საქმეები) №№ 413; 488.

ბერძენიშვილი, 1958: - ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორია, თბილისი.

დერჟავინი, 1902: - დერჟავინი ნ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, რუსულ ენაზე.

სიორიძე, 2009: - სიორიძე მ., უცხოეთის ქვეყნების საკონსულოები ბათუმში, ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი.

დანართები: ბათუმში მოქმედი საკონსულოების საქმიანობის
ამსახველი დოკუმენტები

4 1543

Matières enseignées	Notes obtenus	Total des Points	Moyennes par matière	Observations des Professeurs
18 Nations aux- Evénements Publics	Rapports	6	61.00	
	Interrogation finale	2		
	1 ^{er} Sujet de Gram et de Coenast	1		
	2 ^e — dit	5		
	Séjour d'un pont en maçonnerie	3		
	Essai de stabilité	3		
	1 ^{er} Sujet de Pont en maçonnerie	4		
	2 ^e — dit	6		
	Séjour d'assemblages	2		
	1 ^{er} Sujet de Pont métallique	11		
	2 ^e — dit	6		
19 Rédaction des Projets et Métrés d'ouvrages d'Art	1 ^{er} Travail	3		
	Métrié	1		
	Expédition	3		
	2 ^e Travail	3		
	Métrié	3		
	Expédition	4		
	3 ^e Travail	3		
	Métrié	4		
	Expédition	4		
	4 ^e Travail	4		
	Métrié	4		
	Expédition	4		
	Interrogation finale	5		
	Total	5		
Travaux d'application				
	1 ^{er} Dessin	16.00	2	32.00
	2 ^e — dit	16.00	2	32.00
	3 ^e — dit	16.00	4	64.00
	4 ^e — dit	11.00	1	11.00
	5 ^e — dit	11.00	1	11.00
	1 ^{er} Croquis	16.00	2	32.00
	2 ^e — dit	2	2	4.00
	Total	71	14	284.00
			16.71	Bon dessinateur
20 Dessins des Croquis				
	1 ^{er} Dessin de traverse	2		
	2 ^e Dessin d'intérieur	1		
	Total	3		
21 Dessins des plans				
	1 ^{er} Visite	14.50	2	29.00
	2 ^e — dit	2	2	4.00
	3 ^e — dit	2	2	4.00
	4 ^e — dit	2	2	4.00
	5 ^e — dit	2	2	4.00
	Total	2	2	4.00
			14.50	Très bon rapport
22 Visites de chantiers (Rapports)				
	1 ^{er} Excursion	1		
	2 ^e — dit	1		
	3 ^e — dit	1		
	Total	3		
23 Excursions géologiques				
	à reporter	21	324.00	

154, 155, 156

Matières enseignées	Notes		Total des Points	Moyenne par matière	Observations des Professeurs
	obtenus	sur			
	2	3	4	5	
Repart					
24 Opérations sur le terrain	20 ^e de détail à la boussole		1	321.00	
	ou au planimètre		3		
	20 ^e de détail au cercle		3		
	Nivellement		2		
Total					
25 Exercices pratiques: Note moyenne		1			
27 Assidue	1 ^{er} Trimestre		1	Exo d'abus	
	2 ^e — d ^e —		2		
	3 ^e — d ^e —		2		
	Total				
28 Méthode et application	1 ^{er} Trimestre	1400	2	38.00	
	2 ^e — d ^e —		2		
	3 ^e — d ^e —		2		
	Total				
		2	38.00	1400	
Total					
		23	362.00		
Moyenne générale = 15.74					

Nota: Les moyennes particulières de la col. 5 sont les quatrièmes de la col. 4 par le total du nombre de points de la col. 4 par les totaux des coefficients mis dans la col. 3. Ces moyennes ont respectivement les significations ci-après:

- 0 — Mal
- 1, 2 — Exo mal
- 3, 4, 5 — Mal
- 6, 7, 8 — Médiocre
- 9, 10, 11 — Passable
- 12, 13, 14 — assez bien
- 15, 16, 17 — Bien
- 18, 19 — Exo bien
- 20 — Parfait

Matières enseignées	Notes obtenus	Nombre d'examens	Total des Points	Moyenne par matière	Observations des Professeurs
Reports					
8 Géologie			5	61.00	
{ Interrogation finale		2			
{ 1 ^{re} Application					
{ 2 ^e — d ^e					
{ 3 ^e — d ^e					
{ 4 ^e — d ^e					
{ 5 ^e — d ^e					
{ 6 ^e — d ^e					
{ 7 ^e — d ^e					
{ 8 ^e — d ^e					
{ 9 ^e — d ^e					
{ Interrogation			3		
{ Interrogation finale		5			
{ Totalaux					
10 Hydraulique					
{ 1 ^{re} Travail		1			
{ 2 ^e — d ^e		1			
{ Interrogation finale		3			
{ Totalaux					
11 Droit — Legislation: Application			2		
Connaissances techniques					
{ 1 ^{re} Travail (Levé)		1			
{ 2 ^e — d ^e (— d ^e —)		1			
{ 3 ^e — d ^e (— d ^e —)		1			
{ 4 ^e — d ^e (— d ^e —)		1			
{ 5 ^e — d ^e (— d ^e —)		1			
{ 6 ^e — d ^e (— d ^e —)		1			
{ 7 ^e — d ^e (— d ^e —)		1			
{ 8 ^e — d ^e (— d ^e —)		1			
{ Interrogation finale		3			
{ Totalaux					
13 Exécution des Travaux					
{ 1 ^{re} Interrogation		3			
{ Interrogation finale		5			
{ Totalaux					
14 Chemins de Fer					
{ Interrogation finale		2			
15 Bâtimens					
{ 1 ^{re} Travail		2			
{ 2 ^e — d ^e		2			
{ Interrogation finale		2			
{ Totalaux					
16 Direction Industrielle					
{ 1 ^{re} Travail		4			
{ Interrogation finale		2			
{ Totalaux					
17 Anatomie					
{ 1 ^{re} Travail		+			
{ 2 ^e — d ^e		+			
{ 3 ^e — d ^e		+			
{ 4 ^e — d ^e		+			
{ Totalaux					
à reporter			5	61.00	

Matières enseignées	Notes obtenues	Nombre d'écritures	Total des Points	Moyenne par matière	Observations des Professeurs
<u>Connaissances générales</u>					
<u>Français</u>					
1 ^{re} Orthographe	1 ^{er} Trimestre	—	—	—	
	2 ^e — d ^r	—	2	—	
	3 ^e — d ^r	—	2	—	
	Totaux	—	—	—	
2 ^e Rédaction (Compositions)	1 ^{er} Trimestre	—	—	—	
	2 ^e — d ^r	—	2	—	
	3 ^e — d ^r	—	3	—	
	Travail annuel	—	4	—	
Totaux	—	—	—		
<u>Mathématiques</u>					
3 ^e Algèbre et Analyse	Note	Moyenne			
	trimestrielle	Moyenne	11.00	4	11.00
	1 ^{re} Interrogation	—	—	4	—
	2 ^e — d ^r	—	—	4	—
	3 ^e — d ^r	—	—	4	—
Interrogation finale	—	—	10	—	
Totaux	—	—	11	11.00	11.00
Résultat parfaite					
4 ^e Géométrie analytique	Note	Moyenne			
	trimestrielle	Moyenne	—	4	—
	1 ^{re} Interrogation	—	—	4	—
	2 ^e — d ^r	—	—	4	—
	Interrogation finale	—	—	10	—
Totaux	—	—	—	—	
5 ^e Mécanique	Note	Moyenne			
	trimestrielle	Moyenne	—	5	—
	1 ^{re} Interrogation	—	—	5	—
	2 ^e — d ^r	—	—	5	—
	Interrogation finale	—	—	9	—
Totaux	—	—	—	—	
6 ^e Géométrie descriptive	1 ^{er} Travail	—	0.5	—	
	2 ^e — d ^r	—	—	—	
	3 ^e — d ^r	—	—	—	
	4 ^e — d ^r	—	—	—	
	5 ^e — d ^r	—	—	—	
	6 ^e — d ^r	—	—	—	
	1 ^{re} Interrogation Interrogation finale	—	—	6	—
Totaux	—	—	—	—	
7 ^e Physique et Chimie	1 ^{er} Travail	—	1.00	—	1.00
	2 ^e — d ^r	—	—	1	—
	3 ^e — d ^r	—	—	1	—
	4 ^e — d ^r	—	—	1	—
	1 ^{re} Interrogation	—	—	3	—
	Interrogation finale	—	—	4	—
Totaux	—	—	1	1.00	1.00
Bonne notions.					
à reporter	—	5	61.00	—	

154

Ecole spéciale des Travaux Publics
du Bâtiment et de l'Industrie

Ecole de plein Exercice

Cours Techniques Secondaires, 3^{ème} année
Section des Travaux Publics

Année scolaire 1927-1928

1^{er} Trimestre

Notes de M. Soghoïan Salomon

Moyenne générale du Trimestre: $\frac{362.00}{27} = 13.37$

Classement trimestriel: Classe 22 sur 28 Elèves classés.

Observations de la Direction.

M. SOGHOIAN Salomon, est un élève dont les notes sont satisfaisantes dans la plupart des matières, particulièrement en dessin et en physique et chimie.
Il devra, maintenant, se perfectionner en algèbre où il a des progrès à réaliser.

Paris le 24 DECEMBRE 1927
Le Directeur de l'Ecole,
[Signature]

ნიკოლოზ დერჟავინი ბათუმის შესახებ

ქ. ბათუმის შესწავლისთვის ნ. დერჟავინი იყენებს და მიუთითებს მკვლევართა სპეციალურ შრომებს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მის მიერ აღწერილი ქალაქის კულტურულ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატური პირობები და სამკურნალო დაწესებულებანი. იგი აღნიშნავს, რომ შედარებით მცირე დროში, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ბათუმი გახდა ევროპული ქალაქი, შესანიშნავი ფართო ქუჩებით და ელექტროგანათებით, ლამაზი ორსართულიანი შენობებით, დიდებული ბაღებით და სავაჭრო-საფირმო დაწესებულებებით. ნ. დერჟავინი ქალაქის განვითარების მიზნით იძლევა საჭირო რეკომენდაციებს და აღნიშნავს, რომ უეჭველია, ბათუმი დგას კულტურული პროგრესის გზაზე, მაგრამ ამის მისაღწევად აუცილებელია, რაც შეიძლება ჩქარა გადაწყდეს ქალაქის მეურნეობის სადავო საკითხები, რომელთა რიცხვს მიაკუთვნებს მიწის გამოყენების საკითხს, რაც აბრკოლებს ქალაქის მეურნეობის განვითარებას. 1888 წლამდე ქალაქის მეურნეობას განაგებდა პოლიციის სამმართველო. ჯერ კიდევ 1879 წლის 1 ივნისს ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარუდგინა მოხსენება ბათუმში მიწათსაკუთრების წესების შესახებ, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობის მიწაზე საკუთრების უფლება-მოვალეობანი იზღუდებოდა. 1878 ბათუმში მოქმედი მიწათსაკუთრების თურქული კანონები შეიცვალა რუსეთში ჯერ კიდევ 1864 წლის მიწის რეფორმების დროს მიღებული კანონით.

1900 წელს ქალაქ ბათუმის არქიტექტორმა ა. ბენკლიანცმა შეადგინა მიწის გეგმა 1830,32 კვ. საჟ. განთავსებული ნავთობის ქუჩაზე (დღევანდელი გოგებაშვილი), რომელიც არენდით ჰქონდა აღებული კიევის სამრეწველო ბანკს. ბათუმის მიწაზე საკუთრების უფლება გააჩნდა, ასევე, რუსულ ამხანაგობას „ნავთობს“ და ბათუმში არსებულ ირანის საკონსულოს (მეგრელიშვილი, 2013: 20). ნ. დერჟავინს, ქალაქის განვითარების პარალელურად, აუცილებლად მიაჩნია მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა. მეცნიერი განსაკუთრებულ

ამოცანებს უსახავს ბათუმის ექიმთა საზოგადოებას. დასასრულს, ის დაასკვნის, რომ ჩვენ შევეჩვიეთ ბათუმის ევროპულ ქალაქ ნიცასთან შედარებას, მაგრამ თითქმის არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ცოტათი მაინც მივუახლოვდეთ ნიცას. იგი ბათუმს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს და დასძენს, რომ ყველაფერს დრო სჭირდება და თუ ბათუმი თავისი 24-წლიანი ცხოვრებიდან „ტყე და ჭაობიდან“ თავისი კეთილმოწყობით გადაიქცა საუკეთესო ქალაქად მთელს ამერიკაკვასიაში, მაშინ არაფერი შეუძლის მას ხელს ორმოცდაათი წლის იუბილეს გახდეს ევროპული ქალაქი ნიცა. იგი ფლობს ამისთვის ყველა აუცილებელ საშუალებას და ამის მისაღწევად ქალაქის თვითმმართველობა არ უნდა შეუშინდეს არცერთ დანახარჯს.

ნ. დერჟავინი აქვეყნებს მონაცემებს 1889 წელს ქალაქის შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებით.

წლები	შემოსავალი	გასავალი
1889 წ.	145,453,21	145,453,21
1890 წ.	192,882,56	214,465,05

1888 წლიდან ქალაქის მეურნეობას განაგებდა ბათუმის თვითმმართველობა. ქვემოთ მოცემული ციფრები მიუთითებს წლების მიხედვით ქალაქის მეურნეობის ზრდა განვითარებას.

შემოსავალი:

წელი	ქალაქის მიწებიდან	ქონებიდან	ქალაქის განსაკუთრებული საწარმოებიდან	მოსაკრებელი საქონლიდან და სანაწარმოებიდან	ბაგი სხვადასხვა დასახ.	ქალაქის ქონებიდან	შენობებიდან	დაბმარება ქალაქის გასავლის დაბრუნება
1891	20517	4765	13750	-	-	-	1450	-
1899	30314	92239	20995	31677	5202	58810	16570	500607
1900	28978	106678	22625	30459	5769	67060	15795	317753
1901	31014	109943	25514	33048	5941	62059	16925	193655

გასავალი:

წელი	სასაღობო განათლებაზე	ქონების საწარმოებზე	ქალაქის კეთილმოწყობა	საექიმო ნაწილი	ქალაქის მზრუნველობა
1891	8110	728	16100	8839	-
1899	160438	12940	251738	11932	2500
1900	87104	6220	248334	22462	3100
1901	37260	6780	168377	2445	3620

მონაცემები აღებულია ბათუმის 1890 წლის 17 ივნისის ერთდღიანი აღწერიდან და ქალაქ ბათუმის 1899, 1900, 1901 წლების შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთაღრიცხვიდან.

ნ. დერჟავინი მიგვანიშნებს XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის უკიდურესად ჭრელ მოსახლეობაზე და აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ბათუმში ცხოვრობდნენ: ქართველები, ბერძნები, სომხები, თურქები, სპარსნი, აფხაზები, ჩერქეზები, რუსები, ებრაელები და უცხოეთის ქვეშევრდომნი: ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, იტალიელები, სლავები. ნ. დერჟავინი აღნიშნავს, რომ მოგზაურ ანდრიანე დიუპრეს თქმით, 1807 წელს ბათუმი წარმოადგენდა დიდ სოფელს, ვიდრე ქალაქს. მისი მოსახლეობა შეადგენდა 2.000 კაცს, რომლებიც ცხოვრობდნენ სანაპიროზე მიმობნეულ სახლებში და ტყიან ადგილებში. 1873 წელს ბათუმში 4970 მცხოვრები იყო, მაგრამ რუსების ჯარების მიერ მისი დაკავების შემდეგ რაოდენობა გაიზარდა 3.000 კაცამდე. 1882 წლის აღწერით ბათუმში ცხოვრობდა 8671 ადამიანი (6931 კაცი, 1740 ქალი). 1889 წელს ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 12.000 კაცამდე, ხოლო 1890 წელს შეადგენდა 18,123 ადამიანს (14,180 კაცი და 3,943 ქალი) 1897 წელს ბათუმის მოსახლეობა დაახლოებით 30.000 ადამიანს ითვლის.

1890 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ჭარბ ელემენტს წარმოადგენს რუსები, შემდეგ მოდიან ქართველები, სომხები, ბერძნები, თურქები, ებრაელები და ა.შ.

დასაქმების მიხედვით, პირველი ადგილი რაოდენობრივად უკავია მუშებს, შემდეგ ხელოსნებს, ჯარისკაცებს, ვაჭრებს, მოსამსახურეებს, ჩინოვნიკებს და ა.შ.

ქალაქის მოსახლეობის განათლების დონე შეადგენს 52%-ს. ნ. დერჟავინის ნაშრომში მოცემულია 1900 წელს ქალაქში არსებული სასწავლო დაწესებულებები (ცხრ.1). ცხრილი შედგენილია 1900 წლის მაისში კავკასიის სამაზრო სასწავლო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ანგარიშის მიხედვით. მასში არ შესულა 1894 წელს დაარსებული სობოროს მართლმადიდებელი საეკლესიო სკოლის მონაცემები. მისი სახსრები შეადგენდა 880 მან. საეკლესიო და 300 მან. ქალაქიდან, მოსწავლეთა რაოდენობა 105 იყო.

ნ. დერჟავინი მიუთითებს ქ. ბათუმის გეოგრაფიულ საზღვრებს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით 41 გრ. 39,30 გრძედის და 41 გრ. 38,15 განედზე, 25 კილომეტრის დაშორებით, თურქეთის საზღვრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მისი განმარტებით, ბათუმი მდებარეობს კახაბრის დაბლობზე, ბათუმის ნავსადგურის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროზე. სამხრეთის მხრიდან მობჯენილია გურია-აჭარის მთების შტო, სახელდებული კახაბრის სიმაღლე, რომელზეც ამდღეობულია სამების მთა წმ. სამების ეკლესიის ნანგრევებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩნდება კავკასიის მთავარი ქედის თოვლიანი ჯაჭვი, ყაზბეგის და იალბუჯის მწვერვალები, ქალაქის ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან გადაკვეთს მდინარე ანგისა, რომელიც ზღვასთან მისვლამდე იყოფა რამდენიმე განშტოებად და წარმოქმნის ჭაობის მთელ რიგ მცენარულ საფარს, მცირე ტბებს და ჩაედინება ზღვაში. კახაბრის სიმაღლის დაბლა გადის ინჟინერ ჟილინსკის არხი, რომელიც უერთდება მდინარე ბარცხანას და ქალაქის აღმოსავლეთის მხრიდან ჩადის ზღვაში. ნ. დერჟავინის ეს მონაცემები ძირითადად ეყრდნობა ა. ფრენკელის გამოკვლევას „ნარკვევები ჩურუქსუს და ბათუმის შესახებ“.

დასახელება	განხის დრო	სახსრები			მთლიანი	გასავალი	გადასადი სწავლის უფლებებისათვის	კლას. რაოდენობა	მოსწ. რაოდენობა
		სახელმწიფო ხაზინიდან	ქალაქიდან	შემოსავალი მოსწ უფლებებისთვის					
ვაჟთა გიმნაზია მისი იპ. დიდი კნ.მ.6	1 ივლისი 1897	8597	18310	14830	55067	32328	60	პრ. 3+5	393142
ქალა გიმნაზია ქ 6 კლასი საწ. მარინის ქალთა სასწ.	26 სექტ. 1990წ. 1 ივლისი 1881 2 სექტ. 1890	2000 3557 152	1300 3700 4910	4300 3670 1370	8725 11645 8477	568 11506 6302	60 20 20	პი.+4 7 7	151 235 107 140 53 77
სახელოსნო 2 კლ. სასწ.	8 სექტ. 1889	17798	500	2076	23513	20119	6	4	38
ბერძნული ქალთა სასწავლებელი	1886	-	200	-	-	2200	-	-	105
ქალაქის ვაჟთა 1 კლ. სასწავლებელი	1889	-	1800	-	-	1800	-	-	64
ქალაქის ქალთა 1 კლ. სასწავლებელი	1898	-	1800	-	-	180	-	-	59
საეკლ. კათოლიკ. კერძო 3 საფ. ა. ლებედვის	1892 1898	-	-	-	-	1250 2456	-	-	86 38
გან. გამაურ. საზ მოქ. პალიევის მ. წულუკაძის	1881 1888 1900	300	-	-	2000 1000 480	-	-	-	180 33 3

ნ. ა. ხუდადოვისა და ნ. ერიქსონის გამოკვლევების საფუძველზე, ნ. დერჟავინი ბათუმს მიაკუთვნებს ნალექების უახლეს ფორმაციას, რომელიც შედგება შლამის, თიხისა და ხრეშისგან. თავისი სისქით, პირველი ორი ფენა უმნიშვნელოა, არა უმეტეს 1-2 მმ. ეს სისქე უფრო დიდია მთის ძირას, ზღვასთან ახლოს კი თხელდება. ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქის მიწა შედგება მსხვილი ხრეშისგან. სანაპირო ზოლის ზედა ფენა ფხვიერია, ფენებს შორის კავშირი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჭის კედლები ირღვევა და მთლიანად ავსებს

ორმოს. პირველ რიგში სიფხვიერეს განაპირობებს ხრემის შემადგენლობა და ჰავის სინესტე. ნიადაგის ეს ნაკლი აიხსნება იმ მიზეზითაც, რომ კოკისპირული წვიმები ბათუმში არ ტოვებენ გუბეს, რამდენადაც მთელ სინესტეს ნიადაგი მომენტალურად ისრუტავს და მიწა ნესტით იჟღენთება. ნიადაგის ასეთი შედგენილობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული ზედაპირი უძველესი წარმოშობისაა. ბათუმის ზღვისპირა ზოლის ანალიზი ამტკიცებს, რომ ნიადაგის ფორმაცია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ბათუმის გარეუბნის მკვლევარი ე.ვ. ერიქსონი მიუთითებს, რომ კავკასიის შავი ზღვის სანაპირო ჩოლოქის ვიწროებიდან სასაზღვრო სოფელ ლიმანამდე შეიცავს ხრემს და სილას, მკვრივ სქელ ფენად დადებულს მთის ქანზე. მთელი სივრცე ბათუმის მთების გარშემო დაყოფილია ღრმა გამოქვაბულებით და დაფარულია ხშირი ტყით.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნ. დერჟავინის მიერ დახასიათებული ბათუმის ბუნება. იგი აღნიშნავს, რომ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობებით ღარიბი ბათუმის ოლქი მდიდარია თავისი ბუნებით, რომელიც მოუთმენლად ელის მარჯვე ადამიანის ხელს, რათა ფართო გასაქანი მიეცეს მის სიმდიდრეს. უძველესი დროიდან ბათუმის მხარე ცნობილია თავისი საოცარი სუბტროპიკული მცენარეებით და იმ სიმდიდრით, რაც დამალული სახით ძვეს მიწის წიაღში, მაგრამ ადრე თუ გვიან გახდება მისი მონაპოვარი და რეგიონის მოსახლეობისთვის დადგება ოქროს ხანა, როცა გლეხის მეურნეობა გამოვა პირველყოფილი მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფება და გახდება კულტურის და ცივილიზაციის ნაწილი. ნ. დერჟავინი აღნიშნავს, რომ იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეთა საფარი, რომ გიძნელდება დაასახელო თუ გინდ ზოგიერთი მცენარეთა სახე, რომელიც ბათუმის ოლქში არ გვხვდება. ფოთლოვანი ჯიშებიდან აღსანიშნავია: რცხილა, თელა, მინდვრის ნეკერჩხალი, ხვალო, მურყანი, წიფელი, ნიგოზი, წაბლი, წყავი, მუხა, მაგნოლია, შქერი, დეკა, ევკალიპტი და სხვა, წიწვოვანიდან: სოჭი, ალატი, აღმოსავლური ნაძვი, სხვადასხვა სახის ფიჭვი, კვიპაროზი, სარო, დარგული მაჩიტა ღეროთი, რომელიც ასზე მეტ ყვავილს ისხამს (ალბოვი, 1896: 77; ერიქსონი 1899: 53).

ნ. დერჟავინი ასახელებს რეგიონში ცნობილ და მოქმედ მინერალურ საბადოებს, ესენია: 1. ვერცხლი-ტყვიის, ცნობილია 25 პუნქტის ადგილ სამყოფელი. 2. ბრინჯაოს საბადო - 25-ზე მეტი პუნქტი. 3. თუთიის - 8 პუნქტი. 4. მარგანეცის – 13-ზე მეტი 5. რკინის საბადოები განთავსებულია შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმიდან ქობულეთამდე. 6. ქვის საბადოები – ბათუმის მიდამოებში 7. ხანშის, ნატრიის მარილი. 8. კვარციტი, ქვიშაქვა, ანდეზიტის ნარევი, ანდეზიტის ლავის და ტუფის. 9. მინერალური წყლები, ვარაუდობენ ოქროს ფენის არსებობას მდინარე ჭოროხში (დერჟავინი, 1902: 51).

ამრიგად, ნ. დერჟავინის მიერ შესწავლილი და წარმოდგენილი ისტორიული მასალა მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას გვიქმნის XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის შესახებ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

დერჟავინი, 1902: - დერჟავინი ნ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი (რუსულ ენაზე).

ერიქსონი, 1899: - ერიქსონი ე., მოგონებები ბათუმისა და მისი გარეუბნების შესახებ, - ჟურნ. „ბუნება და გეოგრაფია“, 1899, N6 (რუსულ ენაზე).

ალბოვი, 1896: - ალბოვი ნ.მ., ნარკვევები კოლხეთის მცენარეთა შესახებ, მოსკოვი (რუსულ ენაზე).

მეგრელიშვილი, 2013: - მეგრელიშვილი მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.

ბათუმის კლიმატი და გარემოს დაცვის აქტუალური საკითხები

ამ პრობლემით დაინტერესება განაპირობა გლობალურ დათბობასთან დაკავშირებულმა სამყაროში მიმდინარე ბუნებრივმა მოვლენებმა. დღეს ეს საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მოსახლეობას გვაწუხებს კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე სტიქიური მოვლენები. სტატიის მიზანს წარმოადგენს შესწავლილი იქნას XX დასაწყისში გარემოს დაცვის თვალსაზრისით მეცნიერთა მიერ ბათუმში ჩატარებული კვლევა-ძიება. როგორც წარსულში, ასევე დღეს ხშირი წვიმების დროს იტბორება ჭაობის და ურეხის მცხოვრებთა სახლები. XX საუკუნის დასაწყისში ქალაქის თვითმმართველობამ დატბორვის აღმოფხვრის მიზნით აუცილებლად ჩათვალა ხიდის მშენებლობა ჟილინსკის არხზე, რომელიც მიემართებოდა ჭაობიდან ურეხში [აცსა, ფ. ი-6, ს. #900, ფურც. 11].

1911 წელს ქალაქის არქიტექტორს ი.დ.კროპივიანსკის ინიციატივით გოლიციმა წარუდგინა პროექტი ხიდის მშენებლობის შესახებ პავლოვის არხზე, რომელიც კვეთდა შეპელევის ქუჩას [აცსა, ფ. ი-6, ს. #637, ფურც. 6], ასევე არქივში ინახება პროექტი ანდრეევსკის არხზე ხიდის მშენებლობის შესახებ, რომელიც კვეთდა ვოზნესევსკის ქუჩას [აცსა, ფ. ი-6, ს. #849, ფურც. 3]. ამ პერიოდში სამხედრო ინიციატივით დ.სვისშჩევსკიმ დეტალურად შეისწავლა და თვითმმართველობას წარუდგინა ქალაქის არხების არსებული მდგომარეობა და მათი შემდგომი განვითარების გზები. სამუშაოების წარმოებისთვის მას გადაუხადეს 6000 მანეთი. სამწუხაროდ, დღეს ყველა ეს ხიდი მიწის საფარის ქვეშ არის მოქცეული და ხელს უშლის წყლის საწრეტების ნორმალურ მუშაობას. ასევე აკად. მამია კომახიძის ქუჩის ერთ ნაწილში არ ფუნქციონირებს საკანალიზაციო სისტემა და ფეკალური მასა პირდაპირ წყლის საწრეტებში მიედინება. ამის გამო უკვე ორი ათეული წელია ბათუმის ჭაობის დასახლება (ყოფილი მოსკოვის ქუჩა) კეთილმოუწყობელია. ძლიერი წვიმების და ზღვის მტორმის დროს ზღვასთან არსებული ჟილინსკის არხი იხურება და ქალაქის დატბორვა, ძირითადად, ჭაობის დასახლებიდან იწყება. ქალაქის

დატბორვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ჭაობისა და არდაგანის მიდამოებში არსებული წყალსაცავების მოშლა, რის გამო ქალაქის მთელი სივრცე წყლით იფარება ასევე დავიწროვდა ქალაქის ფართო ქუჩები და ქუჩების გადამკვეთ ზოლში წამოიშრათა მრავალსართულიანი სახლები. მშენებარე სახლებით ჩაიკეტა ზღვის სანაპიროს მიმდებარე სივრცე, რაც ხელს უშლის ზღვის ჰაერის გავრცელებას ქალაქის ფარგლებში. ქალაქის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია წარსულის გამოცდილების გაზიარება.

1912 წელს, თვითმმართველობის კომუნალური მეურნეობის საბჭოს წერილში აღნიშნულია, რომ აღნიშნულ საბჭოს განზრახული აქვს სისრულეში მოიყვანოს პროექტი ჭაობის ამოშრობის შესახებ და რომ ეს რაიონი მეტად ჭაობიანია მხოლოდ იმიტომ, რადგან თავის დროზე არ იყო მიღებული ზომები კანალიზაციის გაყვანის შესახებ. ამ მიზნით სამხედრო ინჟინერ დ. სვისშევსკის მერ შემუშავებული იქნა გეგმა-პროექტი ქალაქის კანალიზაციის მშენებლობასთან დაკავშირებით [აცსა, ფ. ი-6, ს. #1027, ფურც. 7].

1914 წლის 5 თებერვალს ბათუმის თვითმმართველობის უფროსს ანდრონიკაშვილს სააქციო საზოგადოებამ „პავლე-ბეკელ“ წარუდგინა პროექტი ბათუმში ნაგავსაწვავი სადგურის მშენებლობის შესახებ. ამოქმედდა „ხინან და ფრუდი“ სისტემის ნაგავსაწვავი ღუმელი. ამ პერიოდში ქალაქში ცხოვრობდა 33 000 ადამიანი. ნაგავის რაოდენობა შეადგენდა 2.000 ფუტს. 12 სთ.-ის განმავლობაში მიმდინარეობდა ქალაქში ნაგავის აღება და სადგურში მიტანა. ნაგავის აღება ხდებოდა ნიჩბითა და ურიკით [აცსა, ფ. ი-6, ს. #778, ფურც. 1].

სამწუხაროდ, დღეს ქალაქის ცალკეული რეგიონების დასუფთავება არ ხდება. საყურადღებოა ამავე პერიოდში ქალაქის თვითმმართველობის მიერ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ბაქტერიოლოგიური ცენტრისადმი გაგზავნილი მოთხოვნა, რომელშიც საუბარია ქალაქის წყალსადენის შემოწმებაზე, წყლის ანალიზზე, ფილტრების გაწმენდასა და ა.შ. [აცსა, ფ. ი-6, ს. #851, ფურც. 12]. ქალაქის დატბორვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს აღილებული მდინარეები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სამხედრო ინჟინერ სვისშევსკის მიერ ქალაქის თვითმმართველობისადმი გაგზავნილი

წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მდინარე მეჯინისუს ადიდების მიზეზი არის არა მარტო ძლიერი შტორმი, არამედ ზღვის მიმოქცევა, რის შედეგად სანაპიროს ქვიშის მასა ჩნდება მდინარის კალაპოტში [აცსა, ფ. ი-6, ს. #1027, ფურც. 7].

1912 წლის 10 ნოემბერს მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტი თვითმმართველობას აცნობებს, რომ თამარის დასახლებიდან ჟოროხის სანაპირომდე არსებული ზღვის ზოლი ექვემდებარება კომენდანტის მკაცრ კონტროლს და მისი ნებართვის გარეშე ის არ უნდა გაიცეს კერძო პირებზე. სამწუხაროდ დღეს ზღვის სანაპირო ზოლი არ არის დაცული და ის წარმოადგენს კერძო პირების ბიზნესის წყაროს [აცსა, ფ. ი-6, ს. #709, ფურც. 7].

1912 წელს ქალაქის თვითმმართველობასთან შეთანხმების საფუძველზე სამხედრო ინჟინერი დ. სვისშევსკი იღებს ვალდებულებას აწარმოოს მეცნიერული გამოკვლევა და შეისწავლოს ქალაქის ზღვის სანაპიროს მოშლის გამომწვევი მიზეზები. ამ მიზნით ჟილინკის არხსა და მდინარე სკურკუბაიას მონაკვეთში მან აწარმოა ზღვის სიღრმის გაზომვა, დინების მიმართულების და სიჩქარის განსაზღვრა, ზღვის სანაპიროს გადაღება. ასევე, ზღვის სანაპიროს შესწავლის მიზნით, სვისშევსკიმ გამოიკვლია XVIII საუკუნიდან არსებული ქალაქის რუქები, დაადგინა და წარმოაჩინა უძველესი დროიდან არსებული ზღვის სანაპიროს კონტურები. სამხედრო ინჟინერმა ენერგიული ღონისძიებები განახორციელა ზღვისაგან ბარცხანის დაცვისთვის. იგი დაკვირვებებს აწარმოებდა კოკისპირული წვიმების, ქარიშხლების დროს და მშვიდ ამინდებშიც. სამხედრო ინჟინერმა ზღვის სანაპიროს მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ქალაქის თვითმმართველობას წარუდგინა მოტივირებული დასკვნა. იგი არახელსაყრელად თვლის ზღვის სანაპიროზე დამცავი კედლის აღმართვას და დასკვნაში აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ქვიშის მონაყარი მის უსაფუძვლობას დაამტკიცებს. აქედან გამომდინარე, სვისშევსკი პირველ ამოცანად თვლის სანაპიროსთან არსებული ტბების ამოვსებას და მდინარე მეჯინისწყლის მოძრაობის დარეგულირებას.

1907 წელს პ. ტ. იონკინის მიერ გადაღებული ბათუმის ზღვის სანაპიროს სურათის შედარების საფუძველზე იგი წარმოგვიდგენს ზღვის დონის შეცვლილ რელიეფს. დ. სვისშჩევსკი, განსხვავებული ამინდების დროს, აუცილებლად თვლის ვაწარმოთ ზღვის დინების სიჩქარის გაზომვა, მოითხოვს მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებას მდინარე ჭოროხზე. ასევე, მიზანშეწონილად მიაჩნია მდინარის სიღრმის გაზომვა, რაც მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ თუ როგორი სიჩქარით მიდის მისი დაბინძურება, რათა ამით ქალაქი დავიცვათ მდინარის მიერ მოტანილი შლამისგან.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო მასალა გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ წარსულში ბევრი რამ კეთდებოდა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისგან ქალაქის დასაცავად. წარსულის გამოცდილების გაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის მოსახლეობის ყოფითი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

აცსა, ფ. ი-6, ს. ## _ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-6, საქმე N 637, 709, 778, 849, 851, 900, 1027.

დერჟავინი ნ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, პეტერბურგი, 1902.
კრასნოვი ა., სამხრეთ კოლხეთი, პეტერბურგი, 1915.

ბათუმი 1917-1921 წლებში

სტატიამი საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებთან კავშირში შესწავლილია 1917-1921 წლებში ბათუმში არსებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება. 1917 წლიდან ბათუმში იყო რთული, პოლიტიკურად დაძაბული საომარი მდგომარეობა. ბათუმში მკვიდრდებოდა და იცვლებოდა უცხო სახელმწიფოთა ძალაუფლება. ბათუმში პოლიტიკური სიტუაციის ცვლას განაპირობებდა რუსეთში არსებული ორხელისუფლებიანობა და სამხედრო რევოლუციური გადატრიალებები. 1918 წელს საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, ბათუმში ეროვნული საკითხის აღორძინება მოჰყვა. ბათუმში შეიქმნა ეროვნული საბჭოები, ქალაქის სათათბირო აერთიანებდა ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს. მკვლევართა ერთი ნაწილი თავიანთ ნაშრომებში მიუთითებს ამ პერიოდში ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით ქართული მოსახლეობის უმრავლესობაზე, რაც 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებით არ დასტურდება. 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერა შემდეგ სურათს იძლევა: ქართველი - 9530, რუსი - 10187, სომეხი - 7078, ბერძენი - 3997, ებრაელი - 1144, ირანელი - 703, პოლონელი - 631, გერმანელი - 172, სხვადასხვა - 689, მუსლიმთა რაოდენობა - 559 [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 705, გვ. 10]. 1918 წელს ქალაქის თვითმმართველობასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა უკრაინის რადას. უკრაინის რადას ქალაქის სათათბირო ორგანოში თავისი წარმომადგენლები ჰყავდა, ესენი იყვნენ: დ.მ კრასიცი, ა.ა. სკალევი, ი.ი. გარცკევიჩი, ს.პ. კოვანკო, ი.დ. კროპივიანსკი, პ.ქ. ჩუმაჩენკო, ი.ი. გარცკევიჩი ბათუმში ცხოვრობდა სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩაზე, ს.პ. კოვანკო ქუთაისის და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხეში, პ.ქ. ჩუმაჩენკო სმეკალოვის ქუჩაზე #12-ში [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 704, გვ. 9]. ამ პერიოდში რუსთა დალატში ბრალდებული აჭარლების დაცვის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველთა საქველ-

მოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას, რომლის თავმჯდომარე იყო ე. კრინიცი [სიორიძე, 2002: 142]. 1918 წელს ბათუმში არსებული „პოლონური სახლის“ მიმართვის საფუძველზე ქალაქში მცხოვრებ პოლონელებისგან ქალაქის სათათბიროში აირჩიეს სამოქალაქო ინჟინერი იოსებ რეშუალდეს ძე პანასევიჩი, ინჟინერ-ტექნოლოგი გიორგი კონსტანტინეს ძე კერსნოვსკი, პედაგოგი სიგიზმუნდ ვოიცხის ძე დე-მეზერი. ი.რ. პანასევიჩს ბათუმში ერისთავის ქუჩაზე გააჩნდა საკუთარი სახლი [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 701, გვ. 10]. 1918 წლის 17 ივლისს მუსლიმთა ყრილობამ ქალაქის სათათბიროში 5 ხმოსანი აირჩია [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 704, გვ. 11]. 1878 წელს ბათუმში არსებობდა მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა, რომელსაც ერქვა „ევროპული“ და ასევე მეჩეთთან არსებული რამდენიმე რელიგიური სკოლა. 1918 წლის სექტემბრიდან ბათუმში არსდება ორი ქართული სკოლა, ორი რუსული, ერთი სომხური, ერთი ბერძნული, ერთი ებრაული. ქართულ სკოლასთან ფუნქციონირებდა მუსლიმური აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი მოსამზადებელი განყოფილება და ერთი საეკლესიო სკოლა. ბათუმის 1-ლი ქართული სკოლა აერთიანებდა 120 მოსწავლეს, მე-2 სკოლა 260 ბავშვს, ა. პუშკინის სახელობის 1-ლი რუსული სკოლა აერთიანებდა 270 მოსწავლეს, გოგოლის სახელობის მე-2 რუსული სკოლა 180 ბავშვს, ბერძნული 280 მოსწავლეს, სომხური 250, საეკლესიო სკოლა 50 მოსწავლეს, სულ ქალაქში იყო ორივე სქესის 1410 მოსწავლე (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 705, გვ. 11). იყო ფასიანი სკოლებიც, სადაც გადასახადი შეადგენდა 500 მანეთს წელიწადში [ასსცსა, ფ. ი7, ან. 1, ს. 705 გვ. 5]. 1919 წლის 19 მარტს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს მუსლიმურ სკოლასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც მოემსახურებოდა სხვადასხვა ეროვნების მუსლიმ ბავშვთა აღზრდას, სინამდვილეში ეს იყო სპეციალური თურქული სკოლა და ის გაიხსნა თურქების ბათუმში შემოსვლისას, სმეკალოვის და შერემეტიევის ქუჩების კუთხეში. თურქულ სკოლაში სწავლობდა 175 მოსწავლე და სწავლა მიმდინარეობდა თურქულ ენაზე. ქალაქის სათათბირომ თურქული სკოლა გადაიტანა პერიფერიაში [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 744 გვ. 1-8]. 1918 წლის 1 დეკემბრის მუდროსის შავის

საფუძველზე (1918.წ.30. X) ბათუმი დატოვეს თურქებმა და ქალაქში შემოვიდა ინგლისის არმია. ინგლისელებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნებართვის გარეშე დაიკავეს ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი და შექმნეს ბათუმის საგენერალ-გუბერნატორო. [სილაგაძე, 1998: 6]. მოსახლეობა იძულებული გახდა მიეტოვებინა საცხოვრებელი სახლები და გაქცეულიყო. 1918 წელს ბათუმში წესრიგს იცავდა ქართული ბატალიონი, სომხური დაშნაკცუტუნის ასული, უკრაინული რაზმი და რუსეთის არმიის ნაწილი. როგორც თურქეთი ისე ინგლისი ხელს უშლიდა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებთან აჭარის ინტეგრაციას. ქართველების მიერ მიტოვებულ სახლ-კარს თავის სურვილისამებრ განაგებდა დამპყრობელი. აღსანიშნავია, რომ რთულ საომარ მდგომარეობაშიც კი ქალაქის თვითმმართველობა აგრძელებდა საქმიანობას. ბათუმის სათათბირომ 1918 წლის 14 აპრილს განიხილა მოსახლეობის მიერ მიტოვებულ ჩაის პლანტაციებში მოსავლის აღების საკითხი, შეიქმნა სასურსათო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას, ყიდვას და გაცვლას. ბათუმში მოქმედი ამხანაგობა „კომერსანტი“ აწარმოებდა ყველა სახის პროდუქციის აღწერას. ქალაქის მოსახლეობაზე პროდუქტების განაწილება ხდებოდა დაწესებული ნორმის ფარგლებში. ქალაქის სათათბირომ მკაცრი კონტროლი დააწესა პირველადი მოთხოვნილების საგნებზე [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 695, გვ. 17]. ქალაქის სათათბირომ გაქცეული მოსახლეობის ქონების დაცვის მიზნით შექმნა სამეთვალყურეო კომიტეტი, რომელიც აწარმოებდა მიტოვებული სახლების არენდით გაცემას და ამით ავსებდა ქალაქის ბიუჯეტს. ქალაქის სათათბიროს 1918 წლის 25 იანვრის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე ბათუმი გახდა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის წევრი [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 710, გვ. 1]. ამ პერიოდში სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმ-ტრაპიზონის სამხედრო-სარკინიგზო გზის მშენებლობას, რომელმაც რეგიონი დააკავშირა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს. ბათუმ-ტრაპიზონის სამხედრო გზის მშენებლობის მიზნით თვითმმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმიდან 12 კილო-

მეტრზე, მდ. ჭოროხზე აეგო ჰიდროელექტროსადგური. პროექტის მიხედვით სარკინიგზო ელექტრო ხაზები უნდა გამართულიყო ართვინის გზატკეცილიდან პეტროგრადის, ვოზნესენსკის, მარინის პროსპექტის, თბილისის მოედნის, კათოლიკურ და სანაპიროს ქუჩების გასწვრივ. სარკინიგზო ხაზის მშენებლობას აწარმოებდა სამხედრო ინჟინერი ლაზარევი [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 651, გვ. 1]. როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სატრანზიტო-სავაჭრო, თუ სამრეწველო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას, ეს სარკინიგზო ხაზი ბათუმის გავლით დააკავშირებდა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ჩრდილოეთ ირანთან. ამ გზის მშენებლობის საქმეში აღსანიშნავია სამხედრო ინჟინერ დიმიტრი სვიშჩევსკის ღვაწლი. დიმიტრი სვიშჩევსკი ბაიაზეთიდან ბათუმსა და პეტროგრადში აგზავნიდა დეპეშებს, სადაც საუბარი იყო აღნიშნული გზის სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობაზე [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 632, გვ. 1]. ამავე პერიოდში ბათუმში სამხედრო დანიშნულების საომარ იარაღს აწარმოებდა პიტოვის სამხედრო ქარხანა, რომელიც აღჭურვილი იყო საუკეთესო ტექნიკური დანადგარებით და კარგად განსწავლული სამუშაო ძალით. სამუშაო ძალას ავსებდა ევროპიდან ჩამოსულები [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 633, გვ. 4]. დიდი ყურადღება მიექცა სპილენძის წარმოებას. ბათუმში არსებული წყალდიდობების გამო ხელისუფლებამ განაგრძო არხებზე ხიდების მშენებლობა. აუცილებელ საქმედ ჩათვალეს ხიდის მშენებლობა ჟილინსკის არხზე, რომელიც ჭაობის დასახლებიდან მიემართებოდა ურეხისკენ, სადაც მოსახლეობას ბოსტნები გააჩნდა და მათგან ქალაქი მარაგდებოდა ბოსტნეული კულტურით. ინჟინერმა ვ.ჭიჭინაძემ წარმოადგინა პროექტი 6 საჟენიანი ხიდის მშენებლობის შესახებ. ანალოგიური ხიდები ააგეს ჭაობში, მენავთობეთა დაბაში და პავლოვის არხზე [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 655, გვ. 1]. 1917 წლის 23 იანვრის ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე განიხილეს საკითხი არხების გაწმენდის შესახებ. არხების გაწმენდა მიმდინარეობდა ერთი წლის განმავლობაში და მას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ო.სერაფიმოვიჩი [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 651, გვ. 19]. ამ პერიოდში

ბათუმში ააგეს შემდეგი არხები: ანდრეევის, კარცევსკის, ჟილინსკის, ჰუშკინის, ჰავლოვის სახელობის, ასევე არხები ააგეს კაპლანის ქარხანასთან, სასაფლაოს, თბილისის მოედნის, ბურუნ-ტაბიეს უბნებზე. 1918 წელს ბათუმში დამკვიდრდა მუშა ჩინელების არტელი, ისინი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ქალაქის დასუფთავებით. ჩინელები არ წარმოადგენდნენ იაფ სამუშაო ძალას. მათი გამოყენება განაპირობა ქალაქში სამუშაო ძალის უკმარისობამ. ბათუმში არ აღმოჩნდა ექვსი კაციც კი, რათა შეევსოთ სახანძრო რაზმის შტატი [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 701, გვ. 10]. 1919 წელს ბათუმი გაფიცვებმა მოიცვა. გაფიცვების მთავარი მიზეზი იყო, გაზეთ „ბათუმის უწყებების“ დახურვა და რეპრესიები მოსახლეობის წინააღმდეგ. აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურული აღნიშნავენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დროული და გადამჭრელი ღონისძიებები ვერ გაატარა აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მოსახლეობასთან დამოკიდებულების საქმეში დაუშვა გაუმართლებელი შეცდომა და ამით დაუპირისპირდა აჭარაში არსებულ ქართული ორიენტაციის ძალებს [სილაგაძე, 1998]. 1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აჭარაში არსებული ვითარების შესასწავლათ გამოაგზავნა პეტრე გელეიშვილი. მართალია მან დეტალურად შეისწავლა აჭარაში არსებული ვითარება და 1920 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საკმაოდ მისაღები და საინტერესო მოხსენებითი ბარათიც წარუდგინა, მაგრამ ამას მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარი ღონისძიებები არ მოჰყოლია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბათუმის ოლქის კომისრად ბენია ჩხიკვიშვილის დანიშვნასაც არ მოჰყოლია სასურველი შედეგი. ჯერ კიდევ XIX 90-იანი წლებიდან, თურქეთის 300 წლიანი ბატონობის შემდეგ ბათუმში აღორძინებას იწყებს თეატრალური ხელოვნება. განსაკუთრებით დიდია ამ საქმეში დავით კლდიაშვილის დამსახურება, რომელმაც 26 წელი იცხოვრა ბათუმში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში, როგორც ორგანიზატორი, რეჟისორი,

აღმზრდელი, მრჩეველი. [ჩხარტიშვილი: 2009: 210]. მკვლევარი ლელა სარალიძე აღნიშნავს, რომ 1918 წელს ოსმალთა ოკუპაციის პერიოდში ბათუმის თეატრი უღიმღამოთ აგრძელებდა თავის არსებობას, რომლის სცენაზე ძირითადად მოყვარულებისა და უმუშევრად დარჩენილი მსახიობებისგან სახელდახელოდ, შეკოწიწებული დასები გამოდიოდნენ [სალარიძე: 2009: 130]. 1921 წლიდან ბათუმში ისევ აღორძინდა თეატრალური ხელოვნება. ამ პერიოდში ბათუმში მოქმედებდნენ ქართული (ხელმძღვანელი ვასო ურუშაძე) ბერძნული, სპარსული, სომხური, რუსული დრამატული და საოპერო არაპროფესიული დასები [მესხია, 2009: 224]. 1921 წელს ბათუმის მოსახლეობისთვის წარმოდგენებს მართავდა თეატრი „პელმელი“ (ღირექტორი ლანსკი) და ბერძნების სალიტერატურო დრამატული საზოგადოება „პრომეთე“ [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 751, გვ. 11]. 1921 წლის 11 თებერვალს ბათუმში აღინიშნა ქართველი სტუდენტის დღე. ქალაქში გამოიცემოდა გაზეთი „ეხო ბათუმი“ [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 751, გვ. 48]. ბათუმის სათათბირო დიდ ყურადღებას იჩენდა ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად. სათათბირო მდიდარ რესტორნებს ავალეებდა გადაერიცხათ მოშიმშილეთა ფონდში მოგების 1%. ამრიგად, ზემოდ მოტანილი საარქივო მასალის ანალიზის საფუძველზე ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ რუსეთის ხელისუფლება 1917-1921 წლებში ბათუმში წარმოებული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ღონისძიებების საფუძველზე მოსახლეობაში ავტორიტეტს იმაღლებდა და ამით იმტკიცებდა თავის ძალაუფლებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს.– აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე ##632, 633, 651, 655, 695, 701, 704, 705, 710, 744, 751.

სარალიძე, 2009: - სარალიძე ლ., ოსმალეთი ოკუპაციის პერიოდის ბათუმის ისტორიიდან, - კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

სილაგაძე, 1998: - სილაგაძე ა., გურული ვ., პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წელი), თბილისი. სიორიძე, 2002: - სიორიძე მ., სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

მესხია, 2009: - მესხია ე., ბათუმის თეატრის სათავეებთან, - კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

ჩხარტიშვილი, 2009: - ჩხარტიშვილი ც., ბათუმის კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის 80-90-იან წლებიდან, - კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

გერმანელები ბათუმში (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა)

პროფესორი ავთანდილ სონდულაშვილი წიგნში „გერმანელები საქართველოში“ აღნიშნავს, რომ კავკასიის ადმინისტრაციის ცდა ჩაესახლებინა გერმანელები დასავლეთ საქართველოში, შედეგი არ მოყოლია. ამაში თვით კოლონისტებს მიუძღვით ბრალი. მეფის მთავრობის ხელშეწყობით კოლონისტები წარმოადგენდნენ კარჩაკეტილ კასტას, რომელთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ადგილობრივი გლეხობის და თვით რუსი კოლონისტებისაც კი. ამიტომ ისინი გულგრილნი იყვნენ XIX-XX საუკუნეების დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების მიმართ. რუსეთის ხელისუფლებას გერმანელი კოლონისტები დაყოფილი ჰყავდა კატეგორიის მიხედვით, მათ შორის იყვნენ გერმანიის ქვეშევრდომები და რუსეთის ქვეშევრდომები, რომელთა სოციალურ-პოლიტიკური უფლებები შეზღუდული იყო. 1816-1818 წლებში შვაბები, ვიურტემბერგელი გერმანელები დასახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. დიუპრეს მონაცემით, 1807 წელს ბათუმში იყო 2000 მცხოვრები, 1873 წელს კი 4970 (მალმუზის მონაცემით), 1880 წელს ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 9500 კაცამდე. 1882 წლის 19 მარტის აღწერით ბათუმში იყვნენ 145 გერმანელი, 24 ფრანგი, 19 იტალიელი 10 ინგლისელი [ფუტკარაძე, 2008: 87]. 1917 წლის ბათუმის მოსახლეობის აღწერის მასალების განმარტებაში ნათქვამია, რომ მომავალში ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს, და მართლაც თუ 1917 წელს ბათუმში გერმანელთა რაოდენობა უდრიდა 172-ს, 1918 წელს ის გაიზარდა 237-მდე, რაც განპირობებული იყო 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გერმანელთა შემოსვლით საქართველოში.

1922 წლის ქალაქ ბათუმის მოსახლეობის აღწერის მასალებში გერმანელები წარმოდგენილია ასაკის და დაბადების ადგილის მიხედვით:

ასაკი	რაოდენობა	საქართველოში დაბადებული	საქართველოს გარეთ დაბადებული
75-79	2	?	?
70-74	19	2	17
65-69	8	-	8
55-59	15	5	14
50-54	22	1	21
45-49	29	6	23
40-44	26	4	22
35-39	25	2	23
30-34	46	4	42
25-29	55	11	44
20-24	53	15	38
15-19	38	15	23
10-14	32	9	23
5-9	27	12	15
0-4	19	9	10

[ასს, ფ. რ-178, ან. 1, ს. 9, ფურც. 20].

გერმანელთა შორის იყვნენ მუშა-მოსამსახურეები, ხელოსნები, მესაკუთრენი და პენსიონერები [ასს, ფ. რ-178, ან. 1, ს. 9, ფურც. 17].

1918 წელს საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას ეროვნული საკითხის აღორძინება მოჰყვა. ბათუმში შეიქმნა ეროვნული საბჭოები, ქალაქის სათათბირო აერთიანებდა ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს. მკვლევართა ერთი ნაწილი თავიანთ ნაშრომებში მიუთითებს ამ პერიოდში ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით ქართული მოსახლეობის უმრავლესობაზე, რაც 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებით არ დასტურდება. 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერა შემდეგ სურათს იძლევა: ქართველი – 9530, რუსი – 10 187, სომეხი – 7078, ბერძენი – 3997, ებრაელი – 1144, ირანელი – 7003, პოლონელი – 631,

გერმანელი – 172, სხვადასხვა – 689. მუსლიმთა რაოდენობა – 559 [ასს, ფ. ი-7, ან. 1, ს. 705, ფურც. 10].

ბათუმის სათათბიროს პირველი შემადგენლობა, ეროვნული ნიშნით შემდგენიარად განაწილდა: ქართველი – 11; სომეხი – 10; რუსი – 8; ბერძენი – 2; პოლონელი – 2 და გერმანელი – 1.

1918 წლის 14 აპრილის ქალაქის სათათბიროში წარმოდგენილი იყო გერმანული თემიდან შემდეგი ხმოსნები: სტერი, ლენცი, შუბერი, ტრანცი და გიუბნერი.

1914 წლიდან გერმანელები თანადგომას უცხადებენ ქართველებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საქმეში. 1914 წლის 16 ოქტომბრის კავკასიის არმიის დაზვერვის შტაბის უფროსის საიდუმლო წერილში საუბარია ვიწეში (ლაზეთი) განთავსებულ განსაკუთრებულ კომისიაზე, რომელშიც შედიოდა სამი გერმანელი, ოთხი თურქი ოფიცერი და პარიზიდან ჩამოსული ოთხი ქართველი, რომელთაც სამხედრო განათლება გერმანიაში ჰქონდათ მიღებული. აღნიშნული კომისია შეიქმნა ტრაპეზუნდში იარაღის მიწოდების ორგანიზაციის მიზნით. კავკასიაში, რუსეთის ბატონობით უკმაყოფილო პირებისათვის ტრაპეზუნდიდან რიზეში ჩამოტანილი იქნა 82 ყუთი გადაკეთებული იარაღი, 300 ყუთი საბრძოლო ტყვია. საომარი იარაღი უნდა გადმოეტანათ ბათუმსა და ფოთში. 1914 წლის 14 ოქტომბერს ტრაპეზუნდის ვალის დეპუტის ცნობით დასტურდება, რომ რიზედან ტრაპეზუნდში ჩამოვიდა 150 ადამიანი, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნეს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს.

ვიწეში გერმანელების მიერ ორგანიზებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება „ქართველ ხალხს“, რომელშიც ნათქვამია: „ასწლიანი აუტანელი დამცირების შემდეგ დადგა თავისუფლების დღე, დიდი წარმატებით ომობს და იმარჯვებს რუსებზე გერმანია, ხოლო ამჯერად რუსეთს ომი გამოუცხადა თურქეთმა. ქართველებო! ახლა ის დროა, როცა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი უკუნითი უკუნისამდე. ნუ ემსახურებით ჩვენს მტერს, ჩვენს დამანგრეველ რუსეთს, არ დაუჯეროთ მათ დაპირებებს, რადგან მათ დაარღვიეს ხელმოწერილი ტრაქტატიც, ამიტომ მათი დაპირება არაფერს ნიშნავს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის

კომიტეტი გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად მოდის საქართველოში და მთელ ქართველ ერს მოუწოდებს მალლა ასწიოს თავისუფლების დროშა. აქ არჩევანი არ არის. ის ქართველი, რომელიც არ დადგება თავისუფალი საქართველოს დროშის ქვეშ, ის იქნება საქართველოს მოღალატე, საკუთარი მშობლიური ერის მოღალატე, ნუ გემინიათ თურქეთის არმიის, მიიღეთ ისინი მეგობრული სიყვარულით, რამდენადაც ის მოგვიტანს თავისუფლებას. გერმანია თანახმაა უზრუნველყოს ჩვენი თავისუფლება. აი ის პირველი პუნქტი ამ თანხმობის: „საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არც რუსეთს, არც თურქეთს არ ექნება არავითარი უფლება საქართველოზე. ადსდექით ყველგან და დააფუძნეთ, სადაც კი შეიძლება საკუთარი დროებითი ხელისუფლება. ყველგან შექმენით შენაერთები, შეიარაღდით და ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთ, როგორც კი შემოვალთ. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს! ძირს მონობა! [ასს, ფონდი ი-1, ანაწ. 1, საქმე 708, ფ. 88].

1907 წელს, კავკასიიდან ციმბირში გენერალ ასლან-ბეგ აბაშიძესთან ერთად გასახლებული იქნა ოზურგეთის რაიონის სოფელ უჩხუბში, ოთო ჯინჭარაძის სახლში მცხოვრები ალფეს მიქელაიშვილი. იგი იყო სოციალდემოკრატი, მისმა ორმა შვილმა უარი თქვა რუსეთის არმიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურზე. ასლან-ბეგ აბაშიძე და ალფეს მიქელაიშვილი მოსახლეობაში აწარმოებდნენ პროპაგანდას გერმანიის იმპერიის ლიბერალური წყობის შესახებ და აიარაღებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ თურქეთის არმიისთვის, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო. ამ მიზნით მათ მიერ გურიის სოფლებში დაგზავნილი იქნა პროკლამაციები. მათი თანამებრძოლი იყო ოზურგეთის სოფელ დვაბზუს მცხოვრები ვიქტორ დლონტი.

1842 წელს ბათუმში იმოგზაურა დოქტორმა ჰერმან კოელერმა, რომლის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ჩანაწერები ბათუმისა და ჩურუქუსს ოლქების შესახებ, 1895 წელს დაიბეჭდა ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების ყოველთვიურ უწყებებში. მასში აღ-

ნიშნულია, რომ ბათუმის ბაზარში იყო გერმანული ფოლადი, კალა, ნიშადური [გელაშვილი, 2015: 35].

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში საზღვაო და სარკინიგზო გზების მშენებლობამ შავიზღვისპირეთი დააკავშირა ევროპის დიდ სამრეწველო ცენტრებს. ბათუმით დაინტერესდნენ უცხოელი ინვესტორები.

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ბათუმი თურქეთის უღლის-გან განთავისუფლების დროს სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს, ხოლო XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ერთერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად იქცა. 1883 წელს ბათუმში ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააშენეს საექსპორტო ჭურჭლის პირველი ქარხანა. 1886 წელს მათი დაწყებული საქმე გააგრძელა როტშილდმა. ყოველდღიურად საექსპორტოდ მზადდებოდა 18 000 კასრი. ქარხანას გააჩნდა სპილენძის სადნობი ღუმელი, სამჭედლო ბრძმელები და 150-ზე მეტი მექანიკური დაზგა. ბათუმში ამ პერიოდში არსებული 10-მდე ქარხანა მარაგდებოდა ტყიბულიდან შემოტანილი ქვანახშირით, ხოლო სპილენძის ნედლეულის დამუშავება იქვე ადგილზე, სოფელ ერგეში ხდებოდა. 1890 წელს რობერტ რიხნერის მიერ ერგეში დაარსებულმა სპილენძის საბადოებმა 1911 წლამდე იარსება [უზუნაძე, 1993: 53].

გერმანელებს ბათუმში გააჩნდათ სამრეწველო საწარმოები: „სიმენსი და ჰალსკე“ (სპილენძის წარმოება). როტშილდი, რიხნერი, ციმერმანი (ბილონის წარმოება). [კოპალეიშვილი, 2011: 40] სიმენსის მემკვიდრეებს ეკუთვნოდათ ქვარცხანის (ართვინის მხარე) სპილენძის ქარხანა. ძირითად სამუშაო ძალას რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელები წარმოადგენდნენ, რომელთა ბათუმიდან გასახლების შემდეგ ქარხანა კრიზისმა მოიცვა.

ნიკოლოზ ღერჟავინმა შეისწავლა XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული საზღვაო-სანაოსნო და სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებები. 1903 წელს აკადემიკოს ნიკოლოზ ღერჟავინის მონაცემებით ბათუმში არსებობდა შემდეგი გერმანული საზღვაო-სანაოსნო დაწესებულებები: შუტცის და ციმერმანის - გერმანიის საზღვაო სააგენტო, რეზიდენცია სანაპიროს ქუჩაზე, „დ. ლ. ზილბერმეისტერი“

- საზღვაო ტვირთის ტრანსპორტირებას აწარმოებდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთან ერთად ასრულებდა საბაჟო ოპერაციებს და იცავდა სხვადასხვა ფირმის ინტერესებს.

ფრანგულ-გერმანული საზღვაო-სანაოსნო საზოგადოებების „მე-საჟერ მარტინის“ და „დ. ლ. ზილბერმეისტერის“ მოღვაწეობამ ბათუმში განაპირობა მათი ქვეყნების საკონსულოების გახსნა.

1903 წელს ბათუმში საქმიანობას ეწეოდნენ გერმანული სავაჭრო სახლები: ბ. რ. გოლდრიურეკის – ოფისი მარინის პროსპექტზე (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) ვოლფენზონის სახლში. ო. ე. გილერცის – რუზიდენცია საქართველოს ქუჩაზე, შელოვიცკის სახლში. 1903 წელს ბათუმში საქმიანობას ეწეოდა ვ. გ. კაპლანის თუჯ ჩამომსხმელი, მექანიკური და საქვაბე ქარხანა. მექანიკური ქარხნის ინჟინერი იყო ნ. ბ. პასეკი. ქარხანასთან არსებობდა სასოფლო სამეურნეო იარაღების განყოფილება, რომელიც აწარმოებდა სხვადასხვა სისტემის გუთანს, ფუთი ღირდა 5 მან. და 50 კაპ. ასევე ბამბის და თივის საწნებს. დაკვეთებს ღებულობდა როგორც ბათუმში, ისე თბილისში მიხაილოვის ქუჩაზე N 116.

სამხრეთ რუსეთის ქარხნებს ბათუმში გააჩნდა საკუთარი ფირმა „პორლანდცემენტი“. იგი განთავსებული იყო ასათიანის ქუჩაზე, სიმონიძის სახლში. ფირმის წარმომადგენლები იყვნენ რ. კ. ეგერცი, ნ. ს. ფანდევი, პ. ო. შპოლიანსკი. ამ პერიოდში ბათუმში არსებული თამბაქოს ფაბრიკა „თამარა“ და მისი მალაზია ეკუთვნოდა ა. ლ. ლევბურგს [დერჟავინი 1903: 115].

1904 წელს კავკასიაში მოღვაწეობა დაიწყო გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ „შალეულის, სამთო კავშირის და მესაკუთრეთა“ კერძო აქციონერთა შორის იყვნენ გერმანელი მეწარმეები: ჰუგო სტინენრი, სოლომონ ოპენგეიმი. „გელზენკირხენის“ საზოგადოებას ჰქონდა მადნეულის, რკინის, ფოლადის, ცემენტის, კოქსის, პურის და სხვა საქონლის იმპორტისა და ექსპორტის უფლება. 1912 წლის 27 თებერვალს „გელზენკირხენის“ სამთო-სამადნო საზოგადოებამ (წარმომადგენელი ბურგერს შრაიბერი) თხოვნით მიმართა რუსეთის მეფისნაცვალ ვორონცოვ დამკოვს ნება დაერთო დასახელებული საზოგადოებისთვის მანგანუმის და სხვა საქონლის სატვირთო სადგურის

მოწყობაზე სადგურ ქობულეთთან ახლოს და ამ მიზნით მიწის შესყიდვაზე. ეს იქნებოდა თანამედროვე ტექნიკით, ელექტორით აღჭურვილი საკუთარი პორტი. ბათუმისა და ფოთის პორტები ვერ უზრუნველყოფდნენ მიედოთ და მოკლე დროში დაეტვირთათ გემები. თუმცა ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია [ელიავა, 2015; 325]. 1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოებამ აღწერა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ბათუმის პორტში შემოტანილი საქონლის ძირითადი სახეები: რკინა და საერთოდ ლითონის ნაწარმი, გოგირდი, საღებავები, ყავა, მარმარილო, ცემენტი, სადურგლო და სხვა სახის ნაწარმი [ასსცსა ფონდი ი. 81 ანაწერი 1, საქ. 2. ფურც. 38].

1902 წელს ბათუმში გერმანიის საკონსულო განთავსებული იყო ოლდას ქუჩაზე ხუნწარიას სახლში. გერმანიის კონსული იყო ბურკ-გარდტი. 1918 წელს ბათუმში ფუნქციონირებდა გერმანიის (პასკევიჩის ქუჩა №14) წარმომადგენლობა [ჩაგანავა, 2011: 63].

1921 წელს ბათუმში გერმანიის კონსული იყო კარლო თეოპოლდის ძე კორნეოზინი [ასს, ფ. რ-82, ან. 1 ს. 20, ფურც. 112].

პორტო ფრანკოს პერიოდში ბათუმში შემოვიდა გერმანიიდან 24 გემი და შემოიტანა 10 974 ტონა ტვირთი.

ინგლისის კონსული სტივენსი თავის 1893 წლის მოხსენებაში: ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის შესახებ აღნიშნავს, რომ ბათუმის პორტში ამ დროს შემოვიდა 20 გერმანული ორთქლის გემი, რომელმაც ჩამოტვირთა 22 570 ტონა ტვირთი [გელაშვილი, 2016: 19].

1910 წლის 21 მარტს ნიკო მარი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში „მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში“ აღნიშნავდა, რომ გერმანული საზოგადოების გემები ევროპულ გემებს შორის ყველაზე ხშირად და რეგულარულად ასრულებენ რეისს ბათუმიდან რიზესა და ტრაპიზონში.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გერმანელებთან დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. მოსახლეობის აღწერის დროს უცხოელ მოქალაქეებს გამოყოფდნენ პოლიტიკურ-კლასობრივი ნიშნის მიხედვით (იხ. დანართი №1). ასევე დაიწყო გერმანელთა ბათუმიდან განსახლების პროცესი,

მათი სოციალურ-პოლიტიკური უფლებების დარღვევა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველო გერმანიის ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ნეგატიურად აისახა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაზე.

1941 წლის 23 ივნისს, მე-2 მსოფლიო ომის დაწყებიდან მე-2 დღეს კომისიამ რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბათუმის ქალაქის საბჭოს მთავარი ინჟინერი მუთი ახმედის ძე ქიქავა, გერმანიის გენერალური საკონსულოს წარმომადგენელი ტუხოლკა, ბათუმში სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დიპლომატიური სააგენტოს წარმომადგენელი ენ. ი. ტოვიშკინი, შეადგინეს აქტი, რომლითაც გერმანიის გენერალურ საკონსულოს ბათუმში, კიროვის ქუჩა №2-ში (დღევანდელი 26 მაისის ქუჩა) ექსპლუატაციაში გადაეცა 2 სართულიანი სახლი. კერძოდ პირველ სართულზე 11 ოთახი 290 კვ. მ. და სათავსოები 98 კვ. მ. ასევე ერთსართულიანი ფლიგელი 5 ოთახისგან შემდგარი 64 კვ. მ. თავისი სათავსოებით, გალერეა 36 კვ. მ. გარდა ამისა ავტოფარეხი, სამრეცხაო და ა. შ. [ასს, ფ. რ-10, ან. 1, ს. 200 ფურც. 2].

1941 წლის 17 მარტს, ბათუმში გერმანიის გენერალური კონსული ბროიტიგამი ქალაქის საბჭოში წარმოდგენილი ნახაზის საფუძველზე ითხოვს დიპლომატიური სააგენტოს სახლისთვის რემონტის ჩატარებას.

საბჭოთა რეჟიმი სიტყვით აღიარებდა ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში არღვევდა უცხოელ მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკურ და საკუთრების უფლებებს. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება გერმანიის მოქალაქე ემილია დაიბელის სახელზე დაწერილი განცხადება (იხ. დანართი) საკუთარი ბინის თავისუფლად გამოყენების შესახებ (კიროვის ქუჩა 6, დღევანდელი 26 მაისის ქუჩა) [ასს, ფ. რ-10, ან. 1, ს. 29, ფურც. 34].

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ საქართველო გერმანიის ურთიერთობებმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება გერმანია საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლის დიტმარ გვიზდის მისასალმებელი წერილი ბათუმის ქალაქის საბჭოს სახელზე სსრკ-ს შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით (22 დეკემბერი 1972

წელი). სტატიას დანართის სახით ერთვის დიტმარ გვიზდის გერმანულ ენაზე შედგენილი წერილი.

XIX საუკუნიდან ბათუმში მოღვაწე გერმანელი მოქალაქეები ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. 1908 წელს ბათუმში მცხოვრებმა გერმანელმა შტენბერგმა ქალაქის სათათბიროს წარუდგინა კინემატოგრაფიის სახლის პროექტი [ასს, ფ. ი-7, ან. 1, ს. 471, ფურც. 25]. ბათუმის გიმნაზიას განაგებდა რუდოფ ჰერცი. 1987 წელს ბათუმში ცხოვრობდა 3 886 ლუთერანი და კათოლიკე. ევანგელიკურ-ლუთერანული სამლოცველო სახლი არსებობდა ყოფილი კომაროვის და ფეფელოვის ქუჩების კუთხეში, რომლის პატრი იყო ბერნგოფი. XX საუკუნის 50-იან წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედინსტიტუტში მოღვაწეობდა გერმანელი ქალბატონი, პოლიტოლოგი ტატიანა ფარბერი. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ბათუმის ოლქი 1905-1907 წლებში“. ამავე უნივერსიტეტში გერმანულ ენას ასწავლიდა ნინა ლუპმანი, სათნო, კეთილშობილი, ერუდირებული ქალბატონი.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო-დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს ბათუმში მოღვაწე გერმანელთა ღვაწლსა და დამსახურებას ქალაქის განვითარების საქმეში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასს, ფ. რ-178, ან. 1, ს. 9 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-178, ანაწერი 1, საქმე №102.

ასს, ფონდი ი-7, ანაწერი 1, ს. 705 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე №705.

ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 708 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №708.

ასს, ფ. ი-81, ან. 1, ს. 2 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე №2.

ასს, ფ. რ-82, ან. 1, ს. 20 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-82, ანაწერი 1, საქმე №20.

ასს, ფ. რ-10, ან. 1, ს. 200 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-10, ანაწერი 1, საქმე №200.

გელაშვილი, 2015: – გელაშვილი, გ., ჰერმან კოლეერი ბათუმის ოლქის შესახებ (1842), – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VI, თბილისი.

ელაშვილი, 2016: – გელაშვილი, გ., კონსულ სტივენსის მოხსენება ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის შესახებ (1893) – კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, ბათუმი.

დერჟავინი, 1903: – დერჟავინი, ნ. ს., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.

ელიავა, 2015: – ელიავა, ი., გელუზენკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოების შესახებ, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი.

კოპალეიშვილი, 2011: – კოპალეიშვილი, ტ., პირველი მსოფლიო ომი და გერმანელთა საკითხი საქართველოში, ჟურნალი „არხეიონი“, II, ბათუმი.

მარი, 2015: – ნიკო მარი, მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში, ბათუმი.

უზუნაძე, 2009: – უზუნაძე, რ., ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება (XII ს-XIX ს პირველი ნახევარი) – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, II, ბათუმი.

ფუტკარაძე, 2008: – ფუტკარაძე თ., მგელაძე, ნ., მოსახლეობის დინამიკა, ეთნოკონფენსიური და სოციალური სტრუქტურა – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

ჩაგანავა, 2011: – ჩაგანავა, ე., დიპლომატიური წარმომადგენლობის ისტორიიდან, ჟურნ. „არხეიონი“, I, ბათუმი.

ჯავახიშვილი, 1971: – ივანე ჯავახიშვილი, III, თბილისი.

დანართი: ბათუმის მოსახლეობის აღწერის მასალა და მისასაღმებელი წერილი.

ასს, ფონდი რ-10, ანაწ. 1, სექმე 29, ფ 34-145.

Самодельное население г. Батума по национальностям и социальному положению (по переписи 1922г.)

Национальности	трудоспособное население					нетрудоспособное население				
	Самодельное население	Рабочие	Служащие	Крестьяне	Всего	Пенсионеры	Ветераны	Дети до 14 лет	Несовершеннолетние	Всего
2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
Армяне	6481	1743	2372	1842	5957	330	110	84	524	
Русские	4641	1248	1698	1321	4267	236	78	60	374	
Греки	2303	888	1208	938	3034	168	56	45	269	
Евреи	1601	430	585	454	1469	81	27	24	132	
Персы	760	204	278	219	701	38	12	9	59	
Поляки	437	117	159	127	403	22	2	5	34	
Немцы	183	49	66	54	169	9	3	2	14	
Абхазы	97	26	38	27	91	4	1	1	6	
Азербайджанцы	61	16	23	17	56	3	1	1	5	
Осетинские	16	4	5	6	15	1	-	-	1	
Итальянские	19	5	9	5	19	-	-	-	-	
Прочие народы	1017	273	375	288	936	51	17	13	81	
Всего	18616	5003	6818	5298	17117	943	312	244	1499	

Проверено с. Б. 11/11/22

Lawalde, den 2.11.72

F. H. Duacungge
H. H. H. H. H.
20.11.72

Dietmar G w o s d z
8701 Lawalde
Rudolf-Breitscheid-Siedlung 2
D D R

" Glückwunsch "

Werte sowjetische Genossen und Freunde !

Anläßlich des 50. Jahrestages

der Bildung der Union der Sozialistischen Sowjetrepubliken ist es mir als Mitglied und hauptamtlichem Mitarbeiter der Gesellschaft für Deutsch-Sowjetische Freundschaft ein inneres Bedürfnis, allen Genossen und Freunden zu Ihrem Jubiläum die herzlichsten Glückwünsche zu übermitteln.
Auch in unserer Deutschen Demokratischen Republik wird der 30. Dezember 1972, der 50. Jahrestag der UdSSR festlich begangen.
Wir sind stolz auf die zwischen beiden Staaten und Völkern bestehenden freundschaftlichen Verbindungen und die bisher gemeinsam erreichten Erfolge, beim Aufbau des Sozialismus und Kommunismus.
Ich spreche Ihnen weiterhin alles Gute für Ihre weitere Arbeit und Zukunft aus, vor allem persönliches Wohlergehen und verspreche Ihnen, weiterhin alles zu tun, daß die Freundschaft zwischen den Völkern der UdSSR und dem Volk der DDR noch enger und fester wird.
Ich reiche allen Genossen und Freunden freundschaftlich die Hand.
Ich würde mich sehr glücklich schätzen, könnten Sie mir von Ihrer schönen " Stadt " oder " Unionsrepublik " als Erinnerung an den 50. Jahrestag der UdSSR eine Ansichtskarte zusenden, ich war schon 2 mal in Ihrem schönen Land und lernte Ihre Menschen kennen, die ich sehr schätze.
Für die Ansichtskarte sage ich Ihnen schon jetzt meinen aufrichtigsten Dank.

" Es lebe der 50. Jahrestag der Bildung der UdSSR "
" Es lebe die Deutsch-sowjetische Freundschaft "
" Es lebe und gedeihe die UdSSR und die DDR "
Freundschaft -- Дружба

Mit sozialistischem
und freundschaftlichen Gruß

Ihr

Dietmar Gwosdz
(Dietmar Gwosdz)

34
Копия с копии.

Господину Герменскому Консулу в г. Ветуми.

Доверенной Герменско-подданной гр-ки
Дейбель Эмилии А.И. ФРЕИДИ.

/Кирова 11./

З А Я В Л Е Н И Е.


Предъявляя Вам план дома герменско-подданной гр-ки Э. Дей-
бель с выделенным горсоветом хозяйским фондом, вновь подтве-
рждаю что в моем ведении находится только моя квартира с двух
комнатах в 30 кв. метров против 9 комнат приблизительно в 184
кв. метров. Прошу выделить комиссию с участием представителя
от Герменского Консульства для выяснения и подтверждения
моего заявления поданного мне Вам 14 октября 1940 г. что же
касается моей квартиры из двух комнат хозяйского фонда, прошу
гр-не Герменского Консула принять срочно меры и обеспечить
мое свободное пользование ими, для извлечения доходов и покрыв-
тия столь непомерно высоких налогов, наложенных на дом гр-ки
Дейбель. Что же касается остальных семи комнат хозяйского фонда,
прошу войти в соглашение с соответствующими органами для осво-
бождения мне хотя бы части этих комнат, что даст мне возможность
оплачивать налоги и делать необходимый ремонт.

10 декабря 1940 г.

г. Ветуми.

Подпись: /А.И. Фреиди/.

В е р н о :



საარქივო დოკუმენტები აზიზიეს მეჩეთის შესახებ

ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში არის თარიღები, რომელნიც დღესაც თავს გვახსენებენ და ჩვენში აღძრავენ როგორც დადებით, ისე უარყოფით ემოციებს. XIX საუკუნის 60-იან წლებში თურქეთის სულთან აბდულ აზიზიეს მიერ ამენებული მეჩეთი იყო სამხედრო დანიშნულების და ის აჭარაში აიგო, როგორც თურქული სამხედრო ძალის გამარჯვების სიმბოლო. ეჭვს იწვევს აზრი იმის შესახებ, რომ თურქეთის სულთანმა აბდულ აზიზიემ აჭარაში მეჩეთი ააგო ქართველი დედის საპატივცემულოდ.

თავისუფლების მოედანზე, ყინვასა და ქარბუქში შეკრებილმა ბათუმის საზოგადოებამ გამოხატა თავისი ნება ქალაქში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე, ბათუმში ჩატარებულმა რეფერენდუმმა დააფიქსირა აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, დღეს ისევ დადგა ქალაქში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ვიდაცას სურს ქართველი კაცის მეხსიერებაში გააცოცხლოს სულთან აბდულ-აზიზიეს სახელი. ეროვნული ცნობიერების მქონე ჩვენებურმა ერეკლე (ერდოღან შენოლი) დავითაძემ ფეხით მოიარა თურქეთის უმაღლესი ინსტიტუტები და ხმამაღლა განუცხადა მათ, რომ მეჩეთის მშენებლობის საკითხი ქართველი ხალხის გადასაწყვეტია.

მიხაკო წერეთელი წიგნში „ერი და კაცობრიობა“ ხაზს უსვამს ქართველი კაცის გულმავიწყობას და დასძენს, რომ ქართველს რომ ახსოვდეს, ვინ რა გაუკეთა, ის ვერ შეძლებდა ურთიერთობას. ამ ბოლო დროს, სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, 200-ზე მეტი მეჩეთი აშენდა და ამას მშვიდად შეხვდა ქართველი კაცი, მაგრამ ვიდაცას სურს მაინცდამაინც აზიზიეს სახელობის მეჩეთი ააშენოს და ამით ორ მეზობელ ხალხს შორის დაძაბოს ურთიერთობა.

ამ მიზეზის გამო გადაწყვიტე წარმომეჩინა საარქივო დოკუმენტები აზიზიეს მეჩეთის შესახებ.

1862 წელს სულთან აზიზის ფირმანის მიხედვით მხარდაჭერილი და დამტკიცებული იქნა პროექტი ახალი ბათუმის მშენებლობის შესახებ. ასევე გადაწყდა ქალაქის ახალ მშენებარე ნაწილში სახელმ-

წიფო მიწის მეჩეთისთვის გადაცემა ისე, რომ იგი კერძო პირების სახელზე განეკრძაობინათ გარკვეული საარენდო გადასახადის საფუძველზე, მუკატის სახელდებით, ყოველ 100 კვ. არშინზე 5 პიასტრის ოდენობით.

შარიათის და სავაყუფო მიწის სამართლის დებულების საფუძველზე მესაკუთრეს ენიჭებოდა სრული მემკვიდრეობა და მიწის განკარგვის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეიტანდა სამი წლის განმავლობაში გადასახადს მეჩეთის სასარგებლოდ. მიწის გამოყენების შემთხვევაში იგი ჩამოერთმეოდა მესაკუთრეს და გადაეცემოდა სხვა პირს [ასს, ფ. ი-3, ან. 1, ს. 4, ფურც. 87-88].

მიწის საკუთრების ეს პირობები დაცული იყო ბათუმის ოლქის რუსეთთან შემოერთებამდე. 1879 წელს ბათუმში დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ სახელმწიფო და კერძო მიწების განკარგვის მოწესრიგების მიზნით დაადგინა, რომ აზიზიეს მეჩეთი სამხედრო დანიშნულების იყო და მასში არ წარმოებდა ღვთისმსახურება.

რუსეთის იმპერიასთან ბათუმის ოლქის მიერთების შემდეგ, 1879 წლის 11 ივნისს პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარუდგინა მოხსენება „ბათუმის მიწათსაკუთრების შესახებ“, სადაც მოითხოვდა სავაყუფო მიწების ქალაქის თვითმმართველობისთვის გადაცემას. გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლსკ მირსკის თანხმობის შედეგად სავაყუფო მიწები გადავიდა ქალაქის საკუთრებაში. აზიზიესა და ერგეს მეჩეთების სავაყუფო მიწები გასახელმწიფოვდა და შეუერთდა ქალაქს. რუსეთის ჯარების მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ, თავდაპირველად აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო ქონება გადაეცა პოლიციის სამმართველოს და ამას ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ ეს მეჩეთი გამოყენებული იყო სამხედრო დანიშნულებისთვის. რუსების მიერ აზიზიეს მეჩეთის უძრავი ქონება შეფასდა 3-4 მილიონი რუსული რუბლით, მაგრამ ნაადრევად მიღებული მათი ეს გადაწყვეტილება არ გამართლდა, რადგან სავაყუფო სამართალი რელიგიური ნიშნის მიხედვით აკანონებდა საკუთრებას კერძო და საზოგადო სარგებელში. ამიტომაც იკრძალებოდა მისი გაყიდვა და გადაცემა სახელმწიფო ხელისუფლებისთვის. ასე რომ რუსეთის სახელმწიფოს მიერ ახალი კანონის

მიღებამდე სავაყუფო მიწების მიმართ გამოცხადებული გადაწყვეტილება გამოცხადდა უკანონოდ და იგი გადაეცა მათ მიერ არჩეულ მუსულმანურ კომისიას, რომელმაც დიდხანს ვერ იარსება. სავაყუფო მიწებთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ შემდეგი სახის გადაწყვეტილება მიიღო: Вакуфные в Карской и бывшей Батумской областях подчинить правилам установленным нашим законодательством для вакуфных имений у закавказских [ასს, ფ. ი-81, ან. 1 ს. 1, ფურც. 79].

აგიტაცია-პროპაგანდის გზით რუსები ცდილობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში მიწაზე კერძო საკუთრების უფლებების შეკვეცას. რუსეთის ხელისუფლება მოუწოდებდა მმართველ ძალებს, რომ სოფლის მოსახლეობაში მიწის მესაკუთრეთა მიმართ შეექმნათ არასასურველი, მტრული განწყობა.

რუსები ადგილობრივი მოსახლეობიდან კატეგორიულად მოითხოვდნენ მხარდაჭერას და აცხადებდნენ, რომ ისინი არ ცნობდნენ სავაყუფო საკუთრებას, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქალაქსა თუ სოფელში, რადგან მათი აზრით ვაყუფი ქმნიდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად აცხადებდა რომ: „мусульманское духовенство есть, бесспорно самые опасный враг в деле упрочения нашей власти в присоединенном крае. Поэтому необходима принять все меры к снижению его влияния на местное населения, что и должно заключаться прежде всего в недопущении его к землевладению в крае“ [ასს, ფ. ი-81, ან. 1, ს. 1, ფურც. 114].

საქართველოს დასაპყრობად მოსული მტერი მიწაზე არსებული კანონებს აუქმებდა და საკუთრების მისეულ კანონებს აწესებდა.

ახალშემოერთებულ ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლებამ კატეგორიული გადაწყვეტილება მიიღო: „К недвижимым вакуфным имуществом в присоединенном крае должно быть покончено раз и навсегда“ [ასს, ფ. ი-81, ან 1, ს. 1, ფურც. 104].

მიწის შესახებ მიღებული ახლი რუსული კანონი არ ცნობდა სავაყუფო საკუთრებას, ხოლო მიწათსარგებლობის დადგენილი წესი არ იძლეოდა მისი გადაცემის უფლებას იურიდიული პირების ხელში. კანონი მმართველ ძალას უფლებას აძლევდა საკუთარი შეხედუ-

ლებისამებრ გადაეწყვიტა ამა თუ იმ პირის ხელში მიწის გადაცემის საკითხი.

რუსეთის ხელისუფლება აჯილდოებდა იმ პირებს, ვინც საკუთარი ნებით უთმობდა მათ მიწებს. სავაყუფო მიწები წლების განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში, იცვლიდა 3-4 მესაკუთრეს, ბევრი ჰყიდდა მიწას და მიდიოდა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის 1895 წლის 6 სექტემბრის მიმართვაში მოითხოვდა სავაყუფო საკუთრების გაუქმებას და ამ მოთხოვნის მთავარ მიზეზად ასახელებდა სავაყუფო საკუთრებითი სამართლის შეუთავსებლობას ევროპულ საკუთრებით სამართალთან.

1903 წელს ქუთაისში არსებულმა მიხეილის სათავადაზნაურო სამიწათმოქმედო ბანკმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ბანკისთვის ნება დაერთო მისი ნამდვილი მფლობელისგან გირაოთ მიეღო აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო ქონება, სავაყუფო მიწის მესაკუთრეთა უფლებებს იცავდა თურქეთის და რუსეთის მოქალაქე ნიკოლოზ იორდანიდი. მან რუსეთის ხელისუფლებას კონსტანტინეპოლიდან ჩამოტანილი აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო მიწების დამფუძნებელი სპეციალური ფირმანი წარუდგინა, მაგრამ მის ბრძოლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთის ხელისუფლებამ აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო ქონება გამოიყენა აჭარაში საგანმანათლებლო საქმის განვითარებისთვის. ნიკოლოზ იორდანიდი კონსტანტინეპოლის გენერალურ საკონსულოში საქმიანობდა, 1898 წელს იგი გაანთავისუფლეს საზღვაო-სანაოსნო საზოგადოებასთან უსაფუძვლო გარიგების გამო, მორწმუნეების უკანონო გადაყვანისთვის. 1895 წელს ნიკოლოზ იორდანიდომ დაამთავრა მართლწარმოების სკოლა, ხოლო 1900 წელს მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტი, ადმოსავლური ენების სპეციალობით. ბათუმში იგი საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა. 1910 წლის 1 ოქტომბერს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი თავის საიდუმლო წერილში აღნიშნავდა, რომ თურქეთის გენერალურმა კონსულმა ჯაფარ-ბეიმ დაწერა თხოვნა ნიკოლოზ იორდანიდის სახელზე და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული გან-

ყოფილების ხელმძღვანელს სთხოვდა კავკასიის სამხედრო რუკას, რომელსაც თანდართული ჰქონდა კავკასიის, თურქეთის, ირანის გეოგრაფიული საზღვრები. რადგან ნიკოლოზ იორდანილი დაკავებული იყო მეცნიერული საქმიანობით და საუკეთესო მოხსენებებს აკეთებდა თურქეთის და ირანის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ, ამიტომაც თხოვნა მოტივირებული იყო სამეცნიერო დანიშნულების მიზნით, სინამდვილეში კი იგი მათ ესაჭიროებოდათ სამხედრო მიზნით. 1906 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანების საფუძველზე ნიკოლოზ იორდანილს 5 წლით აკრძალა ცხოვრება კავკასიის ოლქის საზღვრებში [ასს, ფ. ი-3, ან. 1, ს. 4, ფურც. 59-63].

1910 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალი თავის საიდუმლო წერილში აღნიშნავდა, რომ კავკასიის ოლქში ვრცელდებოდა პანისლამისტური იდეები და ამას უშუალოდ ხელმძღვანელობდა მუსლიმური ორგანიზაცია „ახალგაზრდა თურქეთი“, რაც უარყოფითად მოქმედებდა რუსეთ-თურქეთის გართულებულ პოლიტიკურ ურთიერთობაზე. მეფისნაცვალი მოითხოვდა ყოველდღიური მეთვალყურეობის დაწესებას რელიგიის აღმსარებლების მიმართ და კონტროლის დაწესებას მათ მიმოსვლაზე. ძირითადი მეთვალყურეობა დაწესდა „აზიზიეს“ და „ახმედის“ მეჩეთების მოღებზე. საეჭვო პირთა სიაში წარმოდგენილი იყო: ალიშვილი ოსმან იან-ოღლის, იაკობ შვილი ხოჯა რეშიდის, შუქრი შვილი მუსტაფა ჩალიყ-ოღლის, ოსმან მუსა, იბრაგიმ ხასანი, ხასან მეხმედი [ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს.474, ფურც. 1-8].

1911 წლის 7 აპრილს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ ბათუმის ოლქში პანისლამისტური სწავლება არ შეინიშნებოდა. 1912 წლის 12 იანვარს, მისი უდიდებულესობა გიორგი ლოგინოვიჩის დაწერილ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ პოლკოვნიკ პობურსკის მიერ გამოძიებული იქნა მისიონერ იერომონახი გავრილის ხულოს მოღებთან დაპირისპირების ფაქტი და ამის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ზემო აჭარის მუსლიმურ მოსახლეობაში რამდენადმე გამოცოცხლდა მოღების და ხოჯების გავლენა და გამოითქვა ეჭვი აზიზიეს მეჩეთში პანისლამისტური იდეების ფარულად პროპაგანდის შესახებ [ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 474, ფურც. 61].

1914 წლის 18 მარტს კავკასიის მეფისნაცვალის უზრუნველყოფის რუსეთის გენერალურ კონსულს აცნობებდა, რომ თორთუმსა და ოლთისიდან კავკასიაში გამომგზავრებას აპირებდნენ მუსლიმური ორგანიზაცია „ახალგაზრდა თურქეთის“ გაზეთ „ალ ბაირაკის“ რედაქტორი სელიმ ჰულადი და ვინმე ჯაფარბეი, ისინი ლაზების ტანსაცმელში იყვნენ გადაცმულნი, დავალებული ჰქონდათ აგიტაცია პროპაგანდის გაწევა კავკასიის მუსლიმებს შორის და ასევე სამხედრო მოქმედებების გართულების შემთხვევაში ამბოხების მოწყობა. [ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 674, ფურც. 9].

ასევე სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა ბათუმში რუსების მიერ აშენებულ ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარს. (დღევანდელი სასტუმრო ინტურისტის ადგილას).

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს როგორც თურქეთის, ისე რუსეთის სახელმწიფოების დამოკიდებულებას აზიზიეს მეჩეთის მიმართ და მათ მიერ რელიგიური დაწესებულებების გამოყენების ფაქტს სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების მიზნით.

გამოყენებული წყაროები:

ასს, ფ. ი-81, ან. 1, ს. 1 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე №1.

ასს, ფ. ი-6 ან. 1, ს. 590 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-6, ანაწერი 1, საქმე №590. **ასს, ფ. ი-3, ან. 1, ს. 4** – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-3, ანაწერი 1, საქმე № 4. 193

ასს, ფ. ი-81, ან. 1, ს. 1 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე №1.

ასს, ფ. ი-3, ან. 1, ს. 4 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-3, ანაწერი 1, საქმე №4.

ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 474 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №474.

ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 674 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №674.

ირანელები ბათუმში

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის (უწოდებდნენ „ინოროდცებს“ და „ტუზემცებს“) უფლებების შეზღუდვა, ეროვნული შუღლის გაღვივება, მათი იძულებით გადასახლება და ბათუმში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის ხელის შეწყობა. ამ მხრივ საინტერესოა ამ პერიოდში ბათუმში ირანული წარმოშობის მოქალაქეების ყოფაკულტურის ისტორიის საკითხების შესწავლა. ამ ურთიერთობის შესწავლის ინტერესს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ირანთან გვაკავშირებს ისტორიული წარსული.

საინტერესო სურათს იძლევა ბათუმის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 1878 წლიდან 1922 წლის ჩათვლით:

1878	3.000
1882	8.671
1886	14.803
1890	18.123
1897	28.508
1917	35.810
1922	60.810

[„ტრუდოვოი ბათუმი“, 1923: 3]

1922 წელს ბათუმში ეროვნული და სოციალური მდგომარეობის ნიშნის მიხედვით აღწერეს მოსახლეობა, რომელიც შემდეგ სურათს იძლევა:

სომეხი	6.481
რუსი	4.641
ბერძენი	3.303
ებრაელი	1.601
ირანელი	760
პოლონელი	437

გერმანელი	183
აფხაზი	97
აზერბაიჯანელი	61
ოსი	16
დანარჩენი ხალხი	1.017

1887 წელს ბათუმში ცხოვრობდა 1780 სპარსი [სდსინ, 2008: 86].

ამ პერიოდში ბათუმში მცხოვრები ირანელები სოციალური ნიშნის მიხედვით ასე ნაწილდება:

სულ ირანელი – 760, აქედან: დაქირავებული მუშახელის პატრონი – 9, მოსამსახურე –278, ხელოსანი – 219, პენსიონერი – 38, მუშა – 204, დეკლასირებული – 12.

1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 3984 სპარსელი [სონდულაშვილი 2005: 54].

ირანელები ბათუმში ძირითადად დაკავებულნი იყვნენ კომერციული საქმიანობით, ხელოსნობით, ეწეოდნენ დაქირავებულ შრომას. სხვადასხვა სახის საქონლით მოვაჭრე, მაგარამოვების სპარსული მალაზიები ძირითადად განთავსებული იყო მიხაილოვსკის, დღევანდელი ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე.

1922 წელს 1917 წელთან შედარებით ქართველთა რაოდენობა გაიზარდა 3%, სომეხი 4%, რუსები შემცირდა 12%, ბერძნები გაიზარდა 1%, ებრაელი 3%. 1917 წელს ბათუმში მოსახლეობის უმეტესობა რუსი ეროვნების იყო (რუსეთის არმიის ჩათვლით). 1918 წელს ბათუმში თურქების შემოსვლისას ქართველების რიცხვი შემცირდა 14, 6 %, სომეხი დარჩა 1,8 %, ბერძენი გაიზარდა 20 %. 1920 წელს ქალაქ ბათუმის მოსახლეობის ზრდა მოხდა სომეხების ხარჯზე 28, 2 %. 1922 წელს ბათუმის მკვიდრი იყო 29. 790, ქართველი 59% (17.568) სომეხი 16,7 %, რუსი 10%, ბერძენი 7% [ასს, ფ. ი-178, ან.1, ს. 9, ფურც. 20].

1926 წლის აღწერის მასალების მიხედვით ირანელთა რაოდენობა ბათუმში შემცირდა. მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1926 წელს ბათუმში ცხოვრობდა 744 ირანელი, აქედან 460 კაცი და 284 ქალი [ასს, ფ. ი 178, ან. 1, ს. 137, ფურც. 1].

1926 წელს სახელმწიფო მონოპოლიის ზრდამ კერძო საკუთრებასა და სავაჭრო საქმიანობაზე გამოიწვია ირანელთა ემიგრირება საკუთარ ქვეყანაში. ბათუმში მცხოვრები ირანელი მოქალაქეები ალექპერ მემედ ოღლი და ყულამა ახმედ ალა ოღლი გააძევეს ქალაქიდან იმ ბრალდებით, რომ ისინი დაკავებულნი იყვნენ კომერციული საქმიანობით და არ იცავდნენ რუსეთის საზღვაო საზოგადოების ინტერესებს [ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 439, ფურც. 5].

1926 წელს, 1922 წელთან შედარებით, თბილისში შემცირდა სპარსელთა რაოდენობა 30219 სულით ანუ 80%. 1949 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ირანელთა 1670 ოჯახი სახლობდა [სონდულაშვილი, 2005: 56].

ბათუმში ირანელი მოქალაქეების ინტერესებს იცავდა ირანის საკონსულო, რომელიც განთავსებული იყო ოღლას ქუჩაზე, ხუნწარიას კერძო სახლში, კონსული მირზა ალა ხანი (1901-1903წწ) [დერჟავინი, 1902: 57].

1906 წლის 22 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე ირანის კონსული, ბათუმში მცხოვრები კოლონისტების სახელით, მოითხოვდა 400-500 კვ. საჟ. მიწის გამოყოფას. მათ სურდათ შიიტური სწავლებისთვის მეჩეთის აშენება. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მიწის გამოყოფას შერემეტიევის, დღევანდელი ლუკა ასათიანის ქუჩაზე, რომელიც ეკუთვნოდა თავად მაჭუტაძეს. ისინი უარს აცხადებდნენ ანგისაში მეჩეთისთვის გამოყოფილ მიწაზე. თვითმმართველობის სხდომაზე გამოსულმა შამიკ ოღლიმ ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა. მას განუმარტეს, რომ დიდ პატივს სცემდნენ მორწმუნე ხალხის მოთხოვნებს, მაგრამ ქალაქის ცენტრში სხვა მშენებლობები იყო დაგეგმილი [მეგრელიშვილი, 2013:41]

1906 წლის დეკემბრიდან, ირანში განვითარებული სოციალისტური ხასიათის რევოლუციური მოვლენების ბათუმში შესაძლო გამოძახილის გამო, ბათუმის რუსული მმართველობა შიშს გამოთქვამდა და ირანის კონსულს მოუწოდებდა გაეწია ქმედითი კონტროლი ბათუმში მცხოვრები ირანელი მოქალაქეების მიმართ. ეს შიში იმითაც იყო გამოწვეული, რომ ირანის რევოლუციაში 180 ქართველი მონაწილეობდა. მათ შორის აპოლონ ჯაფარიძე, კაკო კორინთელი,

ლუკა ქოიავა, ვალიკო ბაქრაძე. 1908 წელს ირანელმა ხალხმა დაიტირა და ქ. რეშტში დაკრძალა ქართველი შალვა დოლიძე [სონღულაშვილი, 2005: 52].

რევოლუციური იდეებით იყვნენ შეპყრობილნი ირანული ორგანიზაციის „მოჯახიდების“ წევრები. ისინი ტერორისტული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. მოჯახიდების დამხმარე ცენტრი იყო თბილისში და მასში გაერთიანებულნი იყვნენ ირანის მოქალაქეები.

1905-1911 წლის ირანის რევოლუციის დროს თბილისში მოქმედებდა ირანის რევოლუციონერების დამხმარე კომიტეტი „ხუმათი“ (მუსულმანთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია) [სონღულაშვილი, 2005: 51].

რუსეთის ხელისუფლების პროვოკაციულ ქმედებას ბათუმში არსებულ ირანულ სათვისტომოსა და ბათუმში ახლად დანიშნულ კონსულ მირზა ალა ხანს შორის დაპირისპირება მოყვა, ბათუმის სპარსული სათვისტომო გამოთქვამდა უკმაყოფილებას და ირანის შაჰს თხოვდა კონსულის შეცვლას [ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 273, ფურც. 4].

1911 წელს ირანის შაჰის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერები გა დაასახლეს რუსეთში.

საბჭოთა პერიოდში საქართველოსა და ირანს შორის გაგრძელდა სავაჭრო საზღვაო ურთიერთობები. ირანული სატრანზიტო ტვირთის გადამუშავებას ბათუმის პორტში აწარმოებდა სავაჭრო კომპანია „სოვირანტურკტორგი“, რომელსაც პორტის ტერიტორიაზე გააჩნდა საწყობები, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას მოწოდებულ სატრანზიტო ტვირთზე. 1937 წლის 13 ოქტომბერს საექსპორტო თათბირზე დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი ირანული სატრანზიტო ტვირთის გადამუშავებისთვის და ბათუმის პორტის ხელმძღვანელობას მოუწოდეს უზრუნველყოთ ირანიდან მოწოდებული ტვირთის სათანადოდ დასაწყობება და კომპანიის მფლობელობაში არსებული საწყობები გადაეცათ ბათუმის პორტისთვის.

1937 წლის აგვისტოს მონაცემებით ირანის ტვირთი ბათუმის გავლით მიემართებოდა ევროპის ქალაქებში, კერძოდ, ჰამბურგში, ლონდონში, ბერლინში, როტერდამში, ანტვერპენში, მარსელში. ტვირთის ძირითად სახეობას წარმოადგენდა მშრალი ხილი, ნოსები,

შალეული, თხის ბეწვი, აქლემის ბეწვი, თაფლი, ბრინჯი, ნუში, თიხის ქურჭელი; სულ 2.132.90 კგ. ტვირთი.

1937 წელს „ირანსოკტრანს“ ჩამოერთვა ინსპექტირების უფლება და გადაეცა ბათუმის პორტის საბაჟოს.

1937 წელს ირანში რკინიგზის ხაზით ბათუმიდან გაიგზავნა 3481 ტონა ტვირთი. დღეს ბათუმში გახსნილია ირანის საკონსულო, გენერალური კონსულია აჰმად ბადფა. 2016 წლიდან საქართველოსა და ირანს შორის დაწესდა უვიზო რეჟიმი, ამავე წელს აჭარას 24 695 ირანელი ტურისტი სტუმრობდა, 2019 წლის 5 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანის კულტურის დღეები გაიმართა, მოეწყო ირანელი მხატვრების ხურა ფიძია დამისა და რანა საიდის ნამუშევრების გამოფენა. შეხვედრას ესწრებოდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი კულტურის დარგში ალი ჯანათი, ირანის გენერალური კონსული ახმად მადფა, საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ხამიდ მოსტაფავი. დღეს საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობას ძირითადად მოქალაქეთა კერძო ბიზნეს ინტერესები განაპირობებს.

ქვემოთ მოტანილ საარქივო დოკუმენტში (დოკ. №1) წარმოდგენილია 1922 წლის 30 ნოემბრის საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგები სქესის, ასაკის, დაბადების ადგილის და ნაციონალური ნიშნის მიხედვით. ცხრილში მოცემულია ოთხიდან ას წლამდე საქართველოში და მის გარეთ დაბადებულ სხვადასხვა ეროვნების და მათ შორის სპარსი მოქალაქეების რაოდენობა - სულ 1355 ადამიანი [ასს, ფ. ი-178, ან. 1, ს. 9, ფურც. 20].

დასკვნა: XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ირანელთა ცხოვრებამ ბათუმში გარკვეული კვალი დატოვა აჭარის საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში 1906 წლის დეკემბრიდან ირანში განვითარებული სოციალისტური ხასიათის რევოლუციური მოვლენების ბათუმში შესაძლო გამოძახილის გამო ბათუმის რუსული მმართველობა შიშს გამოთქვამდა და ირანის კონსულს მოუწოდებდა გაეწია ქმედითი კონტროლი ბათუმში მცხოვრები ირანელი მოქალაქეების მიმართ. ეს შიში იმითაც იყო გამოწვეული, რომ ირანის რევოლუციაში 180 ქართველი მონაწილეობდა.

საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო განხორციელდა ირანელთა ემიგრირება საკუთარ ქვეყანაში. ირანელთა ბათუმში ყოფისა და კულტურის ისტორიის შესწავლის ინტერესს – აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ირანთან გვაკავშირებს ისტორიული წარსული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასს, ფ. ი-178, ან. 1, ს. 9 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-178, ანაწერი 1, საქმე № 9.

ასს, ფ. ი-178, ან. 1, ს. 137 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-178, ანაწერი 1, საქმე № 137.

ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 439 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №439.

ასს. ფ. ი-1 ან. 1, ს. 273 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №273.

დერჟავინი, 1902: – დერჟავინი ნ., „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“, ბათუმი, 1902.

მეგრელიშვილი, 2013: – მეგრელიშვილი მ., „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“, ბათუმი, 2013.

სდსინ, 2008: – სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები აჭარა, III, ბათუმი, 2008.

სონდულაშვილი, 2005: – სონდულაშვილი ავ., „ირანში ქართველთა ნაკვალევზე“ თბილისი, 2005.

„ტრუდოვოი ბათუმი“, 1923: – გაზ. „ტრუდოვოი ბათუმი“, 1923წლის 8 სექტემბერი, №148.

ბათუმი ინგლისელთა მმართველობის პერიოდში (1918-1920 წწ.)

1918 წლის აპრილ-მაისში საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი იდგა და ამით ყველაზე მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ევროპული სახელმწიფოები, რადგან მათ უფლება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმეში.

1918 წლის 15 აპრილს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის წევრები პეტრე სურგულაძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები წერილით მიმართავენ ევროპის ქვეყნებს, რომელშიც წუხილს გამოთქვამდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გამო და აღნიშნავენ, რომ ყარსი, არდაგანი და ბათუმი, რომელსაც რუსეთი და თურქეთი ინაწილებენ, ისტორიულად საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდგომ თურქებმა კავკასია დატოვეს და 1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმს ინგლისი დაეპატრონა. ბათუმის მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ პ. ნ. მასლოვმა განაცხადა, რომ უმტკივნეულოდ მოხდა ხელისუფლების გადასვლა თურქებისგან რუსებისა და ინგლისელების ხელში, კერძოდ პ.ნ. მასლოვი და მომავალი გენერალ გუბერნატორი გ. კუკ-კოლისი მივიდნენ მუთასარიფთან და მას წაუკითხეს წესები ხელისუფლების გადაცემის შესახებ. ბრიტანეთის შავი ზღვის ძალების მთავარსარდლის გენერალ მილნის 1919 წლის 10 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორად დაინიშნა ბრიტანეთის არმიის ბრიგადის გენერალი კუკ-კოლისი, რომელსაც ევალებოდა კონტროლი ბათუმის ოლქში წესრიგის დაცვაზე [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 3, ფურც. 1-7]. სამხედრო გუბერნატორს უფლება ეძლეოდა თავისი შეხედულებისამებრ მოეწყო სამხედრო სასამართლო. ბრიტანეთის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ყოველი ქმედება განსახილველად გადაეცემოდა მათ მიერ არჩეულ სამოქალაქო ან კიდევ სამხედრო სასამართლოს და ისჯებოდა სიკვდილით ან სხვა სახის სასჯელით. ბათუმში ბრიტანეთის ჯარს ხელმძღვანელობდა ფორესტ იოკი.

ბათუმში დონდუკოვისა და თბილისის ქუჩების კუთხეში არსებული კაფე „მანტანა პალეკრისტალის“ შენობა გადაეცა პირველ საარტირელიო დივიზიონს [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 5, 11, ფურც. 1-172].

ბრიტანელთა ოკუპაციის პერიოდში ყველა სადავო საკითხს იხილავდა მათ მიერ დაწესებული ე.წ. „შემრიგებელი კამერა“ რომლის გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ბათუმში მცხოვრები რუსი ოფიცრები, რომლებიც რუსულ სამხედრო ფორმას ატარებდნენ, უნდა დარეგისტრირებულიყვნენ სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში, ხოლო დარეგისტრირების არ მქონე პირებს ეკისრებოდათ კანონიერი პასუხისგებლობა. სამხედრო გუბერნატორ კუკ-კოლისის 1919 წლის 10 ივნისის ბრძანებით ყაჩაღები, კაცის მკვლელები, რომლებიც ატერორებდნენ ქალაქის მოსახლეობას, ისჯებოდნენ უმკაცრესი კანონებით.

ამიერკავკასიაში ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების უფროსს, გენერალ გ.ფ. მილნის 1919 წლის 20 მარტის ბრძანებით ისჯებოდა ყველა ის პიროვნება, რომლებიც უნებართვოდ ატარებდნენ იარაღს, ან კიდევე ასაფეთქებელ ნივთიერებას. ამავე ბრძანებით აკრძალული იყო სახლიდან გასვლა ღამის 11 საათიდან დილის 5 საათამდე. ყველა გასართობი დაწესებულება უნდა დახურულიყო 12 საათზე. ასევე აკრძალული იყო ერობის სხდომის ან კიდევე სადღესასწაულო დღეების გარდა 6-ზე მეტი ადამიანის თავყრილობა, ქუჩებში ხმამაღალი საუბრები, საფრთხის შემცველი საინფორმაციო პრესის გავრცელება, ბრიტანეთის ჯარის სამხედრო ფორმის მუნდირის უნებართვოდ ტარება, ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ფალსიფიცირებული პასპორტების გაცემა, დოკუმენტების გაცემა, ოპიუმის მოხმარება და გავრცელება, აწარტული თამაშები. აიკრძალა მატარებლის ლიანდაგზე სიარული, მატარებლიდან ჩამოხტომა. ბრიტანეთის სამხედრო პოლისმენს უფლება ჰქონდა შესულიყო გასართობ დაწესებულებებში და გაეკონტროლებინა არსებული ვითარება. აღნიშნული წესრიგის დარღვევა ითვალისწინებდა ჯარიმას 40 000 მანეთის ოდენობით ან 3 თვით პატიმრობას.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორ კუკ-კოლისის 1919 წლის 23 იანვრის ბრძანებით ქალაქის სისუფთავისა და წესრიგის დაცვის მიზნით ყოველ მოქალაქეს აეკრძალა ქუჩების ნარჩენებით დაბინძურება, ქალაქის თვალსაჩინო ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, ხმაური, ჩხუბი, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუ გინდ გართობის მიზნით, ტროტუარზე ავეჯის გამოფენა და ვაჭრობა, ველოსიპედით მოძრაობა, ტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევა. კერძო მანქანის მფლობელს ქალაქში მგზავრობისთვის წელიწადში უნდა გადაეხადა 200 მანეთი, ხოლო მოტოციკლეტის მფლობელს 50 მანეთი. კერძო და სახელმწიფო მანქანები აღჭურვილნი უნდა ყოფილიყვნენ სათანადო ნიშნებით. ქალაქში მოძრაობის სიჩქარე არ უნდა აღმატებულიყო 12 ვერსს საათში. დროებითი მცხოვრებლები ვალდებული იყვნენ დაერეგისტრირებინათ საკუთარი ავტომობილები, ტექნიკური უსაფრთხოების მიზნით გაეკლოთ ტექდათვალიერება, სახელმწიფო ავტომობილზე ნომერი უნდა დაფიქსირებულიყო შავი ფერით თეთრ ფონზე, ხოლო კერძო მანქანებზე თეთრი ფერით წითელ ფონზე. ქალაქში იკრძალებოდა კრებების ჩატარება, მოქალაქეთა შორის მიმოწერა ექვემდებარებოდა ცენზურას [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 5, ფურც. 8].

ბათუმში ინფექციური დაავადებების და ქოლერის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქალაქის მმართველობასთან არსებული სანიტარული ბიურო აწარმოებდა წყალსმოკლებული სავაჭრო ადგილების დეზინფექციას, ქოლერით დაავადებულთათვის გახსნილი იყო ქოლერის ბარაკები. ბათუმის სუფთა წლით მომარაგების მიზნით ყოვლდღიურად ხდებოდა წყლის ანალიზი, აკრძალული იყო აუდუღარი წლით კვასის და ლიმონათის დამზადება, სასმელი წყლის „სოუქსუ“ გაყიდვა. კანონის დამრღვევნი ისჯებოდნენ 3 000 მანეთით, ან სამი თვით პატიმრობით.

ბათუმის გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლისის 1919 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაითხოვეს ბათუმის საქალაქო მმართველობა, შეიქმნა განსაკუთრებული სამმართველო, რომელშიც გაერთიანდა ინგლისელი ოფიცრები და ქალაქ ბათუმის რჩეული მოქალაქეები. საკრებულოს კუკ-კოლისისთვის უნდა წარედგინა ახა-

ლი თვითმმართველობის არჩევნების სქემა, რომელიც 1920 წლის თებერვლისთვის იყო დანიშნული. კუკ-კოლისის მიერ დანიშნულ დროებით მმართველობაში შევიდნენ მოქალაქეები: თავადი ჯავახოვი, გ. ლორთქიფანიძე, გ. ტოროსოვი, ხოლო მმართველობის თავმჯდომარედ დაინიშნა ინგლისელი ოფიცერი, რომელიც გუბერნატორის წინაშე ანგარიშვალდებული იყო. ბათუმის დროებით მმართველობასთან მოქმედებდა შემდეგი კომისიები: სარევიზიო, საფინანსო, საექიმო-სანიტარული, იურიდიული, სასკოლო, ტექნიკური, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების რეგულირების და ზოგიერთი სხვა.

კუკ-კოლისის 1919 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქში სამუშაო საკითხებთან დაკავშირებით დაფუძნდა სამუშაო საქმეთა კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ ფაბრიკა-ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, წარმომადგენლები ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოდან, სასურსათო უწყებიდან, სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებებიდან, სახელოსნოებიდან, სასოფლო-საზოგადოებისგან და ა.შ. ყველა დარგის სამუშაოზე მინიმალური გამომომუშავების თანხა გაიზარდა 100 %- ით. ეს გადაწყვეტილება არ ეხებოდა სპეციალური დარგის სამსახურებს.

1919 წლის 22 ნოემბერს, სამხედრო გუბერნატორმა მიიღო გადაწყვეტილება მინიმალური გამომუშავებული თანხის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, არაკვალიფიციური მუშებისთვის განისაზღვრა თვეში 2 750 მანეთი ან დღეში 110 მანეთი, ხოლო უმაღლესი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისთვის 4 000 მანეთი ან 160 მანეთი დღეში. ფიზიკური შრომით დაკავებული მუშა-მოსამსახურეებისთვის დაწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე, ხოლო გონებრივი მუშაკათათვის 6 საათიანი. პარიტეტულ საწყისებზე მუშაკთა კატეგორიებს განსაზღვრა ვდა პროფკავშირები და საექსპერტო კომისიები. მინიმალური გამომუშავებული თანხა არ ვრცელდებოდა სოფლის მეურნეობის და სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებზე. ქალისა და კაცის ერთი და იგივე შრომა ფასდებოდა თანაბრად. ორივე სქესის თექვსმეტიდან 18 წლამდე მოზარდების შრომის ანაზღაურება

ხდებოდა 25 %-ით, ხოლო თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე მოზარდების შრომა ანაზღაურდებოდა 50 %-ით.

1919 წლის 17 ივნისიდან უმუშევრობის შემცირების მიზნით ბათუმის ოლქში ამოქმედდა შრომის ბირჟა, რომლის რეზიდენციას წარმოადგენდა ერობის დარბაზი. სტატიაში დეტალურად გავიხილეთ ბათუმის უბნების სრული აღწერილობა, რათა მკითხველის თვალწინ გაგვეცოცხლებინა XX საუკუნის პირველი ნახევრის ბათუმი, თავისი მოჩუქურთმებულსვეტებიანი კერძო სახლებით, ფართო მოკირწყლული ქუჩებით, თავისუფალი მოედნებით, ბათუმის საპატრიო მოქალაქეებით და ა.შ.

ბათუმის მმართველი საბჭოს 1919 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე მთელი ოლქის მასშტაბით აღადგინეს უბნის ხელმძღვანელის თანამდებობა და იგი დაუქვემდებარეს ქალაქის საბჭოს. ასევე ქალაქის მმართველ საბჭოსთან დაფუძნდა განსაკუთრებულ საქმეთა უფროსის თანამდებობა, რომელსაც დაევალა შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელობა. ამ თანამდებობაზე დანიშნეს პოლკოვნიკი იონინი. ინგლისის ხელისუფალნი ცდილობდნენ შინაგან საქმეთა საქმის ორგანიზება გადაცემულიყო სამხედრო ჩინის მქონე ბრიტანელ მოსამსახურეზე. ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა უბნის ხელმძღვანელების არჩევის უფლებას და ოლქში მოქმედი ინგლისის საჯარისო ნაწილების შემცირებას. ინგლისელებს, რუსებს და თურქებს ბათუმის ოლქის უბნები განაწილებული ჰქონდათ შემდეგი სახით: პირველი უბანი ინგლისელებს ჰქონდათ დაკავებული, რომელშიც შედიოდა სასტუმრო „ფრანცია“, სახელმწიფო ბანკის ნაწილი, მიხეილის ქუჩა და საცხოვრებელი სახლი ნომერი 4, მეორე უბანში იყო მხოლოდ სომხური სკოლა, მესამე უბანში ვაჟთა გიმნაზია, ვარძელაშვილის სახლი – ყოფილი საარტირელიო სამმართველო, თბილისის და სმეკალოვის ქუჩების კუთხე, კომენდანტის სახლი, მარინეს სასწავლებელი, საგუბერნიო სახლი, სასაზღვრო დაცვის ლაზარეთი, რომელშიც სანიტარული სამმართველო იყო განთავსებული, ელიავას სახლი შეპელევის ქუჩაზე, ბ. ფიტინგოფის სახლი, ბათუმ-ტრაბზონის რკინიგზის სადგური, რომელშიც განთავსებული იყო ბათუმის ოლქის მმართველის კანცელარია, ასევე

ქართული სასწავლებელი, საკომერციო კლუბი, ქალთა გიმნაზია, ჩერნოვის სახლი-ვოზნესენსკის და ასათიანის ქუჩების კუთხე, ცხოველთა იზოლატორი. დაწყებითი სასწავლებელი, ასათიანის ქუჩაზე სახლი №17, სახლი №57, დიდი ყაზარმები ოლღას ქუჩაზე. თურქებს ბათუმში ეკავათ სახელოსნო სასწავლებელი, საავადმყოფო, სასაზღვრო პორტი, ბათუმის ბავშვთა თავშესაფარი, პეტროგრაფის ქუჩაზე სახლი №108, საეტაპო პუნქტი, საინჟინრო სამმართველო, ბათუმში რუსებს დაკავებული ჰქონდათ: ხაზინა, სადგური, საპატიმრო და თვითმმართველობა. ქალაქის მეოთხე უბანში ინგლისელებზე განაწილებული იყო ლერმონტოვის ქუჩაზე არსებული სახლი №53. ამ პერიოდში თურქებს ბათუმში დაკავებული ჰქონდათ ექვსი შენობა: წითელი ყაზარმები, ბერტმანის და კარპოვის საკუთრება პუშკინის პროსპექტზე, გოზალიშვილის საკუთრება-პუშკინის და საზღვაო ქუჩების №4, მღვდელ ჩხიკვაძის სახლი – პუშკინის და შეპელევის ქუჩების კუთხე, გამანაწილებელი პუნქტი, საბაშვილის საკუთრება – შერემეტიევისა და პუშკინის ქუჩების კუთხე. ბათუმში ინგლისელებს დაკავებული ჰქონდათ მეხუთე უბანი, რომელშიც შედიოდა გუბერნატორის თანამშენის სახლი, საბაჟოს ნაწილი, საავტომობილო სახელოსნო, ჩილინგარიანის სახლი – სანაპიროს ქუჩა, კომენდანტის ბაზა, თურქებს აქ ეკავათ კარანტინის ნაწილი, აზიზიეს მოედანი, სვიატოპოლსკის და სულთნის კუთხე, ოკლობჟიოს და ქუთაისის ქუჩების კუთხე. რუსებზე მეხუთე უბანში განაწილებული იყო საბაჟოს ნაწილი, საპორტო სამმართველო, რუსული საზოგადოების შენობა [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1 ს. 1, ფურც. 48].

ბათუმის მმართველი საბჭოს 1919 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილებით გონიოს უბნის ხელმძღვანელის რეზიდენცია გადავიდა მარადიდში. დაწესდა ართვინის საქალაქო მილიციის ხელმძღვანელის თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა გ. ბაგდასარიანი [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1 ს. 2, ფურც. 10].

1919 წლის 4 თებერვალს, ბათუმის მმართველი საბჭოს სსდომაზე განიხილეს მიწის საკითხი. მმართველი საბჭოს წევრების ერთმა ნაწილმა მოითხოვა საკითხის გადადება იმ მოტივით, რომ არსებული მიწები არ იმყოფებოდა სახელმწიფო საკუთრებაში და ამასთან

ერთად დეკრეტის გამოქვეყნებამდე არ ჰქონდათ უფლება დაეკანონებინათ კერძო პირების საკუთრებაში არსებული მიწები. თუმცა, ბოლოს მაინც განიხილეს აღნიშნული საკითხი და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა მიწა, რომელიც საბჭოს მიერ დეკრეტის გამოცემამდე არ იმყოფებოდა სახელმწიფო საკუთრებაში და ამავე დროს მათ განკარგავდნენ და მისით სარგებლობდნენ კერძო პირები, უნდა დამტკიცებულიყო მისი მფლობელის პირად და მემკვიდრეობით საკუთრებაში.

მიწის რეფორმის გასატარებლად დააფუძნეს მიწის კომიტეტი, რომელშიც ჩართული იყო თითო წარმომადგენელი სატყეო, სასამართლო, ფინანსურ-მაკონტროლებელი და ადმინისტრაციული ორგანოებიდან. ბათუმის ოლქის ქალაქის გარეთ არსებული მიწები, რომელიც არ ეკუთვნოდა კერძო პირებს და ის სახელმწიფო მფლობელობაში იყო, გადაეცემოდა სასოფლო საზოგადოებას. აიკრძალა სახელმწიფო ტყეებიდან უფასოდ შეშის გამოტანის და პირუტყვისთვის საძოვრების გამოყენების უფლება. მიწის მფლობელს საკუთრება რეესტრში უფორმდებოდა ნოტარიული წესით. მიწის მესაკუთრე მხოლოდ სანოტარო ხარჯებს ფარავდა. მიწები გადანაწილდა შემდეგი ოდენობით: ბათუმის და მარადიდის დასავლეთ ნაწილში და ყარა შავლაწკის ბორცვზე 4 დესეტინა, მარადიდის და ქვემო აჭარის დარჩენილ ნაწილში 6 დესეტინა, ხოლო ოლქის ყველა სხვა უბანში 8. სახელმწიფო ფონდში არსებული მიწების რაოდენობის უკმარისობის გამო შესაძლებელი იყო აღნიშნული ნორმები შემცირებულიყო. სახელმწიფომ ტყეები აღიარა წლის წყაროების დამცავ ზოლად და იგი არცერთ შემთხვევაში არ უნდა გადასულიყო სასოფლო საზოგადოებების ხელში. მუჰაჯირების მიწები გადაეცემოდა საკუთრებაში მათ მემკვიდრეებს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უფასოდ უნაწილდებოდათ უღარიბეს მოსახლეობას, პირად და მემკვიდრეობით საკუთრებაში.

1886 წლით აღიარებული საკუთრებითი უფლება მუჰაჯირების მიწებზე განისაზღვრა 2000 დესეტინით. ფიჭვნარის აგარაკი და ადრე სამხედრო უწყების განკარგულებაში არსებული მიწები დაყვეს არც ისე დიდ უბნებად და მსურველთა შორის გადაანაწილეს. არსებულ

მიწებზე სახლების აშენების ვალდებულებისგან გაათავი- სუფლეს არენდატორები და მთავარ ვალდებულებად აღიარეს მიწის კულტი- ვაცია [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 183].

1918-1919 წლებში ბათუმში ფულად მიმოქცევაში თანაბარ უფლებებზე დაუშვეს ნიკოლოზის საკრედიტო ბილეთები, კერენსკის მანეთი – ყველა კუპიურა (ე.წ. კერე- ნოკი), ამიერკავკასიის ბონები და განსაზღვრული დროით თურქული ლირაც [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 91].

ბათუმი გეოგრაფიული მდებარეობით და ეკონომიკური ურთი- ერთობებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამიერკავკასიასთან, სადაც ფულად მიმოქცევაში იყო ამიერკავკასიის ბონები და რომ არ დაეშვათ ის, მაშინ ძნელი იქნებოდა ბათუმის სავაჭრო ცხოვრების აღორძინება. ჯერ კიდევ 1918 წლის 30 დეკემბერს, ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს სხდომაზე აღნიშნეს, რომ ამიერკავკასიის ბონები თავისი ღირებულებით და სრულფასოვნებით ვერ გაუტოლდებოდა სრულიად რუსეთის ფულად ნიშნებს. ამ პერიოდში ამიერკავკასიის ბონების ფულად მიმოქცევაში დაშვება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან ამიერკავკასია დაშორდა რუსეთს და დაიშალა სამ სახელმ- წიფოდ. ამასთან ერთად. რომანოვის ფულთან შედარებით ამიერ- კავკასიის ბონებისთვის უპირატესობის მინიჭება გამოიწვევდა ადგილობრივი ბაზრის ავსებას ამიერკავკასიის ბონებით, ხოლო რომანოვის ფული დროთა განმავლობაში გაქრებოდა ხმარებიდან და ამის საფუძველზე დაიკარგებოდა რუსეთის ბაზარზე აუცილე- ბელი პირველადი მოხმარების საგნების შესყიდვის შესაძლებლობა, რადგან რუსეთში ამიერკავკასიის ბონები არ გამოიყენებოდა ფულად მიმოქცევაში. ამიტომაც, ბათუმის მმართველი საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ფულადი ნიშნების გათანაბრებას, რადგან რუსე- თისთვის ამ პერიოდში აუცილებელ პროდუქტს წარმოადგენდა ნავ- თობი და მინერალური ზეთი, რომელსაც ბათუმის ზღვით ღებულობ- და ბაქოდან.

1918 წელს საქართველო სომხეთს შორის მიმდინარე ომის გამო რუსეთი ინგლისის ხელისუფლებიდან გარანტიებს ითხოვდა კავკა- სიის ბანკის სესხთან დაკავშირებით (300 000 მან).

1919 წლის 5 აგვისტოს ბათუმის სამხედრო გუბერნატორის ბრძანების საფუძველზე ქალაქ ბათუმიდან სხვადასხვა საქონლის გატანაზე გაიცემოდა სპეციალური ნებართვა. აიკრძალა ქალაქიდან საქონლის ნაწილ-ნაწილ გატანა. ჩაქვის სახელმწიფო მამულიდან სხვადასხვა ხარისხის ჩაის გატანაზე დაწესდა სპეციალური ფასები. ბათუმში პოლონეთის წარმომადგენელ რაევსკის ნება დართეს ბათუმიდან პოლონეთის დივიზიისთვის გაეტანა 40 ფუთი ჩაი და 390 ფუთი ნავთი. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ ინგლისურ და რუსულ ენაზე ოფიციალურად ქვეყნდებოდა პროდუქტებზე ფასები, რომლის ზევით მოსახლეობისთვის მიყიდვის უფლება ვაჭრებს აეკრძალათ. ფასებს ადგენდა ქალაქის კომისია. ფასები იცვლებოდა ბაზარში არსებულ პირობებთან ერთად. ბაზრის ფასებს კონტროლს უწევდა მილიცია და კონტროლიორები. სავაჭრო წესების დარღვევისა და სპეკულაციისთვის დაწესებული იყო ჯარიმა 3000 მანეთის ოდენობით, ან პატიმრობა სამი თვით. ადგილობრივ პრესაში ვრცელდებოდა ფასები საბაზრო პროდუქტებზე [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 7, ფურც. 13].

ბათუმის მმართველი საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის დასუფთავებას.

ქალაქის 5 უბანში იმყოფებოდა ექიმი სამი აგენტით. ყოველდღიურად ქალაქის მმართველი საბჭოს მიერ ხდებოდა ინფორმაციის დამუშავება თუ რომელ უბანში რა დარღვევები იყო, რამდენი ამოთხრილი ორმოა, რამდენი ურიკა და სანაგვე ყუთი არის საჭირო ქალაქის დასასუფთავებლად. მათ მიერ გამოთვლილი და დაჯამებული ციფრების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ქალაქის დასუფთავებისთვის საჭირო იყო 24 დღე, 292 ნაგვის ყუთი და 118 ცხენი. ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოქალაქეებს ინფორმაციას აწვდიდა გაზეთი „ჩვენი მხარე“ («Наш Край»). ამ პერიოდში ბათუმში არსებული კულტურულ-გასართობი დაწესებულებებიდან აღსანიშნავია შმაევსკის თეატრი, რკინის თეატრი, გამყრელიძის ცირკი, ბროვალის კინოთეატრი, კინომატოგრაფი რელიგიონი.

1919 წლის 15 მარტს ბათუმის ოლქის საბჭოს სხდომაზე განიხილეს კიევის ოლქის მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ინსტიტუტის პროფესორ ვაგნერის წინადადება, ბათუმში ანალოგიური საცდელი სადგურის გახსნის შესახებ, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო შემოთავაზებული წინადადება უარყვეს [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 146].

1919 წლის 4 თებერვალს, მმართველმა საბჭომ ქალაქის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორად აირჩია ჯაყელი, ხოლო უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლების ინსპექტორად მაჭავარიანი. აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლება პირველ წელს წარმოებდა მშობლიურ ენაზე, ხოლო მშობლებთან შეთანხმებით მეორე წელს ის- წავლებოდა რუსული ენა, მესამე წელს სწავლება წარმოებდა მშობლიურ ენაზე რუსულის დახმარებით, ხოლო მეოთხე წელს რუსულ ენაზე მშობლიური ენის დახმარებით [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 99].

1918 წელს გახსნეს შემდეგი სკოლები: რუსული სკოლები სლობადაში, ბარცხანაში, ქობულეთში სმეკალოვის სკოლა და ასევე ქართული სკოლა. ართვინში ინგლისელებისგან ითხოვეს ვაჟთა გიმნაზიის შენობა. მარადილში გაიხსნა ვეტერინარული საფერშლო. 1919 წლის 20 თებერვალს ბათუმში გაიხსნა მარინის სასწავლებელი [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 120-121].

ქალთა და ვაჟთა გიმნაზიაში და უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში დაუშვეს ძველი ებრაული ენის სწავლება [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 2, ფურც. 16].

1919 წლის 15 მარტს გაიხსნა კვირიკის დაწყებითი სასწავლებელი (გამგე ა. ბემბუროვი, მეორე მასწავლებელი კ. აბრამიდი), ასევე აღსანიშნავია დაგვისა (გამგე მ. ცაცანიდი) და ორთაბათუმის დაწყებითი სასწავლებლები [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 176].

1919 წლის 28 იანვარს ბათუმის მმართველმა საბჭომ სახალხო სასწავლებლების ინსპექტორ ჯაყელს დაავალა დაემუშავებინა არქივი და ოზურგეთის მასალები გადაეგზავნა თბილისში, ხოლო თბილისიდან ბათუმში ჩამოეტანა ბათუმის რაიონის დოკუმენტური მასალა [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 2, ფურც. 54].

ამ პერიოდში ბათუმის ოლქის საგერბო მარკაზე წრეში ჩახატულ ცის ფონზე გამოსახულია ფოთლოვანი ხეები (შესაძლებელია პალმან მუნა) წრის გარშემო რუსულ ენაზე წერია ბათუმის ოლქი, საგერბო მარკა, ხოლო გვერდებზე 2 მანეთი [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 2, ფურც. 39].

1920 წელს კავკასიაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე ინგლისი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბათუმი. პროფესორები აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურული აღნიშნავენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, დროული და გადამჭრელი ღონისძიებები ვერ გაატარეს აჭარაში. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მოსახლეობასთან დამოკიდებულების საქმეში დაუშვა გაუმართლებელი შეცდომა და ამით დაუპირისპირდა აჭარაში არსებულ ქართული ორიენტაციის ძალებს. 1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აჭარაში არსებული ვითარების შესასწავლად გამოაგზავნა პეტრე გელეიშვილი. მართალია მან დეტალურად შეისწავლა აჭარაში არსებული ვითარება და 1920 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საკმაოდ მისაღები და საინტერესო მოხსენებითი ბარათიც წარუდგინა, მაგრამ ამას მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარი ღონისძიებები არ მოჰყოლია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბათუმის ოლქის კომისრად ბენია ჩხიკვიშვილის დანიშვნასაც არ მოჰყოლია სასურველი შედეგი [სილაგაძე, გურული, 1998: 7]. ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები და მათ შორის სომხები, ქართული ორიენტაციის არ იყვნენ და ბათუმის მისი კანონიერი პატრონისთვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის გადაცემა არ სურდათ [სარალიძე, 2019: 312].

აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია ინგლისელთა ანტიქართული განწყობა, მით უფრო, რომ ამ პერიოდში ვ.ლ. ლენინსა და ათათურქს შორის ბათუმთან დაკავშირებით მიმდინარეობდა საიდუმლო მოლაპარაკება. 1919 წლის 4 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე დაისვა საკითხი გამოთავისუფლებული

შენობის ქართული გიმნაზიისთვის გადაცემის შესახებ, მაგრამ რატომღაც ეს საკითხი განსახილველად სამომავლოდ გადადევს. ამავე სხდომაზე სათათბიროს წევრმა ხ. ა. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ 1919 წლის 28 მარტს, ღამით, ბიჩერახოვსკის რაზმის სამმა შეარაღებულმა კაზაკმა მასზე მოახდინა თავდასხმა. ასევე მან მიუთითა ბათუმში, მილიციის თვალწინ, კაზაკების მხრიდან მშვიდობიან მოსახლეობაზე გახშირებულ თავდასხმებზე, განსაკუთრებით თურქულ ბაზარზე. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველები აცხადებდნენ, რომ მათ აქვთ ბრძანება კაზაკთა ხელშეუხლებლობაზე. აღნიშნულ სხდომაზე სათათბიროს წევრი გოგოლაძე დაინტერესდა ბათუმში კაზაკთა საქმიანობით. კაზაკები ინგლისელთა მხრიდან მატერიალურად იყვნენ უზრუნველყოფილნი. ისინი განთავსებულნი იყვნენ „პერესილნი ჰუნქტი“ (ჰუშკინის ქუჩა, ყოფილი კინოთეატრი ბათუმი). ასევე უნდა ითქვას რომ ინგლისელთა მიერ დაწესებული კომენდანტის საათი ეროვნების მიუხედავად ბათუმის მოქალაქეებს ავალდებულებდა ქალაქში წესრიგის დაცვას [ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 728, ფურც. 6-7].

უახლესი ისტორიის მკვლევარი ე. ვ. არხიპოვა სტატილაში „ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში“ მიანიშნებს, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა ფიზიკური და ეკონომიკური სისუსტე ართმევდა მათ შესაძლებლობას რეალურად განეხორციელებინათ კავკასიაში თავიანთი ძალაუფლება“ [არხიპოვა, 2016: 216-224].

ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა თავისი ძალაუფლება აჭარაში. დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით განებივრებული სომხეთი ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებდა ახალციხე, ახალქალაქსა და ბათუმზე. შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული იყო ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით მიეღო სხვადასხვა გადაწყვეტილება. ინგლისის მთავრობა სომხებს ლობირებას უწევდა ართვინის საერობო დაწესებულებებში. გაზეთი სამუსლიმანო საქართველო 1919 წლის 9 მაისის გაზეთ „ამხატავორის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ინგლისმა

სომხეთს გადასცა ყარსის ფორტები. საინტერესოა 1920 წლის 18 თებერვალს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი სტატია, რომელიც ეხება ბათუმის საკითხით სომხების დაინტერესებას. კერძოდ, სტატიაში აღნიშნულია, რომ სომხეთი ეძებს შავ ზღვაზე გასავალ პორტს და მისი ყურადღება ამ ძიებაში შეიძლება ბათუმზე შეჯერდეს. ბათუმის ოლქი მუსულმანებით არის დასახლებული და ეს იზიდავს აზერბაიჯანის პანისლამისტურ წრეებს. ამიერკავკასიის ყველა სახელმწიფოს ბათუმთან საკუთარი ინტერესები აკავშირებს. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადამჭრელი სიტყვა საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნის. ილია გვმოძღვრავდა, რომ სოციალურთან და ინტერნაციონალურთან ეროვნულსაც ნუ დაივიწყებთ, გახსოვდეთ, რომ ერს მუდმივი მტრები და მეგობრები არ ჰყავს, მას მხოლოდ მუდმივი ეროვნული ინტერესები აქვს. 1919 წლის 7 იანვარს გაზეთ „შრომაში“ აღნიშნული იყო, რომ 1918 წლის საქართველო სომხეთის ომში სომხებს ინგლისელების იმედი ჰქონდათ და ინგლისელებმა პირველ ხანებში თითქოს გაუმართლეს, მაგრამ საკმაო აქტივობას ვერ იჩენდნენ. ისინი უფრო სომხების ვეჟილებად გამოდიოდნენ, ვიდრე შუამავლად ქართველებსა და სომხებს შორის. ინგლისელთა ზეწოლის გამო ქართველებმა დამარცხებული სომხების ღვენა შეაჩერეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებისთვის ისინი არავითარ ძალას არ წარმოადგენდნენ და მათი საბოლოო დამარცხება მეტად იოლი იყო. ასეთი ფაქტი ომის ისტორიაში იშვიათია. ქართველებმა დიდი რაინდობა გამოიჩინეს.

1919 წლის 9 მაისს გაზეთი სამუსლიმანო საქართველო აშუქებს ინგლისელთა დამოკიდებულებას სევერბეგის ავანტიურასთან დაკავშირებით. სევერბეგ ქობლიანსკის ქმედება ინგლისელებმა შეაფასეს, როგორც ძმათა შორის სისხლისღვრა. ინგლისის მთავრობამ დაატყვევა „ყარსის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობა და ამით უზრუნველყო აჭარაში მშვიდობა. 1920 წლის 7 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა დემოკრატიული მთავრობის მიმართვა ბათუმის ოლქის მცხოვრებლებისთვის, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბათუმის დაბრუნებით გაიმარჯვა სამართლიანმა საქმემ. ინგლისმა და მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ ბათუმი და მისი

ოლქი სამუდამოდ დაუბრუნდეს საქართველოს. ამ ცნობას აჭარის მოსახლეობა სრული თანაგრძნობით შეხვდა. ამავე დროს ბათუმში ჩამოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები: საყვარელიძე, ფირცხალავა, ვეშაპელი. 1920 წლის 1 მარტს ბათუმში გამართულ საზეიმო სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო უბათუმოდ დასახიჩრებულ სხეულს დაემსაგავსებოდა და რომ ბათუმის ოლქი შეადგენს საქართველოს ორგანულ ნაწილს ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, სამრეწველო განვითარებით. საქართველოსთვის ბათუმის გადაცემა მოსახლეობას მიულოცეს ინგლისის, უკრაინის ირანის კონსულებმა. 1920 წლის 2 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა, კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარ ოლივერ უვორდროპისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის ქართველი მუსულმანების ყრილობამ გამოიტანა დადგენილება და მოითხოვა ავტონომიურ საწყისებზე ბათუმისა და მისი ოლქის შეერთება საქართველოს რესპუბლიკასთან.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1: – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-67, ანაწერი 1, საქმე №1. გამოყენებულია, აგრეთვე, ამავე ფონდის საქმეები: №№ 2, 3, 5, 7,
ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 728: – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე №728.
„სამუსლიმანო საქართველო“, 1919: – „ყარსის ავანტურისტები შავშეთში“, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, 1919 წლის 3 მაისი.
„ერთობა“, 1920: – „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა ოლივერ უორდროფს“, გაზეთი „ერთობა“, 1920 წლის 2 მარტი.
„შრომა“, 1919: – „საქართველოს სომხეთის ომი“, გაზეთი „შრომა“, 1919 წლის 7 იანვარი.
„ერთობა“, 1919: – „სომხეთის ინტერესები შავ ზღვაზე“, გაზეთი „ერთობა“, 1919 წლის 18 თებერვალი.

სილაგაძე, 1998: – სილაგაძე, გურული, „პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში 1920 წ.“, თბილისი, 1998.

არხიპოვა, 2016: – „ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში“, ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ (რუსულ ენაზე), 2016.

მანუხინი, 2016: – „რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები“ ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ (რუსულ ენაზე), მოსკოვი, №5, 2016.


სიორიძე, 2007: – „სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში“ ბათუმი, 2007.

სარალიძე, 2019: – „ბათუმი ინგლის-ოსმალეთის ხელისუფალთა გეგმებში (1920-1921)“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, ბათუმი, 2019.



გოგოლიშვილი, 2005: – გოგოლიშვილი ო., „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში“, ბათუმი, 2005.

მესხია, 2003: – მესხია., „ინგლისურ-რუსული ადმინისტრაციის შექმნა ბათუმის ოლქში (1919 წ.), – კრ.: „ისტორია – ერის მესხიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარი“, ბათუმი, 2003.

დანართები:



საქართველოს ისტორიის ატლასი „ინგლისის საოკუპაციო ზონა“ გვ. 70



ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოება

რუსეთი და ინგლისი ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან დაინტერესდნენ საქართველოსთან საზღვაო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებით. 1563 წელს რუსეთის მეფე ივანე მეოთხე მოსკოვში სტუმრად მყოფ ინგლისის სავაჭრო კომპანიის წევრებს ანტონ ჯეკინსონს, ლორენს ჩემპელს, ჯეფერ დეკარტს და არტურ ედუარდს სთხოვდა საქართველოსთან სავაჭრო საქმეების მოწესრიგებას.

ინგლისელ მოგზაურთა დღიურებში აღწერილია საქართველოზე გამავალი აბრეშუმის გზა, სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ა.შ. ინგლისის დედოფლის წერილში ირანის ხელქვეითი ქვეყნის საქართველოს დიდ მეფედ მოხსენიებულია შაჰ თამაზი. სამწუხაროდ იმპერიების ასეთი დამოკიდებულება პატარა ქვეყნების მიმართ დღემდე გრძელდება [ცინცაძე, 1956 :120].

ბათუმში პორტო-ფრანკოს დროს დამკვიდრებულ ევროპულ ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობას ხელი შეუწყო 1923 წელს დაარსებულმა ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოებამ (Arcos Limited), რომლის რეზიდენცია განთავსებული იყო ბათუმში, ყოფილი კომაროვის, დღევანდელი დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე, N1-ში. სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოება ბათუმის პორტის საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით გაჰქონდა სავაჭრო საქონელი, რითაც ბათუმის პორტი დიდ მოგებას დებულობდა. 1924 წელს ბათუმის სააგენტოს მმართველი იყო ვ.ა. დობროვოლსკი, ბუღალტერი ე.ფ. ანდრე, მოანგარიშე რ.პ. ბადრიანი, ტექნიკური კონსულტანტი გ.ა. ზელგეიმი, ექსპედიტორი ა.მ. უტნელოვი, საწყობის გამგე ა.ი. პოსლავსკი [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 19, ფურც. 62].

სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოების საქმიანობა იწყება ჯერ კიდევ 1920 წლის ივნისს, ლონდონში. მისი საქმიანობის გაფართოების შედეგად საბჭოთა კავშირის ქალაქებში და მათ შორის ბათუმში შეიქმნა სააგენტოები, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა საექსპორტო საქმეების წარმოება, ანგარიშების შედგენა და ა.შ.

მთავარი ოფისი ლონდონში იყო. სავაჭრო საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ართვინის ოლქის მიმართ, რადგან იგი იყო ნედლეულით მდიდარი თურქეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა. ამ პერიოდში რუსეთს თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობა ნაკლებად ჰქონდა. აღნიშნული საზოგადოების მმართველი იყო ა.დ. დრილი. ამიერკავკასიაში - კ.ა. ეტლი. რუსეთის მხრიდან სავაჭრო კომპანიის საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ ლ.ბ. კრასინი, მ.მ. ლიტვინოვი, ვ.პ. ნოგინი. სავაჭრო საზოგადოების რეზიდენცია განთავსებული იყო ლონდონ სიტში, მურგეიტის ქუჩაზე, სახლი №49, სატელეგრაფო მისამართი "Arkocarkos", მთავარი კანტორა PRAYARCOS.

იგი აწარმოებდა დაფინანსებას, კონტროლს უწევდა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული განყოფილებების ქმედებას. მის გარეშე დამოუკიდებლად ვერ აწარმოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს. სავაჭრო საზოგადოება „არკოსის“ განყოფილებები იყო ნიუ-ორკში, პარიზში, რიგაში, მოსკოვში, ხარკოვში, ნოვოროსიისკში, თბილისში, ახლო აღმოსავლეთში და ა.შ. მოსკოვი აერთიანებდა საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა დაწესებულებას, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ მის წინაშე. ასევე „არკოსი“ აერთიანებდა საზღვაო კომპანიებს „АРКО-СГИМ ШИП“, საბანკო გაერთიანებას „ბენკინგ-კორპორეიშენ“ და სააქციო საზოგადოება „КНИГА“ [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 18, ფურც. 72].

1925 წელს ფირმამ „LIB RA FRIESTINA“ „არკოს“ შესთავაზა რეგულარული ხაზი შავი ზღვა-ამერიკა. ამავე ფირმის სურვილი იყო, ჩაერთოთ ჩრდილოეთ ამერიკისა და შავი ზღვის პორტებს შორის მიმოსვლაში პირველი კლასის გემები [Благодатная, 2015: 14-15]. ოდესის სახელმწიფო არქივში ინახება „არკოსს“ და შავი ზღვის პორტებს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულებები [ოსა, ფ. რ1965, ან. 1, ს. 4, ფურც. 40].

1923 წლის 6 მარტს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რუსეთმა ინგლისური კომპანია „არკოსი“ აღიარა ექსპორტის ყველაზე მსხვილ გაერთიანებად და დაიწყო მასთან თანამშრომლობა. 1927 წელს გაერთიანება „არკოსის“ მოგებამ შეადგინა ასი მილიონი ფუნტი სტერლინგი. ამავე წელს რუსეთსა და ინგლისს შო-

რის სავაჭრო ურთიერთობას შეექმნა საფრთხე, კერძოდ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჟოზეფ ოსტინ ჩემბერლენმა, საბჭოთა მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რათა შეეწყვიტათ ანტიინგლისური პროპაგანდა და ჩინეთის გომინდენის მთავრობისადმი სამხედრო მხარდაჭერა. თუმცა 1929 წელს რუსეთსა და ინგლისს შორის ისევ აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა. სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოების საქმიანობა გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომამდე.

1923 წელს სრულიად რუსეთის თამბაქოს ტრესტმა გამოთქვა სურვილი უცხოეთის ბაზრის ფასის მიხედვით შეეძინათ სოხუმის თამბაქო. ჭიათურის მარგანეცის საწარმოო გაერთიანება „ჩემო“ საბჭოთა კავშირში ექსპორტის კუთხით მესამე ადგილს იკავებდა. მას საკუთარი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა ლონდონის საფრახტო ბიუროში, მაგრამ ეს საკითხი არ წამოჭრილა ამერიკელებთან სრული კონცესიის შესახებ მოლაპარაკებების დროს.

შავი ზღვის ბათუმის პორტი წარმოადგენდა ოკეანის მიღმა არსებული სახელმწიფოების დამაკავშირებელ საზღვაო გზას. აქ გადაზიდვებს აწარმოებდნენ საზღვაო-სავაჭრო საზოგადოებები: „მესაქერ-მერიტიმი“, „ნ.ნ. პაკო და კ-ო“, ჩრდილოეთ გერმანიის „ლოიდი-ბრემენი“, ავსტრიის „ლოიდ“ და ა.შ. რუსეთი ვაჭრობის სფეროში საქართველოსა და მსოფლიოს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. დღეს ამ საქმით ევროპული ქვეყნები არიან დაინტერესებულნი. სავაჭრო საზოგადოება „არკოსის“ ბათუმის განყოფილება მოსკოვს თავის გეგმას წარუდგენდა, ხოლო ეს უკანასკნელი რეკომენდაციას აძლევდა, თუ რომელი საქონელი გაეტანათ საექსპორტოდ. ხშირად მოსკოვის განყოფილება უგულებელყოფდა ადგილობრივ მოთხოვნას. 1923 წელს მოსკოვმა ნაადრევად ჩათვალა ბათუმის მოთხოვნა თურქეთსა და ირანში შალეულისა და მარგანეცის გატანასთან დაკავშირებით. მოსკოვი ნაკლებ ინტერესს იჩენდა ბათუმიდან შემოთავაზებულ საქონელზე - ნიგოზზე, დაფნის ფოთოლზე, ქალის თმებზე, ჩაიზე, დაონსერვებულ ხილზე, ღვინოზე. მოსკოვი თვლიდა, რომ უცხოეთის ქვეყნებთან საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების წარმოება მათი პრეროგატივა იყო. ექსპორტის ძირითად საგანს წარმოადგენდა მარცვლეული, საშენი, მასალა, მშრალი ნედლეული. მოსკოვი

ბათუმის წარმომადგენელს ავალებდა სასაქონლო ბაზრის ტენდენციურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, სისტემატურად ინფორმაციის მიწოდებას, განსაკუთრებით, ამიერკავკასიის საქონლის სარელიზაციო პირობების შესახებ. მოსკოვი უფრთხილდებოდა საქართველოს ტყეს. ქართული ხის ჯიშებიდან უპირატესობას ანიჭებდა კავკასიურ პალმას, მუხას, ნაძვს, კაკალს, წაბლს, ბზას, ურთხელს, წიფელას და ა.შ. საქართველოში ტყეს ეკავა დაახლოებით 2.6000.0000. დესეტინა მიწა, რომლის 60%-ს აქვს სამრეწველო მნიშვნელობა. საექსპორტოდ განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენდა აფხაზეთში არსებული ბზა, რომელიც ყოველწლიურად იძლეოდა 50.000 ფუთ ნაყოფს. ბათუმის ფანერის ქარხანა ამზადებდა კაკლის 35 000 ფანერის ლისტს. მნიშვნელოვან საექსპორტო საგანს წარმოადგენდა მუხის კლეპკი. მეორე მსოფლიო ომამდე ინგლისისა და იტალიის რკინიგზის სადგურებისთვის საქართველოში ამზადებდნენ შპალებს. 1913 წელს უცხოეთში და მათ შორის ალექსანდრიაში გაიტანეს 56 000-ზე მეტი ფუთი აჭარის და აფხაზეთის თამბაქო. 1914 წელს აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციებს ეკავა 13 000 დესეტინა მიწა. 1914 წელს ქუთაისის გუბერნიაში დაამზადეს 120 000 ფუთზე მეტი აბრეშუმის პარკი.

1921 წელს მისი რაოდენობა გაიზარდა 200 000 მდე [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 8, ფურც.82-83].

საქართველოდან გასატან ძვირად ღირებულ საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ცხოველის ტყავი, გაჭქონდათ მელიის, ტურის, კავკასიური დათვის, კვერნის, მაჩვის, წავის ტყავები. კახეთისა და იმერეთის ცხოველის ტყავი ხარისხით სჯობდა კრასნოდარის მხარეში დამზადებულს. ყოველწლიურად საქართველოდან გაჭქონდათ 1000 ფუთი ხარისხიანი ტყავი. საქართველოში მცირე იყო უცხოეთის ბაზრის მაღალი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი, ტყავის დამზარისხებელი სახელოსნოები. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცხენის ძუის დამზადება-დამუშავებას, რომლის უცხოეთში ყოველ-წლიური გატანა ასეული ფუთით განისაზღვრა. საქართველოში გაიზარდა აბრეშუმის პარკის წარმოება, რომელმაც მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მისგან წარმოებული შალეულით მარაგდებოდა რუსეთის საწარმოები და უცხოეთის ბაზრები.

მსოფლიო ბაზარზე დიდი ფასი ჰქონდა ქართული ჯიშის ცხვრის შალს. 1922 წელს ამიერკავკასიიდან გაიტანეს 28 000 ცხვრის ტყავი, შემდგომ წლებში მისი რაოდენობა გაიზარდა 50 000-მდე. ამ საქმეში დიდი როლს თამაშობდნენ უცხოეთის კერძო ფირმები, რომელთა შორის აღსანიშნავია იტალიის სინდიკატი „სინკოპ“.

დასავლეთ საქართველოში აწარმოებდნენ დაფნის ფოთოლს. პირველ მსოფლიო ომამდე ყოველწლიურად საზღვარგარეთ გაჰქონდათ 30 000 ფუთი დაფნის ფოთოლი. საქართველოში მარცვლეული პროდუქტების მოხმარება აჭარბებდა მის წარმოებას, ამ დეფიციტს კი ავსებდა სიმინდის წარმოება და მისი ექსპორტი თურქეთსა და საბერძნეთში, სადაც მისი რეალიზაცია იძლეოდა 50-75% მოგებას. უცხოეთში გაჰქონდათ 300-500 000 ფუთი რაოდენობის სიმინდი, ასევე ციტრუსი, ხილი, ღვინო. საქართველო აწარმოებდა 8 000 მილიონ ფუთ ღვინოს, იგი, ძირითადად, რუსეთში გაჰქონდათ. საქართველოდან უცხოეთში მარგანეცის გატანაზე მონოპოლია ჰქონდა ქათურის საზოგადოება „ჩემოს“. საზოგადოება „არკოსის“ სავაჭრო პოლიტიკის თანახმად, საექპორტო ოპერაციები დაკავშრებული იყო იმპორტთან. მრავალფეროვანი სამეურნეო დანიშნულებისა იყო ართვინის ოლქი, სადაც მაღალ ღონეზე იყო განვითარებული მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა. უცხოეთის ბაზარზე განსაკუთრებული ფერით და სისქით გამოირჩეოდა ტრაპეზუნტის ჯიშის თამბაქო. წელიწადში უცხოეთში ართვინიდან გაჰქონდათ 10 000 ფუთი ზეთისხილი. ამიერკავკასიაში აწარმოებდნენ 638. 500 ფუთ მადანს. იგი, ძირითადად, რუსეთის სამრეწველო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. მნიშვნელოვანი მინერალური საბადოები იყო ართვინის ოლქში, კერძოდ, ჯანსულისა და კვაცხანის რეგიონში. რუსეთში შემოჰქონდათ ბამბა, მშრალი ხილი, ბრინჯი, დამუშავებული ტყავი, ცხვრისა და აქლემის შალი, შალეულის ქსოვილი, ტყის მასალა. ირანთან და თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობაში საბჭოთა კავშირი ინგლისს არ უთმობდა პოზიციებს და ევროპულ კაპიტალს არ აძლევდა საშუალებას, თავისუფლად გაეხსნა გზა აღმოსავლეთისკენ. სავაჭრო საზოგადოება „არკოსის“ ტვირთით ბათუმში შემოსული გემები სხვადასხვა უცხო სააგენტოების ხელში ხვდებოდა, რაც ბათუმის პორტს დიდ მოგებას აძლევდა. ბათუმში

დამკვიდრდა რუსულ-ნორვეგიული საზღვაო-სანაოსნო საზოგადოება [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 8, ფურც. 110].

გაერთიანება „არკოსის“ ინიციატივით, ბათუმში დაიწყო ნავთობის ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი ბიდონების წარმოება, რაც აბათილებდა დანახარჯებს. მოგებული თანხით ბათუმის ქიმიური ქარხნისთვის შეიძინეს ტექნიკური აღჭურვილობები და უცხოური წარმოების ქიმიური ნივთიერებები. რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული სავაჭრო შეთანხმებით, სატრანზიტო ოპერაციები ადგილზე ხდებოდა. დროთა განმავლობაში დახურვას განიცდის ბათუმში მოქმედი უცხოური ფირმები და დომინირებულ მდგომარეობას ინარჩუნებს რუსული სანაოსნო-გაერთიანებები.

1923 წლის 14 დეკემბერს ბათუმის სააგენტოს სახელით „არკოსის“ მმართველი ალექსანდრე დიმიტრეს ძე დრილი ხელშეკრულებას აფორმებს მოქალაქე დიმიტრი ლეონტის ძე სკიზერლისთან, რომელმაც სარეალიზაციოდ მათ 17 ფუთი თევზის ქონი გადასცა. აღნიშნული საქონელი გადატანილი იქნა საფრანგეთის სანაოსნო საზოგადოება „პაკეს“ საწყობში. საბაჟო გასაღები, ფრახტი, დაზღვევის თანხა გაიცემოდა ავანსის სახით, ხოლო იფარებოდა რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგებიდან ამოღებული თანხით. საქონელი ადგილზე მისვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში უნდა რეალიზებულიყო, შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში კი, საქმე ბათუმის სასამართლოს გადაეცემოდა [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 7, ფურც. 14].

სავაჭრო გარიგებების საფუძველზე მიღებული მოგებით სარგებელი ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასაც. გაერთიანება „არკოსი“ უზრუნველყოფდა ადგილობრივ მოსახლეობის კუთვნილი თამბაქოს, ჩაის, ციტრუსის, თხილის რეალიზაციას, რაზედაც მიანიშნებს ქვემოთ მოცემული დოკუმენტი [ასს, ფ. რ93, ან. 1, ს. 7, ფურც. 119].

ირანთან სამიმოსვლო გზის მარშრუტი შემდეგი იყო: ბათუმი-ბაქო-კრასნოვოდსკი-აშხაბადი-მეშხედი. ბათუმიდან წელიწადში გაჰქონდათ 300 000 ყუთი, დაახლოებით მილიონი ფუთი შანხაის, კალკუტის, ცეილონის შავი ჩაი. ამ პერიოდში ირანში არსებობდა ძმები ანმედოვების სავაჭრო სახლი, რომელსაც ირანში 30-მდე განყოფილება გააჩნდა. ძმები ანმედოვების სახლს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან, ინგლისთან, საფრანგეთთან და იტალიასთან.

1923 წელს შუაულა სადიკის ძე ახმედოვმა „არკოსის“ ბათუმის განყოფილებასთან გააფორმა ხელშეკრულება საექსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებით თურქეთში, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში.

ინგლისის სავაჭრო ფირმა „ბეკერის“ წარმომადგენელმა გიორგი კუსისიმ, საზოგადოება „არკოსს“ მიყიდვის სახით გადასცა 31 ფუნტი სტერლინგის ღირებულების 275 ტონა კაბელი [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 7, ფურც. 36].

სავაჭრო გაერთიანება „არკოსს“ სასაწყობო მეურნეობა ჰქონდა ბათუმში, სკობელევის, დღევანდელი ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 4, ფურც. 22].

1922 წლის 7 მაისს გაერთიანება „არკოსი“ აზნეფტთან (ხელმძღვანელი ადა ხუსეინ აგიევი) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რეალიზაციას უწევდა ბათუმის რეზერვუარებში ჩასხმულ 350. 000 ფუთ ნავთს და 100 000 ფუთ მანქანის ზეთს [ასს, ფ. რ-93, ან.1, ს. 2, ფურც. 16].

1922 წლის 8 მაისს კონსტანტინოპოლში სავაჭრო კოოპერაციული გაერთიანება „არკოსს“ და სავაჭრო ფირმა „რაფაელ კამზი და მის შვილებს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „არკოსი“ ფირმა „კამზისგან“ ყიდულობდა რაფინირებულ უმაღლესი ხარისხის შაქარს. ამ პერიოდში გაერთიანება „არკოსმა“ გაყიდა 750 ტონა მარსელის შაქარი, ტონა 30 ფუნტ სტერლინგად. 1923 წელს ბათუმის პორტში შემოვიდა 260 ტონა გრანულირებული, ტომრებში დახარისხებული ამერიკული შაქრის ფხვნილი. ბათუმში გემით შემოტანილი შაქრის ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ პორტს უხდიდნენ მოგების 20%-ს [ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 2, ფურც. 11].

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს ბათუმის პორტის სავაჭრო-ეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას. ამიტომაც, როგორც აკადემიკოსი ლადო პაპავა აღნიშნავს, დიდი შეცდომა იყო ბათუმის პორტის პრივატიზაცია და მისი გასხვისება ყაზახეთზე. დღეს საქართველოს გაუჩნდა შანსი, დააინტერესოს ჩინეთის სავაჭრო კომპანიები, თავიანთი ტვირთები გადაიტანონ ბათუმის პორტის გავლით, რის გაკეთება ანაკლიის პორტის გარეშეც შეიძლება.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასს, ფ. რ-93, ან. 1, ს. 2: – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-93, ანაწერი 1, საქმე №2; ნაშრომში, ასევე, გამოყენებულია მითითებული ფონდის შემდეგი საქმეები: №4, №7, №8, №18, №19.

ოსს, ფ. რ-1965, ან. 1, ს. 4: – ოდესის სახლმწიფო არქივი, ფონდი რ-1965, ანაწერი 1, საქმე №4.

ცინცაძე, 1956: – ცინცაძე ი., „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან / X-XVI სს.“, თბილისი 1956.

АРКОСС – Дипломатически словарь, Москва, 1948;

АРКОСС – Советская историческая энциклопедия, Москва, 1982;

Благодатная, 2015: – Благодатная Е. Ю., «Упорядочение фрахтовой деятельности в СССР 1925-1926 гг.», Одесса, 2015.

Внешняя политика СССР, 1945: – «Внешняя политика СССР», сборник документов, III, Москва, 1945.

Волков, 1958: – Волков Ф. Д., «Англо-советские отношения 1924-1929гг.», Москва, 1958.

МОСКОВСКОЕ ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВО.

Президент:
К. А. КВАТКОВСКИЙ, Председатель
и Директор-Распорядитель.
Г. А. СОЛОНОВ.
В. А. КРУСИН.
И. К. КИШКО.
Ф. Я. РАВНИНОВИЧ.

ARCOS, LIMITED.

Главная контора в Лондоне:
SOVIET HOUSE, 49, MOORGATE, LONDON, E.C.2

Телефон: 1721
Адрес для телеграмм:

Представительства в
МОСКВЕ
ПЕТРОГРАДЕ
КОНСТАНТИНОПОЛЕ
НЬЯ-ОКЕ
ПАРИЖЕ

Адрес:
МОСКВА

Торговые агенты в Англии для:
РСФСР и СОЮЗНЫХ РЕСПУБЛИК, ГОСТОРГА, СЕВЕРОПЕЛЕСА,
ГРОЗНЕФИ, АЗНЕФИ, и др. ТРЕСТОВ

21-го июля 1922 г.

НАШЕЙ КОНТОРЕ

БАТУМ

Копия ТИФЛИС

ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВО АРКОСА
МОСКВА 21/ VII 1922 г.
Тел. № 1721
в Грузии

Подтверждая получение В/доклада о плане деятельности Батумской Конторы, не можем не отметить следующего:

Несмотря на извращенный, по Вашему же сознанию, об'ем доклада, он лишь в очень небольшой части отвечает на некоторые вопросы наших анкетных циркуляров, исполнение по которым просим ускорить.

Ваши сообщения о работе в Персии и Турции, обнимающие значительную часть доклада, - преждевременны и не могут входить в круг непосредственных интересов Батумской конторы.

Ваш обзор экспортных возможностей и импортных потребностей носит слишком отвлеченный и теоретический характер. В частности твоя и шерсть, как запретающие к вывозу товары, в настоящее время интересовать нас не могут; вывоз кокосов и марганца разрешается нами в общем масштабе; жемчуг, орехи, лавровый лист, чай, какао, свежее и консервированное фрукты, вино и т.п. и т.д. ни в какой мере интересовать нас не могут.

Экспортные и импортные операции Вам надлежит понимать исключительно, как товарооборот с заграничной, а не автономными областями и республиками, входящими в состав СССР, - чему Вами посвящены обширные сообщения.

Мы можем Вам рекомендовать сосредоточить Ваше внимание на зернопродуктах, лесе, пушине, живом сыре, ведя Вашу работу к конкретизации теоретических Ваших предположений путем соответствующих переговоров с законодательными органами. То же самое относится и к Вашим импортным предположениям.

Против включения в сферу В/работы Абхазии мы не возражаем. Территориальное же деление круга работ Вашей и Тифлисской Конторы считаем излишним и не желательным при необходимости теснейшей и живой связи между ними.

СПИСОК

пароходов заграничных и русских, прибывших в Батумский порт с грузами Аркоса за время с 1 января по 6 июля сего года.

№ № п/п.	Название парохода.	Время прибытия	Иностранный или русский
1.	"УАМИБЛЕДОН"	16 января 1923г.	Иностранный
2.	"АСТЕР"	20 января "	"
3.	"САНГАМОН"	25 января "	"
4.	"ТИРИЯ"	27 января "	"
5.	"КЛЕОПАТРА" ..	2 февраля "	"
6.	"КАРНИОЛИЯ" ..	5 февраля "	"
7.	"ШЕФФИЛД" . . .	15 февраля "	"
8.	"МАРЧАРО"	15 февраля "	"
9.	"ТАДЛА"	17 февраля "	"
10.	"САУГУС"	19 февраля "	"
11.	"ИОНИ"	14 марта "	"
12.	"КИПРИЯ"	20 марта " "	"
13.	"ТАДЛА"	24 марта "	"
14.	"УЕСТ-ИРМО"	28 марта " "	"
15.	"КЕР-Д-АЛЛЕН"	10 апреля "	"
16.	"ШЕФФИЛД"	11 апреля "	"
17.	"ДЕЛЬТА"	24 апреля "	"
18.	"КОНЕДЖОС"	2 мая "	"
19.	"ИНТЕРНАЦИОНАЛ"	3 мая "	Русский
20.	"ДАЛМАЦИЯ"	10 мая "	Иностранный
21.	"Тадла"	13 мая "	"
22.	"КЛЕОПАТРА"	24 мая "	"
23.	"КЛОНТАРФ"	25 мая "	"
24.	"САУГУС"	5-июня "	"
25.	"БРЕТЧИА"	15 июня "	"
26.	"ЭЛЬБОРУС"	18 июня "	Русский

Аркоса 4-я, 1923 г.
Батумское отделение

XXXXXXXXXXXXXXXXXXXX

Батумское Агентство

№ 2699

"*XX*" Октября Зр.

1921
MR 1841

Гр. П. Г. БАТМАИДИ.

Относительно экспорта орехов.

На В/письмо от 13 с/м. согласно указаниям и Тифлисской Конторы сообщаем, что мы могли бы принять В/предложение относительно экспорта орехов только при условии проведения нами операции на комиссионных началах, с тем чтобы если реализация товара за границей будет производиться и/аппаратом без В/участия, то мы обязываемся произвести реализацию и учинить с Вами расчет в течение не свыше двух месяцев по прибытии товара в порт назначения.

Все без исключения расходы по операции производятся Вами.

Что касается комиссионного вознаграждения в и/пользу, то оно может быть установлено или в форме участия в прибылях /50% чистой прибыли или в отчислении 10% от валовой суммы, врученной от реализации товара.

Если Вы согласны на указанные условия, то просим срочно нас об этом уведомить, после чего сделка будет оформлена и мы примем меры к получению лицензии.

Асс. О-во АРКОС Лондон
Батумское Агентство

PA 13

MR *BY*

علي حسن اوف

Batoum, le 27 Октября

1923

HASSANOFF

باتوم شهر ۱۳۳۱ - شماره ۱۳۳ - از باطوم ال

PORTER, IMPORTER, Forwarder
COMMERCIAL OFFICE

Telegraphic Address

HASSANOFF

Head office: BAKOU

P. O. No. 12
Triboulet

No. 111

Сонлася на наши личные переговоры по поводу
товарообмена с Персией и создания между обеими

дружественным народами более широких коммерческих отношений
что в частности подвигает экономическому развитию соседних
стран, я позволю себе, приобретенную в этой отрасли мою опыт-
ность многолетней фактической практикой, изложить Вам для
поведения для заинтересованных лиц, облеченных властью.

Я более 30 лет до военного времени занимался
экспортом через Кавказ товаров производства почвы промышлен-
ности Персии, состоя представителем
Почти всех крупных фирм моей родины и также импорти-
ровал через Батум-Джульфу и Батум-Баку, колониальные товары
в Северную и Центральную Персию, а в Восточную Персию через
Батум-Баку-Красноводск-Асхабад-Мешед.

Колониальные товары, как то: чай черный, зеленый и
кирпичный прибывавший в Батум в год более ТРЕХСОТ ТЫСЯЧ
пудов, приблизительно до миллиона пудов из Шанхая, Калькуты
и Цейлона на пароходах Добровольного Флота, из Батума тран-
зитировался в места назначения в заломбированных вагонах

Г. С Т Ъ Р.
Б а т у м.

Б а т у м, 9-го н о я б р я 1923 г.

Акц. О-ву "А Р К О С" Лондон.
Батумскому Агентству

З д е с ь.

Ссылаясь на личные переговоры с Вами и на основании
полной доверенности, выданной Мне гр. Г. В. С Т Ъ Р, сим подтверждаю,
что запрошенные Вами для совместной реализации

735 штук мясорубок с запасными частями фабрики Болиндерс
по фабричным счетам на сумму Англ. Фунт. Стерл. 234.17.7
могут быть переданы Вам для реализации с обращением всей
прибыли исключительно в Вашу пользу при надбавке к фактурным
ценам 15% /пятнадцати процентов/ в пользу Г. С т њ р.- Все же
остальные условия остаются без изменений.

Ваше согласие прошу не отказать мне подтвердить и
одновременно назначить время для окончательного оформления
сделки.-

Пользуясь случаем, имею честь предложить Вам также
по поручению гр. С т њ р для реализации на тех же условиях
600 штук шведских горелок для примусов и 600 шт. колец к ним
согласно приложенной при сем фактуры фирмы Б.А.Хиорт и Ко в
Стокгольме на сумму

	Шведск. Крон.	599.30
с надбавкой 15%	- " - -	90.-
плюс фрахт до Батума	- " -	49.40

т. е. всего на сумму Шв. Крон. 738.70

В ожидании Ваших почтенных известий по сему поводу,
приветствую к Вам

С совершенным почтением
По дов. Г. В. С Т Ъ Р

Г

რუსეთ-თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისთვის და ბათუმი-ფოთის პორტების სამხედრო დანიშნულება

კავკასიის შავიზღვისპირა პორტების სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების შესახებ ისტორიული ლიტერატურა ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტულად ვერ ასახავს არსებულ ვითარებას. სტატიის მიზანს წარმოადგენს ბათუმის სამხედრო ოლქის გუბერნატორის საიდუმლო ფონდში დაცული საარქივო მასალის აღწერა-შესწავლის, განზოგადების, შედარების მეთოდის გამოყენების და თანმიმდევრობის პრინციპის დაცვის საფუძველზე წარმოვაჩინო ბათუმისა და ფოთის პორტების საერთაშორისო მნიშვნელობა.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს შავი ზღვისპირა პორტები რუსეთისა და თურქეთის ინტერესების სფეროში შედიოდა. 1918 წლის 26 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ შავიზღვისპირა პორტები ჩვენთვის იგივეა, რაც რუსებისთვის პეტროგრადი, სმირნა-ოსმალეთისთვის. ეს არის ერთადერთი გასავალი შავ ზღვაში და მხოლოდ ამის წყალობით ამიერკავკასიას კულტურულად და ეკონომიკურად განვითარების შეძლება მიეცა, საზოგადოდ ის ევროპის კულტურულ ქვეყანას დაემსგავსა.

ა. კრასნოვი ნაშრომში სამხრეთ „კოლხეთი“ გვესაუბრება ბათუმის ზღვის სანაპიროს გარშემო არსებული გარემოს სილამაზის შესახებ, შედარებას აკეთებს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან და დასძენს, რომ ისევე, როგორც იტალიაში, გაზაფხულზე თოვლით დაფარულ აჭარის მთების ძირში მოლივლივე ლურჯი ზღვა ეფერება ფერდოვან სანაპიროს, მწვანეში ჩაფლულ აყვავილებულ დეკას, იელსა და კესანეს. ნახევარ ვერსის სიღრმიდან ამოზიდული ძლიერი ტალღები ეხეთქებიან ფერდობებს და ქმნიან ღრმა გამოქვაბულებს. ბათუმში ზამთრის ქარბუქი რეცხავს ზღვის სანაპიროს. ბათუმის ზღვა დიდი ხნის უკან შეძლებდა, აღეგავა პირისაგან მიწისა სანაპირო, რომ არა ზღვის დონის ცვალებადობა. ზღვის დონის წყლიდან განთავისუფლება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ხმელეთის წყლით

ხელახალი დაფარვა, ან კიდევ, ისევე, როგორც იაპონიაში განცალკავებულ, მწვანეში ჩაფლულ პატარა კუნძულებზე, ფელუკაზე მჭდარი თქვენ შეძლებთ ახლოს მიხვიდეთ ბათუმის ზღვის სანაპიროსთან. კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ ბათუმის პორტი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის გემებისთვის იყო ერთადერთი თავშესაფარი. რუსეთის მიერ მისმა დაპყრობამ თურქეთს წაართვა ბოლო საზღვაო სადგური პონტოზე და იგი რუსეთის ზღვად გადააქცია. XIX საუკუნის 50-იან წლებში ოსმალთა ბატონობის პერიოდში რუსეთმა ბათუმში დააფუძნა სავაჭრო-სანაოსნო საზოგადოება. ინგლისის კონსული ჯ. პალგრევი აღნიშნავდა, რომ ბათუმი გახდა სავაჭრო ქალაქი. XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის საერთაშორისო სავაჭრო მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების მსოფლიო სტანდარტებით მშენებლობა და მისი ტექნიკური აღჭურვა. ამიერკავკასიაში სავაჭრო საქმის განვითარების გამო აუცილებელი გახდა შავ ზღვაზე არა მხოლოდ ორი, არამედ რამდენიმე სავაჭრო ნავსადგურის არსებობა.

რუსი სამხედრო ინჟინერი დიმიტრი სვიმჩევსკი საჭიროდ არ თვლიდა რამდენიმე ნავსადგურზე ათეული მილიონი მანეთის ხარჯვას. რუსი ინჟინერი ბათუმისა და ფოთის პორტებს შორის არჩევანს აკეთებს და უპირატესობას ანიჭებს ბათუმს (ასს. ფ. ი-6, ან. 1, ს. 606, ფურც. 3).

მისი აზრით, ფოთის ნავსადგური გათვალისწინებული იყო საკაპოტაჟო მომსახურებისთვის. დიმიტრი სვისჩევსკისგან განსხვავებით ზოგიერთი ხაზს უსვამდა ფოთის ნავსადგურის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას და ასახელებდნენ შემდეგ არგუმენტებს 1) ბათუმთან შედარებით ფოთის ნავსადგურის რკინიგზა 38 ვერსზე ახლოს იყო სამომხმარებლო და საწარმოო ბაზებთან; 2) ფოთი მდებარეობდა ნაყოფიერ მდინარე რიონის დაბლობზე, ასევე ნაოსნობისთვის ხელსაყრელ მდინარეებზე; 3) ყოველწლიურად ფოთთან შედარებით ბათუმში ნავთობპროდუქტების გადაზიდვა 50 000 მანეთით ძვირია. ფოთის ნავმისადგომი უფრო ფართო და ტექნიკურად უკეთ აღჭურვილია (მეგრელიშვილი 2013:46).

1783 წელს შეიქმნა რუსეთის საზღვაო-სამხედრო ფლოტი. 1936 წელს (ქსე, 1986: 672) გაერთიანდა შავი და აზოვის ზღვის საზღვაო ძალები. 1853-1856 წლების ყირიმის ომმა და დღეს მიმდინარე უკრაინასთან ომმაც ცხადყო რუსეთის უძლურება და სიღამპლე (კარლ მარქსი). ყირიმის ომის შემდეგ რუსეთს აკრძალა შავ ზღვაზე ფლოტის არსებობის უფლება და გამოცხადდა მისი დემილიტარიზაცია. სევასტოპოლში ინგლისი შევიდა. რუსების მოწვევით ინგლისმა და ამერიკამ სამრეწველო ზარალის აღსადგენად ჩადვეს დიდი კაპიტალი. 1870 წელს უელსელმა ჯონ იუზმა დონეცი დააარსა და მას დაერქვა იუზოვკა. 1879 წელს ამერიკული კაპიტალით ედმუნდ სმიტმა და ავსტრიელმა ადოლფ როტ შტეინმა მარიუპოლში პირველი მეტალურგიული ქარხანა ააშენეს. 1914-1917 წლებში, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მარიუპოლის პორტი სამხედრო შეიარაღებას ღებულობდა ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ქარხნებიდან. ბათუმში იარაღი კაპლანის და პიტოევის სამხედრო ქარხნებში მზადდებოდა. აღნიშნული ქარხნები ბრინჯაოს ჭურვებით ამარაგებდნენ სრულიად რუსეთის არმიას. ბათუმის, ფოთისა და სოხუმის სახელოსნო საამქროებში მიმდინარეობდა დეფექტის მქონე იარაღის სრულყოფა (ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 127, ფურც. 52).

საზღვრის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პორტებთან სამხედრო უწყებას საკუთარი მისასვლელი გზები გააჩნდა. საინჟინრო სამუშაოებს საბირჟო კომიტეტი უზრუნველყოფდა (ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 118, ფურც. 9).

შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთ სანაპიროზე ბუნებრივად მოწყობილ საუკეთესო პორტად სოხუმის პორტი აღიარეს. გემები სოხუმის პორტში ყოველგვარ ამინდში ახერხებდნენ შესვლას. საოკეანო გემებს ფოთის და ტუაფსეს პორტებში მოცდა უხდებოდა. რედუდ კალეს, ანაკლიის, ოჩამჩირის, ახალი ათონის, გუდაუთის, ბიჭვინთის, გაგრის, ადლერის, სოჭის პორტები ქარებისგან დაუცველი იყო. შემოდგომა და ზამთარში გემები უცდიდნენ ამინდის გამოსვლას. სამხედრო-საზღვაო თვალსაზრისით რუსეთი სოხუმის პორტს უპირველეს პორტად აღიარებდა, რომელსაც რუსეთ-თურქეთის ომების დროს უდიდესი სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება ჰქონ-

და. დღეს რუსეთს სოხუმში გააჩნია სამხედრო საზღვაო ლაბორატორია, რომლითაც აკონტროლებს შავ ზღვას.

1912 წლის 28 მარტს კავკასიის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის, ბათუმის ოლქის უფროსი ინსპექტორის ნიკოლოზ თედორეს ძე დჟუნკოვსკის ბრძანების თანახმად, ბათუმის ოლქში დაიწყო რუსეთის ფლოტის განახლება. ბათუმს ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა. რუსეთს სამხედრო-საზღვაო ბაზები გააჩნდა სევასტოპოლში, ნიკოლაევში, ნოვოროსიისკში და ა.შ. რუსებმა ბათუმში ნოვოროსიისკის მსგავსი პორტი ააგეს. ბათუმში მიმდინარეობდა სამხედრო-საზღვაო გემების სარემონტო სამუშაოები. აქვე განთავსებული იყო საწვავის საწყობები (ასს. ფ. ი-82, ან. 1, ს. 2, ფურც. 182).

XVIII საუკუნემდე რუსეთს არ გააჩნდა გასასვლელი თბილ ოკეანეზე, რაც პეტრე პირველის დროს აუცილებელი გახდა. რუსეთი ამერიკაზე ორნახევარჯერ დიდი იყო და არ გააჩნდა 1 მილი გაუყინავი სანაპირო და არც ერთი გასასვლელი მსოფლიო ბაზრებისკენ. ამ პერიოდში რუსეთის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, მოეპოვებინა გაუყინავი სანაპირო და გასასვლელი ოკეანეში. ხმელთაშუა ზღვიდან ევროპისკენ მიმავალ საზღვაო გზაზე გაბატონებული იყო თურქეთი და ინგლისი. წყნარი ოკეანისკენ მიმავალ საზღვაო გზას აკონტროლებდ ამომავალი მზის ქვეყანა. ინგლისის და გერმანიისთვის სპარსეთის ყურედან ინდოეთის ოკეანისკენ მიმავალი გზა აუცილებელი იყო, მათ სურდათ ჰამბურგიდან სპარსეთის ყურემდე რკინიგზის გაყვანა. ინგლისმა სპარსეთის ყურეში დაიკავა არაბული ქალაქი კუვეითი. რუსეთს სურდა რკინიგზის გაყვანა ერევნიდან სპარსეთის გავლით ქალაქებისკენ – დჯულფა, თავრიზი, თეირანი, ისფაგენი, იუზდი, ბეანდერაბახი. თუ რუსეთი შეძლებდა ცხელი ოკეანისკენ გაჭრას, მაშინ ის არ იქნებოდა დამოკიდებული დარდნელის სრუტესა და სუეცის არხზე. რუსეთი იმედოვნებდა, რომ წარმოების განვითარების შედეგად იგი თავის საქონელს იაფად გაყიდდა ინგლისის კოლონიებში და მაშინ ბრიტანული გემები ვეღარ შეასრულებდნენ შუამავლის როლს ევროპასა და აღმოსავლეთს შორის. რუსი მეზღვაურები შეძლებდნენ ცხელი ოკეანისკენ მიმავალი გასასვლელის დაცვას. სპარსეთის მიმართულებით მარშრუტი არ იყო

უმთავრესი და ამიტომ მეტად ხელსაყრელი იყო გზა ბათუმის გავლით.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია რუსეთის ფლოტის ვიცეადმირალ გრიოვს შეხედულებები ბათუმის პორტის შესახებ. იგი ადმირალ ი.ა. შესტაკოვის და გ.ი. ბუდაკოვის დროიდან აკვირდებოდა შავი ზღვის სანაპიროს სტრატეგიულ მდებარეობას. ვიცე-ადმირალი გრიოვ 16 წელი ხელმძღვანელობდა კომერციულ გემებს, ხოლო 6 წელი ბათუმის პორტის ხელმძღვანელი იყო. მას არახელსაყრელად მიაჩნდა მდინარე ბარცხანის დასავლეთით ნაღმოსანი გემებისთვის განკუთვნილი სადგომი ადგილი და ამის მიზეზად ასახელებდა ბათუმის ბუნტის სანაპიროდან ზღვის გამყოფი წყლის მრუდე ხაზს. მრუდე ხაზი ბათუმის სანაპიროსთან წარმოშობდა ღელვას და ამიტომ იგი არახელსაყრელი იყო სანაპიროზე გემების გამოყვანის და მათი ზღვაში გაყვანის თვალსაზრისით. შფოთიანი მდინარე ბარცხანა ამ ადგილს მეჩხერწყლიანს ხდიდა. ვიცეადმირალ გრიოვს მიაჩნდა, რომ მთის მდინარესთან ახლოს ყოველგვარი დაწესებულების არსებობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, მით უფრო, რომ მდინარე ბარცხანა ჭირვეული ხასიათისა იყო, ზოგჯერ უეცრად გადაიფინებოდა მთელ სიგრძეზე და იცვლიდა კალაპოტს. მას 56 წლის განმავლობაში 4-ჯერ უნახავს მდინარე ბარცხანა სახეშეცვლილი. პირველად 1848 წელს, როცა იგი 2 მხრიდან ეცემოდა ამალღებულ ადგილზე და მათ შორის ქმნიდა კუნძულს. ხელოვნურად შექმნილ კუნძულზე თურქები ამუშავებდნენ დელფინის ქონს. ბათუმის კაიმაკამი მათ ამის უფლებას აძლევდა. ნაღმოსანი გემებისთვის შერჩეული ადგილი ვიწრო იყო, რადგან იგი გადაიკვეთებოდა ციხესიმაგრე სარასუს გზით და განკუთვნილი იყო სავაჭრო ოპერაციებისთვის. მისი სხვა ადგილზე გადატანა შეუძლებელი იყო და ამ უკანასკნელის ერთ-ერთ მიზეზად ვიცე ადმირალი გრიოვ ასახელებს დიდი რაოდენობით სინესტეს, ვიდრე ეს იყო ბურუნ-ტაბიეს კონცხზე. მისი აზრით, სინესტე ცუდად მოქმედებდა გემის სამანქანო ნაწილებზე, აზიანებდა გემის ტექნიკურ აღჭურვილობას. აღნიშნული ადგილი არახელსაყრელი იყო იმითაც, რომ მის ახლოს იყო სავაჭრო პორტი, სადაც განთავსებული იყო უცხო ქვეყნის გემები და გვერდით

კიდევ – ქარხნები, საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანებით. ეს უკანასკნელი კი სამხედრო-საზღვაო დაწესებულებებისთვის შეუთავსებელი იყო. ადმირალი იხსენებს შეხვედრას იახტა „ლივადიასა“ და გემ „მერკურზე“, საზღვაო სამინისტროს მმართველ ადმირალ შესტაკოვიჩთან და გენერალ ვ.კ. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძესთან და საუბრობს რა რუსეთის ფლოტისთვის ბათუმის დიდ მნიშვნელობაზე, იმომეებს ადმირალ შესტაკოვის შემდეგ სიტყვებს „Признавая неизбежной необходимостью защиту Кавказского берега от нападения на него неприятеля, как это бывало досихпор, перед каждой войной, с добрым соседом нашим, потому толко что Батум пренадлежит ему и служил покойным убежищем его флоту. Теперь кокда батум наш, мы должны пользоваться им дла нашего флота, которому поручена будет охрана Кавказского берега“ (ასს. ფ. ი-82, ან. 1, ს. 3, ფურც. 150).

ზემოდ ნათქვამიდან დასკვნა რომ გავაკეთოთ და რუსული სიტყვებით ვთქვათ, „Услуга за Радство“, ეს არის ისტორიულად ცნობილი, შავიზღვისპირა ქვეყნებისადმი რუსეთის ბატონყმური დამოკიდებულების გამომხატულება. ალბათ, ეს ჰქონდათ მხედველობაში ჩვენ მეგობარ უკრაინელებს, როცა ჩვენგან მოითხოვდნენ მეორე ფრონტის გახსნას. ადმირალს მიაჩნდა, რომ ნოვოროსიისკში, გელენჯიკში, ტუაფსეში, ბათუმსა და ფოთში განლაგებული ნაღმოსანი გემების რიცხვი იმდენად დიდი უნდა ყოფილიყო, რომ სხვადასხვა მხრიდან შეტევის შემთხვევაში, მტრის ყოველ გემზე ერთდროულად შესაძლებელი ყოფილიყო 6-10 ნაღმოსანი გემის თავდასხმა. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იყო შესაძლებელი წარმატების მიღწევა. წარმატებული თავდასხმა უნდა განხორციელებულიყო დამით, კარგად გამართული და შეიარაღებული გემებით, რაც რუსი ოფიცრებისგან მოითხოვდა ბათუმის სანაპირო ლოცის კარგ ცოდნას. ადმირალი ნაღმის მატარებელ გემებს ადარებს იალქნიანი ფლოტის დროს არსებულ ბრანდერებს, რომლის სამართავად იძახებდნენ მონადირეებს და რუსული ფლოტის ღირსების დასაცავად ისინი ყოველთვის გამორჩეულნი იყვნენ თავიანთი მამაცობით. ადმირალი გრიოვუ მიიჩნევდა, რომ

ასეთები უნდა ყო- ფილიყვნენ ნაღმოსანი გემების ოფიცრები და დაბალი ჩინის მოსამსახურეები. მათ სახიფათო და საპასუხისგებლო სამსახურს აღმირალი ადარებდა კავკასიაში მებრძოლ აბრეკებს.

აღმირალი მ.ნ. მინგარენი ნაღმოსანი გემების საუკეთესო სადგომად მიიჩნევს ნური-გელის სანაპიროს იმ შემთხვევაში, თუკი ბათუმის ბუხტის სამხრეთ ნაწილს არხით ტბას შეუერთებდნენ. მათ საჭიროდ დასახეს ბათუმში გემშემკეთებელი სახელოსნოების მოწყობა, უფრო მეტიც, საბჭოთა პერიოდში ბათუმში დაფუძნდა გემთმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნები, საქართველოს საზღვაო სანაოსნო და ნოვოროსიისკის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის მსგავსი ბათუმის „მორეზოლცა“.

აღმირალ მინგარენს გამოგონილი ჰქონდა გემებზე თავდასხმისთვის განკუთვნილი სამხედრო დანიშნულების მქონე აპარატი. აღმირალი გრიოვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში ნავთობის ცისტერნების დაცვის მიზნით ასახელებს კ.როდლოვსკის პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ცისტერნების ჩაკეტვას, თეფშის ფორმის მსგავსი სახუფავებით. ბათუმის პორტს გააჩნდა ხანძრის საწინააღმდეგო 12 კუბის მოცულობის წყლის რეზერვუარები. ნობელის სისტემის მაღალი წნევის მქონე ნასოსით, 10 ათასი ვედრო წყალი, ალუმინის მილებით, ბარცხანიდან პორტს მიეწოდებოდა. პორტის ტერიტორია აღჭურვილი იყო 55 სახანძრო დანიშნულების ამწე კრანით. სანამ რუსეთი დაეპატრონებოდა ბათუმს, ევროპის ქვეყნები ამერიკიდან დებულობდნენ ნავთობს, ავსტრია – ფიუმედან. ბათუმის ბაქოსთან რკინიგზით შეერთების შემდეგ, ამერიკასთან კონკურენციის გამო რუსეთმა მთელი ყურადღება ბათუმის ნავთობტერმინალის მოწყობაზე გადაიტანა. რუსეთი ბათუმის პორტის საშუალებით ნავთობს აგზავნიდა ევროპის ყველა პორტში, ასევე ფიუმეში და დედამიწის უმეტეს ნაწილში. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ოფიცრებს მახინჯაურში, კაპრეშუმში, სალიბაურში, ურენში, ანგისაში, სარფში, გონიოში, დასასვენებელი კერების მოსაწყობად გამოყოფილი ჰქონდათ 108 ჰექტარი მიწა (ასს. ფ. რ-964, ან. 1, ს. 54, ფურც. 13).

1914 წელს ვაჟა-ფშაველა წერილში – „პოლიტიკური მსჯელობა“ რუსეთთან მიმართებაში იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუ რუსეთი

ეხლავე, ამთავით რასმე მოგვცემს და რეფორმებს შემოიღებს ჩვენში, ხომ კარგი, თუ არადა შემდეგ ჩვენ ვეღარას ველირსებით და არც არაფერს გვადირსებენ. ამიერიდან რუსეთი გონებაზე მოვა თანდა-თან და ნამდვილის, ჭეშმარიტი ძლიერებით შეიძლება შეიმოსოს. მაშინ უფრო გაგვიჭირდება ჩვენ მასთან ბრძოლა და ამიტომ ვიდრე სწული ლოგინში წევსო, ხომ გაგიგონია? და იქვე დასძენს-გამიგონია და ეგრეც არის სწორი (ვაჟა-ფშაველა 2011:293).

დასკვნის სახით შეიძლება წარმოვაჩინოთ ვაჟა-ფშაველას წერი-ლი: რა არის თავისუფლება? სადაც იგი ამბობს, რომ დღემდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით, ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება. თავისუფ-ლება ცოცხლებისთვის არის ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში. თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერის ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თავისუფლება ხალ-ხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. დღეს საქართველოში მწვავედ დგას ომის და მშვიდობის საკითხი. ამაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში ვყოფილვართ, გამოვსულვართ და ფეხზე დავმდგარვართ. დღეს მთავარია, სხვისი მიზნებიდან გამომდინარე, არ გავხდეთ ზვარაკად შესაწირი ხალხი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ბათუმის პორტის რუკას და აღმირალ გრიოვს მიერ წარმოდგენილ მოხსენებას ბათუმის პორ-ტის სამხედრო დანიშნულების შესახებ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასს. ფ. ი-6 ან. 1, ს. 606 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-6 ანაწერი 1, საქმე N606

ასს. ფ. ი-1 ან. 1, ს. 127 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1 ანაწერი 1, საქმე N127

ასს. ფ. ი-1 ან. 1, ს. 118 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1 ანაწერი 1, საქმე N118

ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 2 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-82 ანაწერი 1, საქმე N2

ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 3 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-82 ანაწერი 1, საქმე N3

ასს. ფ. რ-964 ან. 1, ს. 54 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-964 ანაწერი 1, საქმე N54

ქსე, 1986: – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბილისი, 1986.

მერაბ მეგრელიძე - „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“, ბათუმი, 2013.

ვაჟა-ფშაველა - „წერილები“, V, თბილისი, 2011.

დანართი:



ბათუმის პორტის რუკა

ИЖИТЕ ВИЦЕ-АДМИРАЛА ГРЕВЕ.

Знакомство мое съ берегами и портами Чернаго моря продолжается уже 50-й годъ. Въ продолженіи этого болѣе полувѣковаго періода времени: три года я служилъ въ эскадриіи, специально назначенной подробно изучить берега Чернаго моря; для составленія лоціи этого моря, подъ начальствомъ извѣстныхъ Адмираловъ Н.А.Шестакова и Г.И.Будакова, тогда капитанъ-лейтенантовъ. Девять лѣтъ проведены мною преимущественно въ крейсеровыхъ у береговъ Кавказа, когда берегъ этотъ содержался въ строгой блокадѣ. Семнадцать лѣтъ я проконандовалъ коммерческими пароходами, не пропустивши ни одного рейса; что несомнѣнно служитъ лучшей школой для изученія лоціи береговъ. Шестъ лѣтъ я былъ Командиромъ Батумскаго порта и послѣ того 12 лѣтъ занимаюсь въ томъ же порту.

Думаю, что цифры эти даютъ мнѣ не только право, но нравственно обязываютъ меня имѣть свое мнѣніе о портахъ и высказать таковое Комиссіи, въ которую имѣю честь быть приглашеннымъ къ участію. Мнѣніе мое заключается въ слѣдующемъ:

1. Мѣсто западнѣе рѣки Барцханы, избранное для стоянки на берегу миноносцевъ, я считаю во многихъ отношеніяхъ не удобнымъ, и именно:

a) кривая линія устья воды моря съ берегомъ Батумской бухты, представляется мнѣ искривленною параболою, фокусъ которой находится именно близъ избраннаго для стоянки миноносцевъ мѣста. Согласно закону этой кривой линіи всякое въ Батумской бухтѣ волненіе, отражаясь отъ берега, стремится къ своему фокусу и дѣлаетъ районъ его неудобнымъ для стоянки и часто невозможнымъ для вытаскиванія судовъ на берегъ и спуска ихъ на воду.

b) Это же самое волненіе совмѣстно съ рѣкою Барцханою дѣлаетъ мѣсто это неаквоиннымъ, что тоже не можетъ считаться большимъ удобствомъ.

c) Вообще всякія учрежденія близко устья рѣкъ, особенно горныхъ, слѣдуетъ дѣлать съ большою основательностью; Барцхана же рѣка съ большими капризами - иногда совершенно неожиданно разливается на большое пространство и совершенно занимаетъ свое устье. Такихъ ея штормовъ за 50 лѣтъ я видѣлъ 4 раза. Самый же первый разъ въ 1843 году, когда она впадала въ бухту двумя рукавами, образовала между ними островокъ, на которомъ турки вываривали дельфиній жиръ; что можно видѣть на илѣющемся у меня планѣ бухты того времени. Загнаны эти рыболовы на этотъ островокъ были калмаками

ადმირალ გრიოვს მიერ წარმოდგენილი მოხსენება ბათუმის
პორტის სამხედრო დანიშნულების შესახებ

შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910)

1853-1856 წწ. ყირიმის ომის შემდეგ შავი ზღვის ქობულეთის სანაპიროს განსაკუთრებული სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. გიორგი ყაზბეგი ნაშრომში „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევები“ განსაზღვრავს რა წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოს საზღვრებს, მიანიშნებს მდინარე ჩოლოქის შავი ზღვის სანაპიროსთან შესართავს, აჭარა გურიის მთების ქედს, 50 ვერსის მანძილზე, ჭახათის მთიდან შავნაბადის მთამდე. რუსეთის დაბლობზე, ანუ ჩოლოქის ხაზზე თურქეთისკენ სამი გზა მიდიოდა. ერთი გზა მიუყვებოდა ზღვის ნაპირს წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოსთან, მეორე გადიოდა ჩოლოქის საგუშაგოსა და სოფელ ლედვაზე, ხოლო მესამე კი ქვემო (ბოგოლსკის) ბოგილის საგუშაგოსთან ოჩხამურის ტერიტორიაზე. ამათგან პირველი გზა ხელსაყრელი იყო ბორბლიანი ტრანსპორტისთვის, იგი მიუყვებოდა ზღვის ქვიშიან ნაპირს და ჩოლოქთან, კინტრიშის (ლიმონის) მინდორზე გადიოდა. ჯერ კიდევ 1658 წელს ეს ადგილი მოინახულა იერუსალიმის პატრიარქმა პაისმა, დიაკონ დოსითეოსთან ერთად. იგი ნაშრომში „მოგზაურობა გურიაში“ აღნიშნავს, რომ ფაზისიდან ისინი გაემგზავრნენ ქობულეთში არსებულ გურიის ნავმისადგომში, საიდანაც აჰყვნიენ მდინარეს ზემოთ ორი საათის სავალზე, რის შემდეგ 1659 წლის 22 მარტს მივიდნენ ტაძართან და გურიის მთავრის სახლთან. ქობულეთის ნავმისადგომის დანიშნულებაზე მიანიშნებს ქრისტოფორე კასტელი, რომლის ალბომში ჩანახატს აქვს მინაწერი

„ბავშვებით დატვირთული ხომალდი მიდის ჯოჯოხეთში“. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ გურიიდან ყოველწლიურად გაყავდათ გაყიდული ბავშვები. ამავე ადგილზე ნავმისადგომის და ციხე-სიმაგრის მშენებლობა დოკუმენტებით მე-18 საუკუნეში დასტურდება. 1723 წელს შეკვეთილის ციხეში ოსმალეთის გარნიზონი იდგა. XIX საუკუნის დასაწყისში წმინდა ნიკოლოზის ფორფოსტი მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ნატანების შესართავთან, სადაც მდებარეობდა

შეკვეთილის ნავმისადგომი. პროფესორი თამაზ ბერაძე ციხესიმაგრის დაარსების თარიღად ასახელებს 1737 წელს. XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე. რუსეთის მეფე ნიკოლოზ პირველის საპატივცემულოდ მას მოიხსენიებდნენ ნიკოლაევსკის სახელითაც. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ქვიშის ბორცვზე მდებარე საბაჟო საგუშაგოს, სადაც განთავსებული იყო საკარანტინო ზონა, პროვიანტის მაღაზია და ყაზარმა 30-მდე გუშაგისთვის. 1788-1792 წლებში სიმონ მესამე გურიელის ნებით შეკვეთილში მებაჟეობის უფლებით სარგებლობდნენ თავადი ნაკამიძეები. 1812წელს ბუქარესტის ზავის მიხედვით შეკვეთილი რუსებმა დაიკავეს და რუსეთ-(თურქეთის)ოსმალეთის იმპერიათა საზღვარი აქ დამტკიცდა. 1813 წელს საქართველოს მთავარმმართველ ნიკოლოზ რტიშჩევის ნებით განაახლა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრის მშენებლობა. 1850 წელს საბაჟო მოინახულა ნიკოლოზ დუნკელ ველინგმა. ველინგის ცნობით 1810 წელს რუსებმა გურიაში, კერძოდ ნატანების შესართავთან, შეკვეთილში განალაგეს ბელევისკის ფეხოსანთა პოლკი და მოაწყვეს თავდაცვითი ნაგებობანი. აღნიშნულ პოლკს ეკუთვნოდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. აქედან გურულებს გაჰქონდათ სიმინდი, ბზა, ურთხელი, მერქანი.

გურულებმა ქობულეთზე კონტროლი დაკარგეს 1774 წლის ქუჩუქკაინარჯის ზავის შემდეგ. შეკვეთილთან არსებული წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე ნახსენები აქვს კარლ მარქსს 1854 წელს გამოცემულ სტატიაში, რომელიც ეხება რუსეთ-ოსმალეთის საომარ მოქმედებებს სელიმ ფაშას და რუსეთის ჯარს შორის. 1829 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ ადრიანოპოლის ტრაქტატში გარკვევით არის მითითებული, რომ წმინდა ნიკოლოზის ნავსადგური არის შავი ზღვის სამხრეთით არსებული სასაზღვრო პუნქტი. 1879 წლის 23 მაისს შავიზღვისპირეთის საბაჟოებს მიეცათ ბრძანება, რომ მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებიათ თურქეთის დროშის ქვეშ მოცურავე თევზსაჭერ ფელუკებზე, განსაკუთრებით ფეოდოსიის და ყირიმის ნახევარკუნძულზე, სადაც უცხოური გემებისთვის აკრძა-

ლული იყო თევზჭერა და დელფინების რეწვა. (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 10 ფურც. 25)

1865 წლის 25 აგვისტოს რუსეთის საზღვაო საქმეთა სამინისტრომ (პეტროგრადი, მინისტრი ნ. კრაბე) დაამტკიცა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული მეთვალყურე გემების მოქმედების წესები. სანაპიროს მეთვალყურეობა დავალებული ჰქონდათ აზოვის ბარკასებს, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ აწარმოებდნენ სწრაფ რეისებს (მიმოსვლას). კომერციულ გემებს უნდა გაევიდოთ საკარანტინო ზონა. დაწესდა კონტროლი კონსტანტინეპოლსა და სოხუმს შორის მოცურავე გემებზე. კონტროლი ძირითადად წარმოებდა საკარანტინო ზონაში, სადაც შესამოწმებლად მოჰყავდათ ღია ზღვაში დაკავებული გემები. (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 8) უცხო გემებიდან ჩამორთმეული საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა საბაჟოს საწყობებში, ხოლო შემდეგ კი ხდებოდა მათი კონსფისკაცია. 1857 წლის 23 ივლისს აკრძალეს მუხის ხის გატანა (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 66)

1866 წლის 5 აგვისტოს წმინდა ნიკოლოზის საბაჟო სამეგრელოს მმართველს აცნობებდა, რომ შეთქმული თავადები ტიტე ინაიშვილი და მარღანია აპირებდნენ სამურზაყანოსა და სამეგრელოდან თურქეთში გადასვლას (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 63). 1869 წელს წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს საზღვრებში შემოვიდნენ შემდეგი გემები: „ქრისტინა“, „წმინდა ეკატერინე“, „წმინდა მიხეილი“, „ფეოდოსია“, „ვასილი“, „წმინდა ნიკოლოზ წინასწარმეტყველი“, „სოფია“, „ვლადიმირი“, „ალექსანდრე“, „წმინდა იაკობი“, საბაჟოს შედგენილი ჰქონდა გემების შემოსვლის ცხრილი, რომელშიც მითითებული იყო, თუ საიდან შემოვიდა გემი, რა საქონელი შემოიტანა და რომელი მიმართულებით წავიდა და ა.შ. სავაჭრო საქონელი ძირითადად შემოდიოდა ფოთიდან, ოჩამჩირიდან, ქერჩიდან, როსტოვიდან, რელუტკალედან, ევპატორიიდან (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 26 ფურც. 35) შემოჰქონდათ ევროპული ფუფუნების საგნები, პარფიუმერია, სარკე, საათები. 1857 წელს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოტანილ საგნებს შორის დასახელებულია თევზის სხვადასხვა სახეობა: სელდი, ოლოვა, ასევე თამბაქო, ბოსტნეული, ხილი, ფქვილი, (ფასოლი)

ლობიო, ხალვა, ცხვრის შალი, საღებავები, ლითონი. რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო აზიურ შალზე, რითაც მარაგდებოდნენ მოსკოვის საწარმოები. აზიური შალისგან ევროპაში კერავდნენ საუკეთესო ტანსაცმელს. საბაჟოს მიერ დაწესებული გადასახადი სავალდებულო იყო ყველა რანგის ადამიანისთვის. განსაკუთრებით დიდი გადასახადი იყო დაწესებული სავაჭროდ აკრძალულ საქონელზე, ასე მაგალითად, 1882 წელს ფოთის საკარანტინო საბაჟო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ნიკოლოზის საბაჟოზე მაღალი გადასახადი დაუწესეს ირანის პრინცს ბეხშენ-მირზას, კერძოდ, მან შემოიტანა ქოლგები, რომლის სახელურებში განთავსებული იყო ძვირფასი თვლებით შემკული ხანჯალი (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 ფურც. 58) საყოველთაო ვაჭრობაში ჩართული იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომი ქართველი ვაჭრებიც: ალექსანდრე აბაშიძე, ვასიკო არობელიძე, ვასილ ართმელაძე, ბეშიტაიშვილი, გაბრიელ ვასაძე, ოქროპირ დლონტი, სიმონ ბოგვაძე, ალექსანდრე ვარშალომიძე.

1879 წლის 1 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალმა სანიმუშო სამსახურისთვის ორდენებით დააჯილდოვა კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, კავკასიის საცეზურო კომიტეტის წევრი თავადი ჯორჯაძე. თბილისის გუბერნიის საქმის მწარმოებელი გლეხთა საკითხებში თავადი ჭავჭავაძე, ფოთის საკარანტინო საბაჟო კანტორის წევრი ანდრონიკაშვილი და ბევრი სხვა (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 40 ფურც. 1) 1866 წლის 31 მაისს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბალუევმა დაამტკიცა საკარანტინო საბაჟოს ინსტრუქცია, რომელშიც მინიშნებულია საბაჟოს წევრთა საქმიანობა და მათი უფლება-მოვალეობანი. ინსტრუქციის ზოგად ნაწილში განსაზღვრულია საკარანტინო სახლის დირექტორის მოვალეობა, მიღებულ საქონელზე ჰიგიენური წესების დაცვის, მისი დათვალიერება გადანაწილების, დასაწყობების და სხვა საკითხები (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 27 ფურც. 40) საკარანტინო პაკნაუზებში საქონელს 3 დღის განმავლობაში ტოვებდნენ, ხოლო აზოვის პორტებში გასაგზავნს 6-8 თვეს. ცალკე პუნქტი იყო გამოყოფილი საკარანტინო პორტის კაპიტანზე. მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა საკარანტინო პორტში გემების მიღების საერთო წესების დაცვა. საკარანტინო წყლებში აკრძალული იყო გემების თავისუფალი

მოდრაობა. პორტის კაპიტნის რეზიდენციაზე გამოფენილი იყო საკარანტინო ყვითელი ფერის დროშა. ასეთივე ფერის სიმბოლოები იყო სავაჭრო გემებზე. პორტის კაპიტანს საკარანტინო წყლებში შემოსული გემების შესამოწმებლად გააჩნდა კითხვარი. ინსტრუქცია გარკვეულ ვალდებულებას უწესებდა სასაზღვრო დაცვას. ისინი თვალყურს ადევნებდნენ და იცავდნენ სახმელეთო და საზღვაო საზღვარს.

1856 წლიდან დაარსებულ შავი ზღვის ნიკოლოზის საბაჟოს ძირითად მოვალეობას შეადგენდა საზღვრის მეთვალყურეობა და კონტროლის დაწესება შემოტანილ საქონელზე. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო-საგუშაგო ექვემდებარებოდა ფოთის საკარანტინო საბაჟო კანტორას, რომელიც შედიოდა ქუთაისის საბაჟო ოკრუგში. ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში საბაჟოს საქმეს ხელმძღვანელობას უწევდა საბაჟო-საკარანტინო სამმართველო, რომლის რეზიდენცია თბილისში იყო. თავდაპირველად წმინდა ნიკოლოზის საბაჟო მდებარეობდა გურია-აჭარის საზღვარზე. 1878 წლის შემდეგ საბაჟო-საგუშაგო გადაიტანეს (ჩურუქსუს) ქობულეთის მიდამოებში. ამავე დროს ბათუმში დაფუძნდა საბაჟო საკარანტინო ზედამხედველობა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ბათუმის პორტში შემოსულ გემებს, შემდეგ წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გადადის მაკრიალთან, თურქეთის საზღვართან ახლოს. (ნიკოლაევსკის) ნიკოლოზის საგუშაგოს სასაზღვრო სოფლები იყო: ხოფა, არხავი, ვიწე. თურქეთიდან ქობულეთში შემოდიოდა იალქნიანი გემები (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 21 ფურც. 5) 1910 წლის აპრილში ნიკოლოზის საბაჟოს მმართველმა გოგიტიძემ და ქობულეთის N25 შავი- ზღვისპირა სასაზღვრო რაზმის უფროსმა, შტაბის როტმისტრმა ტირტოვმა ხელი მოაწერეს საბაჟოს დადგენილ საზღვრებს, კერძოდ ეს იყო ჩურუქსუს სანაპირო ზოლი, სიგრძით 66 საჟენი, ნიკოლოზის საბაჟოს შენობიდან, სამხრეთით მდებარე სულეიმან ხინიკაძის სახლამდე, და სიგანით 39 საჟენი, არიფ მოწყობილის საცხოვრისამდე, სულ 2500 საჟენი. თურქულ სეინერებს ნებადართული ჰქონდათ თევზჭერა დადგენილ საზღვრებში, მაგრამ ხშირად ისინი არღვევდნენ წესებს და გადმოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სათევზაოდ და ხის მასალის შესაძენად (ასს. ფ. ი-13,

ან. 2, ს. 21 ფურც. 25). საბაჟო შემოსული და გასული გემების შესახებ ინფორმაციას უგზავნიდა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტს. ძირითადი საზღვაო ტრანსპორტი იყო რუსეთის და თურქეთის ბარკასები და ფელუკა. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო კონტრაბანდისტულ საქონელს კონფისკაციას უკეთებდა (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 5). 1899 წლის 11 იანვარს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანების საფუძველზე რუსეთის იმპერიაში შემოსვლა აკრძალათ გერმანიის 9 მოქალაქეს, ავტრიის 21 მოქალაქეს, თურქეთის 27 მოქალაქეს, ირიანის -13, რუმინეთის -7, ბელგიის -5, საბერძნეთის -2, შვეიცარიის, ბულგარეთის თითო მოქალაქეს და საფრანგეთში მცხოვრებ ემილ მათიეს (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 78 ფურც. 8).

1897 წლიდან წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს თარჯიმანი იყო ვასილ კლდიაშვილი, მებაჟეების მოვალეობას ასრულებდნენ პროკოფი ნიკოლაიშვილი და გიგო ჯაველიძე.

1885 წელს რუსი ემიგრანტები ავრცელებდნენ ბიბლიის ფორმაში გადაწერილ რევოლუციური შინაარსის წიგნებს. რუსები განსაკუთრებულ შიშს გამოთქვამდნენ საფრანგეთის მოქალაქე თეოფილე ლატიეს მიმართ, რომელიც სამხედრო განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსული ენის თარჯიმნად. გარკვეული დროის განმავლობაში ფრანგი ლატიე რუსეთში კონსულის თანამდებობას ითავსებდა და ჩაბმული იყო ანტისახელისუფლებო მოძრაობაში (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 13 ფურც. 7), რის გამოც ხელისუფლება მას ეჭვით უყურებდა.

1885 წელს ინგლისის გემებს თურქული დროშით ტრაპიზონიდან საქართველოში გადმოჰყავდათ ჩერქეზები. მათი გარკვეული ნაწილი სახლდებოდა აფხაზეთში. ამას წინ აღუდგა ილია ჭავჭავაძე და მოითხოვა აფხაზეთში ქართველი მთიელების ჩასახლება.

1889 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ ნიკოლოზის საბაჟოს საგუმაგოსადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ოზურგეთის მცხოვრებლები, სიმინდით დატვირთული გემებით გადადიოდნენ თურქეთში (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 13 ფურც. 39)

საქართველოში შემოსული უცხო გემები კონტრაბანდისტულ საქონელს აგდებდნენ ბათუმის ბულვარის სანაპიროსთან ახლოს,

რომელსაც შემდეგ გამოუჩნდებოდა პატრონი. ნიკოლოზის საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული საქართველოში შემოტანილ უცხოურ ლიტერატურაზე. XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის საზღვრებში ვრცელდებოდა ყალბი ფული.

1874 წლის 13 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალის საბაჟოებს ავალებდა მხარდაჭერას რუსული საზღვაო-სავაჭრო საზოგადოების გემების მიმართ, რომლებიც შავი ზღვის პორტებში კონტრაბანდისტული საქონლის გამოვლენის მიზნით აწარმოებდნენ სწრაფ რეიდებს. განსაკუთრებული მეთვალყურეობა იყო დაწესებული 1552 ტონა მოცულობის ნორვეგიულ გემზე „RHOS“, რომლის კაპიტანი იყო იახონსენი. ეს გემი 1893 წელს აშენდა გერმანიის ქალაქ შტეტინგში, მიულერის და გოლბერგრანბოვის ქარხანაში. ამ გემს გააჩნდა კონტრაბანდისტული საქონლის ფარულად გადატანისთვის აუცილებელი, კონსპირაციულად მოწყობილი კაიუტები. 1878 წელს ჩოლოქის საზღვართან ვაჭრობის წესებს არეგულირებდა გენერალ-მაიორ გრიგოლ გურიელის პირველი რაზმი, ზღვის მხრიდან კაპიტანი ლუგულოვი და მთის მხრიდან გურიის მე-4 რაზმი, კაპიტანი გუგუნავას მეთაურობით (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 41 ფურც. 2).

საბაჟოზე განსაკუთრებული აკრძალვები იყო დაწესებული კონსტანტინეპოლიდან გადმოსული რელიგიის მსახურთა მიმართ. მათი ვიზირება ხდებოდა რუსეთის სინოდის ნებართვით.

1878 წლის 19 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და 1886 წლის 19 მაისის აზიური დეპარტამენტის გადაწყვეტილებით საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული იარაღის, ქაღალდის და შალის შემოტანაზე. 1906 წლის 15 აპრილს საბაჟოს ზღვისპირა დაწესებულებებს ეცნობათ, რომ ანტვერპენიდან გამოსული იარაღით დატვირთული გემი „ხერსონი“(კაპიტანი შულცი) დროდადრო ცვლიდა გემის სახელწოდებას და შავიზღვისპირეთში აწარმოებდა იარაღით ვაჭრობას (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 20 ფურც. 25), რაც საბაჟოსთვის საგულისხმო ინფორმაციას შეიცავდა.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ფიქსირდება იარაღით მოვაჭრე ყაზიყუმუნის ოლქის სოფელ გურტანის მცხოვრებ სულთანგაქი მუჰამედის

მიმართ, რომელსაც ბრალდებოდა მთის მოსახლეობაში კონსტანტინეპოლიდან შემოტანილი იარაღით ვაჭრობა.

უცხოეთიდან შემოსულ გემებზე სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნითაც იყო დაწესებული კონტროლი. 1882 წლის 1 აგვისტოს რუსეთის ელჩი კონსტანტინეპოლში საბაჟოებს ატყობინებდა, რომ ინდოეთის ქალაქ ბომბეიდან გამოსულ გემზე „HESNERAY“ ფიქსირდება ქოლერის ავადმყოფობით სიკვდილის შემთხვევა. გემზე გამოცხადდა კარანტინი. ამ პერიოდში ქოლერა დაფიქსირდა მექამიც. არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე საბაჟო აწარმოებდა გემების დათვალიერებას და ავადმყოფთა გადარჩენის მიზნით მათ გადაყვანას ბათუმის საავადმყოფოში (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 ფურც. 41).

საყურადღებოა, რომ 1906 წელს შავი ჭირის აცილების მიზნით დაწესდა კონტროლი იაპონიის ქალაქებიდან და, მათ შორის, ქალაქ კაბედან შემოტანილ საქონელზე (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 20 ფურც. 37).

წმინდა ნიკოლოზის საბაჟო ადგენდა სტატისტიკურ მონაცემებს საკაბოტაჟე გემების მიერ სხვადასხვა პორტებში შემოტანილ საქონელზეც (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 ფურც. 28).

ამრიგად, წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს დაწესებული ჰქონდა საზღვრები, რომელიც იცავდა რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიას.

1910 წლის 8 ივლისს რუსეთის ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გაუქმდა და იგი გამოცხადდა ჩურუქსუს საბაჟო გადასასვლელ პუნქტად.

1918 წლიდან შეკვეთილში დასახლდნენ რუსი „სტაროვერები“ (ძველმართლმადიდებლები). 1920 წელს შეკვეთილის ციხე დაანგრიეს.

დანართი: შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს საქმიანობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

№ 4 Мамелия
(საქმისა - მოკლავა, კონტორა და თ.ა.)
„სამაგისტრო“ 1888. წელი.

Полное собрание и переводы работ
св. владыки Николая
по Мамелии
(сак по тавчии სარ, კონტორა და თ.ა.)
და პარტიკულარებისა
1888. წელი.

Сборник
Кн. Святого Николая Сербского
Министерства путей сообщения
и транспорта
С. 3а.
(საქმისა მაგისტრო) 1888. წელი.

№	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.	11.	12.	13.	14.	15.	16.	17.	18.	19.	20.	21.	22.	23.	24.	25.	26.	27.	28.	29.	30.
1	Николаевский порт...																											
2	Дваколонная пристань																											
3	Красовский порт...																											
4	Двухколонная пристань и т.д.																											

Мамелия в 1888 году.

Объяснение: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30.

(ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 ფურც. 28)

№ 1. л 393.
Министерство Финансов
Департаментъ
Ассистентъ Сводъ
Отдѣленіе I^о
Списокъ II^о
Июль 1897 г.
№ 357.

24

85.

№ 122. Введенъ 1874. Свѣдѣніе

Учрежденіе Г. Губернаторскихъ пор-
товымъ Конторахъ и жабавант
и Надзирательныхъ постановленіяхъ по селовъ
Кутаисскаго карантинно-таможен-
наго Округа. — исп. Коль.

Въ 1874 году, Высшій Карантинный Кутаис-
скаго карантинно-таможеннаго Округа, съ
разрѣшенія Главнаго Губернаторскаго Намѣст-
ника Кавказскаго отъ 31 Января 1874. за № 199,
въ видахъ содѣйствія русскому Обществу Ка-
рентодства и Торговли во всемъ отношеніи по уста-
новленію относнаго рейсовъ пароходовъ между
портами Чернаго моря, предписавъ упомяну-
тымъ учрежденіямъ Кутаисскаго Округа
не затруднять и не задерживать пароходовъ
назначеннаго Общества, въ какое бы ни
время имъ являлись свои пассажиры и своего
прихода и отхода, и въ то-же время, въ ви-
дахъ усиленія рейсовъ, поручилъ Губернатор-
скимъ или учрежденіямъ распоряжаться,

75
Секретно

ОПИСАНИЕ

1-го рода подфлаки бандероли на чай для помѣщений въ $\frac{1}{16}$ и $\frac{1}{32}$ фунта.

Дѣйстви-
т.

Фальши-
к.

Бумага. Бумага бандероли простая, тонкая писчая.

Печать. Бандероли напечатаны литографскимъ способомъ, съ однихъ и тѣхъ же камней или цинковыхъ досокъ, но разными красками.

Особыя примѣты. Фальшивыя бандероли короче действительныхъ на 4 мм. Рисункъ на нихъ тождественный. Особенно замѣтны слѣдующія неправильности въ рисунокѣ: Часть наружной рамки съ лѣваго края бандероли не изображена вовсе.

Государственный гербъ помѣщенъ, въ охватывающей его круговой линіи, ниже чѣмъ слѣдуетъ, такъ что орелъ концомъ хвоста опирается на упомянутую линію. Въ темныхъ, дугообразныхъ полосахъ, съ обѣихъ сторонъ государственнаго герба, снаружи рамки изъ трехъ круговыхъ линій, размѣщены — на действительной бандероли — попеременно бѣлая точка и овалы, числомъ 13; на фальшивой — ихъ 11, при чемъ въ полосѣ съ правой стороны орла нѣкоторыя точки имѣютъ размѣры оваловъ.

Арабески противъ оконечностей темнаго цѣпа съ бѣлой прописью „ТАМОЖЕННЫЙ БАНДЕРОЛЬ НА ЧАЙ“ воспроизведены не точно: нижніе, правые завитки касаются толстой ломаной линіи надъ ними, тогда какъ должны быть отдѣлены отъ нея промежутокъ. Буквы прописи имѣютъ неодинаговую ширину, такъ напр: буква „И“ слишкомъ широка, а „Е“ слишкомъ узка; всѣ буквы слова „ЧАЙ“ весьма неправильны. Въ рисунокѣ гильсонированнаго фона на фальшивой бандероли нѣтъ той правильности, какая видна на действительной бандероли.




(ასს. ფ. ი-13, აბ. 2, ს. 13 ფურც. 75)

№ 159.
Ст. 17 апреля 1906г.
Копія. 25

Приморскимъ Учрежденіямъ Батумскаго Тамо-
женнаго Округа 15 Апрѣля 1906 года № 38.

у
906г.

По полученнымъ отъ Директора Департамента
Полиціи свѣдѣніямъ пароходъ Херсонскъ, вышедшій изъ
Антверпена подъ командой капитана Шульца свое наз-
ваніе перекрасилъ на "Дусонъ". Затѣмъ подъ именемъ
"Михаила Ушакова" (капитанъ именовался Гарбое) за-
шелъ въ Александрію, откуда 29 Марта отправился въ
Таганрогъ или другой Черноморскій портъ. На озна-
ченномъ пароходѣ будто-бы провозится оружіе. Объ
этомъ даю знать для свѣдѣнія и въ чемъ слѣдуетъ
исполненія. Подписалъ Начальникъ Округа Зыковъ.

рно: Секретарь 

(ახს. ფ. ი-13, აბ. 2, ს. 20 ფურც. 25)

Актъ

1910 года апреля 20 дня. Мы, нижеподписавшийся
Исполняющий Николаевской Милосердия, надворный
Совѣтникъ Бокитидзе и командиръ Подполковника От-
ряда 25 Черноморской Бригады Артиллерийского Кор-
пуса поручикъ Ефронен, штабъ ротмистра
Мыртовъ составили ревизию акту вѣзднот-
уель: въ Турку-Сиваской порты Деревяна прохода
въ длину - отъ угла главнаго здания Николаевской
Милосердия съ южной стороны до конца угла
каменнаго подмывуельнаго для митровъ въ южной
сторона Сурожина Ринкедзи - въ сѣв. и въ шир-
тѣ, наибольшую - отъ правой западной стѣны Ку-
куржаннаго митрова южной стѣны Арифу
Али Моккобизи - 29 саж. зверо приблизительно,
около 2500 кв. саж. составляетъ районъ Нико-
лаевской Милосердия и ныне охраняется камен-
ными стѣнами Милосердянаго въдомства джеск
и погел. Единственной охрана между стѣнами Ми-
лосердянаго въдомства и поручикомъ Ефронен
вовсе не имѣется.

Исполняющий Николаевской Милосердия,
Надворный Совѣтникъ Бокитидзе,
Командиръ Подполковника Отряда,
Штабъ ротмистра Мыртовъ

(ახს. ფ. ი-13, აბ. 2, ს. 21 ფურც. 25)

Акта

211

1908 года Петра Вера. Об утверждении Насконал.
Кои Мандоно, по предписанию императору на 1909 года,
подписан при предписании Департамента Мандонона
Служба, от 18 марта 1908 г. № 84851. Для производства
справки отобрания в министерстве правды, при том око-
лоток: отобрания правды, отобрание император и
Мандоно, а также министерство правосудия.

Отписки

Подпись Петра Вера.

Подпись канцелярии Мандоно.



Подпись Петра Вера.

Мандоно генерал-лейтенант
приказом Мандоно.



И. И. К. В. С. 1908

Подпись Петра Вера.

Подпись Мандоно

И. И. К. В. С. 1908

(ახს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 83 ფურც. 24)

М. ф. *№ 250.* *ст. 20 1003 1910 г.*
начальникъ
Таможняго Таможеннаго Округа.
8 Іюля 1910 г. *Ог.* Г. бывшему Управляющему Николаевской
№ 3834 Таможней, Надворному Совѣтнику Г о г и
г. Батумъ. т и д з е .

Въ виду послѣдовавшаго распоряженія
С. Министра Финансовъ въ № 116 Собранія
Узаконеній и распоряженій Правительства
/ ст. 1244 /, Николаевская Таможня счита-
ется упраздненной, а вмѣсто нея учрежденъ
Переходный Пунктъ.

Вслѣдствіе сего, а также принимая
во вниманіе, что надзирателемъ означен-
наго пункта никто еще не назначенъ, а Вы
перемѣщены Управляющимъ Очемчирскою Тамо-
жнею, предлагаю Вашему Высокоблагородію,
впредь до прибытія Надзирателя пункта и
Вашего выѣзда къ мѣсту новаго служенія,
озаботиться приведеніемъ дѣлъ и казенна-
го имущества въ надлежащій порядокъ для
сдачи Надзирателю во всемъ на законномъ
основаніи и сократить таможенныя дѣйст-
вія въ предѣлахъ правъ Переходнаго пунк-
та. *М. С. П. П.*

(ასს. ფ. ი-13, აბ. 2, ს. 95 ფურც. 1)

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 10** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N10
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N5
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 26** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N6
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N12
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 40** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N40
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 27** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N7
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 21** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N21
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 78** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N78
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 13** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N13
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 41** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N41
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N12
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 20** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N20
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 83** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N83
- ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 95** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N95
- ასს. ფ. ი-13, ან. 1, ს. 41** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 1, საქმე N41

მაღლაზ სიორიძე 2003: - ბათუმის საბაჟო ბათუმი 2003 წ.

დომიტრი ბაქრაძე 1987: - „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. ბათუმი 1987 წ.

ნიკოლოზ ბერძენიშვილი 1964: - „ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისთვის საქართველოში“. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I თბილისი 1964 წ.

თედო სანოკია 1985: - „მოგზაურობა გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი“. ბათუმი 1985 წ.

აბელი სურგულაძე, მალხაზ სიორიძე 1996: - „პორტო-ფრანკო“. ბათუმი 1996 წ.

რევაზ უზუნაძე 2001: - „ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები)“. ბათუმის უნივერსიტეტი 2001 წ.

გიორგი ყაზბეგი 2012: - „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო, სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევები“. ბათუმი 2012 წ.

თამაზ ბერაძე 1981: - „ნაოსნობა შუა საუკუნეების საქართველოში“. თბილისი 1981 წ.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ისტორიიდან (აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალების მიხედვით)

უძველესი დროიდანვე საქართველოში არსებობდა ნაოსნობის საუკეთესო ტრადიციები. ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს მეცნიერ-მკვლევარებმა ა. ბერაძემ, რ. უზუნაძემ, ტ. ჭანტურიამ, რ. ბერიძემ, ე. ნაკაშიძემ და სხვებმა. ახალშექმნილი სანაოსნოს ხელმძღვანელების წინაშე დადგა ნაოსნობის უძველესი ტრადიციების აღორძინების და საზღვაო ფლოტის მუშაკების აღზრდა-განვითარების საკითხი.

რუსეთის მიერ შავი ზღვის ქართული სანაპიროს დაპყრობის შემდეგ, საფუძველი ეყრება შორეული ნაოსნობის განვითარებას, იქმნება რუსული საზღვაო-სავაჭრო ფლოტი, დაიწყო ევროპის და აზიის დამაკავშირებელი საზღვაო გზების აღდგენა გაფართოება. შავ ზღვასთან დამაკავშირებელი მდინარე რიონი ქვეყნის შიგნით სანაოსნოს ფუნქციას ასრულებდა. **[გოდერძი ვაჭრიძე 2013:59]**

1921 წლიდან ბათუმის პორტი გასამხედროვებული იყო. ტვირთის გასინჯვას აწარმოებდა კომისია, რომელშიც შედიოდნენ ბათუმის კომენდანტი, პორტის კაპიტანი, პორტის რაზმის უფროსი. იალქნიანი და მოტორიზებული გემების შემოწმების საფუძველზე დგებოდა აქტი. 1921 წლის 10 აგვისტოს ბათუმის პორტში მოტორიზებული გემის „კიბალჩიჩი“ (კაპიტანი გრიშკო) მიერ შემოტანილი იქნა 400 ფუთი ბენზინი **[ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 9, ფურც. 2]**

ბათუმის პორტთან არსებობდა ამიერკავკასიის ზღვათა სპეციალური სამმართველო, რომელიც აწარმოებდა გემების რეგისტრაციას და დოკუმენტების შემოწმებას. ბათუმის პორტში დაწესებული იყო მკაცრი სამხედრო წესები. 1921 წლის 8 სექტემბერს ოჩამჩირეს საზღვაო პორტში გაჩერებული გემი „ჭოროხი“ აწარმოებდა არმიისთვის განკუთვნილი თამბაქოს გადაზიდვას და ამ დროს გემის კაპიტანმა მიიღო სასწრაფო ბრძანება წასულიყო სოხუმის პორტში.. გემის კაპიტანი ვალდებული იყო შეესრულებინა ბრძანება, წინააღმდეგ

შემთხვევაში მას ემუქრებოდა თავისუფლების აღკვეთა და დაჯარიმება. პორტში დაწესებული კანონების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხდებოდა ტვირთის მფლობელის დაჯარიმება. 1921 წელს ათი მილიონი მანეთით (ბონები) დაჯარიმდა კანტორა „ლოიდ ტრესტი“. ბათუმის პორტის უსაფრთხოებას იცავდა გასამხედროებული პოლიციის რაზმი. შავ ზღვაზე გემების მშვიდობიან მიმოსვლას და მეზღვაურის სიცოცხლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა საერთაშორისო მნიშვნელობის კონვენციები. ყველა სახის საზღვაო ტრანსპორტისთვის დაწესებული იყო ტექნიკური ხასიათის მოთხოვნები. გემები აღჭურვილი იყო მაღალი სტანდარტის მქონე რადიოთი და გამაფრთხილებელი ხმოვანი სასიგნალო სისტემით. არსებული კონვენციით გათვალისწინებული იყო ყველა სახის საშიშროება, მათ შორის ხანძარი, გემების შეჯახება და ა.შ. 1974 წელს დაფიქსირდა თბომავალ „მიხა ცხაკაიას“ (კაპიტანი ზენეიშვილი) შეჯახება კანადის მშრალტვირთიან გემთან. მთავარ მიზეზად დასახელდა გემების ტექნიკური დათვალეობის ფორმალური ხასიათი. 1974 წელს თბომავალი „ზუგდიდი“ ფორმალურად შეამოწმეს და ჟურნალში შენიშვნები არ შეიტანეს. ხშირად ხდებოდა ავარიული შემთხვევების დამალვა. მეზღვაურები რადიოლოკაციურ ტრენაჟორზე სწავლებას გადიოდნენ. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები წლის განმავლობაში მრავალ რეისს ასრულებდნენ.

შავი ზღვისპირეთის სავაჭრო ფლოტის კომერციულ განყოფილებას საათებსა და წუთებში გათვლილი და დამტკიცებული ჰქონდა ბათუმის პორტში შემოსული და გასული გემების გრაფიკი. დადგენილი იყო სხვადასხვა პორტში შესვლის და გამოსვლის დრო. ბათუმიდან გასული გემები გაივლიდნენ ფოთის, გაგრის, სოხუმის, სოჭის, იალტის, ტუაფსეს, ანაპის, ნოვოროსიისკის პორტებს. ზაფხულის რეისებისთვის დაწესებული იყო განსხვავებული დროის განრიგი. სატვირთო და სამგზავრო გემები მოძრაობდნენ ბათუმიდან ანატოლიის (თურქეთის აზიური მხარე) მიმართულებით. ზღვაზე მოსამსახურე პერსონალისთვის წელიწადში ერთხელ წარმოებდა უფასო სამგზავრო მიმოსვლა. შავი ზღვის სანაპიროზე განთავსებული

იყო სამი პოლკი, კავკასიის დივიზია, ერთი როტა და ორი ესკადრონი.
[ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 23, ფურც. 60]

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ოფიციალურად შეიქმნა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს 1967 წლის 20 იანვრის N13 ბრძანების საფუძველზე, რომლის ჩამოყალიბებას წინ უძღვოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. მისი შექმნა ბევრმა მიზეზმა განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში შავი ზღვის საზღვაო ფლოტი ნოვოროსიისკის რეგიონის სამგზავრო და სავაჭრო გემების მიმოსვლის ცენტრს წარმოადგენდა და გადასაზიდი სამუშაოებით ძლიერ გადატვირთული იყო. მისი განტვირთვის მიზნით აუცილებელი გახდა სანაოსნოს შექმნა. ამასთან ერთად საზღვაო ფლოტის სამინისტრომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პორტებში განსაკუთრებით გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა, საქართველოს პორტების გავლით ტვირთი იგზავნებოდა მსოფლიოს ყველა მიმართულებით. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მგზავრების და ტვირთის გადაყვანა-გადაზიდვის პრობლემური საკითხების ოპერატიულად მოგვარება-გადაწყვეტის აუცილებლობა. საქართველოს საზღვაო სანაოსნო უშუალოდ ექვემდებარებოდა სსრკ საზღვაო ფლოტს, ხოლო მის მთავარ რეზიდენციას ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილებით სანაოსნოს გადაეცა ბათუმში, ი. გოგებაშვილის ქუჩა N40-თან არსებული შენობა და 1,4 ჰექტარი მიწის ფართი, რომელიც ადრე თევზის მეურნეობას („წითელი მეთევზე“) ეკუთვნოდა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელი მუშაკები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი შრომის ანაზღაურების მიხედვით მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს. ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტებს ერთი სატელეფონო არხი და დამატებითი 100 სატელეფონო ნომერი გამოუყვეს, სანაოსნოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობათა სარესტავრაციოდ მთავრობამ 50 ათასი მანეთი გამოჰყო, სანაოსნო ახალი ტექნიკური დანადგარებით აღიჭურვა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ჩაგოვადის ინიცია-

ტივით, პროფტექნიკური განათლების ორგანიზების მიზნით 1967-68 სასწავლო წლიდან ბათუმში, ფოთსა და სოხუმში საზღვაო პროფესიების შემსწავლელი სასწავლებლები გაიხსნა, [ასს, ფ. რ-128, ს. 3, ფურც. 1,2] ხოლო ფოთში კი სასწავლო-საკურსო კომბინატი [ასს, ფ. რ-128, ს. 1, ფურც. 47]

სსრკ საზღვაო ფლოტის 1967 წლის 24 ივნისის ბრძანება #123 საფუძველზე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გადაეცა გემები: „აქსაი“ (ტვირთიძევა 3800ტ) „ალაგირი“, „აქტაშ“, „ანაპა“, „ალექსეევკა“, „აქტაუ“, „კიროვი“, „კლაიპედა“, „იზიასლავი“, „მაიკოპი“. გემების გადაცემა ნოვოროსიისკის და საქართველოს საზღვაო სანაოსნოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა. 1967-1968 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაქვემდებარებაში იყო სხვა გემებიც: „ფოთი“, „თბილისი“, „26 კომისარი“. მცირე კაბოტაჟი ძირითადად მიემართებოდა ბათუმი-ოდესის და ბათუმი-ჟდანოვის მიმართულებით, ხოლო დიდი ნაოსნობის ფლოტი კი პატაგონ-შელფი-ოდესის, სევასტოპოლ-ფეოდოსია-მონტევიდეოს, პატაგონი-შელფი-ბათუმის, კალინინგრადი-პატაგონ-შელფის რეგიონების მიმართულებით, ამავე პერიოდში საზღვარგარეთ რეისები ფიქსირდებოდა ბათუმი-ისლანდიის, ტუაფსე-კანაკრიის, ფეოდოსია-ანტვერპენის, ბუენოს-აირესი-ილიჩევსკის, კონსტანცა-ჰამბურგ-როტერდამის მიმართულებით. 1967-1968 წელს სულ გატანილი იქნა 75645 ტონა ტვირთი, რომელმაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მისცა სუფთა მოგება ვალუტაში 159503 მანეთი. [ასს, ფ. რ-128, ს. 33, ფურც. 136]

1973 წელს ტანკერმა „დროგობიჩი“(კაპიტანი ი.მ. შანიძე) შეასრულა 33 რეისი, აქედან 5 საზღვარგარეთ და წლის გეგმა შეასრულა 100%. სუფთა სავალუტო მოგებამ შეადგინა 121 800 მანეთი [ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 553, ფურც. 143]

1967 წელს ფოთის პორტმა 2860 ტონა ტვირთი გადაამუშავა. მათ შორის: 1. პურეული 261 (მარცვალი 240); 2. შაქარი - 60 (შაქრის ნედლეული 50); 3. ბამბა- 65 4. ლითონები - 280 5. მადანი-1406; 6. ქვანახშირი - 610 7. სამშენებლო მასალა-125 8. ქიმიური ტვირთი-15 9. გენერალური ტვირთები-36.

1966 წლიდან 1970 წლამდე ფოთის პორტში ერთი-ორად გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა.

ბათუმის საზღვაო პორტის უფროსის ბორის ანთიმოსის ძე ლომთაძის ანგარიშში (პორტის მიერ 1966-1970 გაწეული მუშაობის შესახებ) ნათლად ჩანს როგორც საექსპორტო-საიმპორტო საქონლის ზრდის მაჩვენებლები, ასევე ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდა. ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდება სოხუმის პორტის უფროსის რ. ეშბას მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში.

1967 წლის 29 აპრილს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მმართველის ა. კაჭარავას მიერ გამოცემული N78 ბრძანების საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პორტის ფლოტის ეფექტურ გამოყენებას, პორტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოესი მიღწევების დანერგვას, მოქმედი მოწყობილობების მოდერნიზაციას, პორტის ფლოტში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ [ასს, ფ. რ-128, ს. 4, ფურც. 61,62]

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის ანატოლი კაჭარავას 1967 წლის 31 მარტის N34 ბრძანებით სანაოსნოს ხელმძღვანელებს შორის უფლება-მოვალეობები შემდეგი სახით გადანაწილდა: სანაოსნოს უფროსი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სანაოსნოსთან არსებულ საბჭოს, ასევე სამხედრო-სამობილიზაციო, იურიდიულ, საფინანსო განყოფილებებს, მთავარ საზღვაო სააგენტოს „ინფლოტი“, სათაო კანტორას „საზღვაო-სავაჭრო ტრანსპორტი“. მისი მოადგილე საზღვაო პორტების მშენებლობის დარგში იყო ბ.ა. ლომთაძე, რომლის უშუალო დაქვემდებარებაში იყო პორტის დაცვისთვის განკუთვნილი, სამხედრო დანიშნულების რაზმი „BOXP“, იგი ასევე აკონტროლებდა ჰიდრომოწყობილობებს, კაპიტალურ რემონტს, საწარმოო ნაგებობების გამართულ მუშაობას, საზღვაო სააგენტოს „ტრანსფლოტი“, პორტში არსებული სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მოადგილე ფლოტის ტვირთბრუნვის და გადაზიდვების დარგში ა. ნაგნიბედი კურირებდა კომერციულ განყოფილებას, სამხედრო-თავდაცვის შტაბს, სატრანსპორტო ფლოტის გეგმიურ და ორგანიზაციულ მუშაობას.

სანაოსნოს მთავარი ინჟინერი განაგებდა მეურნეობას, კავშირ-გაბმულობას, ელექტრო-რადიო ნავიგაციას, რადიო ცენტრს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის სამსახურს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს, თბოტექნიკას, გემთმშენებლობას და რემონტს, სანაოსნოს ტექნიკურ საბჭოს, ქიმიური ლაბორატორიას, კონტროლს უწევდა მშრალი ტვირთების, ნავთობჩამოსასხმელი, ქვანახშირის, მადნის, სამგზავრო-სატრანსპორტო ფლოტის ტექნიკურ ექსპლუატაციას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ნაოსნობის დარგში ვ. ჩხაიძე ხელმძღვანელობდა ნაოსნობის სამსახურს, საბაზო ელექტრორადიოსანავიგაციო კამერას, პორტის კაპიტნებს და ლოცმანებს, კონტროლს უწევდა ყველა სახის სანაოსნო გემების უსაფრთხოებას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ეკონომიკურ საკითხებში ე.ა. ჩერნოვი ხელმძღვანელობდა საგეგმო-ეკონომიკურ, საფინანსო-სავალუტო განყოფილებებს, ნორმატიულ კვლევით სადგურს, კოორდინაციას უწევდა სანაოსნოს საბჭოს მუშაობას, რეფერირებას უწევდა საბჭოს მიერ გამოცემულ სადირექტივო მასალებს.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე საყოფაცხოვრებო დარგში დ.გ. რთველაძე ხელმძღვანელობდა სამეურნეო-ადმინისტრაციულ განყოფილებას, პასუხისმგებელი იყო სანაოსნოს მიერ მიღებული ბრძანებების, დირექტივების შესრულებაზე, კურირებდა პორტთან არსებულ საბავშვო დაწესებულებებს, საკლუბო-სპორტულ მუშაობას, პორტის საყოფაცხოვრებო და სანიტარულ პირობებს.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე კადრების დარგში ე.ს. ვერესოცკი ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ მოცურავე მეზღვაურების საორგანიზაციო განყოფილებას, კონტროლს უწევდა სანაოსნოს გემებზე მომუშავე კადრების მუშაობას. **[ასს, ფ. რ-128, ს. 4, ფურც. 28,29,30]**

საქართველოს საზღვაო სანაოსნო დიდი ყურადღებას აქცევდა საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების საქმეს. ამ მიზნით სანაოსნოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული სხვადასხვა სანაოსნოებთან. კადრების სამმართველოს 1967 წლის 25 აპრილის მონაცემებით 35 სპეციალისტიდან 15-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება, არასრული უმაღლესი-6, საშუალო სპეციალური-11, ზოგადი

საშუალო-3. საზღვაო საქმის კარგი მცოდნენი იყვნენ შორეული ნაოსნობის კაპიტანი ა. კაჭარავა, მისი მოადგილე ბორის ლომთაძე, ასევე ვ. ჩხაიძე, ნ.გაიდაბური, ა. მაქსიმოვი, ე. ჩერნოვი და სხვები. ამათგან უმეტესი წლების განმავლობაში შორეული ნაოსნობის კაპიტნები და თანამშრომლები იყვნენ.

სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი ე.გ. გეგენავა 20 წლის განმავლობაში იმყოფებოდა შორეულ ნაოსნობაში და ეკავა ჯერ ინჟინერ-მექანიკოსის, ხოლო შემდეგ შორეული ნაოსნობის კაპიტანის პირველი თანამშრომლის თანამდებობა. გ. ვასაძეს, რომელიც კურირებას უწევდა საზღვარგარეთ ნაოსნობის ორგანიზების საქმეს, გააჩნდა შორეული ნაოსნობის კაპიტანის დიპლომი და 11 წლის განმავლობაში მუშაობდა საზღვაო ფლოტის სამინისტროს სისტემაში.

შრომითი გამოცდილების გაზიარების მიზნით სანაოსნოს სპეციალისტები იგზავნებოდნენ ნოვოროსიისკის საზღვაო სანაოსნოში; სემინარები იმართებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ბათუმის საზღვაო სასწავლებელი (ე.წ. „მორეხოდკა“) სანაოსნოსთვის ამზადებდა სპეციალისტებს.

საექსპორტო-საიმპორტო საქონლის გადაზიდვების უსაფრთხოების მიზნით სანაოსნოს უფროსის 1967 წლის 19 თებერვლის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გამხედროვებული რაზმები ე.წ. „BOXP“. [ასს, ფ. რ-128, ს.4, ფურც. 7,8].

1967 წლის 11 მაისს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მმართველმა, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 მარტის და საზღვაო ფლოტის სამინისტროს 1964 წლის 24 მარტის ბრძანებების საფუძველზე საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთათვის სატარებლად დააწესა ტანსაცმლის ფორმა.

ამ პერიოდისთვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა შემდეგი სახის სატრანსპორტო საშუალება: 1. სატრანსპორტო ფლოტი: სამგზავრო კატარღები „ზემჩუჟინა“ (2ერთეული) „არკადია“ (3ერთეული) 2. მშრალი ტვირთის ბარჟები და პლაჰოუტები. 3. ბუქსირები (3ერთეული) და ა.შ. მისი სრული სურათი წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტებში.

1959-66 წლებში სოხუმის სამგზავრო ფლოტს ემსახურებოდა გემები: „სოხუმი“, „ძიგუა“, „ლაკობა“, „კიახბა“, „ეშბა“, „ტყვარჩელი“, „აფხაზეთის კომკავშირი“, „გალი“, „ოჩამჩირე“, სატვირთო ფლოტს კი გემები: „კოდორი“, „გუმისმთა“, „კელასური“, „ბზიფი“. სოხუმის საზღვაო პორტის სამმართველოს ხელმძღვანელობდა მ.ცეკვავა. **[ასს, ფ. რ-128, ს. 30, ფურც. 7].**

1975 წლის 16 მაისს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბჭომ განიხილა საზღვარგარეთ საბჭოთა მეზღვაურის ქვევის წესების საკითხი. გემზე მთავარი ყურადღება ექცეოდა პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას. გემის კაპიტნის შემდეგ საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა ე.წ. ზამპალიტს - პოლიტ-აღმზრდელობითი საქმის ხელმძღვანელს. განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული კონტრაბანდა საქონლის გატანის და საბაჟო წესების დაცვის საქმეზე. საბჭოთა მეზღვაური ვალდებული იყო შეენარჩუნებინა მორალური სახე და დაეცვა ქვევის წესები. ხშირად ფიქსირდებოდა შემდეგი ხასიათის დარღვევები: სპირტიანი სასმელების გადამეტებული სმა და გემზე დაგვიანება, უცხოელ მოქალაქეებთან ვაჭრობა და საქონლის გადაცლა. წესების დამრღვევ მეზღვაურებს ართმევდნენ ვიზებს და სამუშაოდ გადაჰყავდათ საცუროდ კაბოტაჟში. სავაჭრო საგანს წარმოადგენდა ქალის პარფიუმერია, ეგზოტიკური ფრინველები, პორნოგრაფიული ხასიათის ჟურნალები, უცხოური თამბაქო და ა.შ. **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 622, ფურც. 200]**

პროფესიული დაავადებების აღსაკვეთად საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაწესებული ჰქონდა პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებები. შემდუღებლების პროფესიული დაავადება იყო კონიუქტივიტი. მათთვის დაწესებული იყო დამცავი სათვალეების ტარება და სამუშაო ობიექტის იზოლირება დამცავი ზღუდეებით **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 462, ფურც. 52]**

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბჭოს წევრები იყვნენ აკაჭარავა, პ. ჯორბენაძე, ქოიავა, კიკვიძე, დავითაძე, ფხაკაძე, გაიდაბური, ბენიძე, ისაკაევი, სიდენკო **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 622, ფურც. 290]**

1974 14 თებერვალს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა ანატოლი კაჭარავამ თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1972 წელთან შედარებით ტვირთის ტონაჟი გაიზარდა 20%-ით, ხოლო მოგებამ შეადგინა 37%, გეგმის ზევით 9000 მანეთი. სათბობის ეკონომიამ გადააჭარბა 51 000 მანეთს. სხლომაზე აღინიშნა-სარემონტო სამუშაოების შესრულების დროის შემცირება, ახალი ტექნიკის მიწოდების გაუმჯობესება და რაციონალიზატორული საქმიანობის განვითარება. ანატოლი კაჭარავამ ერთ-ერთ ძირითად ნაკლად აღიარა საზღვაო პორტებში გემების დგომის და მოცდენის დროის ხანგრძლივობა. 1973 წლის 19 სექტემბერს, ბათუმის პორტში მოსულმა ტანკერამ „ბორჯომი“ 21 000 ტონა მარცვლის გადმოტვირთვას ნორმირებული 15 დღე-ღამის ნაცვლად, მოანდომა 37 დღე. მთავარ მიზეზად დასახელდა მარეგულბრის კვალიფიკაციის დაბალი დონე. დიდი თანხები იხარჯებოდა გემების სარემონტო სამუშაოებზე. 1973 წელს ტანკერ „თბილისის“ განახლებაზე განსაზღვრული იყო 200 000 მანეთი, ხოლო დაიხარჯა 500 000 მანეთი. 1974 წელს შეკინის მეთოდით, შტატების შემცირების ხარჯზე სანაოსნომ მიიღო ეკონომიური ეფექტის სახით 6500 მანეთი. **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 491, ფურც. 146]** საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის, ანატოლი კაჭარავას 1974 წლის 8 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, საზღვარგარეთ მცურავი გემების კაპიტნებად დანიშნეს: თბომავალი „ასპინდა“ (კაპიტანი ქათამაძე. ასლან იუსუფის ძე, „აქტაუ“ (კაპიტანი ზენაიშვილი აბესალომ მელიტონის ძე, „აქსაი“ (კაპიტანი ბლაგიძე კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, აღსანიშნავია ქართველი კაპიტნები, სვანიძე გიორგი ნიკოლოზის ძე, მიქელაძე სოსო მემედის ძე, ჩხაიძე ვახტანგ დავითის ძე. **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 553, ფურც. 6]**

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის 1974 წლის 19 ივლისის ბრძანებით, საპატიო მეზღვაურის წოდება მიანიჭეს მარლენ ორაგველიძეს, გიორგი არჯევანიძეს. საუკეთესო კაპიტნის წოდება მიენიჭა თბომავალ „ბათუმის“ კაპიტანს, ვახტანგ დავიძის ძე ჩხაიძეს, თბომავალ „ასპინძის“ კაპიტანს, ჯუმბერ ისიდორეს ძე ინწკირველს, საუკეთესო მექანიკოსის წოდება მიენიჭა თბომავალ „ზუგდიდის“ მექანიკოსს გურამ შალვას ძე მაქაცარიას, საპატიო წოდება მიანიჭეს

თბომავალ „გორის“ რაიონის უფროსს დეისაძე ნიკოლოზ ივანეს ძეს, თბომავალ „50 წელი საბჭოთა საქართველოს“ ბოცმანს კუტალაძე ვაჟა გიორგის ძეს, „აქტაუს“ მეზღვაურს მექვაბიშვილი გურამ სანდროს ძეს. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები 1967-1974 წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთის 75 ქვეყნის პორტში. საქართველოს საზღვაო სანაოსნო იქმნებოდა შიშველ ადგილზე, მას არ გააჩნდა ფლოტი, არ იყო აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სატრანსპორტო მეურნეობა, კადრები. 1969 წელს ბათუმის საზღვაო პორტში საზღვარგარეთის დროშით შემოვიდა 386 გემი (ბულგარეთი, იტალია, საბერძნეთი, ინდოეთი, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, იუგოსლავია, კიპრი, დანია, ესპანეთი, რუმინეთი, მექსიკა და ა.შ.) შემოდიოდა ნავთობპროდუქტები, ხილბოსტნეული, ლითონი. 1973 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა 395 ტონაჟის 40 ტანკერი. 1977 წელს სავალუტო მოგებამ შეადგინა 155 ათასი მანეთი, ხოლო 1970 წელს 175000 ათასი მანეთი, გაიზარდა ხუთჯერ. 1972 წელს სანაოსნომ მიიღო სასარგებლო წიაღისეულის მზიდავი გემი „ნიკო ნიკოლაძე.“ მშრალი ტვირთის გემებიდან აღსანიშნავია „მიხა ცხაკაია“ და „ფილიპე მახარაძე“. მათ გადაჰქონდათ 30000 ტონა ტვირთი, მათ შორის ხორბალი, ქვანახშირი და კოქსი. 1975 წელს სანაოსნოს შემადგენლობაში იყო რვაათასი ტონაჟის 52 გემი. 1972 წელს სანაოსნომ ბულგარეთიდან მიიღო ტანკერი „დროგობიჩი“, ფინეთიდან „ასპინდა“. გემებს შორის აღსანიშნავია ტანკერი „ბათუმი“, „ჩკალოვი“, „მაშტაგი“, „იზიასლავი“. განვითარდა სავაჭრო ფლოტის ტექნიკური მოწყობის საქმე. გემები გადაჰყავდათ ავტომატიზირებულ სისტემაზე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოში მუშაობდა 3000 ადამიანი. ყოველწლიურად ბათუმის პორტში შემოდიოდა 350 სამგზავრო გემი. 1972 წელს საქართველოში შემოვიდა 18900 მგზავრი. საქართველოდან გაჰქონდათ მარგანეცი (ჭიათურა), კოქსი (რუსთავი), ქვანახშირი (ზეესტაფონი), საქართველოში არსებული ნედლეულით მარაგდებოდა მეტალურგიული ქარხნები. 1973 წელს გემი „ანაკლია“ გაემგზავრა კუბაში და იქ 153 დღე დაჰყო. მან განახორციელა 34 რეისი და გადაიტანა 162410,951 კგ. ტვირთი, აქედან 9000 ტონა ნავთობი და

7000 ტონა დიზელის საწვავი. საქართველოს სახელმწიფოს შემოსავალმა საგარეო ვალუტით შეადგინა 200 000მ, ხოლო საბჭოთა ფულით 300 000 მანეთი. გემი „ანაკლიას“ ეკიპაჟის შემადგენლობაში იყო 36 ადამიანი, აქედან 17 ქართველი, 13 რუსი, 2 სომეხი, უკრაინელი, ბელორუსი, ბერძენი. გემის ეკიპაჟის საშუალო ასაკმა შეადგინა 36 წელი, მათ შორის იყვნენ უმაღლესი საზღვაო სკოლის კურსდამთავრებულები, საშუალო ტექნიკური სასწავლებლების სპეციალისტები. **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 478, ფურც. 1]**

1972 წლის 31 ივლისს კუბაში 6 თვით გაემგზავრა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი „ადიგენი“, რომლის ეკიპაჟი აერთიანებდა 37 წევრს. აღნიშნულმა გემმა განახორციელა რეისები როტერდამში, ანტვერპენში. **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 490, ფურც. 21]** 1973 წლის 8 იანვარს ბათუმის პორტი შავი ზღვის პორტებს შორის აღიარეს საუკეთესოდ **[ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 122, ფურც. 212]**

ზემოთ წარმოდგენილი მცირე საარქივო დოკუმენტური მასალაც კი ნათლად წარმოაჩენს შორეული ნაოსნობის მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ 260 მილიონი ადამიანით მოსახლე მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ფულად მოგებას აძლევდა. ლეგენდად იქცა შორეული ნაოსნობის ქართველი კაპიტნების ა. კაჭარავას, ალ. ზენაიშვილის, ვ. მაქაცარიას, ვ. ჭანტურიას და სხვათა საგმირო საქმეები. საუბედუროდ დღეს აღარ არსებობს ქართველის ხელით დანგრეული საქართველოს საზღვაო სანაოსნო და დავიწყებას მიეცა ნაოსნობის ქართული ტრადიციები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 9-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-296 ანაწერი 1, საქმე N9

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 553-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N553

ასს, ფ. რ-296, ან. 1 ს. 23-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-296 ანაწერი 1, საქმე N23

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 622-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N622

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 462-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N462

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 491-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N491

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 478-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N478

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 490-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N490

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 122-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N122

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 3-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N3

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 33-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N33

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 4-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N4

ასს, ფ. რ-128, ან. 1 ს. 30-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-128 ანაწერი 1, საქმე N30

გოდერძი ვაჭრიძე 2013; 59:- ბათუმი წარსული და თანამედროვეობა III შავი ზღვის ქართული სანაპირო და რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა.

თამაზ ბერაძე 2011;12:- კრ. ბიბლიოთეკა მომავალი თაობის განათლების კერა საქართველო შავ ზღვაზე უძველესი დროიდან დღემდე.

რევაზ უზუნაძე 1977;1:- ნაოსნობა ბათუმის ოლქში.

შავი ზღვის საბაჟოების ურთიერთობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში

დღეს შავ ზღვაზე მიმდინარე საომარი მდგომარეობის გამო დიდი ყურადღება ექცევა უსაფრთხოების წესების დაცვას. ამ მხრივ საყურადღებო და გასათვალისწინებელია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შავი ზღვის ქვეყნების და მათთან არსებული საბაჟოების თუ სასაზღვრო საგუშაგოების მიერ გაწეული ერთობლივი მუშაობის გამოცდილება. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს პროფესორ მალხაზ სიორიძის მიერ გამოცემული მონოგრაფია „ბათუმის საბაჟო“. ჩემს მიერ შესწავლილია წმინდა ნიკოლოზის (შეკვეთილი 1858-1910 წწ.) და ჩურუქ-სუს (ქობულეთის სადგურიდან ერთი ვერსი 1910-1918) საბაჟოების და მათთან არსებული სასაზღვრო საგუშაგოების ისტორია. მომავალში დასახული გვაქვს ბათუმის თურქული საბაჟოს [სიორიძე 2003:43] დღევანდელი გოგებაშვილის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთა} ისტორიის შესწავლა.

1829 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ ადრიანოპოლის ტრაქტატში გარკვევით არის მითითებული, რომ წმინდა ნიკოლოზის ნავსადგური არის შავი ზღვის სამხრეთით არსებული სასაზღვრო პუნქტი. 1879 წლის 23 მაისს შავი ზღვისპირეთის საბაჟოებს გაეცათ ბრძანება, რომ მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებინათ თურქეთის დროშის ქვეშ მოცურავე თევზსაჭერ ფელუგებზე, განსაკუთრებით ფეოლოსიის და ყირიმის ნახევარკუნძულზე, სადაც უცხოური გემებისთვის აკრძალული იყო თევზჭერა და დელფინების რეწვა.

1865 წლის 25 აგვისტოს რუსეთის საზღვაო საქმეთა სამინისტრომ (პეტროგრადი, მინისტრი ნ.კრაბე) დაამტკიცა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული მეთვალყურე გემების წესები. სანაპიროს მეთვალყურეობა დაწესებული ჰქონდათ აზოვის ბარკასებს, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ აწარმოებდნენ სწრაფ რეისებს. კომერციულ გემებს უნდა გაევლოთ საკარანტინო ზონა. დაწესდა კონტროლი კონსტანტინეპოლსა და სოხუმს შორის მოცურავე

გემებზე. კონტროლი ძირითადად წარმოებდა საკარანტინო ზონაში, სადაც შესამოწმებლად მოჰყავდათ ღია ზღვაში დაკავებული გემები უცხო გემებიდან ჩამორთმეული საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა საბაჟოს საწყობებში, ხოლო შემდეგ კი ხდებოდა მათი კონფისკაცია.

წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს შედგენილი ჰქონდა გემების შემოსვლის ცხრილი, რომელშიც მითითებული იყო, თუ საიდან შემოვიდა გემი, რა საქონელი შემოიტანა და რომელი მიმართულებით წავიდა და ა.შ. სავაჭრო საქონელი ძირითადად შემოდის ფოთიდან, ოჩამჩირიდან, ქერჩიდან, როსტოვიდან, რედუტ-კალედან, ევპატორიიდან. შემოჰქონდათ ევროპული ფუფუნების საგნები, პარფიუმერია, სარკე, საათები. 1857 წელს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოტანილ საგნებს შორის დასახელებულია თევზის სხვადასხვა სახეობა: სელდი, ოლოვა, ასევე თამბაქო, ბოსტნეული, ხილი, ფქვილი, ფასოლი, ხალვა, ცხვრის შალი, საღებავები, ლითონი. რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო აზიურ შალზე, რითაც მარაგდებოდნენ მოსკოვის საწარმოები. აზიური შალისგან ევროპაში კერავდნენ საუკეთესო ტანსაცმელს. საბაჟოს მიერ დაწესებული გადასახადი სავალდებულო იყო ყველა რანგის ადამიანისთვის. განსაკუთრებით დიდი გადასახადი იყო დაწესებული სავაჭროდ აკრძალულ საქონელზე, ასე მაგალითად, 1882 წელს ფოთის საკარანტინო საბაჟო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ნიკოლოზის საბაჟოდან მაღალი გადასახადი დაუწესეს ირანის პრინცს ბეხშენ-მირზას, კერძოდ მან შემოიტანა ქოლგები, რომლის სახელურებში განთავსებული იყო ძვირფასი თვლებით შემკული ხანჯალი. საყოველთაო ვაჭრობაში ჩართული იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომი ქართველი ვაჭრებიც: ალექსანდრე აბაშიძე, ვასიკო არობელიძე, ვასილ ართმელაძე, საყვალა ბეშიტაიშვილი, გაბრიელ ვასაძე, ოქროპირ ღლონტი, სიმონ ბოგვაძე, ალექსანდრე ვარშალომიძე.

1866 წლის 31 მაისს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბალუევმა დაამტკიცა საკარანტინო საბაჟოს ინსტრუქცია, რომელშიც მინიშნებულია საბაჟოს წევრთა საქმიანობა და მათი უფლება-მოვალეობანი. ინსტრუქციის ზოგად ნაწილში განსაზღვრულია საკარან-

ტინო სახლის დირექტორის მოვალეობა, მიღებულ საქონელზე ჰიგიენური წესების დაცვის, მისი დათვალიერება გადანაწილების, დასაწყობების და სხვა საკითხები. საკარანტინო პაკეზულებში საქონელს 3 დღის განმავლობაში ტოვებდნენ, ხოლო აზოვის პორტებში გასაგზავნს 6-8 თვეს. ცალკე პუნქტი იყო გამოყოფილი საკარანტინო პორტის კაპიტანზე. მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა საკარანტინო პორტში გემების მიღების საერთო წესების დაცვა. საკარანტინო წყლებში აკრძალული იყო გემების თავისუფალი მოძრაობა. პორტის კაპიტანის რეზიდენციაზე გამოფენილი იყო საკარანტინო ყვითელი ფერის დროშა. ასეთივე ფერის სიმბოლოები იყო სავაჭრო გემებზე. პორტის კაპიტანს საკარანტინო წყლებში შემოსული გემების შესამოწმებლად გააჩნდა მკითხვარი. ინსტრუქცია გარკვეულ ვალდებულებას უწესებდა სასაზღვრო დაცვას. ისინი თვალყურს ადევნებდნენ და იცავდნენ სახმელეთო და საზღვაო საზღვარს.

1856 წლიდან დაარსებულ შავი ზღვის ნიკოლოზის საბაჟოს ძირითად მოვალეობას შეადგენდა საზღვრის მეთვალყურეობა და კონტროლის დაწესება შემოტანილ საქონელზე. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო-საგუშაგო ექვემდებარებოდა ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორას, რომელიც შედიოდა ქუთაისის საბაჟო ოკრუგში. ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში საბაჟოს საქმეს ხელმძღვანელობდა უწევდა საბაჟო-საკარანტინო სამმართველო, რომლის რეზიდენცია თბილისში იყო. თავდაპირველად წმინდა ნიკოლოზის საბაჟო მდებარეობდა გურია-აჭარის საზღვარზე. 1878 წლის შემდეგ საბაჟო-საგუშაგო გადაიტანეს ჩურუქსუს მიდამოებში. ამავე დროს ბათუმში დაფუძნდა საბაჟო საკარანტინო ზედამხედველობა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ბათუმის პორტში არსებულ გემებს, შემდეგ წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გადადის მაკრიალთან, თურქეთის საზღვართან ახლოს.

1884 წლის 14 მარტის პარიზის, 1906 წლის 6 ივლისის ჟენევის კონვენციები აწესებდა ურთიერთობას შავი ზღვის საბაჟოებს შორის და ინფორმაციების გაცვლის საფუძველზე უზრუნველყოფდა მათ შორის დადგენილი საბაჟო წესების დაცვას ასე მაგალითად, 1903 წლის 4 ივნისს იზმაილის საბაჟოს მმართველი ბათუმის საბაჟოს

სთხოვდა გადაეცა ცნობა ქალაქ იზმაილში მცხოვრები ერთ-ერთი ვაჭრის შესახებ, რომელიც ადრე ბათუმში ვაჭრობდა და იცავდა თუ არა იგი საბაჟო წესებს. შავი ზღვის საბაჟოები და მათთან არსებული სასაზღვრო საგუშაგოები ემსახურებოდნენ წესრიგის დაცვას. პარიზის კონვენცია უზრუნველყოფდა წყალქვეშ არსებული კაბელების უსაფრთხოებას, ხოლო ჟენევის შეთანხმება ითვალისწინებდა დაჭრილი მეომრების სამედიცინო დახმარებას. შავი ზღვის საბაჟოები აწესრიგებდნენ ზღვაზე სავაჭრო გემების მშვიდობიან მიმოსვლას. აღნიშნული საბაჟოები აწარმოებდნენ გემებზე აღმოჩენილი აკრძალული საქონლის კონფისკაციას. განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული უაქციზო საქონლის შემოტანაზე. კავკასიის საბაჟოს 1913 წლის 11 იანვრის ბრძანებით ჩამორთმეული კონტრაბანდული საქონლის შეფასება უნდა მომხდარიყო შიგა ბაზარზე არსებული ღირებულების მიხედვით. კავკასიის საბაჟო სამმართველოს საქონლის ცალკეულ სახეობებზე ბაჟის განსხვავებული ტარიფები ჰქონდა დაწესებული. **[ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 27, ფურც. 4]** 1915 წლის 7 ივლისს შავი ზღვის საბაჟოებს გაეცა ბრძანება, რომ განსაკუთრებული კონტროლი დაეწესებინათ ქვეყნის საზღვრებში შემოტანილ ოპიუმზე. მკაცრი სასჯელი იყო გათვალისწინებული ოპიუმის მომპოვებელ, შემნახველ, გამსაღებელ და მომხმარებელ მოქალაქეებზე. აღნიშნულ დანაშაულზე გათვალისწინებული იყო სასჯელი 4 თვიდან 1 წლამდე და ფულადი გადასახადი 500 მანეთის ოდენობით. **[ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 30, ფურც. 9]** პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესდა გარკვეული შეზღუდვები. აიკრძალა ყოველგვარი ლითონის, მათ შორის სამხედრო და ნიშნულების გრამაფონის ნემსების, ქვანახშირის, ოქროს ნივთების გატანა. საბაჟოს მიერ დაკავებული პიროვნება იხდიდა საჯარიმო გადასახადს, ხოლო დამკავებელს წახალისების მიზნით გადასცემდნენ კონფისკირებული საქონლიდან მიღებული მოგების მესამედ ნაწილს. 1916 წელს, მიუხედავად საომარი ვითარებისა, გარდათაფლისა, დაშვებული იყო ბათუმის საბაჟოდან თურქეთის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანა იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო უწყების მიერ იყო ცნობა გაცემული. ტრაპი-

ზონიდან შემოტანილი საქონელი შემოწმებას არ ექვემდებარებოდა. ასევე არ მოწმდებოდნენ ანატოლიიდან ბათუმში შემოსული სამხედრო მედლები. კავკასიის სამხედრო ოლქის საზღვაო განყოფილებამ საბაჟოებს გაუგზავნა მიმართვა, არსებული საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე ანაპიდან ბათუმამდე, ერევნის, ნახიჭევანის, ირანის და თურქეთს საზღვრებში მცხოვრებ მესაზღვრეთა ოჯახების ევაკუაციის წესების განსაზღვრის შესახებ. რომელიც ექვემდებარებოდა სამხედრო უწყებას. სამხედრო ხელისუფალთა მოთხოვნით საბაჟოებს უნდა შეედგინათ საზღვრებში შემოსული საქონლის სტატისტიკური მონაცემები, აკრძალული საქონლის რეკვიზიციის და მასზე ბაჟის დაწესების მიზნით. 1916 წლის 7 ნოემბერს ამერიკელი მოქალაქე, თურქეთის სამხედრო გენერალ გუბერნატორის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე ითხოვდა კავკასიიდან ზოგიერთი საქონლის გატანას, მაგრამ მას არ მისცეს გატანის უფლება. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ საბაჟოს თანამშრომლები ბოროტად იყენებდნენ სამსახურეობრივ მდგომარეობას, კერძოდ მატერიალური დაინტერესების მიზნით მოქალაქეებთან აწარმოებდნენ სავაჭრო გარიგებას. 1916 წლის 7 იანვრის კავკასიის საბაჟო სამმართველოს ბრძანებით იმპორტული საქონლის შემოსატანად, დამატებით ითხოვდნენ მისი მწარმოებელი ფირმის ცნობას. საბაჟოს მიერ დაწესებული მოთხოვნები არ ვრცელდებოდა ანტანტის ქვეყნებზე. განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული საომარი იარაღის შემოტანაზე. 1909 წლის 13 აპრილს ბათუმის საბაჟო იუწყებოდა, რომ ანტვერპენიდან და ჰამბურგიდან საბაჟოების გავლით რევოლუციონერებისთვის შემოდიოდა შეფუთული საომარი იარაღი, რომელსაც მალავდნენ გემზე არსებულ გაზის მილებში. **[ასს. ფ. ი-14, ან. 2, ს. 11, ფურც. 48]**

შავი ზღვის საბაჟოები უზრუნველყოფდნენ საზღვარზე გადმოსული მოქალაქეების რეგისტრაციას. 1909 წელს ბათუმის საბაჟო იუწყებოდა, რომ აღნიშნულ საზღვრებში საბუთების გარეშე მიმდინარეობდა სომეხი ლტოლვილების გადასვლა თურქეთში. სომეხ ლტოლვილებს, რომლებიც 1901 წლის 1 თებერვლამდე დაბრუნდნენ ბათუმის ოლქში და რომელთაც არ სურდათ რუსეთის მოქალაქეობის

მიღება, სახელმწიფო საბჭოს 1903 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით ასახლებდნენ იმპერიის საზღვრებიდან. **[ასს. ფ. ი-14, ან. 2, ს. 11, ფურც. 62]**

1903 წლის 10 ოქტომბერს ბათუმის და ტრაპიზონის საბაჟოების ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე დაკავებული იქნა კერასუნტიდან თურქეთისკენ მიმავალი, აკრძალული საქონლით დატვირთული გემი. შავი ზღვის საბაჟოები ვალდებულნი იყვნენ შეედგინათ სტატისტიკური მონაცემები იმ საქონლის შესახებ, რომელზეც დაწესებული იყო ბაჟი განსაკუთრებული ტარიფით. 1909 წლის 12 ოქტომბერს თურქეთსა და ირანში გემებით ჩაის გატანის ნება დართეს მხოლოდ ქართული ჩაის მწარმოებელ რუსეთის სავაჭრო ფირმებს. 1916 წლის 20 თებერვალს კავკასიის საბაჟო სამმართველოს ბრძანებით აიკრძალა ქართული ჩაის გატანა ირანში ფუნტზე 2,50 ნაკლები ფასით. **[ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 30, ფურც. 31]**

1878 წლიდან 1918 წლამდე საქართველოში საბაჟო პოლიტიკას რუსეთის ხელისუფლება განაგებდა. 1918 წლის 26 მაისიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში კანონით ახალი საბაჟო სისტემა ჩამოყალიბდა. საქართველომ დაიბრუნა რუსეთის მიერ მიტაცებული 14 საბაჟო უწყება, მათ შორის სამხრეთ საქართველოში ოლთისის, ორჯოს და ლიმანის, ხოლო ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ადღერის, სოჭის და ტუაფსეს საბაჟოები.

1913 წლის 23 დეკემბერს კავკასიის საბაჟო სამმართველომ შავი ზღვისპირეთის საბაჟო უწყებებს გადასცა ბრძანება მეორე კლასის საბაჟოების უფლებების გაფართოების შესახებ, კერძოდ, მეორე კლასის საბაჟოებს ევროპაში სანადირო თოფების გატანის ნება დართეს, ხოლო სხვა სახის იარაღის გატანა საზღვარზე აიკრძალა. ხავერდის ხალიჩების გატანაზე დაწესდა გადასახადი 500 მანეთის ოდენობით. ჩურუქ-სუს საბაჟო აგზავნიდა ცნობებს თურქეთსა და სირიაში გატანილი ნავთობპროდუქტების რაოდენობის შესახებ **[ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 28, ფურც. 8]**

1914 წლის 24 იანვარს შავი ზღვისპირეთის საბაჟოებმა განსაკუთრებული ყურადღება დააწესეს იაპონიასა და რუმინეთიდან შემოსატან საქონელზე, რადგან ამ ქვეყნებში შავი ჭირის სენი მძვინვარეობდა.

რებდა (იაპონია-იოკოიამი, რუმინეთი-ილფოვი, ტერეორმანი, დო-ლჟი, რომანაცი, ჟურჟევი, იალომიცა, ბრალუ, კოლუვრუი, ოლტი, ვლასკუ, მეგედენცი, ბაკაუ, ბუქარესტი, ტეკუჩი, პუტნა, კონსტანცა, სმირნი) ასევე არაჯანსაღ კერად აღიარეს სპარსეთის ყურის ქალაქი დებეი და თურქეთის კონსტანტინეპოლი. 1914 წლის 24 თებერვლის ბრძანებით დაუშვეს კონფისკირებული ირანული თამბაქოს მიყიდვა მხოლოდ თამბაქოს ფაბრიკებზე და საბითუმო საწყობებზე [ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 28, ფურც. 9]

1913 წლის 26 იანვარს შავი ზღვის საბაჟოებს გაეგზავნა მიმართვა იმის შესახებ, რომ საბაჟოების გავლით შემოდის რვოლუციური ხასიათის ლიტერატურა, კერძოდ სოციალისტ-რევოლუციური პარტიის მიერ გამოცემული ბროშურები სახელწოდებით „თვითმარქვიების სახლი“ „რომანოვების სიცრუის სახლი“, მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემული ლევ ტროცკის „უკეთილშობილესი მონარქი“. აკრძალული ლიტერატურის გატანა წარმოებდა ფარულად, ორმაგი საფარის მქონე ამანათებში და სამგზავრო ჩანთებით. [ასს. ფ. ი-15, ან. 1, ს. 7, ფურც. 2] ხშირად არალეგალური ლიტერატურა გადაჰქონდათ ებრაელ მგზავრებს, ქალის შლიაპების და თამბაქოს ყუთებში. საბაჟოებს ეგზავნებოდა შემჩნეული პირების ფოტოები [ასს. ფ. ი-15, ან. 1, ს. 7, ფურც. 11]

1913 წლის 23 ნოემბერს კავკასიის საბაჟო სამმართველომ კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობასთან ერთად მისდამი დაქვემდებარებულ საბაჟო დაწესებულებებს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც საუბარი იყო ფალსიფიცირებულ პასპორტებზე, დოკუმენტებზე, ფოტოსურათებზე. საზღვარზე გადამსვლელი სამხედრო აგენტების გამოვლენის მიზნით მათ მიერ წარმოებდა ერთობლივი მუშაობა. საბაჟოებს შემუშავებული ჰქონდათ საზღვრის დამღრვევთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ფორმები და მეთოდები. [ასს. ფ. ი-15, ან. 1, ს. 7, ფურც. 10]

თურქეთის თევზსაჭერ გემებს ეძლეოდათ საზღვრებს მიღმა თევზის რეწვის უფლება, მაგრამ დაწესებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ისინი ჯარიმდებოდნენ დამატებითი საბაჟო გადასახადით. 1912 წლის 20 იანვარს დააჯარიმეს თურქული თევზსაჭერი

ფელუგა „ფელუნოსი“. ანალოგიური საქმის გამო დაჯარიმდნენ რუსული ბარკასი „აიგირი“ და „ჩერნომორეცი“.

1912 წლის 14 თებერვალს კავკასის საბაჟო სამმართველომ დაიწყო საბაჟო მიწების აღწერა, კერძოდ, განისაზღვრა მათზე გაცემული მიწების რაოდენობა, საბაჟო მიწების გეოგრაფიული საზღვრები, მიწის გეგმა და ა.შ. **[ასს. ფ. ი-15, ან. 1, ს. 3, ფურც. 14]**

ბათუმის საბაჟოს გავლით, ტრანზიტით, ამხაბადიდან შალის ქსოვილები გადაჰქონდათ ევროპაში **[ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 4, ფურც. 77]**

1913 წელს საბაჟო საქმის რეფორმის საფუძველზე მიიღეს ახალი კანონი. 1-ლი კლასის ყველა საბაჟო უშუალოდ დაექვემდებარა საბაჟო მოსაკრებლის დეპარტამენტს 2. მეორე კლასის საბაჟოები და მასთან არსებული საგუშაგოები დაექვემდებარა საბაჟო ინსპექტორებს, რომლებიც ნიშნავდნენ საბაჟო მოსამსახურეებს. ამ რეფორმით განხორციელდა ცვლილებები საბაჟო კანონმდებლობასა და წესდებაში. რეფორმა ხელს უწყობდა საბაჟო უწყების ყველა რგოლის გაერთიანებას. არსებული კანონით განისაზღვრა საბაჟო მოსამსახურეთა უფლება - მოვალეობანი. ამადლდა საბაჟო უწყებებს შორის ნდობის ფაქტორი და მოხელეთა პასუხისმგებლობა. ახალი კანონი საბაჟო ინსპექტორებს აძლევდა საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებას. გადანაწილდა ფუნქციები საბაჟოს ზედა და ქვედა რგოლებს შორის. საბაჟო შემოწმებები დაექვემდებარა ერთიანი კონტროლის წესს. რეფორმის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საბაჟო საქმის ცენტრალიზებული წესით მმართვეა. **[ასს. ფ. ი-15, ან. 1, ს. 3, ფურც. 121]**

რუსეთის სანაოსნო სავაჭრო საზოგადოებას, ტრანზიტით, ირანული საქონელი გაჰქონდა თურქეთში. 1911 წლის 28 მარტს ბათუმის საბაჟომ ძმები ნობელების საზოგადებას ნება დართო გაეტანა ნავთობპროდუქტები ევროპაში **[ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 29, ფურც. 93]**

1913 წლიდან განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაწესდა მცენარეთა შესაწამლ პრეპარატებზე. კონფისკირებული საქონელი ექვემდებარებოდა აუქციონზე გაყიდვას. ასეთივე აკრძალვები ვრცელდებოდა სამკურნალო მედიკამენტებზე. შავი ზღვის საბა-

ყოებზე სპეციალური სახის სამუშაოებს აწარმოებდნენ ექსპერტები [ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 25, ფურც. 130]

შავიზღვისპირეთის საბაჟოებმა არსებული ურთიერთობა გააგრძელეს საბჭოთა პერიოდში. 1926 წლის 2 თებერვლის ბრძანებით შავ ზღვაზე შეიზღუდა დელფინების რეწვა.


ბათუმში პორტო-ფრანკოს დროს დამკვიდრებულ, ევროპულ ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობას ხელი შეუწყო 1923 წელს დაარსებული ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოებამ (Arcos Limited), რომლის რეზიდენცია განთავსებული იყო ბათუმში, ყოფილი კომაროვის, დღევანდელი დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე, N1-ში. სავაჭრო-კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოებას ბათუმის პორტის საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით გაჰქონდა სავაჭრო საქონელი, რითაც ბათუმის პორტი დიდ მოგებას ღებულობდა.

1925 წელს ფირმამ „LIB RA FRIESTINA „არკოს““ შესთავაზა რეგულარული ხაზი შავი ზღვა-ამერიკა. ამავე ფირმის სურვილი იყო, ჩაერთოთ ჩრდილოეთ ამერიკისა და შავი ზღვის პორტებს შორის მიმოსვლაში პირველი კლასის გემები. **[მეგრელიშვილი: 2012;198]**

შავი ზღვის ბათუმის პორტი წარმოადგენდა ოკეანის მიღმა არსებული სახელმწიფოების დამაკავშირებელ საზღვაო გზას. აქ გადაზიდვებს აწარმოებდნენ საზღვაო-სავაჭრო საზოგადოებები: „მესაჟერ-მერიტიმი“, „ნ.ნ. პაკო და კ-ო“, ჩრდილოეთ გერმანის „ლოიდი-ბრემენი“, ავსტრიის „ლოიდი“ და ა.შ. რუსეთი ვაჭრობის სფეროში, საქართველოსა და მსოფლიო ქვეყნებს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. დღეს ამ საქმით ევროპული ქვეყნები არიან დაინტერესებულნი.

ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული მასალა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა. შავი ზღვის ქვეყნების დამაკავშირებელი საზღვაო მაგისტრალი, სტრატეგიული მდებარეობის და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გამო შესაძლებელია მომავალში განვითარდეს, როგორც ევროპა აზიის ტურისტული-ეკონომიკური ცენტრების დამაკავშირებელი შავიზღვისპირა საზღვაო-სავაჭრო გზა. სამომავლოდ აბრეშუმის გზის აღორძინება პრესპექტივებს შეუქმნის

შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებს შავი ზღვისპირა მაგისტრალს დიდი პრესპექტივები აქვს საკრუიზო ტურიზმის, გემთმშენებლობის და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საქმეში. საზღვაო სანაოსნო ურთიერთობას კიდევ უფრო გააძლიერებს საბირჟო-საფინანსო საზოგადოებების ერთობლივი მუშაობა და ბოლოს, შავი ზღვისპირეთის ქვეყნებს შორის გაწონასწორებული, დაბალანსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები უზრუნველყოფს შავი ზღვის უსაფრთხოებას.



შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო. იიომ დელილის რუკა. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი.



წმ. ნიკოლოზის სიმაგრე და ნავსადგური 1830-იან წლებში,
დიუბუა დე მონპერეს ნახატი (ინტერნეტ მასალა)

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 27**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-14 ანაწერი 1, საქმე N27
- ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 30**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-14 ანაწერი 1, საქმე N30
- ასს. ფ. ი-14, ან. 2, ს. 11**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-14 ანაწერი 2, საქმე N11
- ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 28**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-14 ანაწერი 1, საქმე N28
- ასს. ფ. ი-15, ან. 1, ს. 7**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-15 ანაწერი 1, საქმე N7
- ასს. ფ. ი-15, ან. 1, ს. 3**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-15 ანაწერი 1, საქმე N3
- ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 4**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-14 ანაწერი 1, საქმე N4

ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 29-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-14
ანაწერი 1, საქმე N29

ასს. ფ. ი-14, ან. 1, ს. 25-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-14
ანაწერი 1, საქმე N25

მალხაზ სიორიძე 2003: - ბათუმის საბაჟო ბათუმი 2003

მერაბ მეგრელიშვილი 2012: - ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-
კოოპერაციულ-სააქციო საზოგადოება ბათუმი 2012

რელიგიური სკოლები აჭარაში XIX-XX სს

1878 წელს ბათუმში იყო მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა, რომელსაც ერქვა „ევროპული“, რამდენიმე ქართული სკოლა და მეჩეთან არსებული მედრესე. ქართულ სკოლასთან მუსლიმური აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის გახსნილი იყო მოსამზადებელი განყოფილება. 1894 წლის 9 ნოემბერს რუსეთის უწმუნდესის სინოდის წევრმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა გამოსცა ცირკულარი, რომელიც იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპარქიებს ავალებდა ღვთისმსახურების დროს დიდი პატივით მოეხსენებიათ მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორი და სამეფო ოჯახის წევრები. ღვთისმსახურება მიმდინარეობდა თავდაპირველად რუსულ, ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე. ყოველი წლის 17 ოქტომბერს ქართულ ეკლესიებს, მისი უდიდებულესობის რუსეთის იმპერატორის და სამეფო ოჯახის სადიდებლად უნდა გადაეხადათ პარაკლისი. რუსეთის სინოდი ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებს ავალებდა ლოცვა-დიდებას რუსთა მხედრობისთვის, ხოლო ლოცვის დასასრულს მათ უნდა ეთქვათ მრავალჯამიერი. „ერთმორწმუნე“ რუსეთთან სიახლოვეს უარყოფითთან ერთად ზოგჯერ დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი ქართული ეკლესიის დაცვას უზრუნველყოფდა ყოველგვარი სექტანტებისგან. 1891 წლის 18 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა მისიონერთა მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო სექტანტებთან ბრძოლის გეგმა. ყრილობამ სექტანტობა ქრისტიანული სახელმწიფოსთვის საშიშ მოვლენად აღიარა და რუსეთის სინოდს დაქვემდებარებულ ეპარქიებს დაავალა სექტანტური ორგანიზაციების მუშაობის აღკვეთა. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დაიბეჭდა და გავრცელდა ანტონ ბაგრატიონის ანტი-სექტანტური წიგნი „მზამეტყველება“. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოში ეპარქიების რაოდენობა შემცირდა. ასევე შეიკვეცა მათი უფლებები. რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდი იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმის ეპარქიებს ავალებდა ეგზარქოსიტვის გადაეცათ ზუსტი ცნობები შემოსავლების, კუთვნილი მიწების, ეკლესიებთან

არსებული სკოლების საკუთრების შესახებ. რუსეთის სინოდი საქართველოს ეპარქიათა საკუთრებაზე აწესებდა ზუსტ ადრიცხვას, შემოსავლების 3 % ხმარდებოდა ეკლესიებთან არსებულ რელიგიურ სკოლებს. 1899 წელს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მიქაელ მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში წმინდა-ლოცვას ასრულებდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, 1903 წლიდან კი საქართველოს ეგზარქოსი, ქართლის და კოლხეთის არქიეპისკოპოსი ალექსი. 1913 წელს გიმნაზიას ესტუმრა კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლე გრაფინია ე.ა. ვორონცოვ-დაშკოვა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე **[აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 41 ფურც. 75]** მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიას გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რელიგიური სწავლება მიმდინარეობდა მღვდელ-მთავარ ფილარეტის სახელმძღვანელოს მიხედვით. ვაჟთა გიმნაზიის მე-4 კლასში კვირაში 2 სთ. ეთმობოდა საღვთო სჯულის სწავლებას, კათეხიზმს, მცნებას რელიგიის შესახებ, რწმენის სიმბოლოებს, რუსეთის ქრისტიანული ეკლესიის ისტორია ისწავლებოდა სმირნოვის სახელმძღვანელოს მიხედვით **[აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 84 ფურც. 5]** გახსნის დღიდან ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში ისწავლებოდა ქართული ენა ქართველი ბავშვებისთვის, მაგრამ 1903 წლის 12 მარტს გიმნაზიის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე თავისუფალი საათების უკმარისობის და ახალი პროგრამის მიღების მიზეზით შეამცირეს ქართული ენის სწავლების საათები. 1912 წლის ნოემბრიდან გიმნაზიაში კათოლიკური, მუსლიმანური და ებრაული აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის დაწესდა რელიგიური სწავლება **[აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 41 ფურც. 68]** გიმნაზიაში საღვთო სჯულს ასწავლიდა პატრი გაბრიელ ასლანიშვილი, პროტესტანტულ რელიგიას ა. ბენგოფი, მაჰმადის სჯულს ჰუსეინ ეფენდი ალიოღლი, იუდაიზმს გ.მ. რადოვილსკი. 1918 წელს თურქებმა დაარბიეს ვაჟთა გიმნაზია, გაძარცვეს ბიბლიოთეკა, 11. 000-იანი წიგნიდან დარჩა 5300. მათ წაიღეს ისტორიული რუქები, მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, ძვირფასი ენციკლოპედიები, ეკლესიას ჩამოხსნეს ჯვარი, გაიტაცეს ოქროს ჯვრები, ხატები, მოქარგული ნივთები **[აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 58 ფურც. 21]** XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის

დასაწყისში ბათუმის ეკლესიებთან არსებობდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის რელიგიური სკოლები, კერძოდ ყოფილი აზიზიეს, დღევანდელი თავისუფლების მოედანზე დეკანოზ ა. რაღვევიჩის საღვთისმეტყველო სკოლა, რომელშიც ასწავლიდნენ ცნობილი მასწავლებლები ნიკოლოზ ზალსკი და ეკატერინე ნაუმოვა. ბათუმის ქალთა ბერძნული საეკლესიო სკოლის გამგე იყო მღვდელმსახური კონსტანტინე ცანდუკოვი, მასწავლებლები ნინა პეტრეს ასული ნაიტაკი და ელენე დერეკა. ბათუმში კათოლიკის, დღევანდელი სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩაზე ფუნქციონირებდა სომხური-კათოლიკური საეკლესიო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტერ გრიგოლ პუჩინიანი, რელიგიურ საგნებს ასწავლიდნენ ევგენია სოგოროვა და ს. კლადბიში. 1891 წელს წმინდა ელენეს და კონსტანტინეს სახელობის კვირიკეს ეკლესიასთან დაარსდა წმ. გიორგის სახელობის ერთკლასიანი სასწავლებელი [დერჟავინი 1903:49] 1908 წელს დაგვის ღვთისმშობლის ეკლესიასთან გაიხსნა მამაკაცთა და ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი, ხოლო 1912 წელს ახალშენის ფერიცვალების ეკლესიასთან მოქმედი ერთკლასიანი შერეული სახის სასწავლებელი.

ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოძღვრების სწავლებას. რელიგიურ სკოლებში პატრიოტული სულისკვეთების ამალღების და რუსული სამხედრო მუნდირის განდიდების მიზნით ისწავლებოდა რუსეთის სახელმწიფოს ისტორია, რუსი ოფიცრებისთვის ყოველდღიურად წარმოებდა საღვთისმეტყველო კითხვა. ბათუმის რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან ფუნქციონირებდა რუსეთის იმპერატორის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის გიმნაზია. იგი ეკუთვნოდა კავკასიის სასწავლო ოლქს. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებობდა შემდეგი სახის მუსლიმური სკოლები, მდარესე-სასულიერო, მექთებე-საერო. მუსლიმური რელიგიური სკოლები რუს ხელისუფალთა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. აღნიშნულ სკოლებში არსებული ვითარების შესწავლის მიზნით შედგენილი იყო შემდეგი სახის მკითხვარი 1) როდის და ვისი გადაწყვეტილებით გაიხსნა სკოლა 2) რა საგნები ისწავლება და

რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება 3) რომელი სახელმძღვანელოები გამოიყენება სწავლების პროცესში, ავტორის, გამოცემის წელის და ადგილის მითითებით 4) სასულიერო პირების ვინაობა, განათლების ცენზი 5) რელიგიური სწავლების პროგრამა, მოსწავლეთა რაოდენობა და ა.შ. [აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 654 ფურც. 1] რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა მუსლიმურ ლიტერატურაში დამკვიდრებული პროგრესისტული მიმართულების წინააღმდეგ. მათ აინტერესებდათ აღნიშნულ სკოლებში ევროპული ლიტერატურის გავლენა. ეს კარგად ჩანს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის სვიატოპოლსკ მირსკის 1901 წლის 1 იანვრის მიმართვაში, რომელიც რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვს აღნიშნულ ფაქტის შესწავლას და მასზე კონტროლის დაწესებას. რუსეთის ხელისუფლება დამშვიდდა მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ მუსლიმურ ლიტერატურაში ნოვატორული, პროგრესისტული ხასიათის ნაწარმოებები არ შეინიშნებოდა. 1901 წლის 23 მარტს ზემო აჭარის უბნის მმართველ კაპიტან ბორშჩოვის მიერ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო სოფელ ვარჯინაულის სასულიერო სკოლის ხელმძღვანელ რეჯებ მჟავანაძის ანტისახელმწიფოებრივი ქმედების შესახებ. რუსეთის ხელისუფლება აღრიცხავდა აჭარაში არსებულ მუსლიმურ სკოლებს, მოსწავლეთა რაოდენობას, მასწავლებლების წოდებას, მათ ქცევას და ზნეობრივ სახეს. წარმოგიდგინთ 1901წელს აჭარაში არსებულ მუსლიმურ სკოლებს:

უბანი/სოფელი	სკოლის დაარსების დრო	მოსწავლეთა რაოდენობა
გონიოს უბანი		
სიმონეთი	1840	11-100
ერგე	1851	60-260
მაზო	1860	40-100
ზედუბანი	1840	20-100
შუბანი	1851	23-90
ჯოჭო	1841	91-90

ძაბლავეთი	1861	20-80
ქვემო მარადილი	1861	20-80
ბელღევანი	1821	20-75
ოღლაური	1831	15-80
საბაური	1840	25-80
კატაფხია	1841	20-100
ხინწყანა	1831	20-80
ზემო მარადილი	1841	40-80
ბორჩხა	თურქეთის მმართ. პერ.	30-80
არავეთი	1899	14-70
შუახევი	1897	12-55
დევსქელი	თურქეთის მმართ. პერ.	50-100
ყინჩაური	1895	10-30
ბაშნი	1882	22-100
ებრიკა	1891	13-70
ადაგული	თურქეთის მმართ. პერ.	25-125
კიასკური	თურქეთის მმართ. პერ.	30-60
მეჩეთი მემედ ოღლი	თურქეთის მმართ. პერ.	15-40
კინერხურეთი	1896	6-30
ლეკიანი	თურქეთის მმართ. პერ.	45-60
უშკარდამი	1817	9-40
სარფი	თურქეთის მმართ. პერ.	20-80
ხელვაჩაური	თურქეთის მმართ. პერ.	38-120
კინტრიშის უბანი		
მახმუდიე ფერია	1888	20-60
ორთა ბათუმი	თურქეთის მმართ. პერ.	32-120
ყოროლისთავი	თურქეთის მმართ. პერ.	49-120
აგარა	თურქეთის მმართ. პერ.	34-100
ახალშენი	1880	32-130
ურეხი	1880	32-130
ჩაქვისთავი	თურქეთის მმართ. პერ.	15-80
დიდჯამე	1882	10-150
ხალა	1890	40-200
მახინჯაური	1885	30-150
სახალვაშო	1899	12-100

სამება	1860	50-200
ხუცუბანი	1860	30-100
ჩურუქსუ	1841	50-100
ქობულეთი	1841	20-120
კვირიკე	1841	25-100
ჭახათი	1880	40-100
ზერბოსელი	1860	35-91
აჭყვისთავი	1880	45-120
ალამბარი	1847	90-120
ლედვა	1849	90-120
ქაქუთი	1849	45-90
ქვემო აჭარის უბანი		
ალიკოდლი	თურქეთის მმართ. პერ.	20-120
დერემოხნა	თურქეთის მმართ. პერ.	25-100
ძენწმანი	თურქეთის მმართ. პერ.	20-90
ზენდიდი	თურქეთის მმართ. პერ.	20-100
კაკაოდლი	თურქეთის მმართ. პერ.	10-60
ქედა	თურქეთის მმართ. პერ.	20-100
კორომხეთი	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დახურული
მეძიბნა	თურქეთის მმართ. პერ.	20-100
მერისი	თურქეთის მმართ. პერ.	55-250
ორცვა	თურქეთის მმართ. პერ.	15-90
საღორეთი	თურქეთის მმართ. პერ.	30-150
საშზარ შაკადურ	თურქეთის მმართ. პერ.	10-50
გულეზი	თურქეთის მმართ. პერ.	15-60
აბუკეთი	1800	
ახო	1886	
ვაიო	1870	39-100
ვარჯანული	1800	26-70
გეგელიძე	1878	30-85
ზვარე	1800	30-170
ზესოფელი	1875	25-105
კვაშტა	1850	52-190
კოკოტაური	1885	15-110

წონიარისი	1878	40-80
ჩიქუნეთი	1820	20-80
დოლოგანი	1876	30-70
კონტაური	1886	15-80
ცხმორისი	1886	30-120
კიბე	1897	40-100
ქვედა ხერთვისი	1897	30-60
კაპნისთავი	1886	15-80
ზუნდაგა	1876	47-150
ჭინკაძე	1876	50-170
ურხეთი	1876	50-170
ბზუბზუ	1886	11-100
ნაშელისი	1886	33-70
მახუნცეთი	1881	29-120
ჭანივრი	1850	12-48
მინდიეთი	1840	40-50
ეფრატი	1830	10-70
აჭარის აღმართი	1850	40-70
ქედ-ქელი	1800	12-60
ზედა ჩხუტუნეთი	1894	15-60
ზედა ხერთვისი	1878	20-80
ქვედა ჩხუტუნეთი	1860	10-105
ქვაბის თავი	1820	12-60
კირნათი	1892	20-70
კობალეთი	1850	15-70
ზემო აჭარის უბანი		
ხულო	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დაკეტილია
შავაძე	თურქეთის მმართ. პერ.	26-100
პაქსაძე	თურქეთის მმართ. პერ.	16-100
ბელღეთი	თურქეთის მმართ. პერ.	40-250
ადაძე	თურქეთის მმართ. პერ.	78-140
რიჟვაძე	თურქეთის მმართ. პერ.	32-80
ნიგაზეული	თურქეთის მმართ. პერ.	24-90
ჩანჩხალო	თურქეთის მმართ. პერ.	30-100

ვარჯანაული	თურქეთის მმართ. პერ.	40-150
ბარათაული	თურქეთის მმართ. პერ.	25-120
ნაღვარევი	თურქეთის მმართ. პერ.	25-120
დაბაძველი	თურქეთის მმართ. პერ.	28-100
ოქროპილაური	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დაკეტილია
საშულეთი	თურქეთის მმართ. პერ.	52-120
ტბეთი	თურქეთის მმართ. პერ.	30-100
გოგაძე	თურქეთის მმართ. პერ.	40-100
ქიძინიძე	თურქეთის მმართ. პერ.	10-80
ჯაბნიძე	თურქეთის მმართ. პერ.	14-100
დღვანი	თურქეთის მმართ. პერ.	30-100
გოგნიაური	თურქეთის მმართ. პერ.	16-70
კვიახიძე	თურქეთის მმართ. პერ.	14-70
მაწყვალთა	თურქეთის მმართ. პერ.	28-6
მახლაკიძე	1901	34
შუბანი	თურქეთის მმართ. პერ.	40-90
დარჩიძე	თურქეთის მმართ. პერ.	40-90
ხიხაძირი	თურქეთის მმართ. პერ.	40-90
ფუმრუკაული	თურქეთის მმართ. პერ.	26-65
თხილვანა	თურქეთის მმართ. პერ.	12-50
წაბლანა	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დაკეტილია
ჩერი	თურქეთის მმართ. პერ.	18-100
ფურტიო	თურქეთის მმართ. პერ.	22-80
ნენია	თურქეთის მმართ. პერ.	27-90

[აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

ამ პერიოდში აჭარაში სულ იყო 131 მუსლიმური სკოლა. ძირითადად ეს სკოლები გაიხსნა XIX საუკუნეში, ოსმალეთის მმართველობის პერიოდში. ბათუმის აზიზიეს მეჩეთი სამხედრო დანიშნულების იყო და მასში არ წარმოებდა ღვთისმსახურება.. 1910 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალი თავის საიდუმლო წერილში აღნიშნავდა, რომ კავკასიის ოლქში ვრცელდებოდა პანისლამისტური

იდეები და ამას უშუალოდ ხელმძღვანელობდა მუსლიმანური ორგანიზაცია „ახალგაზრდა თურქეთი“, რაც უარყოფითად მოქმედებდა რუსეთ-თურქეთის გართულებულ პოლიტიკურ ურთიერთობაზე. რუსეთის მეფისნაცვალის მოითხოვდა ყოველდღიური მეთვალყურეობის დაწესებას მუსლიმური რელიგიის აღმსარებლების მიმართ და კონტროლის დაწესებას მათ მიმოსვლაზე. ძირითადი მეთვალყურეობა დაწესდა აზიზიეს და აჰმედიეს მეჩეთების მოღებზე **[აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 474 ფურც. 1-8]** 1919 წლის 9 მარტს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს მუსლიმურ სკოლასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ეხებოდა მუსლიმ ბავშვთა აღზრდას, რელიგიური სკოლა გაიხსნა სმეკალოვის და შერემეტევის ქუჩების კუთხეში. მასში სწავლობდა 175 მოსწავლე **[აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 744 ფურც. 1-8]**

1921 აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა სახელმწიფოსგან რელიგიური სკოლების გამოყოფა. 1929 წლიდან ხულოში „მიკროსკოპული“ (ი.ბ.სტალინის შეფასებით) ამბოხების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა რელიგიური სკოლების წინააღმდეგ. აჭარის ხელისუფლება რელიგიის მიმართ იყენებდა იძულების, ადმინისტრირების მეთოდს. 1929 წლის 22 იანვარს აჭაროლქკომის მდივანი ა. ფანცხავა საქართველოს მთავრობას სიხარულით აცნობებდა, რომ აჭარაში უკვე დახურული იყო 147 მედრესე და მექთებე, რომ მოსახლეობა გაგებით მოეკიდა სავალდებულო სწავლების შემოღებას და გამოაქვთ დაადგენილება მედრესე-მექთებეს შენობების საბჭოთა სკოლებისთვის გადაცემის შესახებ. სინამდვილეში ეს დირექტივა მიღებული იყო „ზემოდან“ ზეწოლის გზით. მიმართვაში არაფერი არ იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უარს აცხადებდა საბჭოთა სკოლაში სწავლაზე და მთავრობას თხოვდა, რომ შვილები მედრესეშიც ყოფილიყვნენ და სკოლაშიც. არსებული ვითარებიდან გამომდინარე გაუმართლებელი და ნაჩქარევი იყო გადაწყვეტილების მიღება მედრესე მექთების იძულების წესით დახურვის შესახებ, მით უფრო, რომ საყოველთაო სავალდებულო დაწყებითის სწავლების შემოღებისთვის ჯერ კიდევ არ იყო სათანადო მატერიალური პირობები. 1929 წლის აპრილში გამართულმა აჭარის საბჭოების მერვე ყრილობამ დაგმო მუსლიმური რელიგიური სკოლების იძულებით დახურვის


მეთოდი და აღიარა დარწმუნების, მათთან შეგნებული მუშაობის მეთოდი **[კრებული საისტორიო მაცნე N11 ბათუმი 2022 ფურც.55]**

ხულოში ანტისაბჭოთა გამოსვლის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი მუსლიმური სკოლების და მაში მოღვაწე სასულიერო პირთა მიმართ. 1928 წლიდან მუსლიმური აღმსარებლობის სასულიერო პირთა-ცხოვრება მოღვაწეობის შესწავლის მიზნით ხელისუფლებამ მოაწყო ანკეტური გამოკითხვა და შეადგინა სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ მათ აინტერესებდათ სასულიერო პირთა განათლება (უმაღლესი, საშუალო, დაბალი) ყოფილ რუსეთის იმპერიაში არ იყო სასულიერო უმაღლესი სკოლა. სტატისტიკური მასალა შემდეგი კითხვებისგან შედგებოდა: იზრდება თუ სუსტდება სასულიერო პირთა კავშირი საზღვარგარეთის წრეებთან, სახელმწიფოებთან, (თურქეთი, ირანი), რელიგიის გარდა რით არიან დაკავებულინი, შემოწირულობის გარდა რა შემოსავალი გააჩნიათ, განსაბჭოების შემდეგ რა ქონებას ფლობენ (საქონელი, მიწა), რა დონით გაუმჯობესდა განსაბჭოების შემდეგ მათი მატერიალური მდგომარეობა. სად ჰქონდა განათლება მიღებული, ოჯახში თუ საზღვარგარეთ, ასევე დაბადების ადგილი, ასაკი, კვალიფიკაცია, სტაჟი, რწმენა, ბავშვობიდან მიაკუთვნებდნენ თავს რელიგიას თუ შემდეგ აირჩიეს. სტატისტიკური მასალა მარტო რიცხვებისგან შედგება და მას არ გააჩნია მეცნიერული დასკვნები. აჭარის მოსახლეობაში ანკეტური გამოკითხვა ნახევარი წლის მანძილზე მიმდინარეობდა და იგი ნაკლებად სარწმუნო წყაროს წარმოადგენს. წარმოგიდგინთ აჭარაში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შედეგებს:

რაიონი	განათლება საოჯახო საზღვარგარეთ		სულ
აჭარის წყალი	9	21	30
ბათუმი	14	13	27
ქედა	29	19	48
ქობულეთი	12	20	32
ხულო	43	24	67

[აცსსა ფ. პ-1 ან. 1 ს. 939. ფურც. 3]

დანართი:



მუსლიმური სკოლები აჭარაში 1901 წლის 28 მარტი
[აცხსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

სტატისტიკური მონაცემები 1901წელს აჭარაში არსებული მუსლიმური სკოლების და მასში მოღვაწე მასწავლებლების შესახებ

№	სკოლის სახელი	წელი	სკოლის მასწავლებლის რაოდენობა	სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა	სკოლის მდებარეობა	სკოლის მასწავლებლის რაოდენობა	სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა
1	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
2	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
3	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
4	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
5	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
6	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
7	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
8	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
9	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
10	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
11	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
12	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
13	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
14	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
15	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
16	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
17	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
18	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
19	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
20	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
21	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
22	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
23	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
24	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10

[აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

№	სკოლის სახელი	წელი	სკოლის მასწავლებლის რაოდენობა	სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა	სკოლის მდებარეობა	სკოლის მასწავლებლის რაოდენობა	სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა
25	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
26	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
27	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
28	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
29	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
30	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
31	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
32	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
33	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
34	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
35	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
36	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
37	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
38	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
39	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
40	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
41	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
42	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
43	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
44	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10
45	სკოლა	1898	1	10	სკოლა	1	10

[აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

№	სახელი	წილი	საფასო	საფასო	საფასო	საფასო
11	ბა. შვი	100	11	10	100	100
12	ბა. შვი	100	11	10	100	100
13	ბა. შვი	100	11	10	100	100
14	ბა. შვი	100	11	10	100	100
15	ბა. შვი	100	11	10	100	100
16	ბა. შვი	100	11	10	100	100
17	ბა. შვი	100	11	10	100	100
18	ბა. შვი	100	11	10	100	100
19	ბა. შვი	100	11	10	100	100
20	ბა. შვი	100	11	10	100	100
21	ბა. შვი	100	11	10	100	100
22	ბა. შვი	100	11	10	100	100
23	ბა. შვი	100	11	10	100	100
24	ბა. შვი	100	11	10	100	100
25	ბა. შვი	100	11	10	100	100
26	ბა. შვი	100	11	10	100	100
27	ბა. შვი	100	11	10	100	100
28	ბა. შვი	100	11	10	100	100
29	ბა. შვი	100	11	10	100	100
30	ბა. შვი	100	11	10	100	100

[აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

№	სახელი	წილი	საფასო	საფასო	საფასო	საფასო
1	ბა. შვი	100	11	10	100	100
2	ბა. შვი	100	11	10	100	100
3	ბა. შვი	100	11	10	100	100
4	ბა. შვი	100	11	10	100	100
5	ბა. შვი	100	11	10	100	100
6	ბა. შვი	100	11	10	100	100
7	ბა. შვი	100	11	10	100	100
8	ბა. შვი	100	11	10	100	100
9	ბა. შვი	100	11	10	100	100
10	ბა. შვი	100	11	10	100	100
11	ბა. შვი	100	11	10	100	100
12	ბა. შვი	100	11	10	100	100
13	ბა. შვი	100	11	10	100	100
14	ბა. შვი	100	11	10	100	100
15	ბა. შვი	100	11	10	100	100
16	ბა. შვი	100	11	10	100	100
17	ბა. შვი	100	11	10	100	100
18	ბა. შვი	100	11	10	100	100
19	ბა. შვი	100	11	10	100	100
20	ბა. შვი	100	11	10	100	100
21	ბა. შვი	100	11	10	100	100
22	ბა. შვი	100	11	10	100	100
23	ბა. შვი	100	11	10	100	100
24	ბა. შვი	100	11	10	100	100
25	ბა. შვი	100	11	10	100	100
26	ბა. შვი	100	11	10	100	100
27	ბა. შვი	100	11	10	100	100
28	ბა. შვი	100	11	10	100	100
29	ბა. შვი	100	11	10	100	100
30	ბა. შვი	100	11	10	100	100

სტატისტიკური მონაცემები 1901წელს აჭარაში არსებული მუსლიმური სკოლების და მასში მოღვაწე მასწავლებლების შესახებ [აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აცსსა ფ. 3-1 ან. 1 ს. 939 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი 3-1, ანაწერი 1, საქმე N939

აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 41-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N41

აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 84 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-10, ანაწერი 1, საქმე N84

აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 58 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-10, ანაწერი 1, საქმე N58

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 654 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N654

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N33

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 474 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N474

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 744 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N744

კრებული საისტორიო მაცნე - N11 ბათუმი 2022:55

დერჟავინი 1903:49 - ბათუმის მხარის მოკლე ისტორიული ნარკვევი, რუსულიდან თარგმანი მერაბ მეგრელიშვილი

**რელიგიური დაწესებულებები აჭარაში XX
საუკუნის 50-იან წლებში
(აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების
მიხედვით)**

XX საუკუნის 50-იან წლებში აჭარაში არსებულ რელიგიურ დაწესებულებებს კონტროლს უწევდა სსრკ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო, რომელსაც თავისი რწმუნებული ჰყავდა. აჭარაში საკულტო ნაგებობებსა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე პასუხისგებლობა ეკისრებოდა რელიგიური კულტის მსახურთა 20 კაციან შემადგენლობას (ე.წ. „ღვადცატკა“), რომლის კომპეტენციაში შედიოდა აღმასრულებელი ორგანოს და მასთან არსებული სარევიზიო კომისიის არჩევნები, სამეურნეო საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და ა.შ. მათ უფლებამოსილებაში არ შედიოდა კულტის მსახურთა არჩევა, სამლოცველო სახლის დახურვა. 1956 წლის 29 ივნისს აღნიშნულმა კომისიამ ბათუმის მეჩეთის მრევლს უარი განუცხადა მიმდებარე ტერიტორიაზე მინარეთის მშენებლობასთან დაკავშირებით **[ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 30, ფურც. 7]**

1947 წელს აჭარაში არსებულმა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭომ არ დააკმაყოფილა ბათუმში მცხოვრები სომხების მოთხოვნა ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით. 1956 წელს სომეხი მრევლისგან ანალოგიური მოთხოვნა განმეორდა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან აქ გახსნეს აჭარის „კინოპრაკატის“ განყოფილება. 1917 წლამდე სომეხ გრიგორიანელებს და კათოლიკეებს ბათუმში ჰქონდათ საკუთარი ეკლესიები. 1932 წლიდან კათოლიკი სომხების ეკლესიის შიდა ნაწილი დაიკავა ბავშვთა სპორტულმა სკოლამ (დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიას და ვახტანგ გორგასლის ქუჩების კვეთა) სამწუხაროდ დღეს ეს შენობა უპატრონოდ არის მიტოვებული, ბათუმში მცხოვრები სომეხი გრიგორიანელების ეკლესიის შენობა (დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიასა და ნოე ჟორდანიას ქუჩების კვეთა) 25 წლის განმავლობაში საწყობად იყო გამოყენებული. სომეხი გრიგორიანელების ეკლესია ორ გუმბათიანია, ეზოს

ფართობი შეადგენდა 1165, 2 კვ.მ. ეკლესიის ნაგებობის ფართი 322, 8 კვ.მ. **[ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 30, ფურც. 1]**

1955 წლის მონაცემით ქალაქ ბათუმში 12900 სომეხი ცხოვრობდა, ქობულეთის რაიონში 200, ბათუმის შემოგარენში 1700, მთლიანად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 14800 სომეხი. ამ პერიოდში ბათუმში მცხოვრები სომხები მოითხოვდნენ სომხური ეკლესიის აღდგენას და წირვა ღოცვის სომხურ ენაზე შესრულებას. 1956 წელს ბათუმში მცხოვრებმა სომხებმა დახმარებისთვის თხოვნით მიმართეს სომეხთა კათალიკოსს ვაზგენ I-ს, რომელმაც სომხური ეკლესიის გახსნის თაობაზე თხოვნით მიმართა სსრკ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბულგანინს. სომეხთა კათალიკოსი ვაზგენ I მოითხოვდა საქართველოსა და აზერბაიჯანში სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეკლესიების გახსნას. ვაზგენ I სომეხ მორწმუნეებს ავალებს იბრძოლონ ბათუმში სომხური ეკლესიის შენარჩუნებისთვის, შემოღობონ ეკლესიის წინ მდებარე ტერიტორია და მიღწეულ შედეგებზე მას მოახსენონ **[ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 27, ფურც. 15]**

XX საუკუნის 50-იან წლებში ბათუმში მცხოვრები მუსლიმი თემი მოითხოვდა მეჩეთის შენობის გაფართოებას. 1957 წლის 30 აპრილს ბათუმის მეჩეთში ბაირამის დღესასწაულს ესწრებოდა 600 კაცი, წინა წლებთან შედარებით გაიზარდა საშუალო ასაკის 30-40 წლის მლოცველთა რიცხვი. ამ დროს იმამი იყო მემედ აბაულაძე, მუეზინი . ი. მიქელაძე, მეჩეთის გამგეობის წევრები: ვარშანიძე ხემზა, დოლიძე მემედ, ჯიჯავაძე იუსუფ.

1955 წელს მუსლიმანური რელიგიის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ბათუმში ჩამოვიდა ამერიკის უმაღლესი სასამართლოს წევრი. უ. დუგლასი და მასთან ერთად დელეგაცია ინდოეთიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან. ისინი დაინტერესბულნი იყვნენ მუსლიმთა რელიგიური ცხოვრების, მათი დასაქმების, გართობის, მეჩეთის გალამაზების და სხვა საკითხებით.

1946 წელს ბათუმში 9 მარტის ქუჩაზე განთავსებულ ებრაელთა სინაგოგას ეკავა 169. 2 კვ.მ. ფართი, აქედან სალოცავ სახლს 112 კვ.მ. და სხვა დანარჩენს 57 კვ.მ. ებრაელთა თემის რაბინი იყო მიხეილ მოსეს ძე მოძღვრისშვილი. 1945 წლის 26 მაისს ებრაელთა სალოცავში შედგა მორწმუნე ებრაელთა საზოგადოების ღია კრება,

რომელსაც დაესწრო 48 ადამიანი. (თავმჯდომარე მოსე ჯანაშვილი) კრებამ აირჩია ებრაელთა საზოგადოების კომიტეტი: მამისთავლოვი შაბათი, ფიჩხაძე ბენო, იაკუბოღლი ჰანუკ, ელაშვილი შელეგი, ხუნაშვილი აბრამი. 1955 წელს ბათუმის ქართველ ებრაელთა საზოგადოების სალოცავი სახლის ხახამი იყო ესხაკ ელაგულაშვილი, სალოცავი სახლის მეპატრონე კი ხუნაშვილი. ბათუმში ტარდებოდა ებრაელთა რელიგიური დღესასწაულები „თეთრობა“ (მონანიების დღე) „სუქა“ (კარვობა) „რო ზგაშენო“.

ბაბტისტები ბათუმში დამკვიდრდნენ XIX საუკუნის დასასრულს. 1903 წლიდან არსებობს ბაბტისტთა საკრებულო ბათუმში **[კოპალეიშვილი, 2013:101]**

ქალაქ ბათუმში მორწმუნე ევანგელისტ ბაბტისტთა სალოცავი სახლი განთავსებული იყო ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე N55. 1956 წელს ბაბტისტთა სალოცავი აერთიანებდა 139 წევრს, პრესვიტერი დ.კ. ბელეცკი. ბაბტისტების სრულიად საკავშირო საბჭოდან (მოსკოვი) ბათუმში ლოცვებს ესწრებოდა ვ.ი. ანდრიენკო, ასევე ესტონელი ბაბტისტები, დიბჰტიკი მეულელესთან ერთად.

საბჭოთა ხელისუფლებას განსაკუთრებული მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული საზღვრეთ არსებულ რელიგიურ ცენტრებთან დაკავშირებულ მორწმუნეებზე. 1947 წელს აჭარის ხელისუფლებამ კონტროლი დააწესა ბაბტისტთა სექტაზე და მის პრესვიტერ კოლოტიასზე. მათ საქმიანობას მეთვალყურეობას უწევდნენ როგორც თემში, ისე მის გარეთ და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამ პიროვნებამ თხოვნით მიმართა სსრკ. რელიგიურ საქმეთა საბჭოს განყოფილების გამგეს სოკოლოვს, რომ მას გაეწია შუამდგომლობა და დახმარებოდა ჰოლანდიაში გასამგზავრებლად, სადაც იმართებოდა ბაბტისტების მსოფლიო კონგრესი **[ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 15, ფურც. 1]**.

დღეს აჭარაში ძირითადად არიან მართლმადიდებლები 240 552 ადამიანი, მუსლიმი 115 161, სომეხი გრიგორიანელები - 3 162, კათოლიკეები - 683, იუდეველები - 161, სხვა კონფესიის მიმდევრები - 6 297. **[ქ.პავლიაშვილი, 2016:127]**.

ბათუმში დღეს მოქმედი ძირითადი რელიგიური თემებია: ბათუმის და სხალთის მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესიები მუსლიმთა საზოგადოება, ქართველ ებრაელთა რელიგიური საზოგა-

დოება, ევანგელისტ-ქრისტიან ბაპტიისტები სამლოცველო სახლი და ა.შ. **[დოკუმენტების კრებული, 2013: 5]**

ამრიგად ზემოთ მოტანილი საარქივო დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს XX საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას აჭარაში არსებული რელიგიური დაწესებულებების და სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე მრევლის მიმართ.

დასკვნა: XX საუკუნის 50-იან წლებში სსრკ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭომ და მისმა რწმუნებულმა აჭარაში იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო უარყოფითი როლი შეასრულა სხვადასხვა რელიგიური საზოგადოების ცხოვრებაში. მათ მიერ რელიგიურ დაწესებულებებზე განხორციელებულმა ზემოქმედებამ გამოიწვია მატერიალური და სულიერი ფასეულობების დაცემა, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული კულტურის განვითარების შეფერხება.

გამოყენებული წყაროები

ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 30, ფურც. 7-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-177, ანაწერი 1, საქმე N30.

ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 30, ფურც. 1-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-177, ანაწერი 1, საქმე N30.

ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 27, ფურც. 15-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-177, ანაწერი 1, საქმე N27.

ასს. ფ. ი-977 ან. 1, ს. 15, ფურც. 1-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-177, ანაწერი 1, საქმე N15

კოპალეიშვილი, 2013:101- ტ.კოპალეიშვილი 2013: პროტესტანტული ეკლესიების ისტორიისთვის ბათუმში, ბათუმი წარსული და თანამედროვეობა III.

ქ.პავლიაშვილი 2016: თურქეთის რელიგიური პოლიტიკის ევოლუცია აჭარაში და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რეაქცია (XX_XXI) ბათუმი.

დოკუმენტების კრებული 2013 - თ. ფუტკარაძე - რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950 წლებში (დოკუმენტების კრებული 2 თბილისი).

გზები და ხიდები აჭარაში (XIX საუკუნე)

1890 წლის 28 მაისის ბათუმის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს ბათუმის გზების საკითხი. ქალაქის მასშტაბით დასახლებულ ადგილად ჩათვალეს აზიზიეს მოედნის და ბერძნული მართმადიდებელი ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქის პორტთან მისასვლელ გზებს, კერძოდ მოწესრიგდა და ქალაქის გეგმას დაექვემდებარა შემდეგი ქუჩები: სანაპიროს, მიხაილოვის, სავაჭრო, ქუთაისის, ერისთავის, დონდუკოვ-კორსაკოვის, კათოლიკური, ბერძნული, ლორის მელიქოვის, სვიატოპოლსკ მირსკის, სმეკალოვის და მარინის პროსპექტი [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 102 ფურც. 9]

1890 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით მოქალაქეებს ფიოდოროვს, დავიდოვს, კლიმოვსკის უფლება მისცეს დილიჯანსის საშუალებით ორმხრივი გზით კავშირი დაემყარებინათ მდინარე ჭოროხთან და ხოლოდნაია სლობოდასთან. ასევე მათ ბათუმში დაეთმოთ დილიჯანსის გასაჩერებელი ადგილი [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 91 ფურც. 10]

1895 წლის 11 სექტემბერს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წინადადების საფუძველზე გადაწყდა ბარცხანის ბათუმთან შემოერთების საკითხი და დადგინდა შემდეგი საზღვრები: მდინარე ბარცხანა, შავი ზღვის სანაპირო, მდინარე სკურკუბიეს და მიხაილოვის ციხესიმაგრის გამყოფი ხაზი. დადგენილმა საზღვრებმა შეცვალა ქალაქის გეგმა. სათათბიროს ზოგიერთი წევრი ბარცხანის ბათუმთან შემოერთების წინააღმდეგ გამოვიდა. სათათბიროს წევრმა მჭედლოვმა(იგივე მჭედლიშვილი) მოითხოვა საკითხის გადაწყვეტა წმინდა კომერციული თვალსაზრისით, რადგან ბარცხანაში იყო მუხაჯირების მიერ მიტოვებული მიწები და იგი უნდა გადასცემოდა ქალაქს. ქალაქის სათათბირომ ეს წინადადება ჩათვალა მიზანშეუწონლად. ამავე სხდომაზე გამოიყო ფულადი სახსრები პორტთან დამაკავშირებელი გზების გასაყვანად [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 230 ფურც. 1]

1896 წლის 24 ივნისს სათათბიროს სხდომაზე ლუკა ასათიანმა წარმოადგინა კერძო პირების განცხადება ბათუმში საცხენო-სარკინიგზო გზის მოწყობის შესახებ **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 249 ფურც. 22]**

1896 წლის 10 ივნისს სათათბიროს სხდომაზე გადაწყდა პორტთან დამაკავშირებელი გზების, კერძოდ პეტერბურგის ქუჩის ნაწილის და ვოზნესენსკის ქუჩიდან მდინარე ანგისამდე მიმავალი გზის მოწყობის საკითხი **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 248 ფურც. 13]**

1897 წლის 20 იანვრის სათათბიროს სხდომაზე ლ.ლ. მჭედლოვმა (მჭედლიშვილი) უკმაყოფილება გამოთქვა ქალაქის გეგმის არ ქონის, გზაჯვარედინზე და ზღვის სანაპიროზე უმსგავსო საცხოვრებლების მშენებლობის გამო. მჭედლიშვილმა მოითხოვა ქალაქის გეგმის სასწრაფოდ დამტკიცება **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 263 ფურც. 9]**

1897 წლის 8 ნოემბერს, ქალაქის სათათბირომ დაადგინა ბათუმის საზღვრები ნავთობის ქუჩის, არტილერიის გზატკეცილის და ეგ. შახ-ნაზაროვის უბანს შორის **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 280 ფურც. 1]**

მანთაშვიის ქარხნის გზის უზრუნველყოფის მიზნით, ბიზნესმენის სანდო პირმა დ.ქ. ხარაზოვმა ქალაქის სათათბიროს მოსთხოვა თბილისის ქუჩის და სასაფლაოს გზის გასწვრივ რკინიგზის ხაზის გაყვანა **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 76 ფურც. 12]**

1888 წლის 8 ივლისს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კომისიის დასკვნის საფუძველზე პეტერბურგის და შეპელევის ქუჩების გასწვრივ გამოიყო 4000 კვ. საჟენი მიწა. აჭარაში პირველი რკინიგზის ხაზის გასაყვანად ხუსეინ ბეჟანიძემ სახელმწიფოს გადასცა თავისი კუთვნილი მიწა. ამავე პერიოდში გადაწყდა სოფელ აგარაში გზის გაყვანა და სოფელ ზვარესა და ვაიოს დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა. ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობისთვის ქვის მასალა გაჰქონდათ ციხისძირის ქვის სამტეხლოდან. 1890 წლის 30 სექტემბერს კავკასიის ოლქის გზათა სამმართველომ ბათუმის პორტის ინჟინერ ზუბოვს თხოვნით მიმართა ციხისძირის გზის მშენებლობისთვის სამტეხლო კარიერიდან ქვის გამოგზავნა **[ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 16 ფურც. 24]**

1894 წლიდან რუსები ექსპლოატაციას უწევდნენ ციხისძირის მწვერვალზე მოწყობილ ქვის სამტეხლოებს, თუმცა მოსახლეობას

არწმუნებდნენ, რომ არ შეეხებოდნენ და არ დააზარალებდნენ ციხის-ძირის მწვერვალს. ქვის სამუშაოებს აწარმოებდა გენერალ ადიუტანტი შერემეტიევი. ციხისძირის გზა ქვის სამტეხლოებიდან მიემართებოდა სანაპირო ზოლის გასწვრივ და არ ეხებოდა მწვანე საფარის მქონე ნიადაგს. გზების მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ბუნგე [ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 16 ფურც. 74]

ბათუმის სანაპირო ზოლი გადიოდა ქალაქის შუქურას და ზღვისპირა პარკის დასაწყისს შორის არსებულ სარელსო გზაზე. ზღვის სანაპიროდან გაჰქონდათ ხრეში და ქალაქს ყოველ კუბ ხრეშსა და სილაში უხდიდნენ 20 კაპიკს [ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 15 ფურც. 89]

1891 წლის 11 მაისს ბურუნ-თაბიეს დამბის მშენებლობისთვის მოიწვიეს ინჟინერი ბუნგე. ზღვის შტორმის დროს იტბორებოდა რკინიგზა და მის შესაჩერებლად აღმართეს ქვის კედელი [ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 15 ფურც. 11]

ქალაქის სათათბირომ ქუჩების მოწესრიგებისთვის გამოყო მიწა და თანხა, კერძოდ 1903 წელს კომაროვის, პეტერბურგის და არდაგანის ქუჩებისთვის 824 კვ. საჟენი მიწა - 2892 მანეთი, 1904 წელი ვოზნესენსკის, პეტერბურგის ქუჩები და მარინის პროსპექტი 1816 კვ. საჟენი მიწა - 192 მანეთი და 40 კაპიკი. 1903 წელი, ქარხნის ქუჩა-ბაქოს და რკინიგზის გადასასვლელს შორის 732 კვ. საჟენი მიწა, 988 მანეთი და 20 კაპ. 1903 წელს მიხეილის ქუჩა-მარინის პროსპექტსა და პეტერბურგის ქუჩებს შორის - 965 კვ. საჟ. მიწა, დასახარჯი 1302 მანეთი. 1903 წელი, ლორის მელიქოვის ქუჩის გადამკვეთი ფანტანის შესახვევი, პეტერბურგის ქუჩასა და მარინის პროსპექტს შორის 66,45 კვ. საჟ. მიწა. არტილერიის გზატკეცილიდან მანთაშევის ქარხანასთან 404, 68 კვ. საჟენი მიწა, დასახარჯი 461, მან. 82 კაპ [ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 60 ფურც. 31]

ქალაქ ბათუმის გეგმაში გზები აღნიშნული იყო ერთი ფერის საღებავით, ხოლო გადამკვეთი გზები სხვა ფერით. ასევე ქალაქის გეგმაში მოცემული იყო ქუჩების სიგრძე და სიგანე, ქუჩის მთლიანი მოცულობა, ქუჩებთან მისასვლელი გზები და ა.შ. [ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 60 ფურც. 53]

კავკასიის კალენდარში მოცემულია ბათუმთან დამაკავშირებელი გზების მარშრუტები, კერძოდ ბათუმი-ბორჩხა-არტანუჯი, არდაგანი-აჭარისწყალი, ბორჩხა-ახალციხე - ბათუმი- სოფელი ბენარა, ზარზმა, გოდერძი, დანისპარაული-ხულა, დანდალო-ჭვანა, ქედა, მახუნცეთი, აჭარისწყალი-ბათუმი. **[„კავკასიის კალენდარი“ გვ. 77 (რუსულ ენაზე) თბ. 1887 წელი, რედაქტორი ე. კონდრატენკო]**

1917 წლის იანვრის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს ტრაბ-ზონის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. სამხედრო გზა მიემართებოდა ართვინის გზატკეცილიდან პეტროგრადის, ვოზნესენსკის, მარინის, თბილისის, კათოლიკური, თათრის და ზღვის სანაპიროს ქუჩების მიმართულებით. გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ლაზარევი. სამხედრო გზა უნდა ყოფილიყო ელექტროფიცირებული **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 651 ფურც. 11]**

1916 წლის 16 ნოემბერს ბათუმის სათათბირომ განიხილა ბათუმი-ყარსის მშენებლობის პროექტი. ეს გზა გადიოდა სასარგებლო წიაღისეულის და ბუნებით მდიდარ ტყის რეგიონში, მას დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს იყო ბათუმი-თავრიზის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რომლითაც საიმპორტო და საექსპორტო საქონელი ამიერკავკასიის სამხრეთ დასავლეთი ნაწილიდან გადიოდა ჩრდილოეთ ირანში. ასევე ამ გზას უდიდესი სამხედრო სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა სამთამადნო წარმოების განვითარებისთვის. ამ საქმეს თბილისში კურირებას უწევდა სამხედრო ინჟინერი დიმიტრი სვისმჩევსკი და პეტერბურგში ბათუმის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წევრი ი.გ. ვოლფენზონი **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 651 ფურც. 4]**

ზემოთ აღნიშნული გზები რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული დაპირისპირების გამო არ იქნა გაყვანილი. 1888 წლის 21 მაისს ბათუმის სათათბიროს სხდომამ განიხილა ბარცხანის ხიდიდან ბოინამდე და სანაგვემდე გზის მშენებლობის საკითხი **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 50 ფურც. 2]**

ამავე დროს ქალაქის სათათბირომ გზების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიიღო დადგენილება. ქალაქში არსებული საგზაო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები

იბეჭდებოდა ადგილობრივ გაზეთში „ბათუმის ფურცელი“ („ბატუმსკი ლისტოკი“), ხოლო მისი აფიშირება წარმოებდა ქალაქის უბნებში განლაგებულ დაფებზე. 1889 წლის 7 აგვისტოს ქალაქის სათათბირომ მიიღო დადგენილება რიხნერის, ტაიროვის და ნეიმანის უბანზე რკინიგზის გაყვანის შესახებ. სათათბირომ დააჯილდოვა მოქალაქეები ოვანეს და ამბარცუმ ასლანიანოვები, რომლებმაც ბერძნის ქუჩის გაფართოების მიზნით დათმეს საკუთარი სახლი. ნიშანდობლივია, რომ იმ ძველ დროში მოქალაქეები ქუჩების გაფართოების მიზნით საკუთარ სახლებს თმობდნენ, დღეს კი ქალაქის ქუჩები სახლებად და გარაჟებად არის გადაქცეული. ზემოთ აღნიშნულმა მოქალაქეებმა საკუთარი ხარჯებით წარადგინეს რკინიგზის გაყვანის პროექტი, რომელიც მიემართებოდა მათი ქარხნებისა და აგარაკებისკენ. დერვიშის ქუჩაზე მოეწყო გადასასვლელი რკინიგზა.

1889 წლის 23 ოქტომბერს ქალაქის სათათბირომ განიხილა თბილისის და არდაგანის ქუჩებს შორის სამხრეთი გზის გახსნის საკითხი. სამხრეთის გზის გეგმა მოიცავდა ტერიტორიას რკინიგზის მთავარი ხაზიდან არდაგანის ქუჩის გადაკვეთამდე **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 68 ფურც. 13]**

1889 11 დეკემბრის სათათბიროს სხდომაზე რუსეთის სადაზღვეო საზოგადოებამ მოითხოვა ბურუნ-ბაშის საწყობების გასწვრივ მეორე სარელსო გზის გაყვანა. სადაზღვეო საზოგადოების აგენტმა გ.ვ. კოჩეტკოვმა წარადგინა გასაყვანი რკინიგზის პროექტი 48 საჟ. მიწის მანძილზე. ეს გზა არ ავიწროებდა ბურუნ-თაბესთან მისასვლელ გზას. მეორე გზა გადადიოდა მთავარი გზიდან აღმოსავლეთით, რომელიც არენდირებული ჰქონდა ბურგარდტს. რიხნერისა და შიბაევის გზის შესახვევი უკავშირდებოდა ზღვასთან არსებულ საცურაო აუზს **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 15 ფურც. 15]**

1890 წლის 23 აპრილს, ქალაქის სათათბიროს სხდომაზე გადაწყდა ბათუმში რკინიგზის სადგურის მშენებლობა 4000 კვ. საჟ. მოცულობით, რომელიც უნდა განთავსებულიყო პეტერბურგის ქუჩაზე, სოფელ ჭაობთან ახლოს, შეპელევის ქუჩის გასწვრივ. მიწის და მშენებლობის ხარჯის დასაფარავად ქალაქს საჩუქრად გადაეცა 6000 მანეთი **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 97, ფურც. 9]**

1888 წლის 23 ნოემბერს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე გადაწყდა სასაფლაოდან რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიამდე (700 კვ.საჟ.მიწა) ქალაქსა და ალექსეევის არხს შორის გზის რეკონსტრუქციის საკითხი. ამ გზაზე განლაგებული იყო ბევრი ქარხანა და სასაფლაოს გზის გავლაც შეუძლებელი იყო **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 13 ფურც. 7]**

1888 23 დეკემბერს რკინიგზა გაიყვანეს გოლდიუსკის უბნამდე **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 20, ფურც. 3]** 1889 წლის 4 მარტს სათათბირომ განიხილა ბათუმში მიწის საკუთრების საკითხი. რუსეთის ხელისუფლება გადაწყვეტილებებს ღებულობდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ძირითადად ეყრდნობოდა რუსულ კანონებს. რუსეთის ხელისუფლებას ეშინოდა იმის, რომ ქალაქის მიწები არ გადასულიყო უცხოელების ხელში **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 36 ფურც. 7]**

ქალაქში დიდი ყურადღება ექცეოდა სარელსო გზის გაყვანას. ქალაქის შიდა გზები ბათუმის პორტს სარელსო გზით უკავშირდებოდა. 1889 წლის 20 ნოემბერს დაამტკიცეს სარელსო გზა, რომელიც გადიოდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზიდან, მოქალაქე იოსელიანის სახლის და ზღვისპირა პარკის მიმართულებით, ასევე ზღვისპირა პარკის მხრიდან ბურუნ-თაბიეს კონცხის გასწვრივ, სადაც დამბას აშენებდნენ. მოქალაქე ანისიმოვს დაევალა აღნიშნული სარელსო გზის მშენებლობის საფასურის გადახდა **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 71 ფურც. 1]**

ქალაქის სათათბიროს ქალაგარეთ მგზავრობისთვის დაწესებული ჰქონდა შემდეგი ფასები: კაპანდიდამდე 2 მან., უკუმიმართულებით 3 მან., აჭარისწყლის გზაზე 3,50კაპ., უკუმიმართულებით 5 მან., ახალშენის გზაზე 1.50, უკუმიმართულებით 2 მან. მოუწესრიგებელ გზებზე ფასებს არ აწესებდნენ **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 71 ფურც. 19]**

1889 წლის 23 ოქტომბერს ბათუმში გაიხსნა ახალი სამხრეთის ქუჩა. ქუჩების მშენებლობასთან დაკავშირებით ცხადდებოდა ტენდერი. წარმოებდა ყოველი ქუჩის პროექტირება, მასზე არსებული არხებით და ხიდებით. აჭარის მოსახლეობა ინტერესით და ხალისით ხვდებოდა ყოველი ქუჩის გახსნას და უსასყიდლოდ უთმობდნენ საკუთარ მიწას. რუსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმ

ქუჩების მოწესრიგებას, რომელზეც საჯარისო ნაწილების გადაადგილება ხდებოდა.

1902 წლის 27 მაისს აჭარის გზათა სამინისტროს ინიციატივით საზღვაო და კომაროვის ქუჩების გზაჯვარედინზე მოეწყო გადასასვლელი პეტერბურგის ქუჩაზე. მაგრამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული გადასასვლელი გადაკვეთდა 2 სასადგურო გზას, რომელზეც მუდმივად წარმოებდა სამგზავრო მატარებლების ვაგონების მანევრები, რის გამოც აღნიშნული რკინიგზის გადასკვეთი გზა გამოიწვევდა უსაფრთხოების დარღვევას, ასევე საფრთხე შეექმნებოდა საცხენო ტრანსპორტს და ფეხით მოსიარულეებს. საზღვაო ქუჩაზე მოძრაობა წარმოებდა რკინიგზის სადგურის შემოვლითი გზით. გადასასვლელი გზის 2 საყენით გაფართოება ხელს შეუწყობდა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას. ამავდროს ბათუმში მზადდებოდა რკინიგზის რეკონსტრუქციის პროექტი. **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 388 ფურც. 5]**


აჭარაში დიდი ყურადღება ექცეოდა ხიდების მშენებლობას. 1888 წლის პირველ ნოემბერს ააგეს კარცოვის არხზე ხის ხიდი. ბათუმისოფელი ჭაობის არხებზე მოწყობილი ხიდები მთავარ გზასთან აერთებდა ზღვის სანაპირო ქუჩებს, რომელიც მიემართებოდა სასაფლაოზე და ნავთობის ქარხანასთან **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 7 ფურც. 2]**

1888 წლის 10 დეკემბერს განხორციელდა კარცოვის არხსა და ბურგარდტის ქარხანას შორის დამაკავშირებელი ხიდის რეკონსტრუქცია. **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 17 ფურც. 7]**

1888 წლის 28 ნოემბერს გადაწყდა სანაპიროზე, კარცოვის არხთან დამაკავშირებელი ბეტონის ხიდის კეთილმოწყობა. ბეტონის ხიდი ააგეს პორტლანდის ცემენტით და ტეილსკოვის კირით **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 14 ფურც. 6]**

შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, ბათუმი თუ ვითარდებოდა, მხოლოდ ნავთობის ექსპორტის ძალით და თუ ისინი ამას შეწყვეტდნენ, მაშინ დიდ მოგებასაც ვერ მიიღებდნენ, და ბათუმი დაუბრუნდებოდა თურქეთის სოფლის პირვანდელ მდგომარეობას.

დანართის სახით წარმოგიდგენთ საარქივო-დოკუმენტურ მასალას, რომელიც ნათლად წარმოაჩენს მე-19 საუკუნის აჭარაში წარმოებულ გზათა მშენებლობის საქმეს.



ბათუმი ყარსის რკინიგზის მშენებლობის შესახებ
[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 632 ფურც. 1]

А К Т Ъ

Городъ Батумъ . Іюня 16 дня 1907 года.

Мы, нижеподписавшіеся, осмотрѣвъ, согласно отношенію Батум -
ской Городской Управы отъ 13 сего Іюня за № 2632, перемещен-
ныя въ 1906 - 1907 годахъ подъѣзды къ порту пути: Артиллерій-
ское шоссе (отъ забора завода Мантаева до завода Гр. Нобель),
Кладбищенскую (отъ Ардаганскую до завода Сидерились), Екатери-
нинскую (отъ Тифлисской до Ардаганской), Щепелевскую (отъ Ма-
ринскаго проспекта до сада возлѣ вокзала Э.ж.д.) и Маринскій
проспектъ (отъ дома Сабаева до Щепелевской) а равно Фонтанную,
Бакинскую (первая половина отъ угла завода Ротшильда до порто-
ваго переѣзда), Улицу, захватывающую кварталы за № № 244, 247,
248, 249 и 250 отъ Артиллерійскаго шоссе до не доходя заводской
улицы на 25 пог. саж. и путь отъ Северо-Западныхъ воротъ Рос-
сійскаго общества до угла карантинъ, - нашли, что въ качествен-
номъ отношеніи: Фонтанная, Екатерининская, Артиллерійское
шоссе и путь отъ Северо-Западныхъ воротъ Россійскаго общества
до угла карантинъ, всѣ въ вышеуказанныхъ предѣлахъ, перемещены
не достаточно удовлетворительно и подлежатъ исправленію, осталь-
ныя-же вышепоименованныя улицы перемещены удовлетворительно.
Подписали: Инженеръ Михаэлисъ, Инженеръ Шубинскій.

Съ подлиннымъ вѣрно:

Членъ Батумской Городской Управы



Свѣрять:

За Дѣлопроизводителя




ბათუმის პორტთან მისასვლელი გზები
[ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 60 ფურც. 31]

сахъ при Батумской гимназіи и признавая на основаніи прифеден-
ныхъ въ семъ докладѣ соображеній , целесообразнымъ открытіе при
Батумской гимназіи параллельныхъ классовъ реального характера ,
единогласно постановила : ходатайствовать въ уст новленномъ по-
рядкѣ объ открытіи при Батумской имени Его Императорскаго Высо-
чества В. Князя Михаила Николаевича классической гимназіи пара-
лельныхъ классовъ реального характера , съ принятіемъ расходовъ
на ея содержаніе на счетъ казны и съ обѣщаніемъ отъ Батумскаго
Городского Общественнаго Управленія , кромѣ помѣщенія для скван-
ныхъ классовъ , расходовъ на ихъ полное обзаведеніе , могущее
обойтись , по окончательной-организациіи всѣхъ классовъ , не ме-
нѣе 20 т. руб. 6)

2 .

(Батумская Городская Дума , въ составѣ 31 гласнаго , въ соб-
раніи 18-го Октября 1899 года , выслушавъ докладъ особой подгото-
вительной комиссіи по вопросу о расширеніи черты города , съ
заключеніемъ по немъ Управы , и также предложеніе гласнаго Тару-
мова о необходимости доведенія восточной границы новой черты
до р. Каронисъ - Цкали , въ виду предполагаемаго расширенія въ
эту сторону портовой территории и могущему вслѣдствіе сего послѣ-
довать поднятіе тамъ цѣны на земли , единогласно постановила:
1 | утвердить докладъ комиссіи , какъ равно и заключеніе по немъ
Управы съ тѣмъ , однако , чтобы восточная граница предполагаемой
новой черты города была расширена отъ самого сѣвернаго пункта
подшвы Самеба , параллельно берегу моря , по прямой линіи до сое-
диненія съ р. Каронисъ - Цкали , далѣе по этой р. до впаденія ея
въ море и 2 | поручить Городской Управѣ объ этомъ своевременно


ყორლის წყალთან მისასვლელი გზა
[ახს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 327 ფურც. 4]




ბათუმის გეგმა [ასს. ფ. ი-19, ან. 1, ს. 1058 ფურც. 24]



კინტირის რკინის ხიდი. მსგავსი ხიდის ნაშთები დღემდე შემორჩენილია მარადიდი-კირნათის გადასასვლელ გზაზე და მდინარე მაჭახელაზე [ასს. ფ. ი-22, ან. 1, ს. 29 ფურც. 55]




ჩაქვის გზის გეგმა [ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 16, ფურც. 82]



ბათუმის გზები. ინტერნეტ მასალა



ბათუმის რკინიგზის სადგური. ინტერნეტ მასალა



ბათუმი-ბარცხანის გაერთიანებული გზა. ინტერნეტ მასალა

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 102** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N102
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 91** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N91
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 230** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N230
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 249** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N249
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 248** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N248
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 263** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N263
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 280** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N280
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 76** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N76
- ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 16** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N91
- ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 15** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-16 ანაწერი 1, საქმე N15
- ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 60** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-16 ანაწერი 1, საქმე N60
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 651** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N651
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 50** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N50
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 68** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N68
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 97** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N97
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 13** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N13

- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 20** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N20
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 36** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N36
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 71** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N71
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 388** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N388
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 7** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N7
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 17** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N17
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 14** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N14
- ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193**-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-2 ანაწერი 1, საქმე N193
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 632** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N632
- ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 327** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე N327
- ასს. ფ. ი-19, ან. 1, ს. 1058:** - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-19 ანაწერი 1, საქმე N1058
- ასს. ფ. ი-22, ან. 1, ს. 29** -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1, საქმე N29
- „კავასიის კალენდარი“ 1887:** რედაქტორი ე. კონდრატენკო გვ. 77 (რუსულ ენაზე) თბ. 1887 წელი
- სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები 2008** : - აჭარა ტ. III ბათუმი 2008 წ.
- დიმიტრი ბაქრაძე 1987:**- არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ) ბათუმი 1987 წ.
- თედო სახოკია 1950:** -მოგზაურობანი გურია, აჭარა, სამუხაყანო, აფხაზეთი თბილის 1950
- ნიკო მარი 2015:** მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში რუსულიდან თარგმანი მერაბ მეგრელიძვილი ბათუმი 2015

ტარიელ ფუტკარაძე 2020: „მარეთის ხეობის (ზემო აჭარა) ისტორიული გზებისა და ტოპონიმისათვის, თედო სახოკიას კვალდაკვალ“, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული XII ქუთაისი 2020

ბიჭიკო დიასამიძე 2013: - „ბათუმი-ყარსის გზის შენებლობის შესახებ“ (XIX საუკუნის 60-70 -იანი წლები) ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. IV ბათუმი 2013 წ.

როინი მალაყმაძე 2020: - „მარადიდის თემის ისტორიიდან“, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული XII ქუთაისი 2020
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1921 : - კ. ჰანის მოხსენება სავაჭრო მიმოსვლის გზები ძველად საქართველოში, 1921 წლის 21 იანვარი N 22

„პოლონური სახლი“ ბათუმში

საკვლევო თემის ასეთი სახით დასათაურება გამოიწვია 1909 წლის 16 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გამოტანილმა საკითხმა, თვითმმართველობის მიერ საზოგადოება „პოლონური სახლისთვის“ ბათუმში კომაროვის და გიორგიევსკის ქუჩების კუთხეში სკოლის ასაშენებლად მიწის გამოყოფის შესახებ, (სულ 137, 32 კვ. საჟენი მიწა) აღნიშნული საკითხის განხილვას მოჰყვა დიდი პოლემიკა. თვითმმართველობის სხდომას უძღვებოდა ქალაქის თავი გ.დ. ჟურული. სხდომას ესწრებოდა 20 ხმოსანი: სიმულოვი, გრიგორიადი, სიმონოვი, შუტცი, დიმიტრიადი, ჩხაიძე, პანასევიჩი, საბაევი, კურტოევა, ელიავა, პუჩინიანი, პილოიანი, სახნოვსკი, სოგოროვი, კრასნიცკი, კრინიცკი, ბერძენიშვილი, კანდელაკი, კვიცინსკი და ტროფიმოვი. თვითმმართველობის სხდომაზე არ გამოცხადდა 23 ხმოსანი ეს უკანასკნელი კი ყურადსაღებია იმიტომ, რომ სხდომის ოქმში ხმოსანთა არ გამოცხადების მიზეზების შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, რითაც ხაზი ესმება ხმოსნების დამოკიდებულებას ბათუმში ქართველი და პოლონელი ბავშვებისთვის ერთიანი სკოლის გახსნის სურვილთან და მიზანთან დაკავშირებით. აღნიშნულ პრობლემას თვითმმართველობის სხდომაზე ხმოსნების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა. ხმოსნების თვითმმართველობის წევრების გამოსვლებში გამომქლავნდა დამოკიდებულება ბათუმში მცხოვრები პოლონელების და მათი რელიგიის მიმართ.

1909 წლის 16 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე გამოსულთა მოხსენებები ცალკე განხილვის საგანია. პოლონური სახლისთვის მიწის გამოყოფის საკითხი რამდენჯერმე გადაიდო. ჯერ იყო და აღნიშნულ მიწაზე სახალხო ბიბლიოთეკის მშენებლობას აპირებდნენ, შემდეგ აღნიშნული საკითხი განსახილველად გადასცეს მიწათმოწყობის კომისიას. სკოლის გახსნას ითხოვდა რომაულ-კათოლიკური ეკლესია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბათუმში მოღვაწე პოლონელების დამოკიდებულებას განსაზღვრავდა არა მარტო მათი ეროვნება, არამედ მასთან ერთად კათოლიკური

რელიგია. რუსული თვითმმართველობა სათანადოდ ვერ აფასებდა პოლონელების დამსახურებას ქალაქის აღმშენებლობის საქმეში. ქალაქის თვითმმართველობამ გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების შემდეგ მას სათანადო საფლავიც ვერ მიუჩინა. დღეს კი ძვირადღირებული სახლის მშენებლობას შეეწირა ქალაქის ცენტრში მდებარე გრიგოლ ვოლსკის და ილია ჭავჭავაძის ბათუმის საცხოვრისი.


1924 წელს ბათუმში მცხოვრები პოლონელი მოქალაქეები არჩევანის წინაშე დადგნენ, კერძოდ ისინი ალტერნატივის წინაშე დააყენეს თუ სად სურდათ ცხოვრება პოლონეთში თუ საქართველოში? სინამდვილეში ეს იყო ხელისუფლების მიერ დაფარული სახით გამოვლინებული იძულებითი ფორმა, რასაც მოჰყვა ბათუმში მცხოვრები პოლონელების გადასახლება. რუსული „არჩევანი“ - Опáция (от лат. optatio - желание, выбор; англ. choice of citizenship, optation) პოლონელ მოქალაქეებს აიძულებდა თხოვნით მიემართათ მოსკოვის საგარეო უწყებისთვის და ნებაყოფლობით საწყისებზე დაეტოვებინათ საქართველო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

რ-77 აღწ.1 საქ.59 გვ.127

ი-1, აღწ.1, საქ. 589, ფ. 83

დანართი:



წყარო: ი-1, აღწ.1, საქ. 589, ფ. 83

Уполномоченному НКВД СССР

165 73 169

Авраам Галицкий, прож. в г.р.
Батуми по ул. Гамовского № 80

Заявление

Заявитель просит и просит
Пожалуйста все предоставленные документы
удостоверения или прохождения
на предмет отправки посылки
гражданства



А.С. Галицкий

г.р. Батуми
18/III 1924 г.

133 Приложение № 13
Ф 20 ркзвод. деп. прав.

№ 629

УДОСТОВЕРЕНИЕ 132

231х-924

Дано оне гр. Бонедик Морич
Семенович (возраст) 1824. в том, что
он направляется в г.р. Москву в отдел "управления
Московского Совета для получения разрешения на
выезд за-границу в г.р.
Со стороны НКВД АССР Адмиралтана препятствий
к выезду за-границу не встречается.



Наркоминдел АССР

Зав. Инс НКВД

Зав. Сек. Отдел

[Handwritten signature]

137 134 144

Приложение № 13
в 20 рублей. долевая.

№ 261

УДОСТОВЕРЕНИЕ

11/X-9242

Дано мне гр. Федоскину Николаю
(возраст) 1891 в том, что он направляется в
г. Москву в Отдел Управления Московского Совета
для получения разрешения на выезд за-границу в
г. Лондон



Со стороны НКВД АССР Адмиралтана приветствий к
выезду за-границу не встречается.

Наркоминдел АССР

Зав. ЛНО НКВД
Зав. Отдел Генушев

139 136

Приложение № 13
в 20 рублей. долевая.

№ 262

11/X-9242


Дано мне гр. Ольшескому Вл. Сем.
(возраст) 36 в том, что он направляется в г. Лондон
в Отдел про. ЛНО НКВД г. Москва для
получения разрешения на выезд за-границу в г. Лондон



Со стороны НКВД АССР Адмиралтана приветствий к
выезду за-границу не встречается.

Наркоминдел АССР

Зав. ЛНО НКВД
Зав. Отдел Генушев



135 ~~148~~
158

У П О С Т О В Е Р Е Н И Е

Дано сие г-ну Досифею Василью
(возраст) 13 3/4 в том, что он находится в
г-р. Москве в Отдел. Управления Московского Зем. за-
дела для получения разрешения на проезд за-границу в
г-р. Вильна
Со стороны И.О.Д. АССР для исполнения предостере-
жения к выезду за-границу не применяется.

Наркомвнудел АССР

Зав. ВНО И.О.Д. _____
Зав. райотдел. М. М. Мухоморов

1924
№ 117/1
№ 213



140 ~~138~~
157

У П О С Т О В Е Р Е Н И Е


Дано сие г-ну Андрею Богдану
(возраст) в том, что он находится в
г-р. Москве в Отдел. Управления Московского Зем. за-
дела для получения разрешения на проезд за-границу в
г-р. Варшава
Со стороны И.О.Д. АССР для исполнения предостере-
жения к выезду за-границу не применяется.

Наркомвнудел АССР

Зав. ВНО И.О.Д. _____
Зав. райотдел. М. М. Мухоморов

1924
№ 117/1
№ 250





წყარო: რ-77 აღწ.1 საქ.59 გვ.127

აჭარის გზები და ხიდები XX საუკუნის 30-იან წლებში

1929 წლის 11 სექტემბერს შეიქმნა აჭარის გზატკეცილის, გრუნტის გზის და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო. 1938 წლის 11 აგვისტოს საგზაო სამმართველო გადავიდა აჭარის ასსრ. სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო 1946 წლის 15 მარტიდან აჭარის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში. 1939 წელს გზები დაჰყვეს ორ ნაწილად: სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის და შეიქმნა ბათუმის გზის საექსპლუატაციო უბანი N730. აჭარის გზები შედიოდა კავკასიის ოლქის გზათა მიმოსვლის უწყებაში. აჭარაში არსებულ გზებს გააჩნდა სტრატეგიული მნიშვნელობა. გზებზე უზრუნველყოფილი იყო ჯავშნიანი მანქანების მიმოსვლა. 1932 წლის 3 აგვისტოს ამიერკავკასიის გზის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა რეკიმ, საქართველოს გზათა სამმართველოს წარმომადგენლებმა სიმონსოვმა და პეტროვმა და აჭარის გზათა სამმართველოს ინჟინერმა დ. გაბუნია და კეკელჯანმა დაათვალიერეს ბათუმი-გოდერძის გზა. 62 კილომეტრიან გზის მონაკვეთში, მთებს შორის არსებული დაკლაკნილი გზის მშენებლობა დიდ სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით თოვლის დნობის, წვიმების და წყლის დონის ამაღლების დროს. კლდიდან ქვების ცვენის შედეგად გზა გრუნტით იფარებოდა და ტრანსპორტით მოძრაობა შეუძლებელი იყო. აუცილებელი იყო კლდის დამცავი ზღუდეების აგება, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ასე მაგალითად, 5 მეტრის სიმაღლის და 247 მეტრის სიგრძის კედლის გამაგრებაზე იხარჯებოდა 296. 400 მანეთი. 313 მეტრზე გზის გაფართოება აღწევდა 30000 მანეთს, ხოლო დამატებით გზის სხვადასხვა სამუშაოების ჩათვლით დანახარჯი შეადგენდა 258. 265 მანეთს[**ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 383, ფურც. 99**]

ამავე პერიოდში აჭარცაკის პრეზიდიუმმა გზების დაზიანებისგან თავდაცვის მიზნით მიიღო სპეციალური დადგენილება 1. საკავშირო მნიშვნელობის პირველი კლასის გზად აღიარეს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილი, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზად დაამტკიცეს ხხალთა და სარფი, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზად (მე-6

კლასი) ახალშენის, ორთაბათუმის, ბობოყვათის და ჭახათის გზები, ასევე განსაზღვრეს ზემოთ აღნიშნული გზების სიგანის ნორმები. აიკრძალა გზის სარტყელში ნაგებობების მშენებლობა, ტყის გაჩეხვა და ა.შ. ამიერკავკასიის სამხედრო უწყება აწარმოებდა შუბანის (იორამი) სამხედრო გზის მშენებლობას. აღნიშნული გზის მშენებლობაში გაწეული დიდი შრომისთვის შუბანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერიძემ გზის მშენებელი მ. მახარაძე იარაღით დააჯილდოვა [ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 383, ფურც. 205]

აჭარის გზის მშენებლობაში აქტიურ მონაწილებას იღებდნენ გურიის შრომითი ბრიგადები. გურიის სოფელ შემოქმედის მკვიდრი თეოფილე ოქროპირიძე ერქომაიშვილი ბათუმი-გოდერძის გზის და ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობის საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისთვის წარადგინეს შრომის გმირის წოდებაზე და დაუნიშნეს პერსონალური პენსია 120 მანეთის ოდენობით.

ბათუმი-გოდერძის უღელტეხილზე გაფართოვდა გზა. ბათუმის-ლიმანის გზაზე გაშენდა ახალი მაგისტრალი და მასზე უზრუნველყოფილი იქნა ჯავშნიანი მანქანების მიმოსვლა. ბათუმი-ახალციხის და ბათუმ-ქობულეთის გზის სამიშ და მოსახვევ ადგილებში გაკეთდა ქვის და ტინობის მოაჯირები, ხოლო თხრილებში წყლის საწრეტების ნაცვლად აიგო რკინა-ბეტონის წყალსადენი. XX - საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში გაშენდა და მოწესრიგდა შემდეგი გზები: ხიჭაური, ჭვანა-ცხემლისის გზა - 8 ვერსზე, რომელიც ემსახურებოდა 20 სოფელს - 686 სულს. ასევე შუახევი - უჩამბის გზა 7 ½ ვერსზე, რომელიც იწყებოდა მშენებარე შუახევის ხიდთან. გაშენდა ბათუმი-ახალციხის გზატკეცილი 65 ვერსზე. სხალთის გზა იწყებოდა ბათუმი-ახალციხის გზატკეცილის 75-ე ვერსზე, იგი გადაკვეთდა მდინარე აჭარისწყალის ხიდს და მიდიოდა მდინარე სხალთისწყლის მარჯვენა სანაპიროსკენ, რომელიც ემსახურებოდა 238 სულს. ღორჯომის-გზა 8 ვერსზე იწყებოდა ხულოდან და მიდიოდა მდინარე ღორჯომის მარჯვენა სანაპიროდან უღელტეხილამდე. იგი ემსახურებოდა 19 სოფელს - 1002 სულს. მარადიდის გზატკეცილი აერთიანებდა მაჭახლისპირა სოფლებს. ამავე პერიოდში გაშენდა გზა მდინარე მაჭახელზე, სოფელ ჩიქუნეთთან 11 ვერსზე, იგი იწყებოდა

მარადიდის გზატკეცილზე და ემსახურებოდა 385 სულს. 8 ვერსზე გაშენებული ქედა-მერისის გზა იწყებოდა მშენებარე ხიდთან და მიემართებოდა მდინარე მერისის მარჯვენა სანაპიროსკენ. იგი ემსახურებოდა 8 სოფელს - 280 სულს. სამხედრო ინჟინერ დიმიტრი სვისმჩევსკის წინადადებით დაიწყო მწვანე კონცხამდე მისასვლელი ტრამვაის ხაზის გასაყვანად მიწის სამუშაოები. [ასს. ფ. რ-18, ან. 1, ს. 7, ფურც. 66] 1939 წელს აჭარის საგზაო სამმართველოს (უფროსი შანიძე) ურთიერთობა ჰქონდა კიევის საგზაო სამმართველოსთან (უფროსი ერემენკო). [ასს. ფ. რ-883, ან. 1, ს. 35, ფურც. 1] 1939 წელს საგზაო მშენებლობაში გამოვლინებულ სტახანოველებს გადასცემდნენ ფულად ჯოლდოს 100 მანეთის ოდენობით. 1941 წლის 21 სექტემბერს აჭარის საგზაო სამმართველომ განაახლა სოფელ ახალშენის გზაზე მდებარე სამხედრო მნიშვნელობის მდინარე ბარცხანის ხიდის მშენებლობა. ასევე განაახლდა მერისის გზის მშენებლობა. მოეწყო გადასასვლელი გზები მდინარე მერიახევსა და აკავრეთზე, სოფელ ჩელტამდე. 1940 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ ხულოში ხიდების და გზების მშენებლობაზე გამოჰყო 156 995 მანეთი, ქედამი 43 398 მანეთი, ბათუმის რაიონში - 145 791 მანეთი, ქობულეთის რაიონში 174 966. 1940 წელს განაახლდა გონიოს გზის მშენებლობა. ადგილობრივი გზათა სამმართველოს უფროსის ხელფასი განისაზღვრა 1000 მანეთის ოდენობით. 1939-1940 წლებში აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ გზათა სამმართველოს უფროსად ისმაილ მოწყობილის ნაცვლად დანიშნა ოსმან შანიძე. 1939 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა რეგიონის გზათა მშენებლობის გეგმა, კერძოდ ხულოს რაიონში ყარა-დერეს გზა 1,2 კმ. მერისის გზა 1,2 , ბათუმის რაიონში, აჭარის აღმართის გზა 2 კმ. ქობულეთი-კოხი-ჭახათის გზა 1 კმ. ქობულეთი-კოხი-ჭახათის გზა იწყებოდა 4 ½ ვერსზე სოფელ კოხიდან, იგი ემსახურებოდა 8 სოფელს - 308 სულს. ჩაქვი-ჩაქვისთავის გზა - 17 ვერსზე იწყებოდა ჩაქვის საუფლისწულო მამულთან და მთავრდებოდა ჩაქვისთავის მეჩეთთან. იგი ემსახურებოდა 6 სოფელს -164 სულს. 1940 წელს სწრაფი მეთოდით ჩატარდა აჭარის აღმართი- გორგაძეების ახალი გზის მშენებლობა.

ქვის სამუშაოები შეასრულა სამხედრო უწყებამ პოლკოვნიკ სამელიოვის ხელმძღვანელობით. [ასს. ფ. რ-88, ან. 1, ს. 34, ფურც. 126]


მასში მონაწილეობა მიიღეს აჭარისწყლის, კირნათის, მახუნცეთის მცხოვრებლებმა, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ წელიწადში 6 დღეს, უსასყიდლოდ, თავისი გამწევი ძალით და შრომის იარაღით ემუშავათ გზებზე. 1938 წლის 20 დეკემბერს აჭარის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა 2 კილომეტრზე ქობულეთის საკურორტო გზის მშენებლობის საკითხი. კეთილმოეწყო ქობულეთ-ნატანების, აჭარის-აღმართის, ბათუმ-ჩოლოქის გზები. 1938 წელს გაშენდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ჩოლოქის გზა 52, 5 კმ. ბათუმი გოდერძის გზა 126, 5 კმ. 1938 წლის გეგმის მიხედვით გაშენდა რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები, ბათუმი-სარფი 15,7 კმ. აჭარისწყალი - მარადიდი 10,5 კმ. 1938 წელს დაიწყო ვაიო- სირაბიძეების გზის მშენებლობა. ამავე პერიოდში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ქედა-მერისის გზას (8 კმ.) ზვარე-ვაიოს გზა 2 კმ. ქედა-ზენდიდის გზა 3 კმ. 1938 წელს დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის გზა 32, 8 კმ. და სახელმწიფო მნიშვნელობის გზა 30,0 კმ. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ქობულეთი-ნატანების გზას 2 კმ. ჭახათის გზას 16 კმ. დაგვის გზას 8 კმ. ჩაქვისთავის გზას 16 კმ. მუხაესტატი-აჭყვისთავის გზას 5 კმ. 1938 წელს ხულოს რაიონში დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის გზები: ზომლეთი-ნიხაძირი 27 კმ. ღორჯომი-აგარა 8, 5 კმ. ხიჭაური-ჭვანა 8.5 კმ. რეკონსტრუქცია ჩატარდა შუახევი-უჩამბის 12 კმ. გზის მონაკვეთს, ასევე ზომლეთი-სხალთა 10 კმ. ბეშუმი 7 კმ. სულ დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის 45,5 კმ. გზა, ხოლო სახელმწიფო მნიშვნელობის 56 კმ. გზა XX საუკუნის 30-ან წლებში ბათუმის რაიონში დაიწყო ახალი გზის მშენებლობები: მაჭახლისპირი აჭარისწყალი 24 კმ., თხილნარი-მანო 2 კმ., სულ ახალი გზის მშენებლობა გაგრძელდა 26 კილომეტრზე. კაპიტალური რემონტი ჩატარდა ორთაბათუმი-ყოროლისთავის გზას 1,5 კმ., თამარის უბანი-ყარადერე 4 კმ., ორთაბათუმი-აგარა 3 კმ., ასევე ბარცხანა-ორთაბათუმი 6 კმ., გოროდოკი-ახალშენი 3,5 კმ., ახალშენი-ერგე 5 კმ., თხილნარი 1,5 კმ., ხელვაჩაური 1,5 კმ., ერგე-ზემო ჯოჭო 2,5 კმ., ბათუმის რაიონში 31 დეკემბრის ქუჩა ფერია 2,5 კმ., ორთაბათუმი-

ჩაის ფაბრიკა- სტეფანაოვკა 2 კმ., სარფის გზა 1 კმ., ადლია-ტოპალო-
დლები 3 კმ., მახინჯაური 2 კმ., აჭარისწყალი-კიბე 2 კმ., ბაბუჩოდ-
ლები-ბზუბზუ 2 კმ., ქობულეთის რაიონში დაიგო ადგილობრივი
მნიშვნელობის ახალი გზები, მუხაესტატე-ჩაის ფაბრიკა 15 კმ., აჭყვა
2 კმ., მუხაესტატე-აჭყვის თავი 5 კმ., ზედა და ქვედა სამება 2 კმ., დაგვა
2 კმ., ქობულეთი-ჭახათის გზა 16 კმ.,


ხიდეები: XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში განვითარდა რკინა-
ბეტონის ხიდების მშენებლობა. მდინარე აჭარის წყალზე სოფელ
ქელასთან აიგო 48 საყენის სიგრძით რკინა ბეტონის ხიდი. იგი შედ-
გებოდა სამი რკინა-ტინობის თალიანი მანძებისგან, ორი სანაპირო და
ორი შუაბიჯა ქვის დასაყრდნობებზე. მარჯვენა ნაპირის ბურჯი
აგებული იყო ღია ქვაბულში, მარცხენა ნაპირის კი კლდეზედ. ორი
შუაბიჯა ბურჯი აგებულია ჩასადგმელი ჯებით. ნაპირების ორივე
მხრით გაშენებული იყო ქვის ჯავლმიმართი ჯებირები და და-
საყრდნობი კედლები. აჭარისწყალზე სოფელ შუახევთან აიგო 24
საყენი რკინა-ტინობის ხიდი. იგი შედგებოდა ვიზინტიჩინის სისტემის 2
მანძისა, 2 სანაპირო და ერთი შუაბიჯა ბურჯებისგან. მარჯვენა
ნაპირის ბურჯი აგებულია ჩასადგმელი ჭით, მარცხენა კი კლდეზე
ბურჯი ჩადგმულია ჩასადგმელი ჭით რკინა-ტინობისგან. ორივე
ბურჯებს აქვს ჭაკლმიმართი ჯებირები და კედლები. მდინარე
კინტრიშზე სოფელ ხუცუბანთან გაშენდა ქვის ხიდი. იგი შედგებოდა
2 მანძისგან, ერთი ქვისა და მეორე კი ტინობის თალებისგან. მდინარე
მაჭახელის გასწვრივ სოფელ ჩიქუნეთის მიმართულებით, სიგრძით
11 ვერსისი გზა იწყებოდა გზატკეცილის ხიდთან, 4 ვერსზე სოფელ
მარადიდის შტოზედ.

წარმოგიდგენთ XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში გზების და
ხიდების მშენებლობის ამსახველ თვალსაჩინოებით მასალას.

დანართი:



აჭარის გზები და ხიდები [ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 1, ფურც. 113]



საგზაო რუკა. [ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 1, ფურც. 290]

დამოწმებული წყარო:

- ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 383
- ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 383
- ასს. ფ. რ-18, ან. 1, ს. 7
- ასს. ფ. რ-883, ან. 1, ს. 35
- ასს. ფ. რ-88, ან. 1, ს. 34
- ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 1
- ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 1

უკრაინელები ბათუმში

კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრება გვაწვდის ყველაზე ადრინდელ ცნობებს ქართველების და უკრაინელების კულტურული ურთიერთობების შესახებ. XI საუკუნის მიწურულს ქართველი ფერწერის ოსტატები ბერძენ ოსტატებთან ერთად კიევის ლავრის მთავარი ტაძრის მოსახატავად ყოფილან მიწვეულნი. კიევის დიდი მთავრის იზიასლავ მტისლავისძის ქართველი მეფის ასულზე დაქორწინების ამბავი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ არა მარტო ამ ორი ქვეყნის დინასტიების დანათესავების ფაქტი, არამედ იმ დროს საქართველოს და უკრაინას შორის არსებული სამიმოსვლო, სანაოსნო გზა, კერძოდ კიევი-დნეპრი-შავი ზღვა. ქართულ-უკრაინული ისტორიული წყაროების (ქართლის ცხოვრება, კიეველი მემატიანე, ვოლინელი მემატიანე) საფუძველზე დადგენილია ქართველი და უკრაინელი ხალხის საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დამადასტურებელი ფაქტები. ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ევროპელ მოგზაურთა ცნობები (პიეტრო დელა-ვალე, არქანჯელო ლამბერტი, ჟან-ბატისტ ტავერნიე და სხვები.) პიეტრო დელა-ვალეს 1627 წლის მოხსენებითი ბარათი რომის პაპის ურბან მესამესადმი გვაუწყებს, რომ მას შემდეგ რაც თურქეთის სახელმწიფომ XVI საუკუნეში შავი ზღვის სრუტეები ჩაიგდო ხელთ, აბრეშუმი საქართველოდან დნეპრის გზით გადიოდა პოლონეთის სახელმწიფოში. ევლია ჩელების თანახმად XVII საუკუნის შუა ხანებში დონის კაზაკები ანატოლიის სანაპიროზე ერთ-ერთი საზღვაო ლაშქრობის დროს თავს დაესხნენ ბათუმთან მდებარე ციხე-ქალაქს გონიას და გაჟლიტეს იქ მყოფი თურქები.

ქართული კულტურის როლს უკრაინის ისტორიაში განაპირობებდა ქართველ მისიონერთა სასულიერო მოღვაწეობა და საქართველოს გეოგრაფიული საზღვრების სიახლოვე ქრისტიანულ ბიზანტიასთან, ბულგარეთთან და უკრაინასთან. ამ უკანასკნელს არ შეეძლო გარკვეული ურთიერთობებში არა მოეხდინა ამ ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობაში, მით უფრო რომ IX-XII საუკუნეები, როგორც უკრაინის, ისე საქართველოს კულტურის ისტორიაში ოქროს

ხანად არის წარმოდგენილი. ქართული კულტურა უკრაინაში ორი გზით ვრცელდებოდა 1. შავიზღვისპირეთის მიწები, 2. ქართული კულტურის კერები ათონზე (ივერიონი) და პეტრიწონი ბულგარეთში. სწორედ სამონასტრო რელიგიურ საგანმანათლებლო გზით ვრცელდებოდა ქართული კულტურა აღნიშნულ რეგიონებში. 1094 წლით დათარიღებულ პეტრიწონის სააღაპო წიგნში მოხსენიებულნი არიან „სლავოფილები“ და მათ შორის უკრაინელები. ქართულ და უკრაინულ ისტორიულ წყაროებში მოთხრობილი ამბები ხშირად ჰგავენ ერთმანეთს. ქართლის ცხოვრებაში წარმოდგენილი მირიანის გაქრისტიანების ამბვის ანალოგიურია ვლადიმირის გაქრისტიანება. ეს არცაა გასაკვირი, მით უფრო, რომ ორივე ეს მეზობელი ქვეყანა ბიზანტიის გზით უზიარა ქრისტიანულ ცივილიზაციას. რუსულ ისტორიულ წყაროში „Повесть временных лет“ აღნიშნულია შემდეგი: „В киеве нача первые княжити, откуда русская земля стала есть“. დნეპრის მიდამოებში მცხოვრები სლავების რუსების წინაპრებად მიჩნევა არ ხერხდება. ამ ისტორიულ ძეგლებში მოხსენიებული სლავები ბალკანეთის სლავები ჩანან. გიორგი ხუცეს მონაზონის თხზულებაშიც „სკლავი“ ღუნაის აუზში მცხოვრებ სლავებს უნდა ნიშნავდეს, ათონელი ქრთველებისთვის ბალკანეთში მცხოვრები სლავები უფრო „ბორღანალ“-ად არიან ცნობილნი. (იხ. იასე ცინცაძე „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან X-XVI სს. თბილისი 1956 გვ. 57)

„სკლავ“ ტერმინში ათონელი ქრთველები ბულგარელებს გულისხმობდნენ. გიორგი ხუცეს მონაზონის ნაშრომიდან არ ჩანს, განასხვავებდნენ თუ არა ათონელები ბალკანეთის სლავებს აღმოსავლეთ ევროპის სლავებიდან, თუ უკანასკნელნი მათთვის მხოლოდ რუსებად იყვნენ ცნობილნი. კიევის მონასტრის მოღვაწის ანტონის ცხოვრებიდან ჩანს, რომ იგი თავდაპირველად ათონის მონასტერში ყოფილა და კურთხევაც იქ მიუღია. მდინარე დნეპრის შავი ზღვის შესართავთან ცნობილი იყო ქალაქი ოლეშია. აქ მოხსენიებულ მენავებს შორის უკრაინელებთან ერთად იგულისხმებიან ქრთველებიც. უკრაინას საქართველოსთან აკავშირებდა ორი გზა, კერძოდ დნეპრი-შავი ზღვა და კავკასიონი-ყივჩაღეთი-დნეპრის ჭორო-

მები, ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობაში დიდი როლი შეასრულეს როგორც ქართველმა ისე უკრაინელმა ჰუმანისტებმა. მსოფლიო ლიტერატურაში ევროპეიზმის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები მირგოროდში გაატარა, სადაც დღეს დავით გურამიშვილის სახელობის სამუზეუმო-სამეცნიერო კერა ფუნქციონირებს. XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მოღვაწეობდა ცნობილი უკრაინელი მათემატიკოსი ნიკოლოზ ივანესძე გულაკი. მან დიდი შრომა გასწია ქართული ენის შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით, რაზეც მიუთითებს მისი ნაშრომი „ქართული ენის ადგილი ინდოევროპულ ოჯახში“. ქართულ ენაზე ითარგმნა პეტრე მოგილას, დიმიტრი ტუფტალოს თხზულებები. ქართულ ენაზე თარგმნილ მსოფლიო ლიტერატურის 47 ტომში დაბეჭდილია ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, ივან ფრანკოს საუკეთესო ნაწარმოებები.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთის გუბერნია გახდა, უკრაინას არ გაუწყვეტია ურთიერთობა მეგობარ ქვეყანასთან. 1900 წელს ქალაქ ბათუმის არქიტექტორმა ა.ბენკლიანცმა შეადგინა მიწის გეგმა 1830,32 კვ. საჟენის მოცულობით, რომელიც განთავსებული იყო ნავთობის ქუჩაზე (დღევანდელი ბაქოს ქუჩა) აღნიშნული მიწის ფართი არენდირებული იყო კიევის სამრეწველო ბანკის მიერ. კიევის სამრეწველო ბანკს 1897 წლამდე თავისი განყოფილება გააჩნდა ბათუმში, რომელიც განთავსებული იყო მარინის პროსპექტის და შერემეტიევის ქუჩის კუთხეში, ივანიანის სახლში. აღნიშნული სამრეწველო ბანკი აწარმოებდა ჭიათურის მარგანცის ექსპორტს. საქართველოსა და უკრაინას შორის საზღვაოსავაჭრო ურთიერთობა კიდევ უფრო გააძლიერა XIX საუკუნეში დაარსებულმა საბირჟო საზოგადოებებმა, კერძოდ 1834 წელს საბირჟო საზოგადოება დაარსდა კრემენჩუგში, 1864 წ. კიევი, 1866 წ. რიგა, 1872 წ. ვარშავა, 1886 წ. ბაქო. 1848 წელს სავაჭრო ბირჟა იქმნება ოდესაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბათუმში რუსული მმართველობის დამყარებას თან მოყვა საბირჟო საქმიანობის დამკვიდრება. რუსეთსა და უკრაინაში ბირჟები არსებობდა სპეციალური წესდების საფუძველზე, რომელიც საბირჟო საზოგადოებას ავტონომიას ანიჭებდა.

ბირჟის მმართველ ორგანოს წარმოადგენდა საბირჟო კრება და საბირჟო კომიტეტი. ამ პერიოდში საბირჟო კომიტეტი არსებობდა ბათუმშიც. (Гранатъ А.И. том V Москва 1891г..стр 578)

1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოების მინაცემებით, ბათუმის პორტიდან უცხოეთში გაუტანიათ მარავალფეროვანი პროდუქცია: ნავთი, წასაცხები ზეთები, მარგანეცი, სიმინდი, აბრეშუმის პარკი, ქსოვილები, ხალიჩები, მატყლი, კაკლის ხე, ძირტკბილა, ბრინჯი, ხიზილალა და სხვა საქონელი, რომელთა ღირებულებამ სულ შეადგინა 43 668 426 რუბლი (აცსა, ფონდი. ი-81, ან, 1, ს. 2, ფ. 38)

იმავე 1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოებამ აღწერა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ბათუმის პორტში შემოტანილი საქონლის ძირითადი სახეები: რკინა, და საერთოდ ლითონის ნაწარმი, გოგირდი, საღებავები, ყავა, მარმარილო, ცემენტი, საღურგლო და სხვა სახის ნაწარმი

საქართველოსა და უკრაინას შორის საზღვაო-სავაჭრო ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდა 1967 წლის 20 იანვრის შემდეგ, როცა შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო და რომლის მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა ქალაქი ბათუმი. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჩამოყალიბებას წინ უძღვოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. მისი შექმნა ბევრმა მიზეზმა განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში შავი ზღვის საზღვაო ფლოტი ნოვოროსიისკის და ოდესის რეგიონის სამგზავრო და სავაჭრო გემების მიმოსვლის ცენტრს წარმოადგენდა და გადასაზიდი სამუშაოებით ძლიერ გადატვირთული იყო. მისი განტვირთვის მიზნით აუცილებელი გახდა სანაოსნოს შექმნა შავი ზღვის სხვა ქალაქებშიც. ამასთან ერთად საზღვაო ფლოტის სამინისტრომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პორტებში განსაკუთრებით გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა, საქართველოს პორტების გავლით ტვირთი იგზავნებოდა მსოფლიოს ყველა მიმართულებით. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მგზავრების გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის პრობლემური საკითხების ოპერატიულად მოგვარება.

ზემოდ წარმოდგენილი მცირე საარქივო დოკუმენტური მასალაც კი ნათლად წარმოაჩენს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტრადიციულ ურთიერთობას შავი ზღვის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურებთან. ბათუმის საზღვაო პორტი დღესაც განაგრძობს საზღვაო-სანაოსნო ურთიერთობას უკრაინის სანავსადგურო პორტებთან.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა უკრაინის მოსახლეობა 1926 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით ბათუმსა და ქობულეთში ცხოვრობდა 1474 უკრაინელი აქედან 1421 კაცი და 53 ქალი. (ასს ცსა ფონდი რ-178, ანაწ. 1, საქმე 1333, ფ. 20)

1959 წლის საკავშირო აღწერის მასალის მიხედვით ბათუმში ცხოვრობდა 3076 უკრაინელი აქედან 1427 საურთიერთო ენა მშობლიური უკრაინული იყო, ხოლო 1645 რუსული. 1918 წელს საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, ბათუმში ეროვნული საკითხის აღორძინება მოჰყვა. ბათუმში შეიქმნა ეროვნული საბჭოები, ქალაქის სათათბირო აერთიანებდა ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს. 1918 წელს ქალაქის თვითმმართველობასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა უკრაინის რადას. უკრაინის რადას ქალაქის სათათბირო ორგანოში თავისი წარმომადგენლები ჰყავდა, ესენი იყვნენ: დ.მ კრასიცი, ა.ა. სკალევი, ი.ი. გარცკევიჩი, ს.პ. კოვანკო, ი.დ. კროპივიანსკი, პ.ქ. ჩუმაჩენკო, ი.ი.გარცკევიჩი ბათუმში ცხოვრობდა სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩაზე, ხოლო ს.პ კოვანკო ქუთაისის და ლორის-მელიქოვსი ქუჩების კუთხეში, პ.ქ ჩუმაჩენკო კი სმეკალოვის ქუჩაზე #12-ში (აცსა, ფონდი ი-7ანაწ.1 საქმე 704, გვ. 9). ამ პერიოდში რუსთა ღალატში ბრალდებული აჭარლების დაცვის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას, რომლის თავმჯდომარე იყო ე. კრინიცი (მალხაზ სიორიძე; 2002:142). 1918 წლის 1 დეკემბრის მუდროსის ზავის საფუძველზე (1918.წ.30. X) ბათუმი დატოვეს თურქებმა და ქალაქში შემოვიდა ინგლისის არმია. ინგლისელებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნებართვის გარეშე დაიკავეს ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი და შექმნეს ბათუმის საგენერალ-გუბერნატორო. (აპოლონ

სილაგადე, ვახტანგ გურული; 1998:6). მოსახლეობა იძულებული გახდა მიეტოვებინა საცხოვრებელი სახლები და გაქცულიყო. 1918 წელს ბათუმში წესრიგს იცავდა ქართული ბატალიონი, სომხური დაშნაკ-ცუტუნის ასეული, უკრაინული რაზმი და რუსეთის არმიის ნაწილი.

1921 წელს მსახიობმა და დირიჟორმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ კორმონმა ბათუმში ჩამოიყვანა საოპერო ჯგუფი, რომელიც ჩამოაყალიბა კიევში, ხარკოვში და ოდესაში. მას მინიჭებული ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. ვლადიმერ კორმონს პირველი განათლება მიუღია მასეტრო ი.ბ.პრიბიკუს სადირიჟორო კლასში და 1902 წელს პირველად დაიწყო მოღვაწეობა ოდესის ოპერის თეატრში. (ასს ცსა ფონდი რ-4, ანაწ.1, საქმე 179, ფ.3)

ბათუმში, ფერიის სასაფლაოზე განისვენებენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული უკრაინის მოქალაქეები: პეტრე ვასილისძე ბონდარენკო, რიგითი, დაიღუპა 1943 წლის 15 მარტს, დაბადებული პოლტავის ოლქში, კრემენჩუგის რაიონი, სოფელი კახოვკა, ვასილი ზაქარიას-ძე ბურლაჩენკო, უფროსი სერჟანტი, დაიღუპა 1942 წლის 11 იანვარს, დაბადებული ოდესაში, ლეონიდე ნიკიფორის-ძე დიაჩენკო, მეზღვაური, გარდაიცვალა 1942 წლის 7 თებერვალს ავადმყოფობით, დაბადებული დონეცის ოლქში, ქალაქი სლავიანსკი, ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ივანჩენკო, ზემდეგი, გარდაიცვალა 1942 წლის 13 მაისს ქრილობებისგან, დაბადებული ხარკოვის ოლქში, ვოლჩანის რაიონი, სოფელი ალექსანდროვკა, პაველ კირილეს ძეზაპეკლი, მეზღვაური, გარდაიცვალა 1941 წლის 6 დეკემბერს ქრილობებისგან, დაბადებული დნეპრეპეტროვსკში, პეტრე ვასილის-ძე კოზაკი, კრეისერ „ჩერვონაია უკრაინას“ მეზღვაური, გარდაიცვალა 1942 წლის 20 ივნისს ქრილობებისგან, დაბადებული ყირიმში, ერემო კირილის-ძე ნეჩენემოკი, რიგითი, გარდაიცვალა 1941 წლის 4 დეკემბერს ქრილობებისგან, დაბადებული ოდესის ოლქში, კონსტანტინე ვასილისძე სალენკო, რიგითი, გარდაიცვალა 1943 წლის 1 იანვარს ქრილობებისგან, დაბადებული ხერსონის ოლქში, დიმიტრი მიხეილისძე საშუკი, მეზღვაური, დაიღუპა 1943 წლის 5 მარტს, დაბადებული ჩერკასკის ოლქში, ნიკოლოზ იაკობისძე სნივაკი, რიგითი, გარდაიცვალა 1942

წლის 8 მაისს ავადმყოფობით, დაბადებული 1917 წელს სევასტოპოლში, კარმ ტროფიმეს-ძე ბენზორუკი, უმცროსი ლეიტენანტი, გარდაიცვალა 1945 წლის 31 იანვარს ავადმყოფობით, დაბადებული 1897 წელს დნეპროპეტროვსკში, ვასილი თედორეს-ძე ფედორჩუკი, რიგითი, გარდაიცვალა 1944 წლის 14 სექტემბერს, დაბადებული ხმელნიცკის ოლქში. (ასს ცსა ფონდი რ-10, ანაწ. 1, საქმე 1126, ფ. 1-15).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ უკრაინის მოქალაქეები: ეფროსინე პეტრეს ასული სკლუარენკო, დაბადებული 1908 წელს ოდესაში, ანდრეი ნიკოლოზის ძე მირონჩუკი, დაბადებული 1913 წელს კიევში, გრიგორი ალექსისძე ვაიცენოვსკი, დაბადებული 1919 წელს ახალ არხანგელსკში, ისაკი ევგრაფისძე ზარუბინსკი, დაბადებული 1887 წელს ოდესაში, ანა ივანეს ასული ინოფრიჩუკი, დაბადებული 1896 წელს კიროვის ოლქში, პეტრე მიხაელისძე ჩუი, დაბადებული 1879 წელს ხარკოვში.

საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობები დღესაც გრძელდება. კიევში მოქმედებს არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლებიც ეწევიან ქართული ენის და კულტურის პოპულარიზაციას. ასევე დიდ შრომას ეწევიან უკრაინელი ხალხის უძველესი კულტურის შესასწავლად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აჭარის არ არქივი ფონდი ი-81. აღწ. 1. საქმე 2

აჭარის არ არქივი ფონდი ი-6. აღწ. 1. საქმე 593

აჭარის არ არქივი ფონდი რ-128, ანაწ 1, საქმე 1,2,3,4,10,27,30,33

აჭარის არ არქივი, ფონდი ი-6, საქმე 590

რ. უზუნაძე, „ნაოსნობა ბათუმის ოლქში“. ბათ. 2001

Брокгауз.Ф.А., Энциклопедия том III П 1891

Гранатъ А.И., Энциклопедия том V М 1891 г.

Патриарх Кирион, „Культурная роль иверии в истории руси“ Санкт-Петербург 1898 г.

პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება, საქართველოზე პაპი ურბან მერვისადმი ჟურნალი „ივერია“ 1968 N; 3

არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“ თბილისი, 1975
ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები თბილისი 1998.

დ.პაიჭაძე, „ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო“ თბილისი 1989.

Ярослав Кись, Василий Педич, „Актуальные проблемы Истории Украины“ 2004

აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული, „პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში“ (1920 წელი) თბ. 1998.

მალხაზ სიორიძე, „სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში“ ბათ. 2002.

დიპლომატიური ურთიერთობების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული „უკრაინა და საქართველო საეთაშორისო ურთიერთობებში ისტორია და თანამედროვეობის საერთო გამოწვევები“ კიევი 2018 წელი.

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ბათუმის ისტორიის მკვლევარი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბათუმის ისტორიის კვლევის საკითხებს. წლების განმავლობაში ბატონი ავთანდილი მონაწილეობას ღებულობდა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებულის „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ 12 ტომეულში საპატიო ადგილი უკავია პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის სამეცნიერო სტატიებს. გამოჩენილი მეცნიერი თავის შრომებში არა მარტო აღწერს ბათუმში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს და ფაქტებს, არამედ გამოცდილი მეცნიერისთვის დამახასიათებელი ცოდნის და დაკვირვების, ისტორიული ანალიზის და შედარების მეთოდის საფუძველზე აკეთებს ობიექტური დასკვნებს. გამოცემულ 12 ტომეულში „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტატიას წარმოადგენს „1918წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები“. მკვლევარი დამაჯერებელი არგუმენტების და ფაქტების საფუძველზე განიხილავს 1918 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ ბრესტის ხელშეკრულებას და საერთაშორისო სამართლის ნორმების პრინციპების გათვალისწინებით აკეთებს დასკვნას, რომ არსებული ხელშეკრულებით დარღვეული იქნა ქვეყნებს შორის დამტკიცებული საერთაშორისო ხელშეკრულება და გარიგების, ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ საკუთარი ინტერესების გათვალისწინების მიზნით ორივე დამპყრობლის მიერ განხორციელებული საქართველოს ცალკეული ტერიტორიების ძალდატანებითი მიერთება, ინტერვენცია და ოკუპაცია. 1918 წლის საზავო ხელშეკრულებებით (ბრესტი, ტრაპიზონი, ბათუმის კონფერენციები) ოსმალეთის იმპერიას გზა გაეხსნა აჭარის ხელში ჩასაგდებად. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-

ლოს ცალკეული კუთხეების მტკიცე კავშირს. ქობულეთში გამართულ კრებაზე ხმამაღლა განაცხადეს, რომ საქართველო მტკიცედ იყო დარწმუნებული აჭარელი ძმების მამულიშვილურ გრძნობებში. საქართველოს ერთიანობის იდეით გამოდიოდნენ მემედ, ზია და ჰაიდარ აბაშიძეები, გულო კაიკაციშვილი. ერთი სვე-ბედის ქვეშ იმყოფებოდა როგორც აჭარის ისე გურიის მოსახლეობა. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის, პროფესორ შალვა რადიანის ავტობიოგრაფიული ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი დაპყრობის შედეგად განცდილი ცხოვრების მძიმე წლები და ის დიდი თანადგომა, რამაც გადაარჩინა ერთ ბედს ქვეშ მყოფი ეს ორი კუთხე. შალვა რადიანი თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „გარდასულ დროთა მატთან“ იხსენებს: გურიას „ესტუმრა“ პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით შევიდა ოზურგეთში, გადაწვა და გაძარცვა ის. შეშინებული ხალხი გარბოდა ქვეყნიდან, ჩემი მშობლებიც გაქცეულა სოფელ აჭში, ქართველ მაჰმადიანებთან. გზაზედ, როდესაც გადადიოდნენ მდინარეზე, მამაჩემი, რომელსაც ატატებული მივყავდი, შემთხვევით წაქცეულა და მეც ხელიდან გავვარდნილვარ, მაგრამ მაინც გადამარჩინეს. აჭში რამდენიმე კვირის ყოფნის შემდეგ, ჩემი მშობლები დაბრუნებულან ოზურგეთში, იქ მათ აღარაფერი დახვედრიათ, ყველაფერი ცეცხლს შთაენტქა. ისევ ხელმეორედ დაიწყეს მათ ოჯახის მოწყობა. ოჯახი ჩვენი კი მრავალრიცხოვანი იყო. როგორც აჭარამ ისე გურიამ არაერთგზის განიცადა მტრისგან დარბევა. შალვა რადიანი იგონებს, რომ 1918 წელს, ბათუმის აღების შემდეგ, ოზურგეთში შემოიჭრენ თურქები. ამ ხანებში ქალაქში სრული უდარდელობა სუფევდა, არავინ ფიქრობდა, რომ მოახლოვებულ მტერს შეეძლო თავდასხმა ქალაქზე, სადამო ხანი იქნებოდა, როდესაც გავრცელდა ხმა „თათრები მოდიანო“. ხალხი პანიკამ მოიცვა. იმ დროინდელი სამხედრო და სამოქალაქო მესვეურები ყველაზე ადრე გაიქცნენ ქალაქიდან. მათ ვერც კი მოახერხეს სუსტი მტრის წინააღმდეგ დაერაზმათ ხალხი. ქალაქში დაიწყო ძარცვა-გლეჯა. ხალხი გარბოდა უმთავრესად ნაგომარის მიმართულებით. პირდაპირ შემზარავ სურათს წარმოადგენდა შეშინებული, არეულ-დარეული ხალხის გაქცევა, თან მიჰქონდათ რისი

წაღებაც სახელდახელოდ შეძლეს. თანდათან ძლიერდებოდა სროლის ხმაც. თათრები უახლოვდებოდნენ ოზურგეთს. 1918 წლის 7 აპრილს ანასეულ-ექადიის მხრიდან შემოვიდნენ ისინი ქალაქში. შიმშილმა მოიგვა ყველაფერი. მახსოვს ხალხს გამოსაკვებად მაშინდელნი მესვეურნი ურიგებდნენ რაღაცნაირ ნამცხვრებს, რომელთა კბილებით დაღრნა არ შეიძლებოდა, ისე მაგარი იყო და თანაც სავსე მატლებით. დამშეული ხალხი სოფელ-სოფელ დადიოდა გამოსაკვების საშოვნელად, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. 1918 წელს თურქების მიერ ბათუმის დაკავებას სრულიად საქართველო აღუდგა წინ და მათ შორის ცისფერყანწელების ახალი თაობა. ამ ქვეყნის შვილს გული სიამაყით გევსება, როდესაც გებულობ თუ როგორი პროტესტის გრძნობით შეხვდნენ ცისფერყანწელები ოსმალების მიერ ახალციხისა და ბათუმის დაკავებას. მურად მთვარელიძის „ქრონიკები ტიციან ტაბიძის ცხოვრებიდან“ დაა ნინო ტაბიძის „ტიციანი და მისი მეგობრები“ წიგნებში კონკრეტულად არის აღწერილი ცისფერყანწელთა პატრიოტული საქმიანობა. ვალერიან გაფრინდაშვილი იმ დროს პატრიოტული გრძნობით მოუწოდებდა თანამემამულეებს:

„მამ, ძმებო, ერთად გავწიროთ თავი,
ნუთუ გვიმტყუნებს ბედი მასხარა,
ან გამარჯვება და ან საფლავი
მტერს შევებრძოლოთ, თოფები ჩქარა“.

პაოლოც არ დარჩა ვალში და მის ლექსში გამოსხატა თავისი გულის ნადები ბათუმის დაცემის გამო:

„ბათუმის ცაზე მე უმზერ ყვავეს
ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გამალეთ მზეზე პრიალა ხმლები
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა
ანდა ბათუმთან დავტოვოთ ძვლები“.

ბათუმის დაცემის ამბავი ტიციანმა თავისი დაბადების დღეს ეროვნული ტრაგედიის ფონზე წარმოიდგინა და ბათუმს უძღვნა ლექსი „ორი აპრილი“:

„ბათუმი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი
ატმის ყვავილით სისხლიანის ტირის აპრილი

ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარა
პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა“.

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილიმა ნაშრომში „1918წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები“ შთამბეჭქდავად გადმოგვცემს ბათუმის დაცვის საქმეში ქართველი მწერლების დამსახურებას. მკვლევარი ობიექტურად განიხილავს აღნიშნულ პერიოდში ბათუმში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს და მეცნიერული ცოდნის საფუძველზე მხატვრულად ასახავს ცისფერ-ყანწელთა შემოქმედებას. მოგვხსენებათ, რომ მემუარული ხასიათის ლიტერატურა მკვლევრისგან მოითხოვს დიდ სიფრთხილეს და წარმოსახვის საფუძველზე წარმოდგენილი ისტორიული მოვლენის კრიტიკულ შეფასებას. გამოცდილი მეცნიერი ბათუმის ისტორიის საკითხებს განიხილავს კრიტიკული მეთოდის საფუძველზე. ამის ნათელი მაგალითია მის მიერ განხილული ალექსანდრე ქუთათელის ისტორიული რომანი „პირისპირ“, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი“, კოლაუ ნადირაძის „ნადირობის დროს მოყოლილი ამბები“ და ა.შ. ბატონი ავთანდილი ნაწარმოებების განხილვისას წარმო-აჩენს მის დადებით და უარყოფით მხარეებს, პარალელებს ავლებს ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობას შორის და შედარების მეთოდის საფუძველზე ახდენს ქართული საზოგადოების ეპოქალურ დახასიათებას. პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი თავის ნაშრო-მებში განსაკუთრებული სიყვარულით გადმოგვცემს აჭარის ისტო-რიულ წარსულს და ამით გამოხატავს მის დამოკიდებულებას აჭარის და აჭარლების მიმართ. სტატიაში არტურ ზუტნერის „აჭარლები“ გადმოცემულია ოსმალობის დროინდელი ბათუმის ისტორია, ავსტრიელი მწერლის არტურ ზუტნერის და მისი მეუღლის, მშვი-დობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, ბერტა ზუტნერის დამოკიდებულება აჭარის ისტორიული წარსულის მიმართ. ბატონი ავთანდილი კარგად იცნობს „ქართველ და კავკასიელ ხალხთა ყო-ფისადმი მიძღვნილ მათ შემოქმედებას. ისინი წლების განმავ-ლობაში მოგზაურობდნენ საქართველოში და ეცნობოდნენ ქართულ ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს. მკვლევარი განიხილავს მათ ნაწარმოებებს: „მეზობლები“, „ბატონი გრიგოლი“, „საწყალი

ვარდო”, „ქეთევანი”, „მარგალიტი”, „შამილი”, „მეგრული ქორწილი”, „ჩერქეზები”. რომელშიც განზოგადოებულია მოგზაურთა მიერ დანახული აჭარის ისტორიული სინამდვილე, ამ პერიოდში აჭარაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, ნაოსნობა, ვაჭრობა, რელიგია და სოციალური ყოფა, სტატიის ბოლოს მკვლევარი აკეთებს დასკვნას, რომ ა. ზუტენრის „აჭარლების“ პრობლემატიკა მხოლოდ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება და იგი პერსონაჟთა მრავალსახეობებითაც და ლიტერატურული ინდივიდუალობითაც გამორჩეულ ნაწარმოებს წარმოადგეს.

ლიტერატურათმცოდნე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი სრულად წარმოაჩენს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებას, მასზე არსებული ლიტერატურით. სამეცნიერო სტატიაში „ახალი მასალა 1910-იანი წლების ბათუმისა და აჭარის შესახებ“ მკვლევარი განიხილავს ივანე არჯევანიძის მოგონებას „დავით კლდიაშვილის შესახებ“, რომელიც ხელნაწერის სახით უნახავს მას თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში. ნაშრომში საინტერესოდ არის გადმოცემული ხელნაწერში არსებული სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების, ისტორიული მეხსიერების შესახებ. მასში აღწერილია რუსი გენერლების ლიანოვის და მილერის მიერ აჭარის სოფლების დარბევის ამბები. სტატიაში ისტორიული სიმძაფრით არის გადმოცემული „შავრაზმელი კაციჭამიების“ ვერაგული საქციელი, რომლებმაც არავინ არ დაზოგეს, არც ძუძუმწოვარი ბავშვი. არც მოხუცი დედაბერი, არც ფეხმძიმე ქალი და არც მოზარდები“.

ნაშრომში „დავით წერეთელი და ბათუმი“ შესწავლილია გრენადერთა პოლკის ოფიცერის, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, 1878-1881 წლებში მაჭახლის პირა ხეობის საპოლიციო უბნის ზედამხედვლის, დავით წერეთლის წერილობითი ცნობები იმდროინდელი აჭარის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესახებ. მასში ყურადღება გამახვილებულია მუხაჯირობის გამომწვევ მიზეზებზე და შედეგებზე. დავით წერეთელს

უნატრია, რომ ღმერთმა ის დღე ნუ მოგვასწროს, ისევ ჩვენივე უხეირობის წყალობით აჭარაში რაიმე უწესობა ან ხალხის არეულობა მომხდარიყოს და ამის გამო ეს ხალხიც ჩერქეზებშივით და აფხაზებშივით არ გავიდნენ აქედან, ეს დიდი უბედურება იქნება ამ ქვეყნისთვის.

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ბევრ ახალ ფაქტს და მოვლენას გვაწვდის XIX-XX საუკუნის აჭარის ისტორიის შესახებ. მის მიერ შესწავლილი და გადმოცემული ფაქტობრივი მასალა იმითაც არის საინტერესო, რომ მკვლევარი ძირითადად ეყრდნობა მოვლენათა უშუალო თვითმხილველ ადამიანებს, მათ ხელნაწერებს, სამსახურებრივი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს. ნაშრომში „გიორგი ერისთავი XIX საუკუნის 60-იანი წლების ბათუმის“ შესახებ შესწავლილია მწერლის ჩანაწერები ოსმალთა დროინდელი ბათუმის შესახებ. პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს ქალაქი ბათუმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში. აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ბათუმი და ბათუმთან დაკავშირებული რეალიები ოთარ ჭილაძის რომანში „რკინის თეატრი.“ ბატონი ავთანდილი სიტყვის და აზრის მნატურულად გადმოცემის ოსტატია. იგი ახასიათებს ოთარ ჭილაძის შემოქმედებას და მას შემდეგი სიტყვებით ამკობს: ოთარ ჭილაძის რომანებში უმაღლესი მწერლური პროფესიონალიზმით წარმოჩინდა სიტყვიერი ოსტატობის გრძნეულებანი, მოვლენათა ფილოსოფიური აღქმა გააზრების ინდივიდუალიზმი, ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვა უღრმესი ფსიქოლოგიზმით, სიმბოლურ-ალეგორიური სახეებით აზროვნების განსაკუთრებული ნიჭი.

მკვლევარი სტატიამი წარმოაჩენს XIX-XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს, პარალელს ავლებს დავით კლდიაშვილის შემოქმედებასთან და მსგავსებას ნახულობს მისი ცხოვრების ბათუმურ პერიოდსა და ოთარ ჭილაძის რომანის გმირს შორის, (საბა ლაფაჩი). ნაშრომში საინტერესოდ არის აღწერილი პორტო-ფრანკოს ისტორია, ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის პროექტი და ა.შ. მეცნიერი ისტორიული სიმართლით აღწერს რომანის სათაურად გამოყენებულ ამბავს „რკინის თეატრის“ შესახებ. მკითხველი სტატიამი ბევრ საინტერესო ფაქტს გაეცნობა ბათუმში მოღვაწე მწერლების, რეჟისორების, მსახიობების შესახებ. ერთ-ერთ მნიშვნე-

ლოვან ნაშრომს წარმოადგენს „ნიკო ნიკოლაძე ოსმალთობის დროინდელი ბათუმის შესახებ“, რომელშიც გამოყენებულია 1873 წელს ჟურნალ - „კრებულის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნებული ნარკვევი „სხვათა შორის (ნაგრძნობი და განაგონი)“. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ფაქტობრივი მასალა საინფორმაციო ხასიათისაა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნიკო ნიკოლაძის სიტყვები, რომ იგი სადმე უცხო მხარეში კი არა, მისი წინაპრების „გაოხრებულ“ სამკვიდრებელში იმყოფებოდა“. ამ აღმოჩენამ - აღნიშნავს ბატონი ავთანდილი, მწერლის გულში პირველ ყოვლისა სინანულისა და სინდისის ქენჯნის მძაფრი გრძნობა გააჩინა იმ უყურადღებობისა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, რასაც ის და მისი დროის ქართველობა იჩენდა უცხო სახელმწიფოს მიერ მიტაცებული ამ რეგიონისა და მისი მკვიდრი ჩვენი მოძმეების მიმართ. მწერლის შინაგანი პროტესტის გრძნობის გამოსახატავად მკვლევარი იმონებს მის სიტყვებს: „მე მართლაც მრცხვენია, თითქოს მე დამეფანტოს და დამეკარგოს სხვის ნაჭირნახულები, თითქოს მე დამებნოს ძვირფასი საუნჯე, თითქო უცხო ქვეყნელის დამკვირვებელი თვალის მერიდებოდეს, როგორც გამამხილებელი და გამამტყუნებელი სინდისისა“ ბათუმის პორტის დიდ დანიშნულებაზე მიანიშნებს ნიკო ნიკოლაძის შემდეგი სიტყვები, რომ სტამბოლის და სევასტოპოლის გარდა შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი ადგილი არ ჰქონია და არ აქვს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნიკო ნიკოლაძის მიმართვა აჭარლებისადმი. აი ისიც: „ენა მაგ თქვენ მაჭახელა ფიშტოზე უფრო გამოსადეგია, რადგანაც ის შეგაერთებს და ძალას მოგცემს იმ გაჭირვების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც თათრებიდგან გადგიათ.“

სამეცნიერო სტატილაში „ბათუმური რეალიები არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ნააზრევში“ ავტორი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გერმანელი მწერლის თვალთ დანახული ბათუმის შესახებ. მწერალი ბათუმს წარმოგვიდგენს ევროპული ტიპის ქალაქად, იგი ყურადღებას ამახვილებს ბათუმის გეოგრაფიულ სივრცეზე, მის მრავალფეროვნებასა და სილამაზეზე. სტატილაში ვკითხულობთ, „კარგია ბათუმის ბულვარი დილით ან გვიან საღამოს. აქ შეიძლება დატკბე ტალღების დიღინით, ტალღები მშვიდ და წყნარ ჰანგზე მღერიან სულიერი სიმშვიდის სიმფონიას, რომელიც აწყნარებს

ადამიანის ადელვებულ სულს, მარცხენა მხარეს მისი მედიდური მწვანე მთებით, გიგანტური სვეტებით ამოზიდულ¹ მოლურჯო ცაში.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევრის ფხიზელ თვალს არც თურქი ავტორი გამორჩენია. ბატონი ავთანდილი სტატიამი „ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრებასა და შემოქმედებაში“ აღნიშნავს, რომ თურქი ავტორი უზომოდ შეყვარებული იყო საქართველოზე, რასაც განაპირობებდა მისი ქართული წარმომავლობა. იგი ბათუმს წვიმის, ახალგაზრდობის, სიმწვანის, იმედის ქალაქს უწოდებს. მწერალი ხშირად სტუმრობდა სასტუმრო „ფრანციას.“ ავტობიოგრაფიულ რომანში მწერალი ყურადღებას ამახვილებს ქალაქის ბუნებაზე, მცენარეულ საფარსა და კლიმატზე. მწერალი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში იყო და ძირითადად ყურადღებას ამახვილებს სოციალურ ყოფასა და ღუხჭირ ცხოვრებაზე. ნაშრომში „1921 წლის თებერვალ მარტის ბათუმური მოვლენები ქართულ მწერლობაში“ მკვლევარი სავსებით იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ აზრს, რომ ეს იყო თურქეთის აგრესიული გეგმების შენიღბული განხორციელების ცდა. არსებული აზრის განსამტკიცებლად მკვლევარი იყენებს 1921 წელს ბათუმის კომუნდანტის ი. ფურცელაძის მოგონებებში არსებულ ფაქტობრივ მასალას. ასევე მასში განხილულია ა. ქუთათელის რომანი „პირისპირ“ და ვალაერიან კანდელაკის პიესა „დრო 24 საათია“. ეს უკანასკნელი პიესა დაიდგა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის სცენაზე. სტატიამი ამაყად ჟღერს გიორგი მაზნიაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომ საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკაა, სამშობლოს მიწა, - მთავარი ხატი ! მე ხატისთვის ვიბრძოლებ ... არ არსებობს ჩემთვის პარტია, მე სამშობლოს მიწის ჯარისკაცი ვარ, ბალახის სიმალღისა! - ერთი გაბრაზებული თობა თუ დამხვრეტს, მეორე დამშვიდებული თაობა აღმადგენს“. პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ნაშრომში „ტიციან ტაბიძე და ბათუმი“ მაღალ შეფასებას აძლევს 1918 წელს ცისფერყანწელთა ბრძოლას საქართველოს ერთიანობის დასაცავად. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე ხაზს უსვამს მათი შემოქმედების მებრძოლ ხასიათს. მეცნიერი განიხილავს 1920 წელს ტიციანის მიერ გამოცემულ გაზეთ „მთლიან საქართველოში“

დაბეჭდილ წერილებს, რომელშიც იტალიის მაგალითზე გადმოცემულია ერთიანობის იდეა. ტიცინი პარალელს ავლებს საქართველოსთან და მოითხოვს საქართველოს საზღვრების გაფართოებას ლაზისტანსა და ტრაპიზონს იქით, აზიის სიღრმეში. მეცნიერი სამართლიან დასკვნას აკეთებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების საფუძველზე, ეს იყო იდეალიზებული ფორმით გამოვლენილი რომანტიზმი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ტანჯავდა ქართველი კაცის სულს. ცისფერყანწელები სიცოცხლის ბოლო წუთებამდე საქართველოს ერთიანობის იდეის დაცვას ემსახურებოდნენ. ისინი მკაცრად იცავდნენ ქართლის ცხოვრების მთავარ კანონს: „არავის ვეყმით, არცა ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამბადებლისა“.

ამრიგად, ნარკვევში განხილულია პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიერ დაბეჭდილი ნაშრომები ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ 12 ტომულში „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“, ასევე აღნიშვნის ღირსია ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის მიერ დაბეჭდილი სტატიები ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულის 13 ტომულში „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რომელთა განხილვა სამომავლო საქმედ გვესახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“, ავთანდილ ნიკოლეიშვილი „1918 წელს ოსმანლთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები“ ტ. 6 ბათუმი 2015 წ. გვ. 239
2. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ ავთანდილ ნიკოლეიშვილი არტურ ზუტენერის „აჭარლები“, ტ. 5 ბათუმი 2014 წ. გვ. 238
3. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ახალი მასალა 1910-იანი წლების ბათუმისა და აჭარის შესახებ ტ. 4 ბათუმი 2013 წ. გვ. 22

4. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“.
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „დავით წერეთელი და ბათუმი“ ტ. 3
ბათუმი 2013 წ. გვ. 79
5. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“.
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „გიორგი ერისთავი XIX საუკუნის 60-
იანი წლების ბათუმის შესახებ“, ტ. 8 ბათუმი 2017 წ. გვ. 245
6. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ბათუმი და ბათუმთან
დაკავშირებული რეალიები ოთარ ჭილაძის რომანში „რკინის
თეატრი“ ტ. 9 ბათუმი 2018 წ. გვ. 2002
7. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“.
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ნიკო ნიკოლაძე ოსმალეთის
დროინდელი ბათუმის შესახებ“, ტ. 10 ბათუმი 2019 წ. გვ. 283
8. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“.
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ბათუმი ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრებასა
და შემოქმედებაში“ ტ. 12 ბათუმი 2022 წ. გვ. 227
9. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“.
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ბათუმური რეალიები არტურ
ლაისტის ქართველოლოგიურ ნააზრევში“, ტ. 11 2021 წ. გვ. 154
10. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“.
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „ტიციან ტაბიძე და ბათუმი“, ტ. 2
ბათუმი 2012 გვ. 337
11. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
სამეცნიერო კრებული „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“.
ავთანდილ ნიკოლეიშვილი „1921 წლის თებერვალ-მარტის
ბათუმური მოვლენები ქართულ მწერლობაში“, ტ. 7 ბათუმი 2016
წ. გვ. 375

ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ისტორიიდან

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე დაისვა კითხვა: იყო თუ არა დასანგრევი ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი? მიმაჩნია, რომ ტაძართან დაკავშირებით ყოველგვარი შეკითხვის დასმა ასეთი ფორმით არასწორია. ქალაქის ცენტრში, ზღვის სივრცით გარემოში არსებული ტაძარი გამოირჩეოდა არქიტექტურული სილამაზით. ამის შესახებ ბევრი დაიწერა. ხელოვნებათმცოდნეებმა მაღალი შეფასება მისცეს ყოფილ ტაძარს, რასაც გვიდასტურებს დღემდე შემორჩენილი ტაძრის ფოტოსურათები. მთავარი პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ ტაძრის სახელით ბათუმში რუსიფიკატორული პოლიტიკა წარმოებდა.

1908 წლის 17 მარტს გამართულ ბათუმის სათათბიროს სხდომაზე დეპუტატმა სასულიერო სფეროდან ო.ცენდეკოვმა დასვა საკითხი ალექსანდრე ნეველის სახელობის „სობორო“ ეპარქიისათვის გადაცემის შესახებ. ამის წინააღმდეგ გამოვიდა საზოგადოების ერთი ნაწილი და მოითხოვა ტაძრის გადაცემა სამხედრო უწყებისთვის.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს „სობორო“ შენდებოდა არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო პირთა მიერ. ბათუმის ტაძრისგან განსხვავებით თბილისის სამხედრო ტაძარი შეიძლება ყოფილიყო სამხედრო უწყების კუთვნილება, რადგან იგი აშენდა სამხედრო უწყების თანხებით.

ზემოთ აღნიშნულ სხდომაზე დეპუტატმა ლ. ქიქოძემ სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ტაძარი აშენდა ქალაქის ცენტრში მრევლისთვის და რატომ ითხოვდნენ მოქალაქეებისგან იქ შესვლისთვის ქალაქის კომენდანტის ნებართვას. სხდომაზე კრინიციმ ყველა კითხვას გასცა პასუხი, როცა განაცხადა, რომ სამხედრო ტაძარი აშენდა ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შეერთების აღსანიშნავად. (იხ აცსა ფონდი ი-7 ანაწ. 1 ს. 476 ფ. 10) სინამდვილეში ტაძრის მშენებლობა უკავშირდება 1888 წელს ბათუმში რუსეთის

მეფის ალექსანდრე III-ის ვიზიტს. მისი უდიდებულესობის, რუსეთის იმპერატორის ბათუმში დახვედრისა და მიღების კომიტეტის თავმჯდომარე სტატს სოვეტნიკი გავრონსკი 1888 წლის 16 სექტემბერს იუწყებოდა, რომ კავკასიის მხარეში იმპერატორის სამოგზაურო მარშრუტის საფუძველზე მისი უდიდებულესობა დაესწრებოდა ფოსტატელეგრაფის შენობის წინ არსებულ მოედანზე ახალი ტაძრის საძირკველის ჩაყრას. (იხ აცსა „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“ (დოკუმენტების კრებული) ფურცელი 7)

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის მრჩეველს გავრონსკის აძლევს ბრძანებას, რომ ბათუმში რუსეთის იმპერატორის მაღალ დონეზე მიღება შეხვედრის მიზნით შედგეს ბათუმის საპატიო მოქალაქეებისა და უმაღლესი სამოქალაქო წოდების მქონე ადამიანების სია. ბათუმის საპატიო მოქალაქეებს შორის იყვნენ: ისმაილ ბეგ აბაშიძე, იბრაიმ ბეგ აბაშიძე, დიმიტრი გურგენიძე, ილია გვარამაძე, პავლე ჭყონია, ლეონიდე გრიგოლია, ლეონიდე ქიქოძე, ივანე ავალიანი, ყარამან მელაძე, სიმონ ყიფიანი, პეტრე ღლონტი, ნიკოლოზ ჩაჩუა. (იხ აცსა ფონდი ი-6 ანაწ. 1 ს. 9 ფ. 230)

რუსეთის იმპერატორის ბათუმში ჩამოსვლასთან დაკავშირებით თვითმმართველობამ არქიტექტორ ცუზარევიჩის ხელმძღვანელობით შეადგინა ქალაქის გალამაზებისთვის საჭირო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ზღვისპირა პარკში შესასვლელი კარიბჭის, ბესეტკისა და მესერული დობის მშენებლობას. (იხ აცსა ფონდი ი-9 ნაწ. 1 ს. 17 ფ. 39)

ამავე დროს მოწესრიგდა და გალამაზდა ქუჩები, ბაღები, სკვერები, განსაკუთრებით ის გზები, სადაც უნდა გაველო მის აღმატებულებას. თვითმმართველობის სხდომაზე განიხილებოდა საკითხი. რუსული წესისამებრ, იმპერატორის დახვედრისთვის საჭირო პურისა და მარილისთვის განკუთვნილი სპეციალური ჭურჭლის დამზადების შესახებ. სპეციალურად დამზადდა იმპერატორის მეუღლისთვის განკუთვნილი ყვავილების ლარნაკი. იმპერატორის ჩამოსვლის დღეს ქუჩაზე გამავალი ყველა ფანჯარა უნდა ყოფილიყო განათებული.

მთავარი კითხვა მაინც იმაში მდგომარეობს თუ ტაძრის სახელით რა საქმიანობას ეწეოდნენ რუსი მოხელეები. დასმულ კითხვას

სავსებით სამართლიანად პასუხობს ამასწინათ აჭარის სახელმწიფო არქივის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ გამოცემულ დოკუმენტების კრებულში „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“ დაბეჭდილი 1914 წელს სამხედრო-სასულიერო პირთა ყრილობაზე დამტკიცებული სამოქმედო პროგრამა. მოცემული პროგრამის საფუძველზე შედგენილი იყო ინსტრუქცია, რომლითაც კონტროლდებოდა მღვდელმსახურის ყოველი ნაბიჯი. ღვთისმსახურებას სამხედრო ტაძარში განსაკუთრებული ემოციური ზეგავლენა უნდა მოეხდინა მრევლზე, მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოძღვრების სწავლებას, საეკლესიო ქადაგებას სამხედრო ყაზარმაში. პატრიოტული სული-კვეთების ამადლებისა და რუსული სამხედრო მუნდირის გაცნობის თვალსაზრისით რელიგიური ნიშნით უნდა წარმართულიყო რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის სწავლება. სამხედრო მესვეურთა მიერ მთელი რიგი ღონისძიებები იყო დასახული მღვდელმსახურთა გასაერთიანებლად, სამხედრო ხელმძღვანელობასა და ოფიცერთა შემადგენლობასთან, რათა ერთობლივი მუშაობით აემადლებინათ სამხედრო მოსამსახურეთა განათლება, რწმენა და ერთგულება რუსეთის მეფისა და სამშობლოსადმი. დრო და დრო იხვეწებოდა მოსახლეობაზე ზემოქმედების ფორმები და მეთოდები. ყოველდღიურად რუსი ოფიცრებისთვის იმართებოდა საღვთისმეტყველო კითხვა. ყოველივე ამას კი ემსახურებოდა ტაძართან არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ამრიგად აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტური მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძართან არსებული სხვადასხვა სახის დაწესებულებები ამკარად ემსახურებოდნენ რუსული იარაღის დიდებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აცსა ფონდი ი-7 ანაწ. 1 ს. 476;
2. აცსა ფონდი ი-6 ანაწ. 1 ს. 9, ს. 17;
3. აცსა „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“ (დოკუმენტების კრებული) ბათუმი 2010;

დანართი:



ბათუმის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარი

სარჩევი

ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა (XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში)	5
ბათუმის საბირჟო საზოგადოების საქმიანობა (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დასაწყისი)	9
ბათუმის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (XIX საუკუნის დასასრული – XX ს-ის დასაწყისი)	14
საკონსულოები ბათუმში 1901-1903 წლებში	19
ნიკოლოზ დერჟავინი ბათუმის შესახებ	33
ბათუმის კლიმატი და გარემოს დაცვის აქტუალური საკითხები	40
ბათუმი 1917-1921 წლებში	44
გერმანელები ბათუმში (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა)	51
საარქივო დოკუმენტები აზიზიეს მეჩეთის შესახებ	64
ირანელები ბათუმში	70
ბათუმი ინგლისელთა მმართველობის პერიოდში (1918-1920 წწ.)	77
ლონდონ-ბათუმის სავაჭრო-კომპერაციულ-სააქციო საზოგადოება	94
რუსეთ-თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისთვის და ბათუმი-ფოთის პორტების სამხედრო დანიშნულება	108
შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910)	118
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ისტორიიდან (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალების მიხედვით)	136
შავი ზღვის საბაჟოების ურთიერთობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში	148
რელიგიური სკოლები აჭარაში XIX-XX სს	160
რელიგიური დაწესებულებები აჭარაში XX საუკუნის 50-იან წლებში (აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)	176
გზები და ხიდები აჭარაში (XIX საუკუნე)	180
„პოლონური სახლი“ ბათუმში	197
აჭარის გზები და ხიდები XX საუკუნის 30-იან წლებში	205
უკრაინელები ბათუმში	212
პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ბათუმის ისტორიის მკვლევარი	220
ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ისტორიიდან	230